



ԵՄՔՐՈՇՄԻՒՆ
ԵՆՆԵՂԻՈՒ ՉՈՐՃՈՒՆ

II

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES

სტუდენტური საისტორიო ძიებანი
STUDENT HISTORICAL RESEARCHES

II



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2022

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორები:

მიხეილ ქართველიშვილი
ნიკოლოზ სარაჯიშვილი
ზაზა ქარჩავა

სარედაქციო საბჭო:

მიხეილ ბარნოვი, ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ელენე გოგიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე ბოშიშვილი, ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

ზაალ გოგენია, ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

შოთა მათითაშვილი, ისტორიის დოქტორი

გიორგი არქანია, საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ

მანუჩარ გუნცაძე, საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა, თსუ

ნოდარ ჩხაიძე, საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ

თეა გოგოლიშვილი, შუა საუკუნეების ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ

ბექა კვაჭაძე, შუა საუკუნეების ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ

ლალი მექერიშვილი, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ

ბაჩანა რუხაია, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ

ჯონდი ხუხია, მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამა, თსუ

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023

ISSN 2720-8354

ISBN 978-9941-36-113-5

სარჩევი

სარედაქციო კოლეგიისაგან	5
ზაზა ქარჩავა	
ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონი“	10
Zaza Karchava	
„Agrarian law“ of Licinius and Sextius (SUMMARY)	25
გიორგი ბარნაბიშვილი	
აღმოსავლური კულტების შესწავლის საკითხისთვის რომის იმპერიაში (მიტრა)	26
Giorgi Barnabishvili	
For the study issue of the Eastern Cults in the Roman Empire (Mithras)	36
ანანო ნატროშვილი	
საქართველოში ფრანცისკელ მისიონერთა დაფუძნების ახლებური წაკითხვა	37
Anano Natroshvili	
A New Reading of the Establishment of the Franciscan Missionaries in Georgia in a New Manner (Summary).....	49
გიორგი ჩავლეიშვილი	
გერმანიის საიმპერიო საარჩევნო სისტემა 1356 წლის „ოქროს ბულის“ მიხედვით	51
Giorgi Chavleishvili	
German Imperial Election System According to the Golden Bull of 1356 (SUMMARY).....	68
ლუკა ნებიერიძე	
მუზაფარ ად-დინ ჯეჰან შაჰის 1440 წლის შემოსევა საქართველოში.....	69
Luka Nebieridze	
Muzaffar al-Din Jahan Shah’s Invasion of Georgia in 1440 (Summary)	92
ჯონდი ხუხია	
სიმონ I-ის დიპლომატიური ურთიერთობის საკითხისთვის ესპანეთის მეფე ფილიპე II-თან	94

Jondi Khukhia

For the Issue of the diplomatic relations between Simon I
and King Philip II of Spain (Summary)..... 103

გიორგი დათუაშვილი

ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობის ისტორიიდან
(XVIII საუკუნის 50-80-იანი წლები)..... 104

Giorgi Datuashvili

From the history of Relations between
Kartl-Kakheti and Iran (50s-80s of the 18th century) (Summary) 116

ირაკლი ალიმბარაშვილი

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ქართულ
ისტორიოგრაფიაში..... 117

Irakli Alimbarashvili

The Periodization of the Great French Revolution in
Georgian Historiography (Summary) 142

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

ანარქისტ გიორგი (კომანდო) გოგელიას
ახლადმიკვლევული ნარკვევი და ქართული
ანარქისტული მოძრაობა 1905-1907 წლებში 143

Nikoloz Sarajishvili

Anarchist Giorgi (Komando) Gogelia's newly researched essay
and the Georgian anarchist movement in 1905-1907 (Summary) 153

გიორგი ბუცხრიკიძე

პირველი ბალკანური ომის პერცეფციები ქართულ პრესაში..... 154

Giorgi Butskhrikidze

Perceptions of the First Balkan War in the Georgian Press (Summary) 165

ნოდარ კირთაძე

ჯონ სტაინბეკის 1963 წლის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში 166

Nodar Kirtadze

John Steinbeck's Visit to Soviet Union in 1963 (Summary) 177

გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის წერილები იმპერატორ

ნიკოლოზ II-სადმი 1905-1907 წლების რევოლუციის დროს

(რუსულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები

დაურთო ნიკოლოზ სარაჯიშვილმა) 180

გზამკვლევნი ავტორთათვის 187

სარედაქციო კოლეგიისათვის

ჟურნალ „სტუდენტური საისტორიო ძიებანი“-ს პირველი ნომრის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც პროფესორ მასწავლებლებში, ასევე ჩვენს მთავარ სამიზნე აუდიტორიაში – სტუდენტებში. პირველი ნომრის პრეზენტაციამ საქმიან გარემოში ჩაიარა. დამსწრე აუდიტორიამ, განსაკუთრებულად, აღნიშნა ამგვარი სამეცნიერო გამოცემების მნიშვნელობა. გარდა ამისა, პრეზენტაციაზე გამოითქვა მრავალი საქმიანი შენიშვნა. ყოველივე ამან ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საჭირო საქმეს ვემსახურებით და მეტი მოტივაცია მოგვცა კრიტიკულად შეგვეფასებინა პირველ ნომერზე მუშაობის პროცესი და უფრო მეტად მობილიზებული ვყოფილიყავით ჟურნალის მეორე ნომერზე მუშაობისას.

რაც მთავარია, შევინარჩუნეთ ჩვენ მიერ არჩეული გზა – ჟურნალში დაბეჭდილი სამეცნიერო პუბლიკაციები დასაბეჭდად კვლავ ფარული რეცენზირების შემდეგ მიიღება. ეს არის ჩვენი გამოცემის მთავარი მახასიათებელი, რომელიც სარედაქციო საბჭოს მუშაობის მთავარი მიმართულებაა და ჩვენ ამ მიდგომისადმი ერთგულების შენარჩუნებას მომავალშიც ვაპირებთ.

ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიკაციები, როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდება, ქრონოლოგიური, თემატური და შინაარსობრივი თვალსაზრისით კვლავ მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ისევ და ისევ მადლიერებით გვსურს მოვიხსენიოთ ყველა ის ავტორი, რომელიც თანამშრომლობს ჩვენთან და მზაობას გამოთქვამს, მისი პუბლიკაცია ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე იხილოს, ეს ჩვენთვის, სარედაქციო კოლეგიისათვის, დიდ მოტივაციასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაცაა.

მადლიერება გვსურს გამოვხატოთ რეცენზენტების მიმართაც,

რომლებმაც ინტენსიურად იმუშავეს და დიდი როლი შეასრულეს თითოეული პუბლიკაციის დახვეწის საქმეში, ზოგჯერ ერთ სტატიას გაეცნენ რამდენჯერმე, მათი გაცემული შენიშვნების გამოსწორების შემდეგ კი, ზოგიერთი სტატიის ჟურნალში დაბეჭდვა, შესაძლებელი გახდა.

ჟურნალის მეორე ნომერი კვლავ თსუ სტუდენტური პროექტების საგრანტო კონკურსის მხარდაჭერით მიღებული დაფინანსების ფარგლებში გამოიცა, რისთვისაც უნივერსიტეტის მადლიერები ვართ. სამწუხაროდ, ქართული სტუდენტური სივრცე დიდად განებივრებული არ არის კვლევითი პროექტების წახალისებით და პირველ ქართულ უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური პროექტების პროგრამა ნამდვილად კარგ შესაძლებლობებს იძლევა აკადემიური მუშაობის წასახალისებლად.

დასასრულს, სურვილსა და იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნულ ნომერსაც, მკითხველი აუდიტორია ინტერესით, საქმიანი კრიტიკითა და პროფესიონალური მიდგომებით შეხვდება. იმედია, ჩვენს ფურცლებზე ხშირად ვიხილავთ საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის სტუდენტების პუბლიკაციებსაც.

ჟურნალ „სტუდენტური საისტორიო ძიებანი“
სარედაქციო კოლეგია

**„ჟურნალი მომზადდა და გამოიცა თსუ-ის სტუდენტური
პროექტების დაფინანსების ფარგლებში.“**

Երկրորդ կարգի

նկարներ

ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონი“

საკვანძო სიტყვები: აგრარული კანონი, პატრიციები და პლეები, ლიცინიუს სტოლონი, სექსტიუს ლატერანუსი, რომის ისტორია

Keywords: Agrarian Law, Patricians and Plebeians, Licinius Stolo, Sextius Lateranus, History of Rome

რომის რესპუბლიკის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელია გამუდმებული ბრძოლა პატრიციებსა და პლეებებს შორის. პლეებები იბრძვიან საკუთარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განსამტკიცებლად. მათი აქტიური ბრძოლის შედეგად შეიქმნა მაგისტრატურა, სახალხო ტრიბუნის სახით, რომელიც იცავდა მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს. ამის შემდეგ, როგორც ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი წერს, პლეების ბრძოლას უფლებებისათვის, სწორედ, სახალხო ტრიბუნი ჩაუდგა სათავეში. თუმცა ფიუსტელ დე კულანჟი სახალხო ტრიბუნს წარმოგვიდგენს, როგორც „პოლიტიკური ავტორიტეტის“ უქონელ მაგისტრატურას, რომელსაც ანტიკურ ქალაქთან საერთო არაფერი არ ჰქონდა (Fustel De Coulanges 1955: 295). დიდი ისტორიკოსის ამ მტკიცებას რთულია დავეთანხმოთ, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ სახალხო ტრიბუნების ბრძოლის შედეგად ერთი კონსული აუცილებლად უნდა არჩეულიყო პლეებების რიგებიდან. ამ „რეფორმას“ ანტიკური ტრადიცია მიაწერს სახალხო ტრიბუნებს – ლიცინიუს სტოლონსა და სექსტიუს ლატერანუსს. რომაული საისტორიო ტრადიცია მათვე მიაწერს რომში პირველი „აგრარული კანონმდებლობის“ შექმნას. ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს კანონი ზღუდავდა საზოგადო მინდვრის (Ager Publicus) ოკუპაციის ნორმას 500 იუგერით (125 ჰა). რომაული სინამდვილისათვის „აგრარული საკითხი“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გრაკხუსების რეფორმატორულ საქმიანობაში, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საისტორიო წყაროებში დაცულია ცნობები ადრეული რესპუბლიკის პერიოდში გატარებული რეფორმის შესახებაც. მთავარ განსახილველ საკითხს,

სწორედ, ეს „აგრარული კანონი“ წარმოადგენს. ნაშრომი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში საუბარია იმ ცნობების შესახებ, რომელიც დაცულია ანტიკურ წყაროებში ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონის“ შესახებ; მეორე ნაწილი წარმოადგენს საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას, ხოლო მესამე და ძირითადი ნაწილი ეთმობა თავად ამ „აგრარული კანონის“ განხილვას.

ანტიკური წყაროები ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონის“ შესახებ

ანტიკურ ავტორთაგან ყველაზე ვრცლად ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონის“ შესახებ წელთაღრიცხვათა მიჯნის ცნობილი რომაელი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი (ძვ. წ. 59 – ახ. წ. 17) მოგვითხრობს. იგი აღგვიწერს რომში არსებულ დაძაბულ სიტუაციას მოყოლებული ძვ. წ. 377 წლიდან, რაც ძვ. წ. 367 წელს რეფორმების გატარებით დაგვირგვინებულა. ლივიუსის თქმით: „არჩეულმა ტრიბუნებმა გაიუს ლიცინიუსმა და ლუციუს სექსტიუსმა გამოაქვეყნეს კანონები, რომლებიც პატრიციების საწინააღმდეგოდ და პლებების სასარგებლოდ იყო მიმართული. პირველი ეხებოდა სავალო ვალდებულებებს, ამ კანონის მიხედვით პროცენტის სახით გადახდილი თანხა უნდა გამოკლებოდა თავდაპირველ თანხას, ხოლო დანარჩენი ნაწილი თანაბრად უნდა გადანაწილებულიყო სამ წელზე; მეორე კანონი იყო მინდვრების შესახებ, რომ არავინ უნდა ფლობდეს 500 იუგერზე¹ მეტს. მესამე კი ითვალისწინებდა, რომ არ მოეწვიათ კომიციები სამხედრო ტრიბუნების ასარჩევად და ერთი კონსული აუცილებლად უნდა ყოფილიყო პლები; ყველა ეს უფლება იყო ძალიან მნიშვნელოვანი და მათი მიღწევა ცხარე ბრძოლის გარეშე შეუძლებელი იყო“ (Liv. Ab Urbe... VI, 35).

ჩვენთვის საინტერესო „აგრარული კანონის“ შესახებ ცნობებს ვხვდებით პლუტარქესთანაც (ახ. წ. I-II საუკუნეები). პლუტარქეს ეს ცნობები გადმოცემულია ტიბერიუსისა და კამილუსის ბიოგრაფიებში. ტიბერიუსის ბიოგრაფიაში ეს მოვლენები შემდეგნაირადაა გადმოცემული: „რომაელები მეზობლად მოსახლე ხალხის იმ მიწებს, რომლებიც ომით დაიპყრეს, ნაწილობრივ ჰყიდდნენ, ნაწილობრივ კი სახელმწიფო საკუთრებად აქცევდნენ და არცთუ ისე დიდი გადასახადის ფასად, რაც

¹ 1 იუგერი უდრიდა 0,25 ჰა.

ხაზინაში შედიოდა, სარგებლობაში აძლევდნენ ღარიბსა და არაფრის მქონე მოქალაქეთ. მდიდრებმა საიჯაროდ გასაცემი მიწის ფასის გაზრდა დაიწყეს და ღარიბებს თანდათანობით მათი ნაკვეთებიდან აძევებდნენ. მაშინ გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც აღარავის არ ეძლეოდა უფლება ხუთას იუგერზე¹ მეტი მიწა ჰქონოდა“ (პლუტარქე 1957: 234; შესადარ. Plut. Tib. 8, 1-2). აღსანიშნავია, რომ პლუტარქეს ამ სიტყვებს ჩვენ ძვ. წ. IV საუკუნეზე ვერ გავავრცელებთ, თვითონ პლუტარქე ტიბერიუსის ბიოგრაფიაში კანონის გატარების თარიღს არ მიუთითებს, თუმცა მის აღწერილობას თუ ვენდობით, კონტექსტი ისეთია, რომ რომს იტალიის დაპყრობა მაინც უნდა ჰქონდეს დამთავრებული. მეორე და შედარებით უფრო ვრცელ ცნობას ვხვდებით კამილუსის ბიოგრაფიაში: „...ლიცინიუს სტოლონმა რომის ქალაქში დიდი შფოთი ატეხა. აღელვებული ხალხი სენატისგან მოითხოვდა, ორ კონსულში ერთი უსათუოდ უბრალო ხალხისაგან ყოფილიყო და არა ორივე – პატრიციუსი“ (პლუტარქე 1987: 85; შესადარ. Plut. Cam. 39, 1). პლუტარქეს თქმით, მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ რომის სენატმა დიქტატორად კამილუსი დანიშნა, თუმცა კამილუსმა ვერ დაძლია რა სახალხო ტრიბუნთა წინააღმდეგობა, თანამდებობიდან გადადგა, ამის შემდეგ კი: „სენატმა სხვა დიქტატორი დანიშნა. ამან მხედართა წინამძღოლად შფოთის თავი სტოლონი დააყენა და კანონიც გაატარებინა, რითაც მეტისმეტად დაამწუხრა პატრიციუსები. მანვე ბრძანა, არავის ჰქონოდა მფლობელობაში 500 იუგერზე მეტი მიწა.² სტოლონმა ამ გამარჯვებით ბრწყინვალე სახელი მოიპოვა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, როცა თვითონ შეიძინა იმდენი მიწა, რამდენსაც სხვას უკრძალავდა, თავისივე კანონის საფუძველზე დაისაჯა“ (პლუტარქე 1987: 86; შესადარ. Plut. Cam. 39, 5). პლუტარქე ამ შემთხვევაში აღნიშნულ მოვლენას იმავე პერიოდით ათარიღებს, როგორც ლივიუსი, თუმცა ეს ციტატა წინააღმდეგობაში მოდის ტიბერიუსის ბიოგრაფიაში აღწერილ ამბებთან, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პლუტარქესთან ამ კონტექსტში საერთოდ არ ფიგურირებს ლივიუსისათვის ცნობილი მეორე რეფორმატორი ლუციუს სექსტიუსი. იგი სულ სხვაგან გვხვდება, კერძოდ, პლუტარქე სექსტიუსზე ასეთ რამეს წერს: „კამილუსის წინამძღოლობით გაიმართა არჩევნები, კონსულები გახდნენ: მარკუს ემილიუსი პატრიციუსებისაგან და ლუციუს სექსტი-

1 პლუტარქესთან ლათინური *iugerum* გადმოცემული ბერძნული სიტყვით *πλέθρον*.

2 აკაკი ურუშაძე, რატომღაც თავის თარგმანში მიუთითებს არა 500 იუგერს, არამედ 50 იუგერს.

უსი – პირველად ხალხისგან. ეს იყო კამილუსის ბოლო საჯარო მოქმედება“ (პლუტარქე 1987: 89; შესადარ. Plut. Cam. 42, 5). ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ლიციუსისა და პლუტარქეს ცნობები გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს, მათ შორის ბევრი სხვაობაც ჩანს, გარდა ამისა საკმაოდ ხელშესახები განსხვავებაც, თავად ტიბერიუსისა და კამილუსის ბიოგრაფიებს შორის. სავარაუდოა, რომ პლუტარქე კამილუსისა და ტიბერიუსის ბიოგრაფიებში მოთხრობილ ამბებს შორის კავშირს ვერ ხედავს. სხვა შემთხვევაში ის ალბათ ერთი სიტყვითაც მაინც მიუთითებდა ტიბერიუსის ბიოგრაფიაში ლიციუსის შესახებ.

პლუტარქესთან დაცული ცნობები მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ლიციუსს სტოლონის სახელს ვხვდებით მის კიდევ ერთ ნაშრომში „რომაული საკითხები“. პლუტარქეს დაწერილი აქვს ორი ნაწარმოები – „ბერძნული საკითხები“ და „რომაული საკითხები“, სადაც იგი კითხვა-პასუხის ფორმატში განიხილავს სხვადასხვა წესჩვეულებების ჩამოყალიბების ისტორიას. პლუტარქე „რომაული საკითხებში“ სვამს 107-ე შეკითხვას, რომელიც ასე ჟღერს: „რატომ უწოდებენ რომაელები დიონისეს არტისტებს ჰისტორიონებს?“ კითხვაზე პასუხის გასაცემად პლუტარქე ახ. წ. I საუკუნის რომაელი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, მარკუს კლუვიუს რუფუსის (გარდაიცვალა დაახლ. 68 წელს) ცნობას იყენებს: „ისტორიკოსი კლუვიუს რუფუსი ამტკიცებს, რომ უძველეს დროში, გაიუს სულპიცისა და ლიციუს სტოლონის კონსულობისას, რომში მძვინვარებდა ქირი, რომელმაც ყველა დაასამარა, ვინც კი სცენაზე თამაშობდა. მაშინ, რომაელთა თხოვნით, მრავალი შესანიშნავი მსახიობი ჩამოვიდა ეტრურიიდან, ხოლო ყველაზე სახელოვანს მათ შორის, ვისაც ყველაზე ხანგრძლივად ჰქონდა რომის თეატრებში წარმატება, ერქვა ჰისტრუსი, მისი სახელის მიხედვით ყველა მსახიობს ეს სახელი დაერქვა“ (Plutarch 1962: 159). როგორც ვხედავთ, „რომაულ საკითხებში“, სტოლონი საერთოდ განსხვავებულ კონტექსტშია წარმოდგენილი. თუმცა ამ ცნობაში კიდევ უფრო მეტი უზუსტობაა. გაიუს სულპიცის პატერკულუსი, ზუსტად ვიცით, რომ რომის კონსულის თანამდებობას ძვ. წ. 258 წელს იკავებდა, სწორედ, ამ წელს პირველი პუნიკური ომისას გაიმართა სულცის ბრძოლა, რომელშიც გაიუს სულპიცის მონაწილეობდა. ამ პერიოდში ლიციუს სტოლონს, ცხადია ვერ მოვათავსებთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი მოღვაწეობა ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარს ემთხვევა და მეორე იმიტომ, რომ ძვ. წ. 258 წელს გაიუს სულპიცისთან ერთად რომის კონსულის თანამდებობას ალაღუს

ათილიუს კალატინუსი (ან კაიატინუსი) იკავებდა, რომელიც პლებისსი რიგებს განეკუთვნებოდა. ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ყურადღება ამ ცნობისადმი არც ერთ ისტორიკოსს არ გაუმახვილებია, შესაძლოა პლუტარქეს ეს ცნობა, პირდაპირ არ მიუთითებდეს „აგრარული კანონის“ შესახებ, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, ბევრი რამის ახსნა შეუძლია, პირველ რიგში კი იმისა, რომ ანტიკურ წყაროებში ლიცინიუსისა და სექსტიუსის მოღვაწეობისადმი სერიოზული შეუთანხმებლობაა, როგორც მათი რეფორმატორული საქმიანობის რიგი გარემოებების, ასევე ქრონოლოგიური პერიოდის შესახებაც. პლუტარქეს ამ ცნობას ჩვენ ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ადრეულ წყაროს ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონის“ შესახებ წარმოადგენს ძვ. წ. 167 წელს მარკუს პორციუს კატონის მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვა როდოსელთა დაცვის მიზნით. ეს სიტყვა თავისი თავდაპირველი სახით მოღწეული არ არის, ჩვენ მის შინაარსს ვეცნობით ახ. წ. II საუკუნის რომაელი მწერლისა და კომპილატორის ავლუს გელიუსის კრებულში „ათიკური ღამეები“, თავად კრებული ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს, რომელშიც მოცემულია მოთხრობები, ანეკდოტური ხასიათის ისტორიები, ანტიკური ხანის ავტორთა ციტატები და ა. შ. ავლუს გელიუსთან დაცულ კატონის სიტყვაში ვკითხულობთ, რომ თუ ვინმე დაიკავებდა 500 იუგერზე მეტ მიწას, მას დაეკისრებოდა განსაზღვრული ოდენობის ჯარიმა; თუ ვინმე იყოლიებდა განსაზღვრულ ოდენობაზე მეტ პირუტყვს, მასაც დაეკისრებოდა ჯარიმა (Gell. Noctes Atticae, 6, 3, 37). როგორც ვხედავთ, აღნიშნულ მონაკვეთში არც თარიღი ჩანს და არც რეფორმის გამტარებელი, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავლუს გელიუსის ნაშრომის მეექვსე წიგნის უმეტესი ნაწილი დაკარგულია და ზოგიერთი მონაკვეთი, საერთოდ, კიდევ უფრო გვიანდელი ტექსტების მიხედვით არის აღდგენილი, ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ გელიუსთან დაცული კატონის სიტყვის სანდოობა არა ერთმა მეცნიერმა დააყენა ეჭვქვეშ.

აგრარული კანონი მოხსენიებული აქვს აპიანესაც, მისი თქმით, სახალხო ტრიბუნების წინადადებით დაადგინეს ზღვრული ნორმა მიწის ფლობაზე, რომელიც 500 იუგერით განისაზღვრა (App. BC, 1, 1, 8). არც აპიანე მიუთითებს რეფორმის დროსა და მის ავტორს.

ლიცინიუსის სახელი ერთგან მოიხსენიება მარკუს ტულიუს ციცერო-

ნის უზარმაზარ შემოქმედებაში, თუმცა ეს მოხსენიებაც ბევრს არაფერს გვაძლევს. ციცერონი წერს: „არის ლიცინიუსის კანონი და მეორე ებეციუსის, რომლის თანახმადაც, არა მარტო ის, ვინც შეიტანს წინადადებას, რომელიმე განმგებლობასა და თანამდებობრივ უფლებამოსილებაზე, მისი კოლეგები, ნათესავები და ქვისლები არ დაიშვებიან დაიკავონ ეს თანამდებობები“ (Cic. De leg. agr. 2, 8, 21).

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ყველა ანტიკური ავტორი ზღვრულ ნორმად 500 იუგერს ასახელებს, ერთადერთი ავტორი, რომელიც სხვა ვარიანტს გვთავაზობს ლუციუს იუნიუს მოდერატუს კოლუმელაა. კოლუმელა ახ. წ. I საუკუნის რომაელი მწერალი და აგრონომია, რომელიც სირიასა და კილიკიაში ტრიბუნადაც მსახურობდა, მის კალამს ეკუთვნის ლათინურ ენაზე შესრულებული ვრცელი ნაშრომი „სოფლის მეურნეობის შესახებ“ (De re rustica). სწორედ ამ ნაშრომში, კოლუმელა მოგვითხრობს: „გამარჯვებებისა და მტერთა შემუსვრის შემდეგ, როდესაც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა მიწების უზარმაზარი სივრცეები, სამარცხვინოდ ითვლებოდა სენატორს ჰქონოდა 50 იუგერზე მეტი და გაიუს ლიცინიუსი გაასამართლეს მისივე კანონით“ (Col. Res rust. 1.3.11). კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამ სიტყვებს ძვ. წ. IV საუკუნის რომზე ვერ გავავრცელებთ, იმ დროში როდესაც ლიცინიუსი მოღვაწეობს, რომი ნამდვილად არ წარმოადგენდა გამარჯვებულ და მტერთა დამთრგუნველ სახელმწიფოს, რასაც დაწვრილებით ქვემოთ შევხებით. კოლუმელამ შესანიშნავად იცის, თუ როგორ ფართოვდებოდა რომის ტერიტორიები და სწორედ ამიტომაც აკეთებს ის აქცენტს „გამარჯვებებსა და მტერთა შემუსვრაზე.“

ამ წყაროების მოხმობისა და გარკვეულ დონეზე მისი განხილვის შედეგად, ნათლად გამოიკვეთა ანტიკური წყაროების შეუთანხმებლობა ლიცინიუსისა და სექსტიუსის მოღვაწეობისადმი. ის ქრონოლოგიური ჩარჩო, რასაც ტიტუს ლივიუსი გვთავაზობს, გარკვეულწილად სადავო, თავად ანტიკურ ავტორებს შორისაც ჩანს, სწორედ ამ წინააღმდეგობის დაძლევა უნდა დავეკავშიროთ ის ფაქტი, რომ კოლუმელა 500 იუგერის ნაცვლად 50 იუგერიან ნორმაზე საუბრობს, ხოლო სხვა ავტორები რეფორმის გადატანას ამ შეუსაბამობების გამო შედარებით უფრო მოგვიანო ეპოქაში ცდილობენ, როდესაც რომი უკვე მთელი იტალიის ბატონ-პატრონად გვევლინება.

ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონი“ რომის
ისტორიის შემსწავლელ ისტორიოგრაფიაში
(ძირითადი ორიენტირები)

XIX საუკუნის მიწურულამდე ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარული კანონი ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. პირველი მეცნიერი, რომელმაც აღნიშნულ საკითხს კრიტიკული თვალთ შიხედა გერმანელი ისტორიკოსი, ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორი ბენედიქტ ნიზე იყო (1849-1919 წწ). 1888 წელს მან ბერლინში გამომავალ ჟურნალ „ჰერმესში“ გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: „ლიცინიუს-სექსტიუსის ე. წ. აგრარული კანონი“. აღნიშნულ ნაშრომში ნიზე ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრისათვის რომის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არ მოითხოვდა მიწის ფლობაზე ზღვრული მაქსიმუმის დანესებას. ნიზეს მთავარ არგუმენტად დაპყრობილი მიწების სიმცირე მოჰყავდა. მისი თქმით აგრარული კანონის გატარების აუცილებლობა რომში შეიძლება დამდგარიყო მეორე პუნიკური ომის შემდეგ (Niese 1888: 422; Низе 1910: 83).

გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი თავის კლასიკად ქცეულ ნაშრომში „რომის ისტორია“, განიხილავს რა ლიცინიუსის რეფორმებს, არანაირი ეჭვი არ შეაქვს კანონის არც რეალურობასა და არც მისი გატარების დროში (Моммзен 2001: 324-325). საპირისპირო აზრზე დგას ცნობილი სოციოლოგი და ისტორიკოსი მაქს ვებერი. იგი თავის განმარტებულ ნაშრომში „ძველი მსოფლიოს აგრარული ისტორია“, მიუთითებს, რომ რომაულ საისტორიო ტრადიციაში ძვ. წ. II საუკუნისათვის დამახასიათებელი სოციალური წინააღმდეგობანი ძვ. წ. IV საუკუნეშია გადატანილი, თუმცა კი მაქვს ვებერი არ გამორიცხავს, რომ ძვ. წ. IV საუკუნეში, შესაძლოა, ზოგი რომაელი 125 ჰექტარ და უფრო მეტ მიწასაც ფლობდა, იგი მაინც ეჭვის თვალთ უყურებს ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარულ კანონს“ (Вебер 2001: 394-395).

რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარული კანონით განსაკუთრებულად დაინტერესდა ლატვიური წარმოშობის რუსი ისტორიკოსი რობერტ ვიპერი, რომელმაც ძვ. წ. IV საუკუნეში აგრარული კანონის შემოღება დემოკრატიული წარმომავლობის ლეგენდათა სფეროს მიაკუთვნა და გრავსუსებამდე ამგვარი რეფორმის გატარების შესაძლებლობა მთლიანად გამორიცხა (Ви́пер 1908: 50). რაც შეეხება რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას, მათ

ეჭვი არ შეუტანიათ „კანონის“ ისტორიულობაში და მყარად იცავდნენ შეხედულებას იმის შესახებ, რომ პლევბეების მიერ წარმოებულმა კლასობრივმა ბრძოლამ პატრიციუსთა წინააღმდეგ ძვ. წ. IV საუკუნეში დიდ წარმატებას მიაღწია და სახალხო ტრიბუნებმა ლიცინიუს სტოლონმა და სექსტიუს ლატერანუსმა შემოიტანეს მიწის ფლობის 500 იუგერიანი ზღვრული ნორმა, რითიც მოახერხეს მცირედით მაინც შეეზღუდათ პატრიციუსთა ძალმომრეობა (Утченко 1947: 153-162; Нечай 1970: 88-120; Заборовский 1978: 10-19).

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონის“ პირველ მოხსენიებას 1920 წელს დიმიტრი უზნაძის მიერ გამოქვეყნებულ რომის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში ვხვდებით. ავტორი წერს: „...მეორე პუნიური ომის შემდეგ შემოღებულ იქმნა კანონი, რომლის მიხედვითაც არავის ჰქონდა უფლება 500 იუგერზე მეტი მიწა მიეღო ager publicus-იდან. მაგრამ რაკი ეს კანონი თვითონ მმართველი წრეებისათვის არ იყო ხელსაყრელი, იგი მალე მივიწყებულ იქმნა, და პროლეტარიატის რიცხვის ზრდა კვლავინდებურად სწრაფად ვითარდებოდა“ (უზნაძე 1920: 75). როგორც ვხედავთ, დიმიტრი უზნაძე აღნიშნულ კანონთან მიმართებით, თავის სახელმძღვანელოში იმეორებს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის, ბენედიქტ ნიზეს მოსაზრებას, როდესაც მიწის ფლობაზე ზღვრული ნორმის დაწესება მეორე პუნიური ომის შემდეგ გადააქვს. ეს გარემოება შემთხვევითი არ არის, რადგანაც უზნაძის სახელმძღვანელო, სწორედ, ბენედიქტ ნიზესა და ულრიხ ვილკენის ნაშრომებზეა დაფუძნებული, ამასთანავე ჰალეს უნივერსიტეტში სწავლისას, უზნაძე სისტემატურად ესწრებოდა ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორის ნიზეს ლექციებს ანტიკური ქვეყნების ისტორიაში. ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარული კანონი თავიანთ ნაშრომებში განხილული აქვთ პროფესორებს ალექსანდრე წერეთელსა (წერეთელი 1957: 118) და მათე ალექსიშვილს (ალექსიშვილი 1971: 363). არც ერთ მათგანს „აგრარული რეფორმის“ ისტორიულობაში ეჭვი არ შეაქვს. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარულ კანონს ყველაზე ვრცლად ეხება პროფესორი გრანი ქავთარია. აღნიშნულ საკითხს იგი თავის ნაშრომში, „ძმები გრაკხუსები“, განიხილავს. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ „აგრარული რეფორმა“ უფრო მეტად, სწორედ, გრაკხუსების რეფორმატორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება. გრანი ქავთარია იზიარებს იმ მეცნიერთა შეხედულებას, რომელნიც

აგრარულ რეფორმას ეჭვქვეშ აყენებენ და გრაკხუსებამდე ხანაში რეფორმის გატარების შესაძლებლობას გამორიცხავენ (ქავთარია 1990: 35-65; Кавтaрия 1996). ბოლო პერიოდში გამოცემული ნაშრომებიდან ყურადღებას შევაჩერებთ ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ ენციკლოპედიურ ცნობარზე „დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო.“ ამ ნაშრომში ორ საენციკლოპედიო სტატიაში ვხვდებით ინფორმაციას ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული რეფორმის“ შესახებ: 1. პირველი სტატია გახლავთ „Ager Publicus“, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საუბრისას მთლიანად ლივიუსის ცნობებს ეყრდნობა, თუმცა ასახელებს მხოლოდ ერთ რეფორმატორს გაიუს ლიცინიუს სტოლონს, ხოლო მეორე რეფორმატორი სექსტიუსი მოხსენიებული არ არის (დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო 2012: 92). 2. თუმცა სტატიაში „სტოლონი გაიუს ლიცინიუსი“ სექსტიუს ლატერანუსი დასახელებულია (დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო 2012: 299). ასევე უკრიტიკოდ აქვს მიღებული კანონის გატარების ფაქტი თეა დულარიძეს თავის სტატიაში „ეკონომიკური სტრუქტურები და ინსტიტუციები ანტიკურ სამყაროსა და საქართველოში“. ავტორი იმდენად შორს მიდის, რომ ლიცინიუსის რეფორმაში სოლონის მიერ გატარებული რეფორმის კვალსაც კი ხედავს (დულარიძე 2016: 40).

ამრიგად, მიუხედავად მთელი რიგი ნიუანსური განსხვავებებისა, აღნიშნული საკითხისადმი ძირითადად ორი შეხედულება არსებობს: ერთნი უპირობოდ იზიარებენ რა ტიტუს ლივიუსის მონათხრობს, „კანონის“ გატარებას ძვ. წ. IV საუკუნის 70-60-იან წლებში ათავსებენ და რეფორმატორებად ლიცინიუსსა და სექსტიუსს ასახელებენ, ხოლო მეორენი, საერთოდ უარყოფენ გრაკხუსებამდე, რაიმე სახით მიწის ფლობის მაქსიმუმის დაწესებას.

არგუმენტები „აგრარული რეფორმის“ არაისტორიულობის დასამტკიცებლად

1. დაპყრობილი მიწების სიმცირე და სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში. „აგრარული რეფორმის“ არაისტორიულობის მომხრეებს პირველ არგუმენტად მოჰყავთ დაპყრობილი მიწების სიმცირე, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ, მყარ არგუმენტს წარმოადგენს. ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისათვის რომს ჩრდი-

ლოეთ იტალიის დაპყრობაც კი არ ჰქონდა დასრულებული, სწორედ ამის გათვალისწინებით, რთული წარმოსადგენია, რომ პატრიციუსებმა ამ პერიოდში იმდენი მიწა მიიტაცეს, რომ საჭირო გახდა მიწის ფლობის ზღვრული მაქსიმუმის დადგენა 125 ჰექტარის ოდენობით. რამდენი პატრიციუსი შეიძლება ყოფილიყო იმ პერიოდში, რომელსაც 125 ჰექტარი ან მეტი მიწა ექნებოდა პირად მფლობელობაში? თუ იქნებოდნენ, ალბათ, ძალიან მცირე რაოდენობით. კანონის ისტორიულობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ლაციუმის მცხოვრებთათვის მცირემიწიანობის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო, ამიტომაც სავსებით არაა გამორიცხული, რომ იმ დროს ეს კანონი მიეღოთ (Утченко 1947: 155). ჩვენი აზრით, ამ სახის მსჯელობა თავიდანვე წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, თუ მცირემიწიანობა აწუხებდათ, რაც სავსებით არაა გამორიცხული, რთული წარმოსადგენია, პლებეებს ზღვრულ ნორმად მოეთხოვათ ისეთი შთამბეჭდავი რიცხვი, როგორც ერთ პატრიციუსზე 125 ჰექტარია, ამ შემთხვევაში ბევრად უფრო ლოგიკური იქნებოდა ზღვრულ ნორმად ნაკლები ოდენობის მიწა დაფიქსირებულიყო. ადრეული რესპუბლიკის რომის მოსახლეობა ამ მცირემიწიანობას სავსებით შეგუებული იყო. მაგალითად, ცნობილი პატრიციული გვარის წარმომადგენელი, რომის კონსული და ორგზის დიქტატორი ლუციუს კვინციუს ცინცინატი, ტიტუს ლივიუსის მიხედვით 4 იუგერ ანუ 1 ჰექტარ მიწას ფლობდა და ამ მიწასაც იგი თვითონ ამუშავებდა (Liv. Ab urbe... III, 26). შესაძლოა, ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი ბევრად უფრო ადრეული ეპოქიდან არის მოხმობილი, თუმცა არსებითად ლიცინიუსისა და სექსტიუსის მოღვაწეობის პერიოდს ბევრად უფრო მეტი საერთო აქვს ცინცინატის პერიოდთან, ვიდრე გვიანი რესპუბლიკის ხანასთან, როდესაც Ager publicus-ის საკითხი ბევრად უფრო მძაფრად დადგა რომაული საზოგადოების წინაშე. Ager publicus ანუ საზოგადო მინდვრების ინსტიტუტი, რომში დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა. მისი ჩამოყალიბება იწყება რომაული დაპყრობითი ომებიდან, ხოლო ჩამოყალიბებულ სახეს იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობის შემდეგ იღებს. აღსანიშნავია, რომ „თორმეტი დაფის კანონებში“ Ager publicus-ის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. Ager publicus-ის საკითხი აქტუალური ხდება II პუნიკური ომის შემდეგ და თავის ზენიტს, სწორედ გრაკუსების ეპოქაში აღწევს. ის მეცნიერები, რომელთაც ეჭვი არ შეაქვთ კანონის ისტორიულობაში, ამტკიცებენ, რომ გრაკუსებმა აღადგინეს ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონი, თუმცა ასეთ რამეს თავად გრაკუსები არსად ამბობენ, არადა

ამ ფაქტორს, შესაძლოა, ბევრად უფრო გაემარტივებინა კანონის გატარება, რადგანაც ის, მხოლოდ ძველის აღდგენით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, რამდენად ლოგიკურია, რომ ძვ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრის რომს, რომელიც მთელი ხმელთაშუა ზღვისპირეთის ბატონ-პატრონი იყო, დასჭირვებოდა ზუსტად ისეთივე კანონი, როგორც ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის ქალაქს, რომელიც ჩრდილოეთ იტალიასაც კი ვერ აკონტროლებდა. რა თქმა უნდა, ასეთი რამ წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომაც, კანონის ისტორიულობის მომხრეები ამ შეუსაბამობას, რომაული სამართლის ტრადიციული ბუნებით ხსნიან, რაც კიდევ უფრო ნაკლებად გასაზიარებელი ჩანს. ჯანფრანკო ტიბილეტმა შეამჩნია ეს შეუსაბამობა და ის ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, რომ გრაკუსებისა და ლიცინიუს-სექსტიუსის კანონი სხვადასხვა ეპოქის პრობლემებზეა აგებული (Tibiletti 1970: 69), თუმცა მისი არგუმენტაცია საისტორიო წყაროებით ნაკლებადაა გამყარებული და დამაჯერებლობასაც მოკლებულია, რადგან საისტორიო წყაროები, ზუსტადაც რომ იდენტურ პრობლემებზე მიუთითებენ.

2. სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში. განსახილველ საკითხზე მსჯელობისას ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორი: რამდენად აქტუალური იყო აგრარული საკითხი ძვ. წ. IV საუკუნის 70-იანი წლების რომისათვის? კითხვაზე პასუხისათვის დავიწყოთ შედარებით შორიდან. ლიცინიუსისა და სექსტიუსის რეფორმატორულ მოღვაწეობამდე 14 წლით ადრე, რომს თავს დაესხნენ გალები, ალიასთან გამართული ბრძოლის შემდეგ, როგორც პოლიბიოსი¹ მიუთითებს, გალებს მთელი ქალაქი დაუკავებიათ გარდა კაპიტოლიუმისა (Plb, 1, 6). საბოლოოდ, რომაელებს გალები სამწლიანი ბრძოლის შემდეგ გაუძევებიათ (ძვ. წ. 387 წელს). ტიტუს ლივიუსის მიხედვით, ამ მოვლენიდან ათი წლის თავზე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ლიცინიუსი და სექსტიუსი. ეს იყო არასტაბილურობის პერიოდი რომში, ძვ. წ. 367 წელს კი, როგორც ლივიუსი წერს, რომს კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს გალები. რთული წარმოსადგენია, რომ ქალაქისთვის, რომელიც ჯერ კიდევ იშუშებდა გალების მძიმე თავდასხმის იარებს და ამის პარალელურად, თავდაცვით ბრძოლებსაც აწარმოებდა აგრარული საკითხი აგრე რიგად გააქტიურებულიყო.

3. ე. წ. „მკვდარი კაპიტალის“ საკითხი. ლიცინიუსისა და სექსტიუსის

¹ პოლიბიოსი ძირითადად მოგვითხრობს ძვ. წ. 220-დან ძვ. წ. 146 წლამდე რომის რესპუბლიკასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე ამბებს (Marincola 2001: 116-120).

აგრარულ კანონზე მსჯელობისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის დამუშავება. თუ პატრიციუსები „საზოგადო მიწდვრების“ ისეთ რაოდენობას ისაკუთრებდნენ, რომ 125 ჰექტრიანი ზღვრის დადგენა გახდა საჭირო, მაშინ დგება საკითხი – ვინ ამუშავებდა ამ რაოდენობის მიწას? სხვა შემთხვევაში ეს მიწა „მკვდარ კაპიტალად“ იქცეოდა. თუ რა რაოდენობის მუშახელი სჭირდებოდა 500 იუგერი მიწის დამუშავებას, ამის გარკვევა შესაძლებელია მარკუს პორციუს კატონის (უფროსი) ნაშრომიდან „მიწათმოქმედების შესახებ“. კატონ უფროსის თანახმად, 240 იუგერი (60 ჰა) ზეთისხილის ბაღის დამუშავებას სჭირდებოდა 13 კაცის შრომა, ხოლო 100 იუგერი (25 ჰა) ვენახის დამუშავება მოითხოვდა 16 კაცის შრომას (Cat. De agricult. 10-11). ამრიგად, 500 იუგერი ზეთისხილის ბაღის დამუშავება მოითხოვდა 30-მდე მონის შრომას, ხოლო 500 იუგერი ვენახის დამუშავება მოითხოვდა 80 მონის შრომას. ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში მონათა და ქირაზე მომუშავე გლეხთა ასეთი რაოდენობა რომში წარმოუდგენელია არსებულებით, ამიტომაც, 500 იუგერი მიწა უსარგებლო იქნებოდა მისი მფლობელისათვის.

დასკვნა

ამრიგად, მკითხველისთვის აშკარა შეიქნა, რომ ჩვენი არგუმენტაცია ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარული კანონის არაისტორიულობის დასამტკიცებლად ეფუძნება ოთხ ძირითად არგუმენტს: 1. პირველი გახლავთ ანტიკურ ავტორთა შეუთანხმებლობა საკითხის გარშემო; 2. დაპყრობილი მიწების სიმცირე; 3. ძვ. წ. მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის რომში არსებული საგარეო და საშინაო გართულებები, რაც, ჩვენი აზრით, გამორიცხავს აგრარული კანონის აქტუალობას და 4. მუშახელის სიმცირე. ეს ფაქტორები, მეტწილად გვაფიქრებინებს, რომ ლიცინიუსისა და სექსტიუსის მიერ გატარებული „აგრარული რეფორმა“, არ წარმოადგენდა სინამდვილეს.

თუმცა აქვე საჭიროა ავხსნათ, თუ საიდან გაჩნდა ანტიკურ საისტორიო ტრადიციაში ეს „აგრარული რეფორმა“. ძვ. წ. IV საუკუნე ეს ის პერიოდია, როდესაც პლებეები ერთი მეორეზე მიყოლებით აღწევნენ მნიშვნელოვან წარმატებებს, კერძოდ, ამ პერიოდში შემოიღეს, რომ ერთი კონსული, აუცილებლად, პლებეი ყოფილიყო, ლიცინიუსისა და სექსტიუსის რეფორმების შედეგად პლებეებისათვის მისაწვდომი გახდა დიქ-

ტატორის, პრეტორის, ცენზორის მაგისტრატურები, მოგვიანებით გაუქმდა სავალო კაბალა, ხოლო აპიუს კლავდიუსის რეფორმით, საერთოდ, სენატში შესვლის უფლება ლიბერტინთა შვილებმაც მიიღეს. პლებეების უფლებებისათვის მებრძოლთა შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურა გაიუს ლიცინიუს სტოლონია, რომელიც თავადაც პლებეური გვარიდან იყო, როგორც ჩანს, ანტიკურმა საისტორიო ტრადიციამ და უპირველეს ყოვლისა, ტიტუს ლივიუსმა, ძვ. წ. მეოთხე საუკუნეში პლებეების მიერ მიღწეულ წარმატებებს კიდევ ერთი, კერძოდ, „საზოგადო მინდვრის“ ოკუპაციის ზღვრული ნორმის შემოღებაც მიაწერა, თან ამ ისტორიას დაემატა ისიც, რომ სტოლონს თურმე თვითონვე დაურღვევია ეს კანონი, რადგან იგი 1000 იუგერ მიწას ფლობდა. ეს კი საერთოდ „ფანტასტიკის სფეროს“ განეკუთვნება, რომ ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში სტოლონი ფლობდა 250 ჰექტარ მიწას და ამასთანავე, ცხადია, მას ეს მიწა სათანადოდაც უნდა დაემუშავებინა. ამ აზრს კიდევ უფრო მეტად გვიმყარებს ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი მარკუს კლუვიუს რუფუსის ცნობა, რომელიც პლუტარქესთანაა დაცული. ამ ცნობაში ავტორს სტოლონი პირველი პუნიკური ომის ეპოქაში ჰყავს მოხსენიებული კონსულად და სწორედ, იმ კონსულის ნაცვლად, რომელიც პლებეური წარმოშობისა იყო, ვგულისხმობთ ალალუს ატილიუს კალატინუსს. ამჟამად, რომ პლებეების უფლებებისათვის ყველაზე წარმატებულად მებრძოლ სტოლონს სხვა „გამარჯვებაც“ მიაწერეს. თუ ზემოთ განხილული „კანონის“ გატარებას ძვ. წ. IV საუკუნეში მოვათავსებთ, ყველაზე ლოგიკური იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა კოლუმელას ცნობა, სადაც იგი 50 იუგერიან (12,5 ჰა) ზღვრულ ნორმაზე საუბრობს, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, თავად კოლუმელას პატარა ცნობაშიც ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორები იყრის თავს.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ ისტორიკოსთა შეხედულებას, რომლებიც მიწის ფლობის ზღვრული მაქსიმუმის დაწესებას გრაკხუსების „ნოვაციად“ თვლიან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძვ. წ. IV საუკუნეში გატარებული „აგრარული რეფორმა“ სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ეს კი ხელშესახებად გამოიკვეთა ჯერ ანტიკური წყაროების ერთმანეთთან შედარებით, ხოლო შემდეგ ამ წყაროების შესაბამის პოლიტიკურ და სოციალურ კონიუნქტურასთან შეპირისპირებით.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ალექსიშვილი 1971: ალექსიშვილი მათე, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971;
- ▶ დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო 2012: დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო, შემდგენლები: ქეთევან გარდაფხაძე, ლევან გორდუზიანი, თეა დულარიძე, თამარ თახნიშვილი, ქეთევან ნადარეიშვილი, მანანა ფხაკაძე, რედ. ქეთევან აბესაძე, თბილისი: პროგრამა „ლოგოსი“, 2012;
- ▶ დულარიძე 2016: დულარიძე თეა, ეკონომიკური სტრუქტურები და ინსტიტუტები ანტიკურ სამყაროსა და საქართველოში, ჟურნ. „Naec.ge“, მარტი, 2016, გვ. 38-45;
- ▶ პლუტარქე 1957: პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი: სახელგამი, 1957;
- ▶ პლუტარქე 1987: პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები II, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987;
- ▶ უზნაძე 1920: უზნაძე დიმიტრი, ძველი ისტორია სისტემატიური კურსი. წ. II რომის ისტორია, თბილისი, სტამბა ბარ. კილაძისა, 1920;
- ▶ ქავთარია 1990: ქავთარია გრანი, ძმები გრაკხუსები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990;
- ▶ წერეთელი 1957: წერეთელი ალექსანდრე, ძველი რომი ტ. 1, თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1957;
- ▶ Fustel De Coulanges 1955: Fustel De Coulanges Numa Denis, The Ancient City, Garden city, New York, A DOUBLEDAY ANCHOR BOOK, 1955;
- ▶ Marincola 2001: Marincola John, Greek Historians, Oxford: Oxford University Press, 2001;
- ▶ Plutarch 1962: Plutarch, Moralia IV The Roman Questions, ancient greek text with an english translation by Frank Cole Babbitt, THE LOEB CLASSICAL LIBRARY, London: Harvard University Press, MCMLXII (1962);
- ▶ Tibiletti 1970: Tibiletti Gianfranco, The relationship Between the Licinian-Sextian Law of 367 and Tiberius' Law of 133, Tiberius Gracchus. Destroyer or Reformer of the Republic? Edited with an introduction by John M. Riddle, Lexington, Massachusetts, 1970;
- ▶ Niese 1888: Niese Benedictus, Das Sogenannte Licinisch-Sextische Ackergesetz, ჟურნ. HERMES, ტ. XXIII, 1888. გვ. 410-423;
- ▶ Виппер 1908: Виппер Роберт, Очерки истории римской империи, Москва: скл. изд. в кн. маг. В. С. Спиридонова и А. М. Михайлова,

- 1908;
- ▶ Вебер 2001: Вебер Макс, Аграрная история древнего мира, Пер. с нем. Под ред. Д. Петрушевского, Москва: КАНОН-ПРЕСС-Ц, 2001;
 - ▶ Заборовский 1978: Заборовский Я., Закон Лициния-Секстия De Modo Agrarorum (попытка интерпретации), Вестник Древней истории №3, 1978. გვ. 10-19;
 - ▶ Кавтария 1996: Кавтария Грани, Об аграрном законе Лициния и Секстия, Тб.: Меридиани, 1996.;
 - ▶ Моммзен 2001: Моммзен Теодор, История Рима т. 1 книга 1, 2 До битвы при Пидне, Москва: „ФОЛИО“, 2001;
 - ▶ Нечай 1970: Нечай Федор, Патриции и Плебей в ранний период Рима, Вопросы истории древнего мира и среднх веков, сб. статей, Минск, 1970;
 - ▶ Низе 1910: Низе Бенедикт, Очерки римской истории и источниковедения, Пер. с 4-го немецкого издания, С-П., Типография т-ва „Общественная Позьза“, 1910;
 - ▶ Утченко 1947: Утченко Сергей, Закон Лициния-Секстия De Modo Agrorum и его значение для истории аграрных отношений раннего рима, Известия Академии Наук СССР, Серия истории и философии т.4, №2, 1947, გვ. 153-162.

ძველ ბერძნული და ლათინური ტექსტები:

- ▶ Cat. De agricult.10-11: https://penelope.uchicago.edu/Thayer/L/Roman/Texts/Cato/De_Agricultura/A*.html#10 (27.XI.2022);
- ▶ Col. Res rust. 1.3.11: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0504%3Abook%3D1%3Achapter%3D3%3Asection%3D11> (27.XI. 2022);
- ▶ Cic. De leg. agr. 2,8,21: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.02.0013%3Atext%3DAgr.%3ASpeech%3D2%3Achapter%3D8%3Asection%3D21> (27.XI.2022);
- ▶ App. BC, 1,1,8: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A1999.01.0231%3Abook%3D1%3Achapter%3D1%3Asection%3D8> (27.XI.2022);
- ▶ Gell. Noctes Atticae, 6,3,37: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2007.01.0071%3Abook%3D6%3Achapter%3D3%3Asection%3D37> (27.XI. 2022);
- ▶ Plut. Cam. 42, 5: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0086%3Achapter%3D42%3Asection%3D5> (27. XI.2022);
- ▶ Plut. Cam. 39, 5: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0086%3Achapter%3D39%3Asection%3D5> (27. XI.2022);
- ▶ Plut. Cam. 39, 1: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0086%3Achapter%3D39%3Asection%3D1> (27.XI.

- 2022);
- ▶ Plut. Tib. 8, 1-2: <http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus%3Atext%3A2008.01.0127%3Achapter%3D8%3Asection%3D1> (27.XI.2022);
 - ▶ Liv. Ab Urbe... VI, 35: <http://www.thelatinlibrary.com/livy/liv.6.shtml#35> (27.XI.2022).

Zaza Karchava

MA Program in Ancient Languages and Civilizations
Faculty of Humanities, TSU

„AGRARIAN LAW“ OF LICINIUS AND SEXTIUS (SUMMARY)

The „leges Liciniae Sextiae“ are a small set of four Roman legislative acts introduced in 367 B. C. to regulate several matters. They take their name from their proponents, tribunes of the plebeians Licinius Stolo and Sextius Lateranus. Livy calls them rogatio – though he does refer to them at times as lex – as the plebeian assembly did not have the power to enact leges (laws) at the time. These laws provided for a limit on the interest rate of loans and a restriction on private ownership of land. The law sought to establish a means of regulating the exploitation of the land seized by Rome from defeated enemy populations.

There are numerous sources that discuss this law. In addition to Livy, Varro, Dionysius of Halicarnassus, Valerius Maximus, Velleius Paterculus, Columella, Pliny the Elder, Plutarch, and Gellius all have commented on it. More uncertain is whether the data provided by Cato the Elder and Appian refer to this law or to a subsequent one.

With regard to the law in question, there is a divide between modern scholars who deny its historical accuracy and those who support its authenticity, thus rejecting only the information according to which the limit for agrarian possession was set at 500 iugera, a limit considered anachronistic for the 4th century B.C.

We fully share the opinion of those historians who consider the establishment of the maximum land ownership as a „novation“ of the Gracchus. Taking into account all this, The „agrarian reform“ carried out in

the 4th century B. C. should not correspond to reality, and this was tangibly revealed first by comparing the ancient sources with each other, and then by contrasting these ancient sources with the corresponding political and social conjuncture.

გიორგი ბარნაბიშვილი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ

აღმოსავლური კულტების შესწავლის საკითხისთვის რომის იმპერიაში (მითრა)

საკვანძო სიტყვები: რომის იმპერია, რელიგიური სინკრეტიზმი, ღვთაება მითრა

Keywords: Roman Empire, Religious Syncretism, Deity Mithras

ანტიკურობა, მსოფლიოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომელიც ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიასა და კულტურას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ იგი წარმოადგენს თანამედროვე დასავლური კულტურის საწყისს, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭება. ალექსანდრე დიდის (Μέγας Αλέξανδρος) პერიოდიდან მოყოლებული, ადგილი აქვს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების შეერთება-შერწყმას, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ ჩამოყალიბებულ დიოდოხოსების (Διόδοχοι) სახელმწიფოებში გაგრძელდა. სინკრეტიზაციის პროცესმა ელინისტურ სახელმწიფოებში შეუქცევადი ხასიათი მიიღო. „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სინკრეტიზმის პროცესი პოლითეისტური რელიგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს“ (მშვილდაძე 2005: 32), რაც გამომჟღავნდა ჯერ ბერძნული და აღმოსავლური კულტების, შემდეგ კი რომაული და აღმოსავლური კულტების სინკრეტიზაციით. მაგალითად, პტოლემეაოსების ეგვიპტეში ერთმანეთს შეერწყა ადილობრივი ეგვიპტური კულტი ისიდა (Ἰσις) და ბერძნული დემეტრე (Δημήτηρ), ჯერ კიდევ ჰეროდოტე (Ἡρόδοτος. ძვ. წ. V საუკუნე) წერდა, რომ ეგვიპტელების ისიდა (ისიდა) ელინთა ენაზე დემეტრეა (ჰეროდოტე 1975: 141). ასევე საყურადღებოა ეგვიპტური სერაპისისა (Serapis) და რომაული იუპიტერის (Iupiter) შე-

რწყმა, რის შედეგადაც წყაროებში ერთად გვხვდება მათი სახელები იუპიტერ-სერაპისის (Iupiter-Serapis) სახით (Gatty and Mayer 1879: 8). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, საბერძნეთსა და რომში ანატოლიური კულტების შესვლას, იქნებოდა ეს დიდი დედა კიბელა (Κυβέλη), მა-ბელონა (Ma-Bellona),¹ საბადიოსი (Σαβῆϊος)² თუ სხვა (მშვილდაძე 2017: 31).³ ასეთ ღვათებათა რიცხვი საკმაოდ დიდია. სწორედ ამ სინკრეტიზმის შედეგია ის, რომ ანტიკური პერიოდის ბოლოს, ახ. წ. III საუკუნეში რომის იმპერიის ღვთაებათა პანთეონში 5 000-დან 45 000-მდე ღმერთსა და ქალღმერთს ვხვდებით. რომაულ რელიგიურ პანთეონში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ღვთაება მითრამ, რომელიც დასავლეთში ზოროასტრიზმიდან შევიდა ძვ. წ. I საუკუნეში, პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ (გელოვანი 1983: 322)⁴ და მყარადაც მოიკიდა ფეხი.

სანამ რომის იმპერიაში მითრას კულტის შესვლისა და დამკვიდრების მიზეზებს განვიხილავთ, მანამდე უნდა გავიაზროთ ამ არიული ღვთაების არსი, საიდან მოდის და რატომ არის ასეთი განსაკუთრებული, რატომ ხდება აუცილებელი სახელმწიფოში, სადაც უამრავი კულტი არსებობდა, კიდევ ერთი კულტის შესვლა და ნებით თუ ძალით მისი დაკანონება.

უპირველესად, უნდა დავინყოთ მითრას წარმომავლობით, რომელიც მისი არსისა და მნიშვნელობის განმსაზღვრელია. მითრას სამეცნიერო საზოგადოებასა და ნაშრომებში არიულ ღვთაებად მოიხსენიებენ. რას ნიშნავს არიული? და ვინ იყვნენ არიელები? არიელები წარმოადგენენ პროტოინდოევროპული ერების ჯგუფს, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულიდან დასახლებას იწყებს დღევანდელი ირანისა და ინდოეთის ტერიტორიაზე, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მითრა ინდოევროპული მოსახლეობის აღმოსავლური ჯგუფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღვთაებას წარმოადგენდა. ვახსენეთ ირანული მხარე. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში და-

1 კაპადოკიაში, რომაელებმა რომაული ომის ქალღმერთი ბელონა დააკავშირეს ადგილობრივ ქალღვთაება მას-თან, რომელიც გაღმერთებული იყო კომანაში (Κόμανα), საიდანაც მა-ბელონა ძვ. წ. 92 წელს სულას მებრძოლებთან ერთად შევიდა რომში (Turcan 1972: 46).

2 იგი რიგ შემთხვევებში გაიგივებულია ზევსთან (Ζεὺς), ანდა დიონისესთან (Διόνυσος).

3 ანატოლიური კულტები და მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილნი, რომის სინამდვილეში ელინისტურ ხანაში განცდილი სინკრეტიზაციის შემდეგ შედიან.

4 როგორც ა. გელოვანი აღნიშნავს, პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ, იგი მცირეაზიური შენარევებით შევიდა რომში, ზოგი რამ კი დასავლეთში დაუმატეს.

წინაურებას იწყებს მიდიელთა ჯგუფი, რომელიც შემდგომ აქემენიანთა სპარსეთში ერთ-ერთი წამყვანი ძალა ხდება. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული უფრო მეტად იზრდება მითრას კულტის მნიშვნელობა, რადგან მიდიელმა ქურუმებმა მას ახალი სული შთაბერეს. მითრას კულტი პირველად ფიქსირდება უძველესი ინდური სიბრძნისმეტყველების წიგნში, „ვედებში“, რომელიც წამოადგენს ძველ ინდურ ცოდნას მორალზე, ფილოსოფიაზე, მითოლოგიასა და სამართალზე (Vedic religion 1998). სწორედ ამ წიგნში, მითრა მოხსენიებულია, როგორც უსაზღვრო სივრცის შვილი, რომელიც შესაძლოა მზესთან გავაიგივოთ.¹ ვედების უძველეს ნაწილში „რიგ-ვედაში“ იგი განუყრელად მოიხსენიება ვედურ რელიგიაში, ბრაჰმანიზმის² გავრცელებამდე, მსოფლიო წესრიგის, მორალის დამცველ უზენაეს ღვთაება ვარუნასთან ერთად. რიგ შემთხვევაში ისინი შერწყმული ვერსიით არიან გადმოცემულნი, ვარუნა-მითრა, ანდა მითრა-ვარუნა (მშვილდაძე 2017: 34). ასევე თავად ვედებში მითრა მეგობრობასა და კავშირს ნიშნავს, ბოლო მათგანი კი ნაწილობრივ თანხვედრაში მოდის ავესტაში³ წარმოდგენილ მითრას აღმნიშვნელ ცნებებთან, ხელშეკრულება, ფიცი და კონტრაქტი. ასევე აღსანიშნავია მითრას სანსკრიტული მნიშვნელობა. იგი მეგობარს ან მეგობრობას აღნიშნავს, რაც თანხვედრაში მოდის ვედებში მითრას მამრობითი სქესის გააზრებასთან, მეგობართან.

ეს რაც შეეხებოდა მითრას კულტის წარმომავლობასა და არსს. საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლო, როდესაც სპარსეთში აჰურამაზდას (Ahurā Mazdā)⁴ მნიშვნელობა იზრდება, რადგან ამ მომენტში მითრა უკვე მასსა და არიმან-აჰრიმანს⁵ (Arimanius) შორის შუამავლად გვევლინება. აქ კარგად აისახება ვედებში მითრას მნიშვნელობა, რომელიც კავშირს აღნიშნავს. ასევე აღსანიშნავია მითრას კულტის მნიშ-

1 ასევე აღსანიშნავია, რომ მითრას ეს გაგება რომაულ სინამდვილეშიც აირეკლა, თუნდაც მაშინ, როდესაც რომის იმპერატორმა ავრელიანემ (Lucius Domitius Aurelianus, 270-275 წწ.) მზის კულტი უზენაეს ღვთაებად აქცია (274 წ.), რომელსაც უმეტესად მითრად, ზევს-ჰელიოს-მითრად (Zeus-Hellios-Mithra), ანდა მითრა-ჰელიოსად (Mithra-Helios) მოიხსენიებდნენ.

2 ვედიზმის შემცველი, ისევ და ისევ ვედების საშუალებით აღმოცენებული მიმდინარეობა.

3 ზოროასტრიზმის წმინდა წიგნების კრებული (გელოვანი 1983: 192).

4 უზენაესი ღვთაება ზოროასტრიზმში, კეთილი სულიერი საწყისის განმასახიერებელი (გელოვანი 1983: 96).

5 ზოროასტრიზმში ბოროტი სულის, უარყოფითი სულიერი საწყისის განსახიერება (გელოვანი 1983: 72).

ვნელობა სპარსეთისთვის, კერძოდ, სამეფო კარისთვის, მეფისთვის, და უბრალო მოსახლეობისთვის. დურის სამოსელთან (Δούρις ὁ Σάμιος), ძვ. წ. IV-III საუკუნეების ისტორიკოსთან, დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ სპარსეთის მეფეები დაღვევისა და ცეკვის უფლებას საკუთარ თავს მხოლოდ მითრას დღესასწაულზე აძლევდნენ, მაშინ როდესაც მოსახლეობა, პირიქით, თავს იკავებდა ამისგან... დურის სამოსელის ცნობა თანხვედრაში მოდის ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძენი მოაზროვნის, კტესიასის (Κτησίας) ცნობასთან. ამ ცნობების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მითრას კულტს სპარსეთისთვის და თავად მეფისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, ძვ. წ. V-IV საუკუნეების მოღვაწის ქსენოფონტის (Ξενοφών) ცნობები, რომელიც თავის ნაშრომებში (Oeconomicus, IV. 24; Cyropaedia, VII. 5) აქვს გადმოცემული.¹ მოვიყვანეთ რამდენიმე ბერძენი ავტორის ცნობა და აქვე უნდა გავიხსენოთ „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს (Ἡρόδοτος) მოსაზრება მითრას კულტთან დაკავშირებით, როდესაც იგი მას აფროდიტეს (Ἀφροδίτη) ადარებს და ქალღმერთად ჰყავს მოხსენიებული (ჰეროდოტე 1975: 86).

ეს გახლავთ მითრას არსი, რაც დაგვეხმარება თვალნათლივ წარმოვაჩინოთ ის მიზეზები, თუ რატომ ხდება იგი რომში გაბატონებული და რაც მთავარია, ნებადართული კულტი. მითრა რომის მოწინააღმდეგე არშაკიდული პარტიიდან შედის და მყარად იკიდებს ფეხს იმპერიაში. აღნიშნული სასანიანთა მმართველობის პერიოდშიც გრძელდება, და ეს მაშინ, როდესაც რომი კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა მტრის ტერიტორიიდან კულტების შესვლას. მაშასადამე, „მეხუთე კოლონიის“ გაჩენას. მაშ, რითი აიხსნება რომის მესვეურთა რელიგიური პოლიტიკა, რომელმაც დააკანონა მითრას კულტი იმპერიაში? როგორც აღვნიშნეთ, ეს მითრას არსში უნდა ვეძიოთ. აქემენიანთა სპარსეთიდან მოყოლებული, მითრას კულტის მნიშვნელობა იზრდებოდა ირანული წარმოშობის ადგილობრივ დინასტიებში: არმენიაში, პონტოში, კაპადოკიაში და სხვაგან. მცირე აზიაში კი იგი კომაგენის სახელმწიფოს მეშვეობით შედის, როგორც ელინიზირებული ღვთაება. ღვთაებასთან ერთად თვით ამ სახელმწიფოს დინასტიაც ბერძნულ-სპარსული სინკრეტიზმის მძლავრ სახეს წარმოადგენდა, ამისი დამტკიცება კი ძალზედ მარტივია, რადგან არსებობს სტელა, სადაც კომაგენის მეფე ანტიოქე I (Ἀντίοχος ὁ Θεὸς Δίκαιος Ἐπιφανής Φιλοπαμαίος Φιλέλλην, ძვ. წ. 70-38

¹ კტესიასისა და დურის სამოსელისგან განსხვავებით, შესაძლოა, რომ ქსენოფონტის ცნობა უფრო საიმედოდ მივიჩნიოთ, რადგან იგი თავად იყო სპარსეთში და გადმოგვცემს იმას, რაც თავად ნახა და მოისმინა.

წწ.) და მითრა ერთმანეთს ხელს ართმევენ (ძვ. წ. I ს.) (Danglish 2017). აქედან გამომდინარე, როგორც მ. მშვილდაძე, თავის ნაშრომში „რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს.“ აღნიშნავს, ეს სცენა მცირე აზიაში მითრას, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ღვთაების გამარჯვებაზე მიანიშნებს (მშვილდაძე 2005: 92).

როგორც აღვნიშნეთ, მითრამ განიცადა სინკრეტიზმი ანატოლიაში და მისმა იკონოგრაფიულმა სახემაც შემდეგნაირი ტრანსფორმაცია განიცადა. თუკი აღმოსავლურ სინამდვილეში იგი ცხენზე ამხედრებული მხედრის სახით გვხვდება, ანატოლიასა და შემდეგ რომშიც, მითრა ძირითადად გამოსახულია როგორც ფრიგიელი ახალგაზრდა, რომელიც შემოსილია ნაციონალური ტანისამოსით: მოკლე ტუნიკით, ქუდითა და ლაბადით, რომელსაც ქარი აფრიალებს და რომელიც მუხლებით ეყრდნობა უკანა ფეხებით დამხობილი ხარის კისერს (მშვილდაძე 2005: 90). ძირითადად, მცირე აზიაშიც და რომშიც მითრას ასეთი, ხარისმკვლედი, იკონოგრაფიული სახე გვხვდება (Gordon 1988: 4). მაგრამ, რა თქმა უნდა, გვხვდება სხვა გამოსახულებებიც, მაგალითად, მხედარი ანდა მდგომარე პოზიციაში, როგორც ანტიოქე I კომაგენელისა და მითრას სცენაში არის ასახული. აღსანიშნავია, რომ მითრას წმინდა ცხოველებს წარმოადგენდნენ: ხარი, ლომი, გველი, ყორანი და მამალი. სწორედ ასეთი მნიშვნელობისა და არსის მატარებელი მითრა შევიდა რომის სინამდვილეში. მაგრამ მკვლევართა აზრით, სანამ მითრა რომის იმპერიაში შეაღწევდა, იგი ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მცირე აზიაში, არამედ სირია-პალესტინის ტერიტორიაზე, ასევე ძველ სომხეთში. ნიშანდობლივია, რომ ქართულ სინამდვილეში მითრას კულტი ორჯერ, მისი განსხვავებული არსითა და სახით შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე. პირველად ადრეანტიკურ ხანაში. ამ დროს მითრა შემოდის იმ არსითა და დატვირთვით, რაც აქვს სპარსეთის იმპერიაში, ხოლო მეორედ შემოდის რომის იმპერიის პერიოდში, როდესაც მითრას უკვე გავლილი აქვს ელინისტური სინკრეტიზმი და ისე არის შესული რომის იმპერიაში.

ანტიკური პერიოდის საქართველოს ტერიტორიაზე მითრას კულტის გავრცელება შეგვიძლია დავეკავშიროთ, აგრეთვე, რომის XV ლეგიონის სახელს (Apollinaris), რომლის ცალკეული ვექსილაციები დისლოცირებული იყო შავი ზღვის სანაპიროებზე, კერძოდ, პიტუნტის ტერიტორიაზე (ახ. წ. II საუკუნის შუა ხანები) (მშვილდაძე 2018: 49-60). ღვთაება მითრას საქართველოში დამკვიდრების შესახებ არა ერთ ქართველ

მეცნიერს აქვს აზრი გამოთქმული, მათ შორის სერგი მაკალათიას (მაკალათია 1938: 27-28), გიორგი დუნდუას (დუნდუა 1977: 343-347), თედო დუნდუას (დუნდუა 1994: 58-61; Dundua 1999: 24)...

მეცნიერები თანხმდებიან, რომ მითრას კულტის გავრცელება რომში, უძლეველი ლეგიონების სახელს უკავშირდება, მაგრამ დავა დღემდე არ წყდება იმის შესახებ, თუ როდის შედის იგი რომში. არსებობს მოსაზრება, რომ მითრას კულტი რომში ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში უნდა შესულიყო პომპეუსის აღმოსავლური ლაშქრობების შედეგად, ამ მოსაზრებას მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში იზიარებდნენ.

მითრას კულტის რომში შესვლის თაობასთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებოა რ. გრუსეს მოსაზრება, რომელიც მითრას კაპადოკიის გავლით შესულად მიიჩნევს, ასევე მაკმულენისა და ფ. კუმონის თვალსაზრისი, რომლებიც მითრას რომში შესვლას, ახ. წ. 70 წელს, ტიტუსის (Titus Flavius Vespasianus, 79-81 წწ.) მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებენ (მშვილდაძე 2005: 98, MacMullen 1987). ტურკანის მოსაზრება ნაწილობრივ თანხვედრაში მოდის რ. გრუსეს თვალსაზრისთან, რადგანაც ფიქრობს, რომ მითრას კულტი რომში ნერონის (Nero Claudius Caesar Augustus Germanicus, 54-68 წწ.) პერიოდში სომხეთში მდგარი ლეგიონერების მიერ უნდა იყოს შეტანილი, რადგან ისინი კაპადოკიაშიც აწყობდნენ ლაშქრობებს, სადაც ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან მოყოლებული ძლიერად იყო გავრცელებული მითრას კულტი (მშვილდაძე 2005: 99; Turcan 1993). ყველა ზემოაღნიშნული მეცნიერი გვთავაზობს განსხვავებულ თარიღსა და გეოგრაფიულ არეალს, თუ საიდან შევიდა მითრა რომში, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ იგი ლეგიონერების მიერ იქნა შეტანილი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ტიბერიუსის (Tiberius Caesar Divi Augusti Filius Augustus, ახ. წ. 14-37) პრინციპსობისას, იტალიის ზოგიერთ პროვინციაში მითრას კულტი გავრცელებული ჩანს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მითრას კულტის რომში გავრცელება ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში, შესაძლოა, შეიცავდეს ქვეშარიტების რაციონალურ მარცვალს.

რომში მითრას შესახებ პირდაპირი წყაროები ახ. წ. I საუკუნიდან ჩნდება, როდესაც ლათინი ავტორები თავის თხზულებებში წერენ მითრას მნიშვნელობაზე სპარსელთათვის, მაგალითად კვინტუს კურციუსი (Quintus Curtius Rufus),¹ თავის ნაშრომში „ისტორია ალექსან-

1 იგი წერს, რომ თავად მეფე და ჯარისკაცები ევედრებოდნენ მზეს,

დრე დიდისა“ (Historiae Alexandri Magni, IV, 13), სტატიუსი მიუთითებს მითრას მნიშვნელობაზე ელინისტური ერთობისა და რომის იმპერიისთვის (Publius Papinius Statius, Thebais I, v. 719-20), ასევე II-III საუკუნის ავტორები ლუკიანე (ძვ. ბერძნ. Λουκιανός ὁ Σαμοσατεύς, ლათ. Lucianus Samosatensis), ტერტულიანე (Quintus Septimius Florens Tertullianus) და სხვები, ამახვილებენ ყურადღებას მითრას რაობასა და მნიშვნელობაზე. აქვე აღსანიშნავია რომაული პერიოდის ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნის ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის (Στραβων) ცნობა (Geographica, XV, 3).¹ რომაული პერიოდის კიდევ ერთი ბერძენი მოაზროვნის პლუტარქეს (Πλουταρχος) ნაშრომში დაცულია ცნობა, რომ ჯერ კიდევ პომპეუსის ლაშქრობის პერიოდში, გალიის ერთ-ერთი ტომის მოსახლეები, კერძოდ ალობროგები, ატარებდნენ მითრასადმი მიძღვნილ საიდუმლო მღვდელმსახურებას (პლუტარქე 1957: 110). ასევე მნიშვნელოვანია ახ. წ. I საუკუნის მოღვაწის, პლინიუს უფროსის (Plinius Maior, გაიუს პლინიუს სეკუნდუსი Gaius Plinius Secundus) ცნობა ნაშრომში „ბუნების ისტორია“ (Naturalis Historia). ავტორის თქმით, მისთვის ცნობილია მითრას კულტის სპარსული წარმომავლობა და მნიშვნელობა² (Nat. Hist, XXXVII, 10). ახ. წ. I საუკუნის ავტორების ცნობები ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მათი მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა იცოდნენ მითრას არსისა და წარმომავლობის შესახებ რომში. ასევე ვისი მეშვეობით და როგორ აღმოჩნდა იმ პერიოდის საზოგადოება ინფორმირებული მითრას კულტთან დაკავშირებული ინფორმაციით.

მითრას კულტის დასავლეთში შეღწევა, როგორც აღვნიშნეთ, რომის ლეგიონების სახელს უკავშირდება. ლეგიონერებმა მითრას არსში, რა თქმა უნდა, დაინახეს ის ეთიკა და მორალი, რამაც მათში აღტაცება გამოიწვია და მითრას ბუნებიდან გამომდინარე, აქცენტი მასზე გააკეთეს.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ლეგიონების მნიშვნელობაზე მითრას კულტის შესვლასთან დაკავშირებით რომის იმპერიაში. კერძოდ, ეს ლეგიონები იყო: XV (Apollinaris), II (Adiutrix) და V (Macedonique). XV ლეგიონის (Apollinaris) გარკვეული ვექსილაციები კი დისლოცირებული იყო საქართველოს ტერიტორიაზეც. სწორედ, XV ლეგიონს (Apollinaris) მიაწერენ რ. გრუსე და რ. ტურკანი რომში მითრას კულტის შეტანას კაპადოკიის ტერიტორიიდან. როგორც რ. ტურკანი აღნიშნავს, აშკარაა, რომ

მითრას, რომ მათთვის სიმამაცე შთაეგონებინა.

1 რომელშიც აღნიშნულია, რომ სპარსელები დიდი პატივს სცემდნენ მზეს, რომელსაც მითრას უწოდებენ.

2 მზის შუქი.

მითრას კულტი რომში ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში შევიდა, მაგრამ მისი აქტიური გავრცელება ახ. წ. I საუკუნიდან იწყება, სწორედ ლეგიონების მეშვეობით (Turcan 1993).

რომაული პოლიტიკა ყველა მიმართულებით გამორჩეული იყო, იქნებოდა ეს დიპლომატია თუ სამხედრო სფერო (ლეგიონები)... როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, სწორედ ლეგიონების სახელს უკავშირდება რომში მითრას კულტის შესვლა და მათმა მუდმივმა მოძრაობამ¹ განაპირობა ამ ღვთაების იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში სწრაფი გავრცელება. სწორედ, აღმოსავლურ ლაშქრობებში მონაწილე ლეგიონერების მიერ იგებოდა საკულტო ნაგებობები, მითრეუმები, „მზის ღმერთის უძლეველი მითრას“ სახელზე: მერიდაში, ამპლუმში, კარნენტუმში, ისკაში, ჟენევასა და ა. შ. (მშვილდაძე 2017: 35).

განვიხილეთ რა, რომელმა ლეგიონებმა შეიტანეს რომის იმპერიაში მითრა და რატომ გახდა ის მათთვის საყვარელი ღვთაება, აღვნიშნეთ, რომ ეს ამ კულტის არსში მდგომარეობდა, რადგან ის ზნეობრიობის, ეთიკურობისა და მეტრძოლი ხასიათის განსახიერება იყო. რომის იმპერიისა და მათი მესვეურების ლეგიონერებთან ურთიერთობიდან გამომდინარე აშკარაა, თუ რატომ შეიცვალა II საუკუნეში მითრას მიმართ მათი დამოკიდებულება, მაშინ როდესაც საწყის ეტაპზე მითრას დამარცხებისთვის ყველაფერს აკეთებდნენ, მაგალითად, ადრიანე (Publius Aelius Traianus Hadrianus, 117-138 წწ.). ამ უკანასკნელის შემდეგ პოლიტიკა შეიცვალა და იწყება მითრას დაკანონება, მისი გადაქცევა ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად, რაც ადრიანეს მემკვიდრის ანტონიუს პიუსის (Titus Aurelius Fulvus Boionius Arrius Antoninus Pius, 138-161 წწ.) იმპერატორობას ემთხვევა. ანტონიუს პიუსმა ოსტისში (Ostia) მითრას სახელზე ააგო ტაძარი, ასევე ამ მხრივ თავი გამოიჩინეს მარკუს ავრელიუსმა (Marcus Aurelius Antoninus, 161-180, წწ.), კომოდუსმა (Lucius Aelius Aurelius Commodus, 177-192 წწ.), სეპტიმიუს სევერუსმა (Lucius Septimius Severus, 192-211 წწ.). აღსანიშნავია III საუკუნის რომაელი იმპერატორები: გეტა (Publius Septimius Geta, 211 წ. 4-II –211 წ. 19/24-XII), კარაკალა (Marcus Aurelius Severus Antoninus Augustus, 198-217 წწ.), გორდიანე III (Marcus Antonius Gordianus, 238-244 წწ.), ავრელიანე (Lucius Domitius Aurelianus, 270-275 წწ.), დიოკლეთიანე (Gaius Aurelius Valerius Diocletianus, 283-305 წწ.). ამ უკანასკნელის იმპერატორობის ხანაში თითქმის მთელ იმპე-

1 თუნდაც XV (Appollinaris) რომელიც საწყის ეტაპზე დისლოცირებული იყო გალიაში.

რიაში (არ ვგულისხმობთ იმ მცირე აზიულ და ახლო აღმოსავლურ ტერიტორიებს, სადაც მითრას კულტი რომის იმპერიის გაბატონებამდეც იყო შესული) არსებობდა მითრას სახელზე საკურთხევლები. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მითრას კულტს გალერიუსი (Gaius Galerius Valerius Maximianus, 293-311 წწ.), ლიცინიუსი (Flavius Galerius Valerius Licinianus Licinius, 308-311 წწ.) და კონსტანტინე დიდი (Flavius Valerius Aurelius Constantinus, 306-337 წწ.). III-IV საუკუნეებში კი მითრას მიმდევრების რაოდენობა გაიზარდა საერო საზოგადოებაშიც.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა მითრას სახე ინდური ვედებიდან მოყოლებული რომის იმპერიაში მის შესვლამდე და თუკი თვალს გადავაკვლებთ სხვა ჩვენთვის ნაცნობ ბერძნულ, ფრიგიულ, ეგვიპტურ და სხვა წარმართულ პანთეონებს, თვალნათლივ გამოჩნდება, რომ მითრა თავისი არსით, აღმოსავლური და დასავლური კულტებისგან მართლაც ძალზედ განსხვავდებოდა. იყო რა ფიცის, მეგობრობის, კონტაქტის, კავშირის აღმნიშვნელი, რაც თავისთავად მისი როგორც მორალური ღვთაების სახეს წარმოაჩენდა. სავსებით ვეთანხმებით მკვლევართა იმ ნაწილს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სწორედ მითრას არსმა და ბუნებამ შეუწყო ხელი ანტიკური წარმართული პანთეონის მითრას არსთან ახლო მდგომ ღვთაებებთან მისი სინკრეტიზაციის პროცესს. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მითრას ეთიკურმა ბუნებამ განაპირობა რომაელ ლეგიონერებში მისი ესოდენ პოპულარობა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ გელოვანი 1983: გელოვანი აკაკი, მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“ 1983;
- ▶ დუნდუა 1977: დუნდუა გიორგი, ერთხელ კიდევ მონეტების შესახებ. დიდი პიტიუნტი II, თბილისი: „მეცნიერება“, 1977, გვ. 343-347;
- ▶ დუნდუა 1994: დუნდუა თედო, ქრისტიანობის და მითრაიზმის მიმართების საკითხისათვის ქართლში. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. კონფერენცია, მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბილისი, 1994, გვ. 58-61;
- ▶ მაკალათია 1938: მაკალათია სერგი, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბილისი: „საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება“, 1938;
- ▶ მშვილდაძე 2017: მშვილდაძე მარიკა, ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

- უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017;
- ▶ მშვილდაძე 2005: მშვილდაძე მარიკა, რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს. თბილისი: „ენა და კულტურა“, 2005;
 - ▶ მშვილდაძე 2018: მშვილდაძე მარიკა, მხედრის იკონოგრაფიული გამოსახულებები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ გლიპტიკის ნიმუშებზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №2, 2018, გვ. 49-60;
 - ▶ პლუტარქე 1957: პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო აკაკი ურუშაძემ. ტ. I, თბილისი: „სახელგამი“, 1957;
 - ▶ ჰეროდოტე 1975: ჰეროდოტე, ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტ. I, ისტორია, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1975;
 - ▶ Cumont 1896-1899: Cumont Franz, Textes et monuments relative aux Misteres de Mithra (Abrege: TMMM) T. I-II, Bruxelles, 1896-1899;
 - ▶ Dundua 1999: Dundua Tedo, Christianity and Mithraism. The Georgian Story, Tbilisi, 1999;
 - ▶ Gatty and Mayer 1879: Charles Tindal Gatty and Joseph Mayer, Catalogue Of The Engraved Gems And Rings, London, 1879;
 - ▶ Gordon 1988: Gordon Richard, Translator Of The Manfred Clauss Book, The Roman Cult Of Mithras, The God And His Mysteries, Yorkyork, 1988;
 - ▶ Grousset 1979: Rene Grousset, L'Empire du Levant, Paris, 1979;
 - ▶ MacMullen 1987: MacMullen. R. Le paganisme dans l'Empire Romain, les chemines de l'histoire. Traduit de L'american par L. Spiquel, A. Roussell. Paris: Presses Universitaires de France, 1987;
 - ▶ Turcan 1972: Turcan Robert, Histoire des religions, coll. „Pléiade“, t. II, 1972.
 - ▶ Turcan 1993: Turcan Robert, Mithra et le Mithriacisme, Paris, 1993;
 - ▶ Danglish 2017: Dominic Danglish, Mithra in Commagene: some sort of mix-up, ხელმისაწვდომია, <https://empiresoffaith.com/2017/05/03/mithra-in-commagene-some-sort-of-mix-up/> ბოლოს დამონმებულია 25.11.2022;
 - ▶ Vedic religion 1998: Vedic religion, ხელმისაწვდომია <https://www.britannica.com/topic/Vedic-religion> ბოლოს დამონმებულია 25.11.2022;

FOR THE STUDY ISSUE OF THE EASTERN CULTS IN THE ROMAN EMPIRE (MITHRAS)

The cult of Mithras, in its essence, a signifier of unshakable union, oath, and friendship, had the greatest influence in Eastern reality, which led to its growing importance first in the Hellenized world, then in the Roman Empire. But the reader should not be under the impression that the cult of Mithras was transferred to the Roman Empire directly from a hostile country, Persia, it undergoes syncretization in Asia Minor and then becomes the favorite deity of the Roman legionaries. Our research topic is the study of Mithras for the Roman reality, and the reasons for his entry and establishment in the Roman Empire, our research topic is quite relevant among researchers of antiquity, and in Georgia, not much has been said about this problem, which made us dare to express our opinion about this issue. To solve the problem we raised, it was necessary to understand the essence and nature of Mithras entering the Roman Empire, which led us to conclude that the moral and ethical face of Mithras was the reason why its importance increased among the Roman legionaries. It is also worth noting that his bull-killing face was added to his moral face. This meaning was added to Mithras in the Hellenistic period. The interest of the rulers of the Roman Empire and the stopping of the process against its spread was due to the powerful syncretization of the two paths. As a result of the research, it was established that Mithra was very different from the Eastern and Western cults. It was a symbol of an oath, friendship, contact, and connection, which in itself represented his face as a moral deity, and we fully agree with the part of researchers who note that his essence and nature contributed to the process of his syncretization with other deities of the ancient pantheon. Therefore, as mentioned above, the ethical nature of Mithras led to his popularity among the Roman legionaries.

საქართველოში ფრანცისკელ მისიონერთა დაფუძნების ახლებური ნაკითხვა

საკვანძო სიტყვები: ფრანცისკელები, ფრანცისკე ასიზელი, კათოლიკე მისიონერები, მისიონერული ორდენები, მათხოვრული ორდენები, რუსუდან მეფე, პაპი გრიგოლ IX, კათოლიკური ეკლესია, ქართული ეკლესია

Keywords: Franciscans, Francis of Assisi, Catholic missionaries, missionary orders, mendicant orders, King Rusudan, Pope Gregory IX, Catholic church, Georgian church

XIII საუკუნე კათოლიკური ეკლესიისათვის ერთგვარი ძვრებისა და ახალი დაბრკოლებების წარმოშობის ხანა იყო. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა რიგი ახალი ერეტიკული მოძრაობების აღმოცენებას, რომლებიც თავიანთი არსით საფრთხეს უქმნიდნენ კათოლიკე ეკლესიას. ამ მხრივ, ნიშანდობლივია კათარები, ვალდენსები, ალბიგოელები და სხვა. ყოველივე ამას დაემატა ჯვაროსნული ლაშქრობის დრამატული მოვლენები, რის შედეგადაც, წინარე პერიოდებთან შედარებით, აშკარად დაეცა რომის პაპის ავტორიტეტი. ამ ყოველივეს ასევე დაერთო მუსლიმთა მხრიდან მომდინარე საფრთხე.

შექმნილ ვითარებაზე, კათოლიკე ეკლესიის დაკნინებული ავტორიტეტის გაზრდის თვალსაზრისით, გარკვეული გავლენა მოახდინა ჯოვანი დი პიეტრო დი ბერნარდონემ, იგივე ფრანცისკე ასიზელმა (1181/1182-1226),¹ რომელსაც „ყველაზე სანდომიან წმინდანს“ უწოდებდნენ (Гыцев 2007: 78). ის იდეურად დაუპირისპირდა ფეოდალური საზოგადოების ფუფუნებით მისწრაფებებს და უბრალოებისა და რაციონალიზმის დამცველად გამოვიდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ფრანცისკე არსებული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზად მიიჩნევდა საზოგადოებაში იმ ცოდნის გაქრობას, რომელიც მათ მაცხოვარმა არგუნა, რაც იმდროინდელ ევროპაში (და არა მხოლოდ ევროპაში) გაუნათლებლობით შეიცვალა (Кравцова 2018: 111). საკუთრივ ხსნას, ის ხედავდა არა იარაღსა და ომში, არამედ ხალხში სახარების იდეალის ქადაგებაში. ამ იდეით შთაგონებულმა ფრანცისკე ასიზელმა სათავე დაუდო „ფრანცისკელთა მათხოვრულ ორდენს“ (მინორიტთა ორდენი – ე. წ. მცირე

1 მის საპატივსაცემოდ ამჟამინდელმა რომის პაპმა 2013 წელს პაპად არჩევისას მიიღო სახელი ფრანცისკე.

ძმობა), რომელმაც თავისი სამწყსო საქმიანობა XIII საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო.¹ აქვე წინასწარ აღვნიშნავთ: ორდენის წესდება (მასზე საუბარი ქვემოთ გვექნება), უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა პაპის ავტორიტეტის დაცვას. ამ უკანასკნელის ძირითად ინტერესებში კი კათოლიკე ეკლესიის ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდა-გაფართოება და უნიის² საფუძველზე ეკლესიათა გაერთიანება შედიოდა.

სტატიაში, დასახული მიზნიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, ვსვამთ ორ მთავარ კითხვას: პირველი – რა მიზნები ამოძრავებდათ ფრანცისკელთა ორდენის კათოლიკე მისიონერებს საქართველოში და იყვნენ თუ არა ისინი რომის წმინდა ტახტის მიერ გამოგზავნილნი ქართველთა შორის კათოლიკობის გასავრცელებლად და ეკლესიათა უნიის საქადაგებლად? მეორე – რა რელიგიურ მიზანს ისახავდა ქართული მხარე პაპობასთან და კათოლიკურ სამყაროსთან კავშირში?

ამ კითხვებზე ჩვენეული პასუხის გასაცემად, საჭიროდ მივიჩნევთ ფრანცისკელთა ორდენის ადრეული საქმიანობის წარმოჩენას. როგორც უკვე ითქვა, ორდენი ასპარეზზე 1223 წლიდან გამოვიდა. მისი საქმიანობა, რომელიც ფრანცისკე ასიზელის თავდაპირველ იდეას ეფუძნებოდა და მხოლოდ მქადაგებლობით შემოიფარგლებოდა. ორდენის წარმომადგენლები მზად უნდა ყოფილიყვნენ შორ მანძილზე გადასაადგილებლად. სათავეში მას ედგა წევრების მიერ არჩეული გენერალი, ხოლო მათ მიზანს წარმოადგენდა ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლება და წარმართებს, ერეტიკოსებსა და ურწმუნოებს შორის სახარების ქადაგება და აღსარების მიღება (Кравцова 2018: 55-58). ორდენი ურწმუნობად სარაცინებს (მუსლიმებს), ერეტიკოსებად ერესის მატარებლებს,³ წარმართებად კი ე. წ. ურწმუნოებს მიიჩნევდა. შესაბამისად, მათი ძირითადი საქმიანობაც სწორედ ამ წრით შემოიფარგლებოდა. მოღვაწეობის პირველ ეტაპზე არანაირი ადგილი არ ჰქონდა პროზელიტიზმს – ე. ი. უნიის ქადაგებას; ორდენის წარმმართველ იდეას სახარების ზედმიწევნითი გაგების გზით განათლების ფართოდ „მოფენა“ წარმოადგენდა.

და კიდევ, ვინაიდან ორდენის დაარსება დაემთხვა ჯვაროსნული

1 ორდენის წესდება საბოლოოდ დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III-მ 1223 წელს.

2 აღმოსავლური ეკლესიების დასავლურთან გაერთიანება და მათი მოწყობა კათოლიკურ პრინციპებზე.

3 აქ აღსანიშნავია, რომ ისინი ერეტიკოსებად თვლიდნენ სომხებსაც, იმისდა გამო, რომ ამ უკანასკნელთა ეკლესია იყო მონოფიზიტური.

ლაშქრობების ეპოქას (უფრო ზუსტად კი მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობას (1217-1221), მათ ქადაგებაში დიდი ადგილი ერთმა მთავარმა იდეამ დაიკავა – კერძოდ, „...მათ ეკისრებოდათ ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგება“ (Paviot 2009: 868).

ორდენის პრინციპებიდან გამომდინარე,¹ მის წარმომადგენლებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეთხოვათ გასამრჯელო და მხოლოდ მოწყალების ხარჯზე უნდა ეცხოვრათ.² შემდგომ ეტაპებზე კი, როდესაც ორდენი უკვე ევროპის ფარგლებს გარეთ იწყებს მისიონერულ საქმიანობას, ბევრი პრინციპიც იცვლება. კერძოდ, ძირითადი ცვლილება შეეხო კათოლიკობისა და ეკლესიათა უნიის ქადაგებას. თუკი ფრანცისკელთა მოღვაწეობის პირველი ეტაპის დასრულების ზღვრად ავიღებთ 1247 წელს, მაშინ გამოდის, რომ ორდენის მისიონერული საქმიანობა კლასიკური ფორმით ყალიბდება მონღოლების შემოსევების შემდგომ (Gratien 1928: 145-149, 674).

შესაბამისად, ფრანცისკელები ამ დასახულ მიზანს ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ მშვიდობიანი გზებით ახორციელებდნენ. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ფრანცისკე ასიზელის ჩასვლა ეგვიპტეში 1219 წელს და მისი შეხვედრა სულთან ალ-კამილთან. როგორც ცნობილია, მისიონერი მას ესაუბრა ქრისტიანობის მიღების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

რაც შეეხება ორდენის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ პრინციპს, იგი მდგომარეობდა სამეფო ხელისუფლებისა და მისი ინტერესების დაცვაში. ამის დამადასტურებელ ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის სუვერენთა შემთხვევა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც კარი გაუღო ორდენსა და მის მისიონერებს. საგულისხმოა, რომ პარიზის უნივერსიტეტის დაარსებიდან მოყოლებული, პირველი მასწავლებლები ფრანცისკელები იყვნენ. აქედან მოკიდებული ამ ორდენის მამები მუდმივად ედგნენ გვერდში სამეფო ხელისუფლებას და მის ინტერესებს იცავდნენ. კიდევ მეტი, საფრანგეთის მეფეებს (უპირველეს ყოვლისა, ლუი IX წმინდას) ისინი, ე. წ. საქმეთა გამომძიებლებად ჰყავდათ დანიშნული. ეს ნიშნავს, რომ საგრაფოებში გრაფების მიერ აკრეფილი გადა-

1 სულ შედგებოდა 27 წესდებისაგან, რომელიც გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის ორდენის არსებობის მომდევნო ეტაპებზე.

2 სწორედ ამის გამო, პაპობა თავდაპირველად არ უწყობდა ხელს ორდენის საქმიანობას – მიიჩვედა, რომ მხოლოდ მოწყალების ხარჯზე ვერ შეძლებდნენ მისი წევრები თავის გატანას და ბოლოს მაინც საეკლესიო ხარჯებით იქნებოდნენ დასაფინანსებლები.

სახადის კონტროლი სწორედ ფრანცისკელთა ვალდებულებას წარმოადგენდა. რით იყო განპირობებული მონარქთა მხრიდან „მათხოვრული ორდენის“ წარმომადგენელთა მიმართ ასეთი ნდობა? საფრანგეთის მეფეები კარგად ხედავდნენ, თუ რა ძალად შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყვნენ მისიონერები და მათი გვერდით ყოლა მეტად სასარგებლო ეკონომიკურ საქმედ მიაჩნდათ. ეს ეფუძნებოდა იმ წარმოდგენას, რომ ორდენის წევრებს არ გააჩნდათ მატერიალური ინტერესი და შესაბამისად ადგილი არ ექნებოდათ მათი მხრიდან ქონების მითვისებას. ამიტომ მათ მშვიდად ანდობდნენ აღნიშნულ საქმეს (Кравцова 2018: 259-265).

ახლა ვნახოთ, თუ რა ვითარებაში აღმოჩნდნენ ფრანცისკელი მისიონერები საქართველოში. არსებული წყაროების მიხედვით, საქართველოში ფრანცისკელთა პირველი გამოჩენა 1221 წლით თარიღდება. ეს გახლდათ პადრე იაკობ დე რუსანო,¹ რომელიც ფრანცისკელთა საქართველოში მოღვაწეობის მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში აქ იმყოფებოდა, შეიძლება ითქვას, მისიონის მთავარ მოქმედ პირად. წყაროს მიხედვით: „... საქართველოში იმყოფებოდა უსაყვარლესი შვილი იაკობ დე რუსანო დომინიკელთა ორდენიდან, რომელიც თავის ჩანაწერებში მაღალ შეფასებას აძლევს ქართველებს“ (ტაბალუა 1984: 74).² ჭიროლამო გოლუბოვიჩი კი ასახელებს „...ძმა ჯაკომოსა და მისი მეგობრების მისიონს საქართველოში“ (Golubovich 1906: 113). ერთი სიტყვით, ჯერჯერობით, არ გაგვაჩნია არც ერთი წყარო, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ პირველი ფრანცისკელი ორდენის მამები გამოიგზავნენ წმინდა ტახტის მიერ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჯაკომო დე რუსანოს საქართველოში ჩამოსვლის ორივე ეს შემთხვევა დაკავშირებულია უშუალოდ მისიონერის პირად ინიციატივასთან და არა ორდენის გენერლისა თუ პაპის ბრძანებასთან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1217 წლიდან ფრანცისკელები მოღვაწეობდნენ სირიასა და ეგვიპტეში, ძნელი არ უნდა იყოს მათი საქართველოში დაინტერესების წარმოდგენაც. ამის დამადასტურებელ არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ შედარებით მო-

1 იგივე ჯაკომო და როსანო – „და“, „დე“, იტალიურში მიუთითებს სადაურობაზე; შესაბამისად, ჯაკომო წარმოშობით როსანოდან იყო (დოკუმენტებში „დი როსანოც“ გვხვდება (ტაბალუა 1987: 16).

2 ილია ტაბალუას მოცემული ცნობა მოძიებული აქვს ლუკა ვადინგოს წყაროთა კრებულში (Waddingo Luca, *Annales minorum*), მაგრამ მითითებული აქვს 1211 წელი, რაც 1221 წელთან შედარებით, ნაკლებად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ.

გვიანო პერიოდის დოკუმენტი (მასზე ყურადღებას ქვევით კიდევ უფრო საფუძვლიანად გავამახვილებთ): „იმ დროს, როდესაც გრეგორიო თავის ლეგატებს ნიკეაში აგზავნიდა, რომში გამოჩნდა მინორიტი ჯაკომო და რუსანო, რომელიც დაბრუნდა აზიის ყველაზე იდუმალი მხარიდან ... მოღვაწეობდა იმ მხარეებში და ითხოვდა ახალი მუშაკების გაგზავნას“ (Marcellino 1858: 215). ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ფრანცისკელ მამებს განსაკუთრებული ინტერესი ექნებოდათ იმ ქვეყნის ნახვისა, სადაც ცხოვრობდნენ ჯვაროსანთა მოკავშირე ქრისტიანები (პაპაშვილი 2019: 147), ხოლო ჯვაროსნებისა და მისიონერების საერთო ინტერესებსა და კავშირზე ზემოთ გავუსვით ხაზი.

აქედან გამომდინარე, მისიონერები საქართველოში, ოფიციალური ურთიერთობების დაწყებამდე (1234 წ.), ორჯერ იყვნენ. საინტერესოა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ ფაქტისადმი საქართველოს სუვერენის დამოკიდებულება. ხედავდა თუ არა ხელისუფალი კათოლიკე სასულიერო მოღვაწეების საქმიანობას, როგორც საფრთხეს ქვეყნის სარწმუნოებისადმი და აღიქვამდა თუ არა მათ, როგორც რომის პაპის მიერ წარგზავნილებს, რომელთაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა მისი მთავარი მიზნის მიღწევაში – მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკე ეკლესიის გავლენის ქვეშ მოქცევაში?

ყველა მოვლენა, რომელიც დასმული კითხვის კონტექსტში განვითარდა, მხოლოდ საპირისპიროს მოწმობს. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსუდან მეფე (1223-1245), პირველ რიგში, ყურადღებას ფრანცისკელთა ორდენის ბუნებას მიაქცევდა. ზემოთ დასახელებული პრინციპებიდან გამომდინარე (სამეფო ხელისუფლებისადმი ორდენის დამოკიდებულება, პაპის ავტორიტეტის დაცვა, წარმართებს, ერეტიკოსებსა და ურწმუნოებს შორის ქრისტიანობის ქადაგება), რუსუდან მეფეს არ უნდა გასჩენოდა მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება და წინააღმდეგობის გრძნობა. ვფიქრობთ, ამით გავეცით პასუხი შესავალში დასმულ პირველ მთავარ კითხვას.

მეფესა და დონ ჯაკომოს შორის ადგილი აუცილებლად უნდა ჰქონოდა პირად კონტაქტს (წინააღმდეგ შემთხვევაში, მეფე, პირველ რიგში, საფუძვლიანად ვერ ჩასწვდებოდა ორდენის ბუნების თავისებურებებს), რომლის შესახებაც, ცნობები, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ არის მოღწეული. მომდევნო ეტაპი კი დადგა 1232 წელს. ამ დროისათვის ჯაკომო უკვე ბრუნდება რომში და პაპს მოახსენებს, რომ საქართველოს მეფე „პატივით ეპყრობოდა ორდენის მისიონერებს და იმ შრომას,

რომელსაც მათი საშუალებით ეწეოდა რომის პაპი“ (ტაბალუა 1987: 16).¹ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ თითქოს ჯაკომო და რუსანო გამოგზავნა რომის წმინდა ტახტმა და იგი თავიდანვე უშუალოდ პაპის ბრძანებით მოქმედებდა, მაგრამ წყაროებით ეს არ დასტურდება. მოვლენების შემდგომი განვითარების წარმოსაჩენად აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ მარჩელინო და ჩივეცას კრებულში მოცემული ცნობა, რომელზეც ზევით, ნაწილობრივ, უკვე გვექონდა საუბარი. პაპთან მისული ჯაკომო მას მოახსენებდა, რომ: „საქართველოს მეფე ითხოვდა ღვთის ამ მოციქულების გამოგზავნას. ამის მოსმენით ცრემლმორეულმა და გახარებულმა პაპმა ბერი ჯაკომო გულში ჩაიკრა“ (პაპაშვილი 2019: 145). აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ რუსუდანმა ჯაკომოს, 1228 წლის შემდგომ, პაპ გრიგოლ IX-სთან (1227-1241) გაატანა წერილი, რომელშიც ითხოვდა საქართველოში მისიონერების გამოგზავნას, თუმცა ამგვარი წერილი დღემდე არ არის მოღწეული. თუ ამ ფაქტს რეალობად მივიჩნევთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ რუსუდან მეფე რომის პაპს სთხოვდა ფრანცისკელი მისიონერების საქართველოში გამოგზავნას. აქედან გამომდინარე, დგება ლოგიკური კითხვა: რამდენად იყო მეფის ეს ნაბიჯი განპირობებული ეკლესიათა უნიის ინტერესებით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში აუცილებლად დაგვეხმარება „დიდი სქიზმის“ შემდგომი მოვლენების ზოგადი სურათის წარმოჩენა.

კარგად ცნობილია, რომ 1054 წლის „დიდი სქიზმით“ მოხდა ქრისტიანული ეკლესიის დასავლურად და აღმოსავლურად დაყოფა. 1204 წლის კონსტანტინოპოლში მოწყობილი მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ კი ბერძნულ და ლათინურ ეკლესიებს შორის განხეთქილება საბოლოოდ დასრულდა.² სწორედ ამ უკანასკნელ მოვლენას აქვს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ გამოავლინა ის ძირითადი განსხვავებები, რომელიც არსებობდა ორ ეკლესიას შორის: „ზღვის იქით“ ვითარება კიდევ უფრო რთულად იყო. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ლათინებს დაანახეს აღმოსავლელ ქრისტიანების სარწმუნოებრივი განსხვავებები, რომლებიც არსით ბერძნულ ეკლესიასთან უფრო იყო ახლოს“ (Richard 1977: 4). იმავე წყა-

1 ცნობები შეგვიძლია ვნახოთ გირელამო გოლუბოვიჩის წყაროთა კრებულში, გვ. 292.

2 ის ცვლილებები, რომელიც 1054 წლის შემდეგ ნელ-ნელა იქნა შეტანილი რომის კათოლიკური ეკლესიის წესებში, საბოლოოდ კანონიკურად მიღებულ-დამტკიცებული იქნა 1215 წლის ლატერანის საეკლესიო კრებაზე.

როს მოწმობით, ჯვაროსნული ლაშქრობის ხელმძღვანელები იმდენად შეშფოთებული იყვნენ, რომ ანტიოქიიდან პაპ ურბან II-ს სწერდნენ და სთხოვდნენ მიეღოთ მისგან მითითებები, თუ რა ზომებისათვის უნდა მიემართათ ამ „ერესის“ მატარებელთა წინააღმდეგ. ფრანგი ისტორიკოსის ჟან რიშარის თქმით, ბერძნებისათვის მთავარი პრობლემა იყო ის, რომ მათთვის ერთი სარწმუნოების მქონე ეკლესიას მხოლოდ ერთი საეპისკოპოსო იერარქია უნდა ჰქონოდა. გარდა ამისა, აღმოსავლეთის სხვა ეკლესიები, რაც მთავარია, ინარჩუნებდნენ ავტორიტეტს (მათთვის ეს საკითხი განხილვის საგანსაც არ წარმოადგენდა). შესაბამისად, 1204 წლის მოვლენებმა საბოლოოდ მოახდინა ეკლესიათა განყოფა. ბიზანტიელებმა დასავლეთი მტრულ ბლოკად ჩათვალეს (სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რამეთუ ლათინებმა კონსტანტინოპოლი საკუთარი იმპერიის დედაქალაქად გადააქციეს).

საინტერესოა, თუ რა პოზიცია ეკავა საქართველოს ამ რთულ ვითარებაში. ქართული ეკლესია 1054 წლის „სქიზმის“ შემდგომ ხდება ბერძნული ეკლესიის პრინციპებზე მოწყობილი – ბერძნული „სქიზმის“ მიმდევარი;¹ ფორმალურად არ ემორჩილება რომის ეკლესიას; არ აღიარებს „ფილიოკვეს“.² მაგრამ ამავდროულად ქართული ეკლესია ბერძნების მსგავსად არ კიცხავდა კათოლიკე ეკლესიის დოგმებსა და წეს-ჩვეულებებს. მეტიც, ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი წყარო არ ადასტურებს, რომ მხარეები დოგმატურ საკითხებზე დაობდნენ, ან რომ მათ შორის რაიმე სახით არსებობდა დაპირისპირება და უთანხმოება.

რომის წმინდა ტახტისათვის ჯერ კიდევ XII საუკუნის მიწურულიდან კარგად იყო ცნობილი ქართული ეკლესიის ზოგადი სახე. პაპს არა ერთი დასავლელი დიპლომატის, ლეგატის, ჯვაროსნის, მისიონერის, მოგზაურის, პილიგრიმისა თუ რაინდისაგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ ქართველები სარწმუნოებაში მისდევდნენ ბერძნულ ტრადიციას. XII საუკუნის დასასრულით დათარიღებული ერთ-ერთი ანონიმური წყაროს მიხედვით „(ქართველები) დიდი ბრწყინვალეობით სცემენ თაყვანს წმინდა გიორგის... საერთოდ ყველა საკითხში ბერძნებს ბაძავენ...“ (თვარაძე 2004: 139). ჟაკ დე ვიტრი კი 1210 წელს გვაუწყებს: „ქართველები ... განსაკუთრებით მოწინებით ეპყრობიან და ეთაყვანებიან წმინდა გიორგის ...

1 მაგრამ ქართული ეკლესია არ ექვემდებარება კონსტანტინოპოლის, ისევე როგორც რომის ეკლესიას.

2 „და ძისაგან“ – სულიწმიდასთან მიმართებაში დასავლურმა ეკლესიამ მიიჩნია, რომ სულიწმიდა „გამოვალს მამისაგან და ძისაგან“; განსხვავებით აღმოსავლური ეკლესიისაგან, რომელმაც განაცხადა, რომ სულიწმიდა გამოდის „მამა ღმრთისგან ძის მეშვეობით“.

ყველა სხვა წმინდანზე მეტად სცემენ პატივს. საღვთო წერილს ბერძნულად კითხულობენ და საეკლესიო საიდუმლოებებსაც ბერძნული წესით ასრულებენ“ (თვარაძე 2004: 141).

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა საქართველოში პაპობასთან ერთიანობის გრძნობა კიდევ უფრო განამტკიცა, რაც, როგორც მურმან პაპაშვილი აღნიშნავს, უფრო გასაგები უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროს კონსტანტინოპოლი ლათინთა იმპერიის დედაქალაქს წარმოადგენდა და ასეთ ვითარებაში, ქართული ეკლესია არც „სქიზმას“, არც პაპობასა და არც ფილიოკვეს არ შეხედავდა ბიზანტიის თვალეობით (პაპაშვილი 2019: 142).

რაც შეეხება პაპის პრიმატს, იგი არც გიორგი IV ლაშას და არც რუსუდანს სადავო საკითხად არ უქცევიათ. პირიქით, მოცემულ მომენტში რუსუდან მეფე კათოლიკურ სამყაროსთან უფრო ღრმა კავშირისკენ მიისწრაფოდა, როდესაც კათოლიკე მისიონერებს იწვევდა საქართველოში.

ჩვენ მიერ შესავალში დასმულ მეორე მთავარ კითხვაზე საპასუხოდ ვიტყვით: ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შენარჩუნებული კავშირის ერთ-ერთ პირველ დამადასტურებელ ფაქტად შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსუდან მეფესა და პაპს შორის არსებული მიმოწერა. კერძოდ, მეფის მიერ გამოყენებული მიმართვის ფორმა. 1223 წლით დათარიღებულ წერილში რუსუდან მეფე პაპს ამგვარად მიმართავს: „უნმინდეს პაპს, ყველა ქრისტიანის მამას და მეუფეს, წმინდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს ... თქვენი ერთგული მხევალი და ასული უმდაბლესად გიკრავთ თავს...“ (თამარაშვილი 1902: 8). მიხეილ თამარაშვილის თქმით (ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად), საქართველოს ეკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა რომ არ არსებულიყო, მეფე მას მსგავსი ფორმით არ მისწერდა და არც ალუთქვამდა პალესტინაში მთელი ჯარით საომრად წასვლას (წერილში სწორედ ამაზეა ძირითადად საუბარი)¹ (თამარაშვილი 1902: 8). გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რთული დასაანახია რუსუდანის მხრიდან პაპისადმი ასეთი მიმართვა გარკვეული პოლიტიკური მიზნის აღსრულებით ავსხნათ, ვინაიდან ამ პერიოდში მსგავსი საჭიროება საქართველოს ჯერ არ ედგა.

1 მიხეილ თამარაშვილი აქ აგრძელებს და ვითარების სიცხადის უკეთესად გამოსაკვეთად ამატებს, რომ რომის ეკლესიისაგან განკვეთილები ოსმალთა მხარესაც იჭერდნენ და მათ ეხმარებოდნენ ქრისტიანებთან საბრძოლველად – ნათელ მაგალითად მას ბერძნებიც მოჰყავს.

ვითარება იცვლება მას შემდეგ, როცა საქართველოს საგარეო საფრთხე დაემუქრა. კერძოდ, 1225-1230 წლებში ჯალალ ად-დინის შემოსევების შემდეგ უკვე ჩნდება კავშირის გაძლიერებისა და წმინდა ტახტის სახით შესაძლო მოკავშირის ძებნის საჭიროება. ამასთან, კავშირში ისიც საგულისხმოა, რომ 1233 წლის 11 აპრილის ბულით „Cum sit omnis“, პაპი გრიგოლ IX ჯაკომო და რუსანოს მის მეგობრებთან ერთად სპეციალური დავალებით აგზავნის აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც (ტაბალუა 1987: 16).

შედგავდ, უკვე 1234 წლისათვის, საქართველოში ჩამოდის ფრანცისკელთა ახალი მისიონი და 1234 წლის 16 აპრილს პაპი რუსუდან მეფეს უგზავნის წერილს, რომელსაც არც თავსა და არც ბოლოში არ აქვს აღნიშნული ზუსტი ადრესატი. მხოლოდ იწყება წინადადებით: „საქართველოს უბრწყინვალეს მეფეს“ (ტაბალუა 1984: 82).¹

წერილი, ამასთანავე, ფაქტობრივად უნდა აღვიქვათ, როგორც პაპის პასუხი და ერთგვარი გაგრძელება კვლავ მისიონერთა საშუალებით პაპთან რუსუდანის მიერ გაგზავნილი და ჩვენამდე მოუღწეველი გზავნილისა. იგი უმეტესწილად ანგარიშ-ვალდებულებების გადასაცემ ხასიათს ატარებს. გრიგოლ IX მეფეს მოახსენებს, რომ როგორც ჯაკომოსგან შეუტყვია, იგი მქადაგებლებს ქვეყანაში კარგად, პატივისცემით ეპყრობა და ამიტომ ევალება, რომ ახალი გამოგზავნილი მისიონერებიც იმავე სიყვარულით მიიღოს (ტაბალუა 1984: 82). წერილის შინაარსიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვითქვანოთ სამი მთავარი დასკვნა, რაც პირდაპირი წყაროებითა და ცნობებით არ ჩანს. მივყვეთ და განვიხილოთ ისინი თანმიმდევრულად.

უპირველეს ყოვლისა, გარკვეულწილად ხერხდება რუსუდანის ჩვენამდე არ მოღწეული წერილის შინაარსის დაახლოებითი დადგენა. ჩვენი აზრით, მას რომ გაეგზავნა თხოვნა ეკლესიათა გაერთიანების შესახებ, პაპის აღნიშნული პასუხი სულ სხვა ფორმის იქნებოდა. უდავოა, ასეთ შემთხვევაში, მასში საუბარი იქნებოდა იმ აუცილებელ პირობებსა და ურთიერთვალდებულებებზე, რომელთა დაცვაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ორივე მხარისაგან. მაგრამ წერილში ამ თემაზე გაკვრითაც არაფერია ნახსენები, რაც გვაძლევს იმაზე ფიქრის საშუალებას, რომ მხარეებისაგან არათუ სურვილი, საჭიროებაც კი არ ყოფილა ეკლესიათა უნიისათვის.

რუსუდანი, როგორც ჩანს, არც საგარეო მტრების წინააღმდეგ დახ-

1 აღსანიშნავია, რომ წერილის თარიღს სწორედ იღია ტაბალუა ადგენს.

მარებას სთხოვდა პაპს, რასაც შეიძლება ახსნა მოვუძებნოთ. წერილი გვადლევს შემდეგ საინტერესო ინფორმაციას: „... გაიგე და ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრებს ერეტიკოსთა უმართლო შეურაცხყოფისაგან, კათოლიკურ ეკლესიას შეამკობს კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებით ... (ბერები) ლეგატებად მიდიან ქრისტიან ხალხებთან, იმათთანაც, ვინც არ ცნო უფალი და მის ნეტარ სახელს ამოდ არ მოიხსენიებს“ (ტაბალუა 1984: 185).

დაისმის კითხვა: ვინ იგულისხმებიან „ერეტიკოსებში“? პროფ. მურმან პაპაშვილის აზრით, ესენი არიან ირანსა და შუა აზიაში მცხოვრები ნესტორიანელები. ამ კატეგორიაში არ უნდა შედიოდნენ თავად ქართველები, ვინაიდან ამ შემთხვევაში პაპი სიტყვა „ერეტიკოსის“ მაგივრად გამოიყენებდა ტერმინ „სქიზმატიკოსს“, როგორც ბერძნული „სქიზმის“ მიმდევრებს (პაპაშვილი 2019: 150).

აქედან გამომდინარე, მოცემული წყაროდან ჩვენ დანამდვილებით ვიგებთ, რომ მისიონერები იგზავნებოდნენ სწორედ ერეტიკოსებს შორის ქრისტიანობის საქადაგებლად და არა ქართველების კათოლიკობაზე მოსაქცევად. ეს იმას ნიშნავს, რომ რომაულ და ქართულ ეკლესიას შორის არ იგრძნობოდა გათიშულობა, რადგან არცერთი მხარე არ საუბრობდა ეკლესიათა გაერთიანებაზე.

პაპმა გრიგოლ IX-მ გამოგზავნილ მისიონერებს წერილი (რომელიც ამავედროულად ინსტრუქციასაც წარმოადგენდა – თუ როგორი ქმედებები უნდა განეხორციელებინათ ქვეყანაში) გამოატანა, რომელიც იუწყებოდა: „დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად ასრულებთ თქვენს მოვალეობას... და იღწვით, რომ უფლის ძირებიდან ამოძირკვით სარეველა... მზად ვართ, გიბოძოთ უფლება: დასახელებულ მიწებზე ახიაროთ ეკლესიიდან განდევნილები“ (ტაბალუა 1987: 83). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს.

წამოჭრილი საკითხის ერთგვარ კულმინაციურ ნაწილს წარმოადგენს 1240 წლის 13 იანვრით დათარიღებული წერილი, რომელიც კვლავ მხოლოდ პაპის მხარეს წარმოადგენს და მისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო დამაჯერებელს ხდის ჩვენს თვალსაზრისს. როგორც ირკვევა, 1240 წლამდე რუსუდან მეფემ პაპ გრიგოლ IX-ს წერილი გაუგზავნა, რომელიც, ჩანს, ისევ ჯაკომო და რუსანომ ჩაიტანა რომში (პაპაშვილი 1995: 84). ადრესატის პასუხიდან ვარკვევთ, რომ რუსუდანი ითხოვდა მონღოლების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების აღმოჩენას და ეკლესიათა გაერთიანებას (პაპაშვილი 2019: 159).

პირველ შემთხვევაზე პაპი დანაწიებით აღნიშნავს, რომ მისი მხედრობა ვერ შეძლებს საქართველოს დახმარებას: „აწ, საყვარელნო შვილნო, ნულარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწვეწველად თათრების წინააღმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას“ (თამარაშვილი 1902: 16). ხოლო მეორე საკითხთან მიმართებაში, პაპი წერს: „რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ – თქვენი სულიერი სახლი შეუერთოთ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას, რადგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სათანადოდ მოემსახურება თქვენს ხსნასა და თქვენს მიმართ ჩვენს სიხარულს“ (ტაბაღა 1984: 189-190). მიხეილ თამარაშვილი ამ ცნობასთან დაკავშირებით ამბობს, რომ ჯერ მხოლოდ პაპის ამ სიტყვებით ხაზი ესმევა ქართული ეკლესიის რომაულ-კათოლიკე ეკლესიასთან „გაყრას“, რუსუდანი კი სწორედ ეკლესიების გაერთიანებას ითხოვდა (თამარაშვილი 1902: 17). საკითხის ამგვარად დასმა მართებულად არ უნდა მივიჩნიოთ. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ხაზი ეკლესიებს შორის ნამდვილად არსებულ განსხვავებებს გაესვა, რომლებსაც ყურადღებას ამ ეპიზოდამდე არც ერთი მხარე არ აქცევდა. გარდა ამისა, უკვე აღნიშნული მტრის საფრთხის ფაქტორი, ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქართველი მონარქისათვის.

რუსუდან მეფის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ქართული ეკლესია კარგავდა თავის დამოუკიდებლობას. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის კეთდებოდა, რომ ქართველებს კიდევ უფრო გაემყარებინათ კავშირი რომის წმინდა ტახტთან და გაეძლიერებინათ დამპყრობლის, აწ უკვე მონღოლთა, წინააღმდეგ რეალური, ძლიერი მოკავშირის შეძენის შესაძლებლობა.

მონღოლთა უღელქვეშ მოქცეულ საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობის (მიუხედავად იმისა, რომ არ შეფერხებულა) ფორმამ სახე იცვალა. ქვეყანაში შექმნილი რთული და განსხვავებული ვითარების გამო, ვინაიდან ვერ მოხერხდა რომის წმინდა ტახტისაგან მოსალოდნელი დახმარების მიღება, ფრანცისკელთა ორდენის საქმიანობა ქვეყანაში მომდევნო ეტაპებზე სხვა მიზნებით და პრინციპებით გვევლინება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით: პირველი – ქართული ეკლესია ოფიციალურად არ იმყოფებოდა რომის წმინდა ტახტთან განყოფაში, არამედ ინარჩუნებდა მასთან (საჭიროების თუ მის

გარეშე) ლოიალურ დამოკიდებულებას და ბერძნების მსგავსად არ აწარმოებდა დავას დოქტრინალურ საკითხებზე; მეორე – ფრანცისკელთა საქართველოში გამოჩენა თავდაპირველად დაკავშირებული იყო თავად მისიონერი ბერების პირად ინიციატივასთან; რუსუდან მეფემ ორდენის პრინციპებში საქართველოსათვის სასარგებლო ფაქტორები დაინახა და ისინი საკუთარი ინიციატივით მოიწვია საქართველოში; მესამე, მართალია, საქართველოს მეფისა და რომის პაპის (შესაბამისად ორდენის) ინტერესები ერთმანეთს სრულად თუ არ ემთხვეოდა, ერთმანეთის საწინააღმდეგოს მაინც არ წარმოადგენდა და ორივე მხარის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანობის განმტკიცება. ამასთან მიმართებაში სამართლიანად შენიშნავს გაბრიელე ბრაგანტინი, როდესაც ამბობს: „არც ერთ პაპს არ მიუვლენია მისიონერი ან თავისი დელეგატი საქართველოში იმ მიზნით, რომ დაეარსებინა კათოლიკე ეკლესია. ამ მისიას მიმართავდნენ მხოლოდ უკვე ცოცხალი რწმენის გასაძლიერებლად, კრიზისის ან სხვადასხვა „მტრების“ შემოტევისას და რომის ეპისკოპოსებთან კავშირის გასაძლიერებლად...“ (ბრაგანტინი 2018: 25-26); მეოთხე, მისიონერები საქართველოს მიიჩნევდნენ იმ ბაზად, საიდანაც ქართველ სუვერენთა მხარდაჭერით შესაძლებელი ჩანდა კათოლიკობის გავრცელება აღმოსავლეთში, კერძოდ მონღოლებში, საქართველოსა და რომის პოტენციურ მტრებში.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ბრაგანტინი 2018: ბრაგანტინი გაბრიელე, კათოლიკე ეკლესია საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან არსებობს? კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, N21, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, გვ. 19-32;
- ▶ თამარაშვილი 1902: თამარაშვილი მიქელ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით (XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე), ტფილისი: ავტორის მიერ გამოცემული, ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ., 1902;
- ▶ თვარაძე 2004: თვარაძე ალექსანდრე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბილისი: „სეზანი“, 2004;
- ▶ პაპაშვილი 1995: პაპაშვილი მურმან, საქართველო-რომის ურთიერთობა. თბილისი: „აღმაშენებელი“, 1995;
- ▶ პაპაშვილი 2019: პაპაშვილი მურმან, საქართველო დასავლეთის

აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბილისი: „საჩინო“, 2019;

- ▶ ტაბალუა 1984: ტაბალუა ილია, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. I, თბილისი: „მეცნიერება“, 1984;
- ▶ ტაბალუა 1987: ტაბალუა ილია, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. III, თბილისი: „მეცნიერება“, 1987;
- ▶ Golubovich 1906: Golubovich Girolamo, Biblioteca Bio-Bibliografia della Terra Santa e dell’Oriente Franceseano, T. I, Firenze, Collegio di S. Bonaventura, 1906;
- ▶ Marcellino 1858: Marcellino da Civezza, Storia universale delle Missioni Francescane, vol. II, Roma, Tipografia Tiberina, 1858;
- ▶ Waddingo 1732: Waddingo Luca, Annales minorum seu trium ordinum a S. Francisco Institutorum auctore, T. II, Romae, Typis Rochi Bernabo, 1732;
- ▶ Gratien 1928: Gratien de Paris, Histoire de la fondation & de l’évolution de l’ordre des frères mineurs au XIIIe siècle, Paris, Gembloux, 1928;
- ▶ Paviot 2009: Paviot Jacques, L’idée de croisade à la fin du moyen âge, In: Comptes rendus des séances de l’Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 153e année, N. 2, 2009, გვ. 865-875;
- ▶ Richard 1977: Richard Jean, La papauté et les missions d’Orient au Moyen-Âge (XIII-XIVème siècle), Rome, École Française de Rome, 1977;
- ▶ Гусев 2007: Гусев Игорь Евгеньевич, История орденов средневековья, Минск: „Харвест“, 2007;
- ▶ Кравцова 2018: Кравцова Елена, Францисканский орден: от апостольского движения к ученой корпорации (Франция, XIII в.). Москва: Центр гуманитарных инициатив, 2018;

Anano Natroshvili

BA program in History
Faculty of Humanities, TSU

A NEW READING OF THE ESTABLISHMENT OF THE FRANCISCAN MISSIONARIES IN GEORGIA IN A NEW MANNER (SUMMARY)

It is well known in the historiography, that the dramatical events of the Crusades were soon followed by the spread of activities lead by the Catholic missionaries’ mendicant orders. By itself, the necessity of the creation of this institution was mainly linked with the different sorts of divisions, as well as

the germinations of the heretical movements within the Catholic church. It is also undeniable that the inevitability of the missionary works was caused by the need for the Christian unity's revival. Precisely at this moment, so-called Franciscan and Dominican mendicant orders enter the scene, and from the XIII century begin their works.

After reading the written sources in a new manner it is now confirmed that the representatives of the mendicant orders in Georgia are making the start in the indicated period. Based on sources, it is stated that the propagation of the Franciscans' occupation in Georgia started in the year 1234 by the initiative of the Georgian side and was set as its object to make the papacy an ally against the foreign forces to achieve the union with the pre-schism attitude. In this context, the Franciscan missionaries were sent to Georgia not to make Georgians get under Catholicism's influence, but to preach Christianity to the heretics. In addition, Georgia's sovereign wished to confer to the country missionary rights in the interest of both sides with the missionaries' support. The Franciscans, on their part, by establishing in Georgia, wanted to transform it into a strong missionary base against Saracens and infidels. This followed the obligations (set by the Catholic father in the East Christians) according to which they should have inculcated a sense of responsibility in the local Christians and "educated" Muslims (started the missionary activities between them). This fact indicated that for this time neither side paid much attention to the existing differences between Georgian-Orthodox and Roman-Catholic churches. The Georgian church evinced the pre-schism attitude with Rome and the Apostolic see itself didn't consider the Georgian church as a participant in the schism.

With this ambience, both of the churches were preserving unity in outward appearance.

გერმანიის საიმპერიო საარჩევნო სისტემა 1356 წლის „ოქროს ბულის“ მიხედვით

საკვანძო სიტყვები: გერმანია, საღვთო რომის იმპერია, ოქროს ბულა, კურფიურსტთა კოლეგია, საიმპერიო არჩევნები, სეკულარიზმი

Keywords: Germany, Holy Roman Empire, Golden Bull, college of prince-electors, imperial elections, secularism

შუა საუკუნეების განმავლობაში გერმანიამ ვერაფრით მოახერხა გაერთიანება (ცენტრალიზაცია), რასაც სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა. გამოვარჩევდით ორ საყურადღებო ფაქტორს: იმპერია მუდმივად ცდილობდა იტალიაში პოზიციების განმტკიცებას და პაპის ოლქს იმპერიულ სამფლობელოთა შორის მომწყვდევის საფრთხეს უქმნიდა, რის გამოც იმპერატორთან რომის ეკლესიის დაპირისპირება არ სრულდებოდა (Denley 2001: 239). პარალელურად გრძელდებოდა გერმანელ მთავართა თვითნებობაც, რამაც პიკს მიაღწია 1254 წელს, როდესაც რომთან დამარცხებულ ჰოჰენშტაუფენტა დინასტიას წერტილი დაესვა და უმეფობის ხანა (1254-1273) დაიწყო (ხუბაშვილი 2005: 290-291). შედეგად, XIII-XIV საუკუნეებში გერმანია საბოლოოდ დაქუცმაცდა ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელ ტერიტორიულ სამთავროებად (საჰერცოგოებად, სამარკგრაფოებად, საარქიეპისკოპოსოებად, საეპისკოპოსოებად და ა. შ.). ამასთან, ჯერ კიდევ უმეფობის ხანამდე, როგორც ჩანს, XII საუკუნის ბოლოს, არისტოკრატებს გამოეყო ვიწრო ჯგუფი – კურფიურსტები – რამდენიმე ამომრჩეველი მთავარი საერო და სასულიერო წოდებიდან. მათ, ფაქტობრივად, იმპერატორის არჩევის მონოპოლიზება მოახერხეს და უმეფობის ხანიდან მოყოლებული მთელი პოლიტიკური ძალაუფლებაც გადაიბარეს, თუმცა „ოქროს ბულამდე“ კურფიურსტთა პოზიციები იურიდიულად არ იყო განმტკიცებული (Курфюрсты 2016; გარიშვილი, ხოფერია 2014: 418, 420).

გერმანიის მთავრები დაუსრულებლად ებრძოდნენ ერთმანეთს. კურფიურსტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება სუსტი ფიგურა აეყვანათ ტახტზე და თუკი იმედი არ გამართლდებოდა, ჩამოეშორებინათ (Смирин 1977: 293). XIV საუკუნის დამდეგიდან კონფლიქტი გამწვავდა და კურფიურსტთა ხმების გაყოფის შედეგად ორი პირი აირჩა ხელმწიფედ (ხმათა

უმრავლესობის პრინციპი ამ დროს არც არსებობდა და ეს გაუგებრობას იწვევდა) (Germany, Constitutional conflicts... 2022). ამ პერიოდიდან მოყოლებული გერმანიის იმპერატორებად ლუქსემბურგის დინასტიის წარმომადგენლები ხდებოდნენ. ჩეხეთის (ბოჰემიის) სამეფო გვართან დანათესავების გზით, ლუქსემბურგებმა ამ მხარეშიც მოიკიდეს ფეხი (გეთიაშვილი 2005: 425-426). მათი დინასტიის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ჩეხეთის მეფე და გერმანიის იმპერატორი კარლ IV (1346-1378). სწორედ კარლმა მიიღო 1356 წელს „ოქროს ბულა“¹, რომლითაც არსებული პოლიტიკური მდგომარეობა გაფორმდა. 1355 წელს კარლი რომში იმპერატორად ეკურთხა და იგი აღიარეს არა მხოლოდ მთავრებმა, არამედ პაპმაც, რაც 1237 წლის შემდეგ აღარ მომხდარა (Николаева 2008: 156).

რომიდან დაბრუნებიდან მალევე იგი საკანონმდებლო საქმიანობას შეუდგა. ბულა ნაწილ-ნაწილ შემუშავდა ნიურნბერგისა (1355) და მეცის (1356) სეიმებზე. იგი იყო შესრულებული ლათინურ ენაზე და შედგებოდა 31 მუხლისგან. საკუთარი შინაარსით აქტმა, პრაქტიკულად, იურიდიულად (კონსტიტუციურად) გააფორმა გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ბულა ეხებოდა, იმპერატორის არჩევა იყო (Hlaváček 2000: 553-554; გეთიაშვილი 2005: 428-429).

იმპერატორის არჩევის საკითხი ოდითგანვე პრობლემური იყო, რაც უცნაური სულაც არაა: ცხადია, დიდებულებს სურვილი ექნებოდათ, ტახტზე ყოფილიყო ის, ვინც მათ მეტ გასაქანს მისცემდა. გარდა ამისა, შემოდოდა რომის პაპის ინტერესიც. XII საუკუნის მიწურულს დიდი კრიზისი დადგა, როცა პოზიციათა გაყოფის შედეგად, ერთდროულად ორი კანდიდატი აირჩა გერმანიის მეფედ – ფილიპ შვაბიელი და ოტო IV (Denley 2001: 236). პრობლემის დარეგულირება სცადა პაპმა ინოკენტი III-მ ტრაქტატ „Venerabilem“-ში („პატივსაცემი“) (1202). ამ დოკუმენტის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: „ვალარებთ... იმ მთავართა, რომლებსაც სამართლითა და უძველესი ჩვეულებით ეს უდავოდ ეხებათ, უფლებასა და ძალაუფლებას, აირჩიონ მეფე, რომელიც, მოგვიანებით, უნდა გახდეს იმპერატორი; მით უმეტეს, რომ ამგვარი უფლება და ძალაუფლება

¹ „ოქროს ბულას“ (ლათ. Bulla – ბუშტი, ბურთი, ბეჭედი) – ლითონის ბეჭედი, რომლითაც ამაგრებდნენ, ჩვეულებრივ, მეფის, პაპის, იმპერატორის აქტს, რომელსაც ასევე ბულა ეწოდებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობის საიმპერატორო თუ სამეფო აქტს ოქროს ბეჭედს არტყამდნენ, რასთან დაკავშირებითაც გაჩნდა „ოქროს ბულის“ სახელწოდება.

მათ ერგოთ მოციქულთა ტახტისგან, რომელმაც რომის იმპერია გადასცა ბერძენთაგან გერმანელებს, დიდებულ კარლს“ (Декреталий „VENERABILEM“... 1961: 428-429). აღნიშნული ციტატიდან ვასკვნით ორ საყურადღებო გარემოებას: 1. პაპი აღიარებს გარკვეულ ამომრჩეველ მთავართა უფლებამოსილებასა და ამ უფლებამოსილების საეკლესიო საფუძველს; 2. პაპი მიიჩნევს, რომ სამოციქულო ტახტი (პაპი) არის შემოქმედი გერმანიის იმპერიისა, მან გადასცა იგი კარლოს დიდს. სწორედ ამიტომ, პაპი აცხადებს, რომ მას, როგორც გვირგვინის დამდგმელს, აქვს უფლება, ჩაერიოს პიროვნების შერჩევაში და არ აკურთხოს არჩეული პირი, რომელიც მისთვის არ არის მისაღები (მაგალითად, იმ მიზეზით, რომ იგი ტირანია, მწვალებელია, ჭკუასუსტი და სხვა) (მე-4 პ.). ამასთან, ხმათა გაყოფის შემთხვევაშიც, პაპი იტოვებდა უფლებას, მხარი დაეჭირა კონკრეტული კანდიდატისთვის (მე-6 პ.) (იქვე 1961: 429-430). პრაქტიკულად, ეს იყო „ორი მახვილის თეორიის“ გრიგორიანული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, მეფეზე ძალაუფლება პაპის გავლით გადადიოდა (Wilson 2016: 65). საერთო ჯამში, ვხედავთ, რომ ბოლო სიტყვა ეკუთვნოდა პაპს, მას ეპყრა ერთგვარი ვეტო, რაც, ისევ და ისევ, მრავალსაუკუნოვან დავაში რიგითი გამოვლინება იყო რომის ეკლესიის პოზიციისა – მდგარიყო საერო ხელისუფლებაზე მაღლა: პაპი ხაზს უსვამდა საკუთარი ძალაუფლების უზენაესობასა და ხელშეუვალობას (გავიხსენოთ ჰაინრიხ IV-ის მაგალითი). ამასთან, ნათელი ხდება ისიც, რომ აქამდე არ არსებობდა რეგულაცია, რომელიც მოაწესრიგებდა ვითარებას ხმათა გაყოფის შემთხვევაში.

კურფიურსტების ოდენობა თავდაპირველად არ იყო ზუსტი. ჩვეულებრივ, ამომრჩეველ მთავრებში შედიოდა 3 სასულიერო (მაინცის, ტრირის, კელნის არქიეპისკოპოსები) და 3-4 საერო მთავარი. XIII საუკუნის შუახანებში გამწვავდა დავა საერო მთავართა თაობაზე. ადგილზე პრეტენზია ჰქონდათ საქსონიის ჰერცოგს, ბრანდენბურგის მარკგრაფს, ჩეხეთის მეფესა და რაინის პფალცგრაფს. განსაკუთრებით პრობლემური იყო ჩეხეთის მეფის ხმის უფლება. კურფიურსტებში თავის დასამკვიდრებლად იბრძოდა ბავარიის ჰერცოგიც (Kopецкий 1961: 408). საყურადღებოა, რომ პირველად კურფიურსტებს უშუალოდ ახსენებს „საქსონიის სარკე“¹ (Курфюрсты 2016). კერძოდ, „ლანდრეხტის“ მესამე წიგნის

1 „საქსონიის სარკე“ გერმანული სამართლის ძეგლია, რომელიც XIII საუკუნის I ნახევარში შეიქმნა და ლანდებისა (მიწებისა) და ლენურ ურთიერთობებს აწესრიგებდა (შესაბამისად, იყოფოდა ორ ნაწილად – ლანდრეხტად და ლენრეხტად). იგი შეიცავდა როგორც ჩვეულებითი, ისე

57-ე (II) მუხლში დადგენილია ხმის მიცემის თანმიმდევრობა იმპერატორის არჩევნებზე: 1. მაინცის არქიეპისკოპოსი; 2. ტრირისა; 3. კელნისა; 4. რაინის პფალცგრაფი; 5. საქსონიის ჰერცოგი; 6. ბრანდენბურგის მარკგრაფი. პირდაპირ ეთითება, რომ ბოჰემიის მეფე გამოთიშულია ხმის მიცემას, ვინაიდან „გერმანელი არ არის“ (სინამდვილეში ეს იყო შურისძიება მისი პოლიტიკური პოზიციის გამო) (Саксонское Зеркало 1985: 103). მაშასადამე, ამ დროისთვის უკვე პირველად იკვეთება მინიმალური მოწესრიგება ხმის მიცემისა, რაც გარდაუვალი აღმოჩნდა. ამომრჩევლებში დომინირებს სასულიერო წოდება, რაც, ვფიქრობთ, ეკლესიის გავლენის გამოხატულება უნდა იყოს. ყველა კურფიურსტის მონაწილეობით პირველი არჩევნები 1257 წელს ჩატარდა (Бойцов 1989: 29).

XIV საუკუნე ისევ დაძაბულობებით დაიწყო: 1314 წელს კიდევ ერთი ორმაგი არჩევნები ჩატარდა (ფაქტია, რომ ძალიან რთული იყო იმპერატორის ასარჩევად ერთსულოვანი მხარდაჭერის მიღება) და ერთ-ერთ მონარქად ლუდვიგ ბავარიელი აირჩა, რომელიც პაპმა არ ცნო, რაც მიუღებელი იყო ლუდვიგისთვის. საბოლოოდ, იგი 1324 წელს განკვეთეს, ხოლო 1338 წელს ლუდვიგ ბავარიელის მხარდასაჭერად გამართულ რენზეს კრებაზე (Canning 1991: 343-344) (რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობდა 6 კურფიურსტი, ჩეხეთის მეფის გარეშე) (Курфюрсты 2016), დადგინდა, რომ მეფე აირჩეოდა, სულ ცოტა, ხმათა უმრავლესობით, ამასთან, იგი ფლობდა სრულ საიმპერიო ძალაუფლებას, პაპის დასტურის გარეშეც (Резолюция в Пензе... 1961: 434). ყველაფერი კიდევ ერთხელ დამტკიცდა და დაგვირგვინდა ლუდვიგის იმავე წლის მანიფესტით, რომლითაც მან განაცხადა, რომ „იმპერატორი მართოდენ მათ მიერ არჩევის ძალით, რომლებსაც არჩევა მართებთ, ხდება ჭეშმარიტი იმპერატორი და არ საჭიროებს არავის დამტკიცებას ან მოწონებას...“, „რაკი ვინმე არჩეულია კურფიურსტების მიმართ ერთხმად ან უმრავლესობით იმპერატორად... იგი მაშინვე, მართოდენ არჩევის ძალით, აღიარებულ და წოდებულ უნდა იქნას ჭეშმარიტ მეფედ და რომის იმპერატორად“ (ლუდვიგ ბავარიელის მანიფესტი... 1962: 460-461). უდავოდ, ეს იყო მეტად გამბედავი, პრინციპული გადაწყვეტილება იმპერატორისა და მისი მხარდამჭერების მხრიდან, მან ნათლად და მკაფიოდ დაუმსხვრია რომის პაპს ყველა ამბიციის, მკაცრი წითელი ხაზი გაუვლო მას (ამასთან, არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ პაპის ავტორიტეტი ამ დროისთვის შე-

საიმპერიო სამართლის ნორმებს (გარიშვილი, ხოფერია 2014: 531, 533).

სუსტებულია,¹ მონარქმა შესანიშნავად ისარგებლა მომენტით). ვხედავთ, რომ იმპერატორის სტატუსისა და ძალაუფლების მოპოვების ერთადერთ გზად იცნობოდა მხოლოდ კურფიურსტების მიერ არჩევა, ამასთან, რენზეს კრებიდან მოყოლებული, უკვე არსებობდა საარჩევნო მინიმუმი – ხმათა უმრავლესობა. თუმცა, როგორც მანიფესტიდან ჩანს, ეს სულაც არ ლახავდა იმპერატორის ხელისუფლების ღვთიური წყაროს იდეას, მაშინ, როცა მანიფესტი, აშკარად, იცავდა სახელმწიფოს სეკულარულობას და გამოხატავდა ეკლესიისგან მისი განცალკევების მცდელობას (ლუდვიგ ბავარიელის მანიფესტი... 1962: 460).

უნდა ითქვას, რომ მონარქი პაპთან ბრძოლაში მარტო არ იყო. იმდროინდელი პოლიტიკური აზროვნება ასევე მოცული იყო ანტიპაპური განწყობით. იმპერატორის ხელისუფლების საკითხზე ამ ტიპის მოსაზრებებს აფიქსირებდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან დანტე ალიგიერი და მარსილიო პადუელი² (English 2005: 32-33; 477). სასულიერო პირთა მიერ იმპერატორის კურთხევის თაობაზე მარსილიო პადუელის „მშვიდობის დამცველში“ (1324) ვკითხულობთ, რომ „ასეთი სახის საზეიმო რიტუალები არ გადასცემენ ძალაუფლებას, უბრალოდ, გამოკვეთენ უკვე მიღებულ ან მინიჭებულ ძალაუფლებას“, აგრეთვე, იგი, უდავოდ, სწორად ასაბუთებს, როცა ხაზს უსვამს, რომ ერთ პირზე (პაპზე) რომ იყოს ყველაფერი დამოკიდებული, ამომრჩევლები არც კი იარსებებდნენ (Из „Защитника мира“... 1961: 437-438). დანტეც საკუთარ ნაწარმოებში, სახელწოდებით „მონარქიის შესახებ“, ანვითარებს მსჯელობას, რომ ერთადერთი კანონიერი პოლიტიკური ძალაუფლება იმპერატორია და მას ეკლესიაც უნდა ემორჩილებოდეს (Ryan 2013: 266).

საბოლოოდ, კარლ IV-ის გამეფებამდე, შემდეგი ვითარება გვქონდა:

პაპი ყოველმხრივ გამოძევებულია იმპერატორის ხელისუფლების დამტკიცება-არჩევის საკითხში;

იმპერატორის ასარჩევად საკმარისია კურფიურსტთა უმრავლესობა, ამასთან, არ გვაქვს რეგულაცია, რომელიც გადაწყვეტს, რა მოხდება, თუკი ვერ მიიღწევა ეს მინიმალური ზღვარი (პაპი, როგორც ვიცით, ვერ ჩაერევა);

კურფიურსტთა ოდენობა მაინც სადავოა, ბოჰემიის მეფე კი რჩება

1 ეს არის „ავინიონის ტყვეობის“ პერიოდი (1309-1377), როცა პაპმა ადგილსამყოფელი შეიცვალა და საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცა.

2 მარსილიო პადუელი (1275/80-1343) იყო იტალიელი პოლიტიკური თეორეტიკოსი, რომელიც ცხარედ ეწინააღმდეგებოდა პაპს. „მშვიდობის დამცველის“ გამოქვეყნების შემდეგ იგი ეკლესიიდან განკვეთეს კიდევ.

არჩევნების მიღმა.

მიუხედავად ყველაფრისა, ეკლესია მაინც რჩებოდა ანგარიშგასაწევ ძალად, ვინაიდან მისი გავლენიანი წარმომადგენლები (სამი არქიეპისკოპოსი) მნიშვნელოვან წილს შეადგენდნენ კურფიურსტთა შორის, მათთან დაძაბული ურთიერთობა კი კარგს არაფერს უქადდა ხელმწიფეს. მეტიც, სწორედ პაპის ინიციატივით ჩატარდა 1346 წლის არჩევნები, რომელშიც ხუთი მთავარი მონაწილეობდა და ანტიმეფე გახდა კარლ IV, ლუდვიგის საპირწონედ. როგორც ჩანს, ამ პროცესში ტრირის არქიეპისკოპოსის როლი იმდენად დიდი იყო, რომ იგი მთელი 10 წლის განმავლობაში კარლის ერთ-ერთ უახლოეს მრჩევლად გამოდიოდა (ჯერ კიდევ არჩევამდე მან გარკვეული პრივილეგიები უბოძა ამ პირს (Гордейчук 2017: 109; Wilson 2016: 725, 389), შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კარლმა გონივრულად გათვალა ხელისუფლებაში მოსვლის გზა და შეიმზადა ნიადაგი.

პაპთან ურთიერთობაშიც, როგორც ჩანს, კარლი იყო ფრთხილი: უპირველესად, როგორც აღვნიშნეთ, მას გვირგვინი სწორედ რომის პაპმა დაადგა, რაც კარლის მხრიდან მისი უფლების აღიარებად უნდა მივიჩნიოთ. საყურადღებოა, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ კარლი პაპთან შეთანხმებისამებრ მოიქცა და კორონაციასთან დაკავშირებით ერთ დღეზე მეტხანს არ გაჩერებულა რომში (Canning 1991: 344). ამით, როგორც ჩანს, გამოიხატა, რომ იმპერატორს არ ჰქონდა რომსა და იტალიაზე რეალური ბატონობის პრეტენზია. მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, „ოქროს ბულის“ მიღების მომენტისთვის ეკლესია (უპირველესად, პაპი) მაინც აღარ იყო ისეთი ძლიერი ფიგურა, როგორსაც საერო ხელისუფლებაზე უპირობო ბატონობის ამბიცია ექნებოდა (როგორც, ვთქვათ, კლიუნურ-გრიგორიანულ ეპოქაში).

ახლა კი შევუდგეთ იმის განხილვას, თუ როგორ მოაწესრიგა 1356 წლის აქტით იმპერატორმა კარლმა ხელმწიფის არჩევის პრობლემა. საყურადღებოა, რომ „ოქროს ბულაში“ მკაფიოდ იგრძნობა, თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდებოდნენ მონარქის არჩევის საკითხს. ამასთან, ზოგადად, შუა საუკუნეებში მონარქის არჩევითობას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, იგი მიაჩნდათ საღვთო (*ius divinum*) და ბუნებითი სამართლის (*ius naturale*) შესაბამისად (Gierke 1900: 42). „ოქროს ბულაში“ არაერთხელაა ნახსენები, რომ ცალკეული პროცედურები ეყრდნობა ტრადიციებს, ჩვეულებებს („ოქროს ბულის“ 1.1 მუხლი). არჩევნების ადგილიც მსგავსი (ჩვეულებითი) მიდგომით განისაზღვრა: ეს იყო ფრანკფურტი,

თუმცა პირველადი კორონაცია ტარდებოდა აახენში, პირველი საიმპეროო სხდომა – ნიურნბერგში (მე-9 მუხლი) (The Golden Bull... 1903: 222, 259).

უნდა ითქვას, რომ „ოქროს ბულით“ არჩევნები მაღალ დონეზე წესრიგდება. უპირველესად, ბულაში განსაზღვრულია მაინცის არქიეპისკოპოსის მოვალეობა, იმპერატორის გარდაცვალების შეტყობიდან 1 თვის ვადაში წერილობით ეცნობებინა კურფიურსტთათვის ამბავი და მოეწვია ისინი არჩევნებზე იმ თარიღის მითითებით, რომლიდანაც 3 თვის ვადაში ევალეობდათ ფრანკფურტში გამოცხადება. მეტიც, აქტი იმასაც ითვალისწინებს, თუ რა ხდება, როცა რაიმე მიზეზით პასუხისმგებელი პირი დაარღვევდა თავის ვალდებულებას: 3 თვის ვადაში ამომრჩევლები უნდა შეკრებილიყვნენ თავიანთი ნებით (1.15-16 მუხლი) (იქვე 1903: 226-227), რაც, გამორიცხავდა პროცესის ზედმეტად დაყოვნებას. საყურადღებოა, რომ ბულაში მოსაწვევის ნიმუშიც არის წარმოდგენილი, სადაც ადრესატი გაფრთხილებულია საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ (მოკლედ) (მე-18 მუხლი) (იქვე 1903: 247).

არჩევნებზე სავალდებულო იყო კანდიდატისა და კურფიურსტების გამოცხადება (წარმომადგენლის სახით მაინც) (1.1 მუხლი) (The Golden Bull... 1903: 222). შესაბამისად, ვასკვნიტ, რომ არ დაიშვებოდა აბსენტიზმი: პირს არ შეეძლო თავის არიდება და პროცესზე გამოუცხადებლობა. დაგვიანებული ამომრჩეველი დაიშვებოდა არჩევნების დამთავრებამდე, თუმცა ზუსტად იმ სტადიაზე, რომლის დროსაც მოვიდა (2.4 მუხლი) (იქვე: 230), სპეციალურად მისთვის, უკვე განვლილ საფეხურებს თავიდან არ გაივლიდნენ. არჩევნებზე გამოუცხადებლობა ან ადგილის დატოვება (წარმომადგენლობითი ინსტიტუტით სარგებლობის გარეშე) საარჩევნო ხმის დაკარგვას იწვევდა, თუმცა მხოლოდ ერთჯერადად (1.18 მუხლი) (The Golden Bull... 1903: 227-228).

აქტი გონივრულად უდგება იმ საკითხს, რომ სავალდებულო გამოცხადების წესი ადვილი დასაცავი ვერ იქნებოდა. შესაძლოა, გამოჩენილიყო რაიმე სახის საპატიო მიზეზი, რომლის გამოც კურფიურსტი ვერ შეძლებდა დასწრებას. სწორედ ამისათვის „ოქროს ბულა“ ამომრჩეველი მთავრებისთვის ითვალისწინებს ერთ ძალზე პრაქტიკულ და უძველეს ინსტიტუტს – წარმომადგენლობას. მოცემულია მინდობილობის ნიმუშიც, რომლითაც კურფიურსტი შერჩეულ პირებს ანიჭებდა სრულ უფლებამოსილებას, ჩაენაცვლებინათ იგი არჩევნებზე და გამოევიდნათ ნება (მე-19 მუხლი) (იქვე: 248-249). განსაზღვრულია მინდობი-

ლობის ფორმაც: ეს იქნებოდა წერილი დალუქული ბეჭდით. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ აქტში წარმომადგენელი ხან მხოლოდით, ხან მრავლობით რიცხვში მოიხსენიება (1.18 მუხლი) (იქვე: 227-228). მინდობილობის ნიმუშში ორი ცარიელი სივრცეა გამოყოფილი მინდობილ პირთა სახელებისათვის („და“ კავშირით), შემდგომში კი ნახსენებია ერთი ან მეტი უფლებამოსილი პირის არსებობა (მე-19 მუხლი) (იქვე: 248). ეს აშკარას ხდის, რომ წარმომადგენლობა ერთი ადამიანით არ შემოიფარგლებოდა. ბულაში ვკითხულობთ: „აღჭურვეთ ისინი და ყოველი მათგანი, სრულად, ყველა უფლებით... ისე, რომ იმის მდგომარეობა, ვინც მოქმედებს კონკრეტულ მომენტში, არ იყოს უკეთესი, ვიდრე მეორისა, მაგრამ, რაც ერთმა დაიწყო, შესაძლებელია... კანონიერად შეწყვიტოს მეორემ“. აქედან ცხადი ხდება, რომ თითოეულ წარმომადგენელს შეეძლო ქმედების დამოუკიდებლად და სრულად განხორციელება, თუმცა მეორეს ჰქონდა ჩარევის უფლება, თუკი არსებობდა სათანადო საფუძველი. რაც შეეხება წარმომადგენლობის ვინაობას, როგორც ბულიდან ჩანს (29-ე მუხლი), იგი ნებისმიერი „ღირსებისა თუ რანგის“ პირი შეიძლება ყოფილიყო. ამასთან, ვხედავთ მხოლოდ ერთ ასპექტს, რომელშიც შეზღუდული იყო მინდობილი პირი, მიუხედავად იმისა, რომ სრულ უფლებამოსილებას ფლობდა – მას არ ჰქონდა იმ ადგილას (თუნდაც მაგიდასთან) დაჯდომის უფლება, რომელიც მარწმუნებლისთვის იყო გამოყოფილი (იქვე: 259).

არჩევნებზე მიმავალ (ან უკან მომავალ) კურფიურსტებს (ან წარმომადგენლებს) წინ არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვედროდათ, პირიქით, სხვა კურფიურსტს, კეთილსინდისიერების, კეთილმოპყრობის დაცვით, კოლეგის დელეგაცია უნდა გაეტარებინა საკუთარ ტერიტორიებზე და გაეყოლებინა ესკორტიც (მსგავსი ვალდებულება ჰქონდა ყველა სხვა მთავარს, ფეოდალს, მოქალაქეს, გილდიას). ნებისმიერი კონფლიქტი, მტრობა, წყენა, გვერდით უნდა გადაედო ყველას, კურფიურსტების ჩათვლით. შემუშავებულ ნორმათა დამრღვევი ან დაუმორჩილებელი (მით უმეტეს, რომ სავალდებულო იყო წერილობითა და ფიცით დადასტურება, რომ შეასრულებდნენ პირობებს) ისჯებოდა ყველა უფლება-პრივილეგიისა და ქონება-სამფლობელოს დაკარგვით. კურფიურსტის შემთხვევაში, სასჯელი, ვფიქრობთ, ლოგიკურად ივრცობოდა – იგი გამოეთიშებოდა ამომრჩეველთა კოლეგიას (შესაბამისად, კარგავდა ხმასა და ყველა პრივილეგიას) (1.1-6 მუხლი) (იქვე: 222-225). ნებისმიერი ამომრჩეველი მთავრისთვის, რომელიც ამდენი ხანი

იბრძოდა საკუთარი მდგომარეობისა და ადგილის განსამტკიცებლად, უდავოდ, უარეს სასჯელს ვერც კი მოიფიქრებდნენ.

ზემოთ განხილული ნორმებიდან იკვეთება, რომ ყველანაირად უნდა ყოფილიყო გარანტირებული არჩევნების მოწესრიგებულად ჩატარება, ექსცესების გარეშე. სახელმწიფო ინტერესი იყო უზენაესი და მას უნდა გადაეფარა ნებისმიერი სუბიექტური დაბრკოლება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასვამდა დაღს იმპერიას. ყველას უნდა ეცა პატივი ერთმანეთისა და საარჩევნო პროცესისთვის, ამასთან, როგორც აქტში ვხედავთ, წესრიგის უზრუნველსაყოფ სუბიექტურ საშუალებებად მიიჩნეოდა სასჯელის შიში (1.4 მუხლი) და ფიცი (1.5 მუხლი) (იქვე: 224) (საყურადღებოა, რომ წესების დარღვევა ფიცის გატეხას უდრიდა (მაგ., 1.1 მუხლი) (იქვე: 222).

გადაადგილებისას ესკორტის ყოლა ნებაყოფლობითი იყო. ბულაში ვკითხულობთ: „ყოველმა კურფიურსტმა, რომელსაც მოესურვება ასეთი თანხლება“, წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე, მარშრუტის მითითებით, რათა სათანადო პირებმა მოასწრონ ყველაფრის ჯეროვნად ორგანიზება (1.13 მუხლი) (იქვე: 226). რა თქმა უნდა, უარი არ დაიშვებოდა, ვინაიდან ეს იყო ვალდებულება, რომლის დარღვევაც პასუხისმგებლობას იწვევდა.

ფრანკფურტში შესვლისას ერთ კურფიურსტზე 200-ზე მეტი მხედრის თანხლება არ დაიშვებოდა (1.17 მუხლი). აქაური მოქალაქეები ბიბლიაზე ფიცს დებდნენ, რომ დაიცავდნენ კურფიურსტებს თავდასხმისგან, მათ შორის, ერთმანეთისგან (1.19 მუხლი) (The Golden Bull... 1903: 227-228).

ფრანკფურტში ჩასვლიდან მეორე დღესვე, კურფიურსტების ინიციატივითა და თანდასწრებით, წმ. ბართლომე მოციქულის ეკლესიაში უნდა ჩატარებულიყო მესა, ემღერათ საგალობელი, რათა „თავად სულიწმიდას გაენათებინა მათი გულები... რათა... აერჩიათ სამართლიანი, კეთილი და სასარგებლო ადამიანი რომაელთა მეფედ და მომავალ იმპერატორად და ქრისტეს ხალხის დამცველად“ (2.1 მუხლი) (იქვე: 229). აღნიშნული იმის დასტურად უნდა აღვიქვათ, რომ კურფიურსტები ღვთის ნების გამტარი იყვნენ და სწორედ ამგვარად მოდიოდა ხელისუფლებაში მეფე (იმპერატორი). ეკლესიაშივე კურფიურსტები იფიცებოდნენ, რომ მათი არჩევანი (უნდა აერჩიათ „შესაფერისი“ პირი, საკუთარი გონიერებისა და გამჭრიახობის ფარგლებში) იქნებოდა მიუკერძოებელი (მოსყიდვის, გარიგების გარეშე), იგი უნდა დაჰყრდნობოდა იმ რწმენას, რომელიც მათ „აკავშირებდა ღმერთსა და საღვთო

რომის იმპერიასთან“ (2.2 მუხლი) (იქვე: 229-230). მაშასადამე, კიდევ ერთხელ იკვეთება, თუ როგორი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ კურფიურსტებს, ამასთან, ეს იყო პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ღვთის, არამედ თავად სახელმწიფოს წინაშეც. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შუა საუკუნეებში ამ პერიოდისთვის უკვე შეიმჩნევა სახალხო სუვერენიტეტის გამოვლინებებიც და ლეოპოლდ ფონ ბაბენბერგმა,¹ პირველმა გააჟღერა, რომ კურფიურსტები (უპირველესად, იმპერატორის არჩევისას) იყვნენ ხალხის წარმომადგენლები (Gierke 1900: 66). მართალია, ასეთი რამ არჩევნებთან დაკავშირებით „ოქროს ბულაში“ პირდაპირ არ იკითხება, თუმცა, მის უკანასკნელ მუხლში ნახსენებია, რომ კურფიურსტები იმპერიას ეხმარებოდნენ იქ მოსახლე სხვადასხვა ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში (The Golden Bull... 1903: 261), რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს ბაბენბერგის ნააზრევის საფუძვლიანობაზე. საყურადღებოა, რომ არჩევითობის გაგებაც იმ დროს სხვაგვარი იყო. თანამედროვე მიდგომით, არჩევნები ხელისუფლების მბოჭავი და პასუხისმგებლობის დამკისრებელი საშუალებაა, ხოლო, მარსილიო პადუელის აზრით („მშვიდობის დამცველი“), ეს იყო იმის უზრუნველსაყოფი მექანიზმი, რომ მმართველი იქნებოდა ბრძენი (Ryan 2013: 276). ბულაშიც ამგვარ აქცენტებს ვამჩნევთ: უნდა არჩეულიყო სათანადო პიროვნული თვისებების მქონე იმპერატორი, ლიდერი, თუმცა, ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ მას პასუხი მოეთხოვებოდა ამომრჩევლებისა და სახელმწიფოს წინაშეც.

ბულამ პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრე ჩაკეტა – იგი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი კურფიურსტთაგანი (2.5 მუხლი) (The Golden Bull... 1903: 231). ასეთი გზით, კურფიურსტები, პრაქტიკულად, საკუთარ პოზიციებსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. შეიკვეცებოდა იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც ექნებოდათ პრეტენზია იმპერატორობაზე, ეს კი, რა თქმა უნდა, ნაკლებ დავასაც გამოიწვევდა კანდიდატთან დაკავშირებით. მცირდებოდა ალბათობა, რომ პრეტენზიები გარეშე პირს გაუჩნდებოდა, რომელიც შემდგომში შეეცილებოდა მთავრებს ძალაუფლებაში და ჩაშლიდა კურფიურსტთა „ნაშენებ“ სისტემას.

ეკლესიაში ფიცის შემდეგ იწყებოდა არჩევნები, რომელიც 30 დღე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში დაუშვებელი იყო დაშლა, სანამ ხმათა უმრავლესობით არ აირჩეოდა მონარქი. აქტი ყოველგვარ

1 ლეოპოლდ ფონ ბაბენბერგი (1297-1363) იყო ბამბერგის ეპისკოპოსი, პოლიტიკის თეორეტიკოსი, კანონისტი იურისტი.

წნებს იყენებს იმისათვის, რათა არჩევნები აუცილებლად შედეგიანი აღმოჩნდეს: გარდა იმისა, რომ კურფიურსტი ადგილიდან ფეხს ვერ მოიცილიდა (უკიდურეს შემთხვევაში – ისარგებლებდა წარმომადგენლობის ინსტიტუტით), გამოიყენებოდა მტანჯველი ზომაც: თუკი ამ ვადაში ვერ მიიღწეოდა უბრალო უმრავლესობა, ამომრჩევლები იძულებული იყვნენ, მხოლოდ პურითა და წყლით ეცხოვრათ (რა თქმა უნდა, ისევ ქალაქის დატოვების აკრძალვით), ვიდრე არ მიაღწევდნენ ხმების სათანადო ოდენობას (2.3 მუხლი) (იქვე: 230). შესაბამისად, ასეთი გზებით მინიმუმამდე დაიყვანებოდა იმის ალბათობა, რომ, სულ ცოტა, უმრავლესობა მაინც ვერ აირჩევდა მეფეს. უდავოდ, ამჯერად სრულფასოვნად გაითვალისწინეს წარსული გამოცდილება, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, კანონი არასოდეს ითვალისწინებდა მინიმალური ზღვრის მიუღწევლობის შემთხვევას. ამასთან, კურფიურსტთა ზემოხსენებული ფიცის მიზნობრივი განმარტებიდან გამომდინარე, ამომრჩეველს არ ექნებოდა უფლება, ხმის მიცემისგან თავი შეეკავებინა და რომც ჰქონოდა, წყლისა და პურის „გამოცდით“, ვკონებთ, ეს პრობლემაც დაიძლეოდა.

ხმის მიცემის პროცესს უძღვებოდა მაინცის არქიეპისკოპოსი, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით გამოჰკითხავდა პოზიციას ამომრჩევლებს: 1. ტრირის არქიეპისკოპოსი; 2. კელნის არქიეპისკოპოსი (იგი პირველი ადგამდა სამეფო გვირგვინს); 3. ჩეხეთის მეფე; 4. რაინის პფალცგრაფი; 5. საქსონიის ჰერცოგი; 6. ბრანდენბურგის მარკგრაფი; 7. მაინცის არქიეპისკოპოსი (თავად მას კურფიურსტები გამოჰკითხავდნენ) (მე-4 მუხლი) (იქვე: 232-233). საბოლოოდ, ამ რეგულაციით დადგინდა: 1. კურფიურსტების რიცხვი და ხმის მიცემის თანმიმდევრობა (შედარებისთვის, იგი განსხვავდება „საქსონიის სარკის“ რიგითობისაგან, თუნდაც მაინცის არქიეპისკოპოსის ბოლო ადგილას გადმონაცვლებით); 2. კურფიურსტების კოლეგიის წევრთა ვინაობა, მათ შორის კი უკვე აღმოჩნდა ჩეხეთიც – შესაბამისად, კარლ IV-მ მიიღო საკუთარი პოზიციის სიმტკიცისა და ხელშეუხებლობის გარანტია, მინიმუმ რომლის გამოც მისთვის, ალბათ, ღირდა წინამდებარე აქტის მიღება. ამომრჩეველთა რიგითობის განსაზღვრისას მუხლში ხაზგასმულიც კია, რომ ჩეხეთის მეფე სამართლიანად იკავებდა პირველ რიგს საერო ამომრჩეველთა შორის (იქვე: 233).

როგორც აღინიშნა, მონარქი ხმათა უბრალო უმრავლესობით აირჩეოდა. საყურადღებოა, რომ როგორი დამაკმაყოფილებელი სხვაობითაც

არ უნდა გაემარჯვა კანდიდატს, ყალიბდებოდა პრეზუმფცია, თითქოს იგი ერთხმად აირჩა (2.4 მუხლი) (The Golden Bull... 1903: 230). საყურადღებოა, რომ ეს გვაგონებს შუა საუკუნეების ქართული სამართლის „ერთნებაობის“ პრინციპს, რომელიც კორპორაციის „ერთ გუამად“ – ერთ სხეულად, განხილვას ეყრდნობოდა და შემდეგ სახელმწიფო მმართველობაშიც გადაიღეს. ზოგადად, „ერთნებაობა“, მართალია, გადაწყვეტილების მიღებისას ერთსულოვნებას გამოხატავდა, რაც კანონიერების წინაპირობა იყო, მაგრამ, ცხადია, ეს ქმნიდა ერთგვარ ფიქციას, ვინაიდან შეუძლებელი იყო გაერთიანების ყველა წევრის აზრის დამთხვევა (ჯავახიშვილი 1929: 211-213). კურფიურსტთა შემთხვევაში, ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა უნდა აიხსნას იმის რწმენით, რომ ღვთიური ნება მაინც აღსრულდა და შეუძლებელია, იგი ნაწილობრივი ყოფილიყო, ამასთან, საფრთხე არ უნდა შეჰქმნოდა არჩეული პირის ლეგალურობა-ლეგიტიმურობას, ეს იყო ერთგვარი გარანტია ხელმწიფის მდგომარეობის სიმტკიცისა და მისი აბსოლუტური მხარდაჭერისა, რომლის არარსებობაც ყოველთვის ქმნიდა პრობლემას.

არჩევნების დასკვნითი ეტაპის რეგულირებაში ძალზე ნათლად აისახა კურფიურსტთა მისწრაფება, განემტკიცებინათ საკუთარი მდგომარეობა. კერძოდ, არჩევნის შემდეგ (დაუყოვნებლივ) ხელმწიფეს თითოეული მათგანისთვის, წერილებითა და ბეჭდებით, ინდივიდუალურად უნდა დაემტკიცებინა უკლებლივ ყველა პრივილეგია, უფლება, ქარტია და სხვა – ყველაფერი, რაც ჰქონდათ არჩევნების მომენტისთვის იმპერიისგან მიღებული, საიმპერიო კორონაციის შემდეგ კი ეს უნდა განმეორებულიყო (2.4. მუხლი) (The Golden Bull... 1903: 230-231). შესაბამისად, მონარქი აკეთებდა ამას ჯერ როგორც მეფე, შემდეგ – იმპერატორი. ნათელია, თუ როგორი დაუოკებელი წყურვილი ჰქონდათ მთავრებს, უცილობლად გაემყარებინათ თავიანთი მდგომარეობა: პირველი, რასაც არჩეული მბრძანებელი აკეთებდა – ეს იყო კურფიურსტთა ინტერესის დაცვა.

საიმპერიო არჩევნების განხილვისას ბულაში არსად ფიგურირებს რომის პაპი. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე წარმოჩნდა, ხელმწიფისთვის წოდების მინიჭება ისევ ორსაფეხურიანი დარჩა – ჯერ ხდებოდა რომაელთა მეფე, შემდეგ – იმპერატორი, რასაც თან სდევდა კურფიურსტთა პრივილეგიების დამტკიცების განმეორება. თუკი ლუდვიგ ბავარიელი პირდაპირ სპობდა პაპის როლს, კარლი მას იგნორირებას უკეთებს. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ისტორიკოსთა შორის გავრცე-

ლებული იყო მოსაზრება, რომ ეს მიუთითებს არა მხოლოდ იმპერატორის სურვილზე, აერიდებინა კონფრონტაცია პაპთან, არამედ იმაზეც, რომ იგი, როგორც იმპერატორი, პიროვნულად ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე იყო (Scales 2012: 86). ასეთი მიდგომა, კონკრეტულად სეკულარიზმის კუთხით, გასაზიარებელი უნდა იყოს: კარლის ნაბიჯებს ვაფასებთ დიპლომატიურად, რაც სახელმწიფო მოღვაწის დადებითი თვისებაა – იგი მოერიდა რადიკალური ნაბიჯების გადადგმას. ამასთან, „ოქროს ბულაში“ საარჩევნო დებულებები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ აშკარა ხდება – იმპერატორს საკუთარი ძალაუფლების შესაძენად სულაც არ სჭირდებოდა პაპის ჩარევა, აქტი ამ უკანასკნელის მხრიდან არც ერთ ქმედებას არ ითვალისწინებდა, ხოლო კურფიურსტები კი ღვთიური ნების გამტარნი იყვნენ, შესაბამისად, სახელმწიფოს ინტერესი მაინც დაცული აღმოჩნდა.

ყველაფერთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს შემდეგი გარემოება – 7 კურფიურსტიდან, 3 სასულიერო წოდების წარმომადგენელი იყო. ა. გეთიაშვილი მათ ხვედრით წილს პაპის როლს უკავშირებს (გეთიაშვილი 2005: 428), მაშინ, როცა, ჩვენი დაკვირვებით, ლიტერატურაში ხშირად ჟღერდება ცალსახა პოზიცია, რომ პაპის მონაწილეობა თუ გავლენა სრულად აღიკვეთა და არ კეთდება აქცენტი იმაზე, თუ რა გავლენა რჩებოდა ირიბად (Bloom, Crapster... 1958: 49, Жумагулов 2021: 29; Canning 1991: 344-345). რა თქმა უნდა, დასაშვებია, არქივისკოპოსები გამხდარიყვნენ პაპის იარაღიც, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ იმპერატორის ასარჩევად 4 ხმა საკმარისი იყო, სასულიერო წოდება მაინც ვერ გაიტანდა თავისას მარტივად, თუკი საერო კატეგორიიდან 1 მხარდამჭერი (უხეშად რომ ვთქვათ, „თავისიანი“) მაინც არ ეყოლებოდა, შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ სამოციქულო ტახტი აბსოლუტურად თავისუფლად შეძლებდა არჩევნებში ჩარევას, ამასთან, საეკლესიო როლის იგნორირებაც შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ გადამწყვეტი – მე-7 ხმა მაინცის არქივისკოპოსს ეკუთვნოდა. სწორედ ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ პაპის პოზიცია „ოქროს ბულით“ შესუსტდა, იგი პირდაპირი სახით ვერანაირად ვერ ჩაერეოდა არჩევნებში, თუმცა არაპირდაპირი სახით ჩარევის საშუალება მაინც არსებობდა.

დავუბრუნდეთ ხელმწიფის ტიტულის ორსაფეხურიანობას. არაერთხელ გამოჩნდა, რომ პაპის არჩევნებიდან გამოთიშვა არ ნიშნავდა იმას, რომ მეფედ არჩეული ავტომატურად გახდებოდა იმპერატორი. მაგრამ, საკითხავია, იყო კი სხვაობა ამ ორ ტიტულს შორის? ამ კუთხით,

ვფიქრობთ, უნდა დავაკვირდეთ რამდენიმე მომენტს:

1. კურფიურსტების არჩევანი უკვე იყო ღვთის ნების გამოვლინება, შესაბამისად, პაპი მასში ვეღარ ჩაერეოდა და აქტი არც ითვალისწინებდა რაიმე სახის აპრობაციის მექანიზმს სამოციქულო ტახტის მხრიდან;

2. რომაელთა მეფის არჩევის მიზანი ის იყო, რომ იგი გამხდარიყო გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის (მთელი სახელმწიფოს) უმაღლესი ხელისუფალი, „რომაელთა მეფე“ (რომელსაც გერმანიის მეფესაც ვუწოდებთ), იგი არ იყო იმპერიის რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის მბრძანებელი, იმთავითვე ჰქონდა ზოგადი ხასიათი;

3. როგორც ვიცით, ახალარჩეული ხელმწიფე უმტკიცებდა ამომრჩევლებს იმ სტატუსს, რომელიც მათ არჩევნების დღისთვის ჰქონდათ იმპერიისგან მიღებული, იმპერატორის ტიტულის მიღების შემდეგ კი იმეორებდა. გამოდის, რომ მას იმპერიის სახელით მოქმედების უფლება ჯერ კიდევ მხოლოდ მეფის ტიტულის ფარგლებშიც ჰქონდა.

ყველაფერ ზემოაღნიშნულს, ვფიქრობთ, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ არჩეული პირი, დაუყოვნებლივ იძენდა საიმპერიო ხელისუფლებას, მისი კანონიერება და ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ ვერ დადგებოდა. შესაბამისად, როგორც მარსილიო პადუელი აღნიშნავდა, პაპის ჩატარებული ნებისმიერი სახის რიტუალი მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იქნებოდა და არა რაიმე სახის ძალაუფლების მინიჭება (Из „Защитника мира“... 1961: 437). მართლაც, პაპების მიერ საიმპერიო გვირგვინის დადგმის (იმპერატორად კურთხევის) აუცილებლობა 1508 წლამდე მოქმედებდა, სანამ პაპმა არ აღიარა, რომ მეფედ არჩევა ავტომატურად უნდა მიჩნეულიყო იმპერატორის ძალაუფლების მიღებადაც (ხოლო უკანასკნელად პაპმა კარლ V აკურთხა 1530 წელს) (Wilson 2016: 737, 739), თუმცა, ასეც რომ არ მომხდარიყო, ოქროს ბულის ფორმულირება უკვე ნიშნავდა იმას, რომ პაპის კურთხევას არ ჰქონდა არანაირი სახელისუფლებო დატვირთვა, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იმპერატორის ტიტულის მინიჭება (Canning 1991: 344-345).

საბოლოოდ, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი დებულება, რომლებიც წარმოაჩენს „ოქროს ბულის“ მნიშვნელობას საღვთო რომის იმპერიის მონარქის არჩევის რეგულირებაში:

1. ბულით საბოლოოდ გადაწყდა და დადგინდა გერმანიის იმპერატორის არჩევის წესი, კურფიურსტთა რიცხვი (მათ შორის აღმოჩნდა ჩეხეთის მეფეც) და ხმათა საჭირო ოდენობა

(უბრალო უმრავლესობა), რაც გამორიცხავდა გაუგებრობებს არჩევნებისას. საარჩევნო პროცედურები უმცირეს დეტალბამდე იყო რეგულირებული, მოიცავდა პრევენციულ მექანიზმებსა და სანქციებს, რომლებსაც უნდა უზრუნველყო პროცესის ჯეროვნად წარმართვა. ბულაში მკაფიოდ წარმოჩნდა, რომ არჩევნები იყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ღონისძიება და არაფერს უნდა დაებრკოლებინა არც მისი ჩატარება, არც იმპერატორის ასარჩევად შეთანხმებამდე მიღწევა. ამასთან, კანდიდატთა წრე თავად ამომრჩეველ მთავრებამდე – კურფიურსტებამდე, დავინროვდა. იმპერატორის არჩევის თაობაზე ხანგრძლივ დავას იურიდიულად დაესვა წერტილი.

2. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პაპი, რომელიც საერთოდ აღარ იყო ნახსენები აქტში, ოფიციალური სახით, სრულად გამოეთიშა არჩევნებს, თუმცა წმინდა ტახტის გავლენა ირიბად იგრძნობოდა, ვინაიდან 7 კურფიურსტიდან 3 იყო სასულიერო პირი, რაც, გარკვეულწილად, მაინც აძლევდა ეკლესიას მანიპულაციის საშუალებას. მონარქის ტიტულის ორსაფეხურიანობაც (ჯერ მეფე, შემდეგ – იმპერატორი) ისევ უცვლელი რჩებოდა, მიუხედავად ამისა, საბოლოოდ გახდა ნათელი, რომ იმპერატორის სახელისუფლებო სტატუსი პაპის კურთხევით არ განისაზღვრებოდა.
3. მონარქი ინარჩუნებდა ძალაუფლების ღვთიურ საწყისებს და კურფიურსტებიც, როგორც აქტიდან ჩანს, ღვთის წინაშე ნაკისრი პასუხისმგებლობით ირჩევდნენ მას. ასეთი მიდგომა შეესაბამებოდა შუა საუკუნეების პოლიტიკურ-სამართლებრივ ხედვებს, რომლებიც იზიარებდნენ არჩევითობის პრინციპს. გარკვეული კუთხით, თავს იჩენს ისეთი გაგებაც, რომ კურფიურსტები მონარქის არჩევნისას ხალხის ნების გამომხატველებიც იყვნენ, რაზეც აქტი მკაფიოდ არ საუბრობს, თუმცა მიგვანიშნებს კავშირზე კურფიურსტებსა და ხალხს შორის.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ გარიშვილი, ხოფერია 2014: გარიშვილი მარინა, ხოფერია მარიამ, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, თბილისი: „მერიდიანი“, 2014;

- ▶ გეთიაშვილი 2005: გეთიაშვილი აკაკი, გერმანია XIII-XV საუკუნეებში. აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის კოლონიზაცია, წიგნში შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, რედ. გ. კუტალია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005;
- ▶ ლუდვიგ ბავარიელის მანიფესტი... 1962: ლუდვიგ ბავარიელის მანიფესტი საერო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ (1338), თარგმნი ი. დოლიძემ, წიგნში: შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI-XIV სს.), შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962;
- ▶ ხუბაშვილი 2005: ხუბაშვილი ია, გერმანია, იტალია და პაპობა XII-XIII საუკუნეებში, წიგნში: შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, რედ. გ. კუტალია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005;
- ▶ ჭავჭავაძე 1929: ჭავჭავაძე ივანე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1929.
- ▶ Bloom, Crapster... 1958: Bloom Robert L., Crapster Basil L., Dunkelberger Harold A., Glatfelter Charles H., Mara Richard T., Richardson Norman E., Schubart W. Richard, The Holy Roman Empire: A Monarchical Failure, The Contemporary Civilization (Ideas and Institutions of Western Man). Section V: The Rise of Capitalism and the National State to 1500, Gettysburg, 1958, გვ. 44-50;
- ▶ Canning 1991: Canning Joseph, Introduction: politics, institutions, and ideas, from The Cambridge History of Medieval Political Thought c.350-c.1450, edit. J. H. Burns, Cambridge: Cambridge University Press, 1991;
- ▶ Denley 2001: Denley Peter, The Mediterranean in the Age of Renaissance, 1200-1500, from The Oxford Illustrated History of Medieval Europe, Oxford, Oxford University Press, 2001;
- ▶ English 2005: Encyclopedia of the Medieval World, by E. D. English, New York: Facts On File, 2005;
- ▶ Germany, Constitutional conflicts... 2022: Germany, Constitutional conflicts in the 14th-century, Encyclopedia Britannica, 2022. ხელმისაწვდომია <https://www.britannica.com/place/Germany/Constitutional-conflicts-in-the-14th-century> ბოლოს დამონმებულია 15.11.2022;
- ▶ Gierke 1900: Gierke Otto, Political Theories of the Middle Age, translated with an introduction by F. W. Maitland, Cambridge: Cambridge University Press, 1900;
- ▶ Hlaváček 2000: Hlaváček Ivan, The Luxemburgs and Rupert of the Palatinate, from The New Cambridge Medieval History, Volume VI, c. 1300 – c. 1415, edit. M. Jones, Cambridge, 2000;
- ▶ Ryan 2013: Ryan Alan, On Politics: A History of Political Thought: From Herodotus to the Present, London: Penguin Books, 2013;

- ▶ Scales 2012: Scales Len, Re-staging the Reich: the life and times of the Golden Bull (1356), Bulletin of international medieval research, 17-18, 2012, გვ. 82-104. ხელმისაწვდომია <https://dro.dur.ac.uk/19146/> ბოლოს დამოწმებულია 18.11.2022;
- ▶ The Golden Bull... 1903: The Golden Bull of the Emperor Charles IV (1356 A. D.), translated by E. F. Henderson, from Select Historical Documents of the Middle Ages, translated and edited by E. F. Henderson, London: George Bell and Sons, 1903;
- ▶ Wilson 2016: Wilson Peter H., Heart of Europe: A History of the Holy Roman Empire, Cambridge (Massachusetts): The Belknap Press of Harvard University Press, 2016;
- ▶ Бойцов 1989: Бойцов Михаил Анатольевич, Золотая булла 1356 г. и королевская власть в Германии во второй половине XIV в., ჟურნ. Средние века. Сборник. Выпуск 52, Москва, 1989, გვ. 25-47;
- ▶ Гордейчук 2017: Гордейчук Сергей Сергеевич, Политика Карла IV Люксембурга по отношению к духовенству Священной Римской империи, Религия и общество – 11. Сборник научных статей XI Международной научно-практической конференции, Могилев, 2017, გვ. 108-111;
- ▶ Декреталий „VENERABILEM“... 1961: Декреталий „VENERABILEM“ Иннокентия III в пользу Оттона IV (март 1202 года), перевод С. Н. Ставровского, в книге Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, ред. В. М. Корецкий, Москва: „Государственное издательство юридической литературы“, 1961;
- ▶ Жумагулов 2021: Жумагулов Санжар Калкаманович, О Месте Чехии в Политическом Развитии Германии при Карле IV, Вестник КРСУ, Т. 21, № 2, Бишкек, 2021, გვ. 26-30;
- ▶ Из „Защитника мира“... 1961: Из „Защитника мира“ („DEFENSOR PACIS“) Марсилия Падуанского (1324 г.), перевод С. Н. Ставровского, в книге Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, ред. В. М. Корецкий, Москва: „Государственное издательство юридической литературы“, 1961;
- ▶ Корецкий 1961: Корецкий Володимир Михайлович, Предисловие к „Золотой Булле“ (1356 г.). წიგნბი: Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, ред. В. М. Корецкий, Москва: „Государственное издательство юридической литературы“, 1961;
- ▶ Курфюрсты 2016: Курфюрсты, Большая российская энциклопедия. Электронная версия, 2016. ხელმისაწვდომია https://bigenc.ru/world_history/text/2123240# ბოლოს დამოწმებულია 14.12.2022;
- ▶ Николаева 2008: Николаева И. Ю., Германия в XII-XV вв., წიგნბი: История Германии: учебное пособие: в 3 томах, т. 1, древнейших времен до создания Германской империи, общ. ред. Б. Бонвеч, Ю. В. Галактионов, Москва: Книжный дом „Университет“, 2008;
- ▶ Резолюция в Рензе... 1961: Резолюция в Рензе относительно

избрания короля (юля 16-го 1338 года), перевод С. Н. Ставровского, в книге Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, ред. В. М. Корецкий, Москва: „Государственное издательство юридической литературы“, 1961;

- ▶ Саксонское Зеркало 1985: Саксонское зеркало: Памятник, комментарии, исследования, отв. ред. В. М. Корецкий, Москва: „Наука“, 1985;
- ▶ Смирин 1977: Смирин Моисей Менделевич, Германия в XIII-XIV вв., бгббд: История средних веков (в двух томах), т. I., общ. ред. С. Д. Сказкин, Москва: „Высшая Школа“, 1977.

Giorgi Chavleishvili

Doctoral program in Law
Faculty of Law, TSU

GERMAN IMPERIAL ELECTION SYSTEM ACCORDING TO THE GOLDEN BULL OF 1356 (SUMMARY)

The present paper reviews the electoral system of the political head – the emperor of Germany, (more precisely, the Holy Roman Empire), according to the imperial act – the Golden Bull (1356). The Golden Bull practically gave a legal form to the actual political situation in the country, to the feudal fragmentation of the state, which is why it is impossible to avoid its discussion when we touch on the medieval German government system. One of the main issues that Bulla deals with is the method of electing the emperor, which remained controversial for a long time and reflected the political influence of the prince-electors. The article explains the essence and meaning of the Golden Bull as an act, also conveys and analyzes the main aspects of the political situation of the empire of that era, discusses why there was a constant conflict between the princes regarding the election of the emperor, what role the Catholic Church and prince-electors had in this problem and where their ambitions had derived from. In the main part, it is distinguished in detail how the method of electing the emperor was regulated by the Bull, what was behind such regulations and what results they brought. The named issue is analyzed from both legal and historical-political points of view, based on medieval sources and various scientific literature. In the end, the basic conclusions and characteristics of the elective system are emphasized.

მუზაფარ აღ-დინ ჯეჰან შაჰის 1440 წლის შემოსევა საქართველოში

საკვანძო სიტყვები: შავბატკნიანი თურქმანები, ისქანდერი, ჯეჰან შაჰი, ალექსანდრე I დიდი, შაჰ რუხი, ლაშქრობის მიზეზები, სამშვილდის ალყა, თბილისი, ბრძოლის ტაქტიკა, ტყვეების რიცხვი, ჯარის რაოდენობა

Keywords: Black Sheep Turkoman, Isqandar, Jehan Shah, Alexander I the great, Shah Rukh, The reasons for the raid, The siege of the city of Samshvilde, Tbilisi, Military Tactics, The number of captives, The number of troops

XV საუკუნე საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პერიოდია. მოცემული საუკუნის შესახებ არსებული ცნობები საკმაოდ მწირია, რადგანაც ქართული ისტორიოგრაფია ამ კუთხით წყაროების სიმცირეს განიცდის. ამ საუკუნეში მოღვაწე თუნდაც მეფეების შესახებ ცნობების ამოღება ძირითადად საბუთებიდან და სიგელ-გუჯრებიდან ხდება. ამ მხრივ, არც თუ ისე უხვია თუნდაც „ახალი ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწავლული ბატონიშვილი ბევრად უფრო ვრცლად წერს თუნდაც XV საუკუნის I ნახევარზე, ვიდრე სხვა ზემოთ ნახსენები წყაროები.

ალექსანდრე I დიდს (1412/13-1442) ქართველ მეფეთა შორის გამოირჩეული ადგილი უკავია. მის სახელთანაა დაკავშირებული ფართო მასშტაბიანი აღმშენებლობითი და აღდგენითი ღონისძიებები, საგადასახადო რეფორმა, წარმატებული საგარეო ლაშქრობები, საკმაოდ მძაფრი ბრძოლები საქართველოს ერთიანობის შენარჩუნების მიზნით სხვადასხვა მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ და სხვა (ლომინაძე 1979: 546-553). ალექსანდრეს მეფობა მომთაბარეების, მათ შორის, შავბატკნიანი თურქმანების, წინააღმდეგ ბრძოლასთანაა გადაჯაჭვული. აქედან აღნიშვნის ღირსია ჯეჰან შაჰის 1440 წლის შემოსევა.

შავბატკნიანების ძლიერების ზენიტი XV საუკუნიდან იწყება, მსოფლიოს დიდი დამპყრობლის, თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ. ამავე პერიოდში სამხრეთ აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე შავბატკნიანთა სახელმწიფოს დაარსებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ყარა-იუსუფს, რომლის დაწყებული საქმეც მალევე გააგრძე-

ლეს მისმა შვილებმა, ჯერ ისქანდერმა, ხოლო შემდეგში ჯეჰან შაჰმა (Jackson and Lockhart 1986: 102-103, 147-189). სწორედ ეს უკანასკნელი 1435 წლიდან ერთპიროვნულად მართავდა შავბატკნიანებს, როგორც თემურიდების ვასალი (Donzel, Lewis and Pellat 1998: 587-588). ჯეჰან შაჰი საქართველოს სამჯერ შემოესია – 1430, 1440 და 1444 წლებში (თავაძე 2013: 24-27). აქედან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ 1440 წლის შემოსევაზე. სტატია დაიყოფა რამდენიმე ნაწილად: 1) საკითხის ისტორიოგრაფია, რა კვლევებია ჩატარებული ჯეჰან შაჰის მოცემულ შემოსევასთან დაკავშირებით; 2) საქართველოსა და შავბატკნიანი თურქმანების ურთიერთობა 1430-იან წლებში და ამავე პერიოდში ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ტერიტორიებზე მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მცირე მიმოხილვა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს სამეფოზე; 3) ჯეჰან შაჰის 1440 წლის შემოსევის მიზეზები; 4) როგორ წარიმართა შავბატკნიანების სამხედრო კამპანია საქართველოს ტერიტორიაზე; 5) რა შედეგით დასრულდა ჯეჰან შაჰის შემოსევა.

განსახილველ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია მარი ბროსემ. მკვლევარი დაეყრდნო XV საუკუნის სომეხი ისტორიკოსის თომა მენოფეცის ცნობებს და მიიჩნია, რომ ჯეჰანმა 1440 წლის შემოსევის დროს აიღო როგორც სამშვილდე, ასევე თბილისიც. მარი ბროსემ ვახუშტი ბატონიშვილთან დაფიქსირებულ ჯეჰანის 1444 წლის ლაშქრობასა და თომა მენოფეცის ნაშრომში ნახსენებ შავბატკნიანების ლიდერის 1440 წლის შემოსევას შორის მსგავსება ვერ იპოვა და შეიძლება ითქვას, რომ ისინი დამოუკიდებელ სამხედრო კამპანიებად აღიქვა (ბროსე 1895: 229-231). ივანე ჯავახიშვილმა გაიმეორა თომა მენოფეცის ცნობა ჯეჰან შაჰის შემოსევასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ალექსანდრე დიდის მხრიდან მოხარკეობაზე უარის თქმის გამო შავბატკნიანები საქართველოში აღდგომას შემოიჭრნენ, აიღეს სამშვილდე და თბილისი, საქართველოდან წაიყვანეს დიდი რაოდენობის ტყვეები და ქვეყანაში მცხოვრებ ქრისტიანებს დაუნესეს საკმაოდ მძიმე გადასახადები. მიუხედავად ამისა, დიდი მეცნიერიც ამჩნევდა ცალსახა განსხვავებას ვახუშტისა და თომას ცნობებს შორის და უმატებდა, რომ სომეხ ისტორიკოსთან დაცული ფაქტებიდან გამომდინარე ბუნდოვანი რჩებოდა, თუ რა სახის დამოკიდებულება დამყარდა საქართველოსა და შავბატკნიანებს შორის ლაშქრობის შემდეგ (ჯავახიშვილი 1982: 248-249). მაგრამ, ვინაიდან და რადგანაც ივანე ჯავახიშვილს სხვა რაიმე ახალი წყარო არ გააჩნდა, მას არ შეეძლო სომეხი ისტორიკოსის ცნობების გა-

დამოწმება.

მიუხედავად იმისა, რომ 1978 წელს გამოვიდა ალექსანდრე აბდალაძის ნაშრომი სომხურიდან თარგმნილ ანდერძ-მინაწერებზე, რომელთაგან 9 მინაწერი ასახავდა 1440 წლის შემოსევას, ქართულ ისტორიოგრაფიაში მაინც მყარად გავრცელდა თომა მენოფეცის ცნობები. თავად ალექსანდრე აბდალაძემ ცალკე ნაშრომი მიუძღვნა XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიას და ჯეჰან შაჰის 1440 წლის შემოსევაც განიხილა. ავტორის აზრით, ჯეჰანის ლაშქარში ერთი სომხური მინაწერის მიხედვით ლეკებიც შედიოდნენ, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ დალესტნელთა შემოსევები საქართველოში იმავე მე-15 საუკუნეში, კერძოდ 1438 წლისთვის უნდა დაწყებულიყო, რასაც უნდა დაესუსტებინა საქართველოს სამეფო. ჯეჰანმა ისარგებლა საქართველოს მძიმე მდგომარეობით, საბაბად გამოიყენა ალექსანდრე მეფის მიერ ხარკის გადახდაზე მტკიცე უარი და შემოესია ქვემო ქართლს, აიღო სამშვილდე და თბილისი, გაჟლიტა მოსახლეობა და დიდი რაოდენობით ტყვე წაასხა. შავბატკნიანების ამ ლაშქრობას უკავშირებს მეცნიერი ალექსანდრე დიდის მიერ შემოღებული გადასახადის – „მალის“ გაუქმებას (აბდალაძე 1976: 82-83). მოცემული ცნობებიც ემყარებოდა, რა თქმა უნდა, თომა მენოფეცს. აქედან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეჰან შაჰის 1440 წლის შემოსევასთან დაკავშირებით თომა მენოფეცის ცნობებიდან გამომდინარე შემდეგმა გაგებამ ფართო გავრცელება ჰპოვა: შავბატკნიანთა ბელადი საქართველოსგან ითხოვს ხარკს, რომელზე უარის საპასუხოდ 1440 წლის აღდგომას შემოიჭრება საქართველოში არდებილის ყადის თანხლებით, ქალაქ სამშვილდის მიდამოებში აღმართავს 1664 მოჭრილი თავისგან შემდგარ კოშკს, აიღებს ქალაქს, საშინლად გაუსწორდება მოსახლეობას, შემდეგში უკვე უზარმაზარი ურდოებით გეზს აიღებს თბილისისკენ, რომლის აღების შემდეგ დაანგრევს ყველა ძველ და ახალ ეკლესიას და საკმაოდ მძიმე ხარკს დაუწესებს ქრისტიან მოსახლეობას (ლომინაძე 1979: 546-553; ნინიძე 1998: 37; ასათიანი, ოთხმეზური, სამსონაძე, ჯამბურია 2012: 105-107).

განსახილველ საკითხს ეხება ლერი თავაძისა და მირიან მახარაძის სტატიებიც. ორივე მეცნიერმა სცადა არსებული წყაროების ახლებური შესწავლის ფონზე ხელახლა გაეანალიზებინა შავბატკნიანების 1440 წლის სამხედრო კამპანია. ავტორებმა მოიძიეს რამდენიმე სრულიად უცნობი სპარსულენოვანი წყაროც და გამოიტანეს საინტერესო დასკვნები. ავტორები, მართალია, რიგ საკითხებთან მიმართებაში

ერთმანეთს ეთანხმებიან, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა თბილისის დაცემის ფაქტთან დაკავშირებით. უფრო ვრცლად მათ მოსაზრებებზე ქვემოთ ვისაუბრებ.

1430-იანი წლების დასაწყისისათვის შავბატკნიანთა მმართველი ჯეჰანის ძმა, ისქანდერი იყო. ამ დროს ძმებს შორის ადრე დაწყებული კონფლიქტი მოგვარებული იყო მათი დედის დახმარებით (მახარაძე 2015: 69-70). ისქანდერი ჩრდილოეთ ირანსა და სამხრეთ აზერბაიჯანში გაბატონებას ცდილობდა, გარდა ამისა, პრეტენზიას აცხადებდა ირანის მნიშვნელოვან ქალაქებზეც, რითაც ის წინააღმდეგობას უწევდა ჩალატაელთა ტერიტორიულ ექსპანსიას (Donzel, Lewis and Pellat 1998: 586). თემურიდების მმართველი შაჰ რუხი, თემურ-ლენგის შვილი იყო და მამისეული იმპერიის აღდგენით იყო დაკავებული. შავბატკნიანების წინააღმდეგ მას სულ სამი სამხედრო ექსპედიციის მოწყობა დასჭირდა, რათა თანამედროვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაბატონებულიყო – 1420-21 წწ., 1429 წ. და 1434-38 წლებში (Jackson and Lockhart 1986: 102-103). საქართველო ამ დროს შაჰ რუხის არა ვასალურ-მოხარვე ქვეყანას, არამედ მოკავშირეს წარმოადგენდა და გააფთრებით ებრძოდა შავბატკნიან თურქმანებს, რითაც ასუსტებდა ისქანდერის სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, ისქანდერი 1431 წელს საქართველოში შემოიჭრა და საშინლად ააოხრა იგი (ჰასან რუმლუს... 1966: 79). ვფიქრობ, ამ ცნობის გადამოწმება შესაძლებელია. მართალია, ჰასან რუმლუსთან დაფიქსირებული ცნობა ქართული წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ ამ კუთხით მნიშვნელოვანია ნუმისმატიკური მასალა. საქმე ისაა, რომ ისქანდერი 1431 წელს ლაშქრობს შირვანის ტერიტორიაზე (Metsobets'ias 1987: 17). შირვანი გეოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ ახლოს მდებარეობდა კახეთთან, რომელთანაც მას მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაც აკავშირებდა. ერთ-ერთი ასეთი მსხვილი სავაჭრო-საქარავნო გზა, დიდი ალბათობით, გადიოდა თანამედროვე ლაგოდეხის ტერიტორიაზე, სადაც 1964 წელს აღმოაჩინეს 46 შირვანული თანგა, ანუ ვერცხლის მონეტა (დუნდუა... 2011: 71-73). ასეთი განძების მიწაში დაფლვა, უმეტესწილად, ომიანობის შიშით იყო გამოწვეული, როდესაც კონკრეტულ ტერიტორიაზე მტრის შემოჭრის საფრთხე არსებობდა. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგეს, რომ დიდი რაოდენობით განძეულობა და ნადავლი არ ჩავარდნოდა ხელში, მას ხშირად მიწაში ფლობდნენ ხოლმე. ლაგოდეხის განძის ჩაფლობის თარიღად ივარაუდება 1426-27 წლების შემდეგ არ-

სებული პერიოდი (დუნდუა... 2011: 71). ვფიქრობ, აღნიშნული განძის ჩაფლობა ისქანდერის ლაშქრობასთან უნდა იყოს კავშირში. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი მოსაზრება სწორია, მაშინ შემდეგ სურათს ვიღებთ – 1431 წელს ისქანდერი სამხედრო კამპანიას აწყობს შირვანის წინააღმდეგ, რა დროსაც ის შემოიჭრება კახეთში და თანამედროვე ლაგოდეხის ტერიტორიის მიმართულებით აგრძელებს ლაშქრობას. როგორც ჩანს, ამას გულისხმობდა ჰასან რუმლუც, როცა ისქანდერის საქართველოში შემოჭრაზე წერდა. შავბატკნიანთა მმართველის ამ ლაშქრობის საბაბი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე I დიდის მიერ 1431 წელს ლორეს განთავისუფლება, რომელიც საკუთარ ტერიტორიად მიანდათ თურქმანებს (ჯავახიშვილი 1982: 241-242). მას შემდეგ, რაც თურქმანებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორია და გაეცალნენ შირვანს, საქართველოს მეფემ 1432 წელს კონტრშეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა და ვახუტის ცნობით „მოხარკედ ჰყვნა რანი, მოვაკანი და შარვანი“ (ვახუშტი 1973: 217). ალექსანდრეს წარმატებას უდაოდ უწყობდა ხელს ის ფაქტი, რომ შაჰ რუხისაგან მოსალოდნელი საფრთხის გამო ისქანდერს თავრიზიდან შორს ყოფნა დიდი ხნით არ შეეძლო. გარდა ამისა, შავბატკნიანთა მმართველის შიშით ამავე პერიოდში შირვანი თავად შირვანის მმართველმა ხალილულა I-მა მიატოვა და შაჰ რუხთან გაიქცა (Metsobets'is 1987: 17). ისქანდერს თავრიზში დაბრუნების შემდეგ მალევე დაეძაბა ურთიერთობა საკუთარ ძმებთან, მათ შორის, ჯეჰანთანაც. მალევე, 1433-34 წლებში ჯეჰანმაც და ისფაჰანმაც² თავი შაჰ რუხის ვასალებად გამოაცხადეს და ღიად დაუპირისპირდნენ საკუთარ ძმას (Donzel, Lewis and Pellat 1998: 587).

ზემოთ აღვნიშნე, რომ 1420-იანი წლებიდან მოყოლებული ალექსანდრე I შაჰ რუხის მოკავშირე იყო და შავბატკნიანების წინააღმდეგ ბრძოლით ნებისთუ უნებლიეთ ჩაღატაელების საქმეს აკეთებდა, მაგრამ, დავით ნინიძის აზრით, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, როდესაც 1430-იანი წლებში უკვე გამარჯვების სასწორი შაჰ რუხის მხარეს გადაიხარა, არაა გამორიცხული საქართველოს მეფეს შეეცვალა დამოკიდებულება თემურიდების იმპერიის მმართველის მიმართ და ისქანდერის მხარეს

1 „რანში“ იგულისხმება არანი, ანუ განძა, ბაილაყანი, ბარდავი და სხვა. „მოვაკანი“ „არანთან“ არსებული პოლიტიკური ერთეულია, და ისინი ყოველთვის ერთად იხსენიებიან წყაროებში, რაც შეეხება „შარვანს“, აქ იგულისხმება შირვანი.

2 ისქანდერის კიდევ ერთი ძმა, ამ პერიოდში განაგებდა ბაღდადს (Donzel, Lewis and Pellat 1998: 586).

გადასულიყო (ნინიძე 1998: 12-13).¹ მეცნიერის მსჯელობა ლოგიკის ჩარჩოებში თავსდება, რადგანაც ალექსანდრე დიდის ინტერესებში არც ერთის ზედმეტად გაძლიერება არ შედიოდა, ამიტომაც შეეცდებოდა საქართველოს მეფე ძალთა ბალანსის დაცვას შავბატკნიანებთან და ჩალატაელებთან ურთიერთობისას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დავით ნინიძის მოსაზრება, წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, მეტიც, დიამეტრიულად სანინააღმდეგო შედეგს ვიღებთ. მოვუსმინოთ ჰასან რუმლუს: „ამ წელს (იგულისხმება 1433-34 წლები, როცა ჯეჰან შაჰი შაჰ რუხის მხარეს გადავიდა – ლ. ნ.) მირზა ისქანდერმა ლაშქარი დასძრა საქართველოსკენ. მისი ძმა ჯეჰან შაჰ ფადიშაჰი თავრიზში შევიდა და როდესაც მირზა ისქანდერმა ეს ამბავი შეიტყო, სისხლის დამანთხეველი ლაშქრით თავრიზისაკენ გაემართა. ფადიშაჰ ჯეჰან შაჰს წინააღმდეგობის ძალა არ ჰქონდა, რეიში წავიდა და ფადიშაჰ შაჰროხთან ელჩები გაგზავნა. მისმა უდიდებულესობამ მას ულუფა უწყალობა (ჰასან რუმლუს... 1966: 79). მოცემული ცნობიდან ირკვევა, რომ შავბატკნიანთა ბელადი 1433-34 წლებში საერთოდაც საქართველოზე ლაშქრობას აპირებდა. აქედან გამომდინარე, ალექსანდრე დიდსა და ისქანდერს შორის ყოველგვარი დიპლომატიური კავშირის არსებობა უნდა გამოვრიცხოთ. ისქანდერი, როგორც ჩანს, უკმაყოფილო იყო ქართველების მხრიდან 1432 წელს განხორციელებული საპასუხო სამხედრო ქმედებების გამო, და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მიზეზით აპირებდა საქართველოს დალაშქვრას, მაგრამ მას ეს არ დასცალდა. მალევე, შაჰ რუხმა შავბატკნიანების მმართველად თავრიზში ჯეჰან შაჰი დასვა და ისქანდერის წინააღმდეგ უზარმაზარი არმია გაგზავნა (Donzel, Lewis and Ch. Pellat 1998: 587). ისქანდერმა უკან დაიხია, თუმცა არზრუმთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ჩალატაელების მოკავშირე, თეთრბატკნიანი თურქმანები და თავი ოსმალეთს შეაფარა. 1438 წელს ისქანდერი დაბრუნდა ირანში, მაგრამ თავრიზთან გამართულ ბრძოლაში მას ჯეჰანმა სძლია. დევნილმა ძმამ თავი ალინჯის ციხეს შეაფარა, სადაც ის საბოლოო ჯამში მისმა შვილმა, შაჰ ყუბადმა გამოასალმა სიცოცხლეს (Donzel, Lewis and Pellat 1998: 587). ჯეჰანმა მალევე დაიწყო გამოძიება ძმის მკვლელობასთან დაკავშირებით და დასჯის მიზნით თავისი ძმისშვილი მამის გზას გაუყენა. შესაბამისად, ჯეჰან შაჰი შავბატკნიანთა ერთპიროვნული მმართველი გახდა, როგორც შაჰ რუხის ვასალი. მასვე დაევალა

1 მეცნიერი იმასაც კი ვარაუდობს, რომ საქართველო-ისქანდერის დიპლომატიურ ალიანსში ეგვიპტეც უნდა ყოფილიყო ჩართული.

თანამედროვე აზერბაიჯან-სომხეთის ტერიტორიების მართვა და ამიერკავკასიის ვასალური ქვეყნებიდან ხარკის აკრეფა (თავაძე 2013: 50). ალექსანდრე I იძულებული გახდა ანგარიში გაენია შექმნილი არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარებისათვის. ამიტომაც, მან ჯერ კიდევ 1435-36 წლებში, ყარაბაღში მყოფ თემურიდების მმართველს, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მოლაპარაკების მიზნით საკუთარი შვილი დიმიტრი გაუგზავნა. თუმცა სწავლული ბატონიშვილი მხოლოდ იმას წერს, რომ მხარეებმა ძვირფასი საჩუქრები გაცვალეს ერთმანეთში და ზავი დადეს. ვახუშტი ამ შეთანხმების შესახებ სხვა დამატებით ინფორმაციას არ იძლევა (ვახუშტი 1973: 280-281).

ამ დიპლომატიურ მისიაზე უფრო ვრცელი ცნობები მოეპოვება ფასიხი ხავაფს, რომლის მიხედვით შაჰ რუხის მხრიდან მოლაპარაკებები საქართველოსთან 1435 წლის მიწურულს დაიწყო (თავაძე 2013: 49). ამ მოლაპარაკებებს თემურიდების მხრიდან მეთაურობდა მავლანა მუჰამედ დაშთი, რომელმაც საქართველოდან წაიყვანა მეფის შვილი დიმიტრი (მახარაძე 2015: 70-71). ამ უკანასკნელმა თემურიდების იმპერიის მმართველს მიართვა ფეშქაში და ნისარი, რაც მორჩილების გამოცხადებას ნიშნავდა (თავაძე 2013: 49). მალევე ქართველებმა ყაენის მოციქულს ჩააბარეს ტყვეობიდან გათავისუფლებული მაჰმადიანები, სამაგიეროდ ჩალატაელებმა ქართველების თხოვნით გაათავისუფლეს სომხები¹ (თავაძე 2013: 49). ლერი თავაძის აზრით, ალექსანდრესა და შაჰ რუხს შორის 1436 წლის 16 თებერვალს დადებული შეთანხმებით განახლდა თავის დროზე გიორგი მეშვიდესა და თემურ-ლენგს შორის არსებული ზავი (თავაძე 2013: 49-50). ეს უკანასკნელი ჯიზიისა და ხარაჯის გადახდასთან ერთად, გულისხმობდა საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანების ხელშეუხებლობას, ამასთანავე დადგენილ დროს დადგენილი რაოდენობის ჯარის გამოყვანას (ტაბატაძე 1974: 209-210). ასეთივე შეთანხმება უნდა შემდგარიყო საქართველოსა და შაჰ რუხს შორის. ყოველივე ამის შემდეგ ლერი თავაძე, სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ სწორედ ამ შეპირებული ხარკის გადახდას ითხოვდა ქართველებისგან შაჰ რუხის ვასალი ჯეჰან შაჰი, შემდეგ კი, უარის მიღების გამო საქართველოში შემოიჭრა 1440 წელს (თავაძე 2013: 48-50).

1 მაჰმადიანები, როგორც ჩანს, ქართველებმა 1431-32 წლების სამხედრო კამპანიის დროს ჩაიგდეს ტყვედ, რაც შეეხება სომხებს, შაჰ რუხის ყარაბაღში შემოსვლას ადგილობრივების შევიწროება მოჰყვა. ლერი თავაძის აზრით, სწორედ ამ დროს უნდა ჩავარდნოდათ ჩალატაელებს ტყვედ ყარაბაღის მკვიდრი სომხები (თავაძე 2013: 51).

ეს იყო ერთი მიზეზი ამ ლაშქრობისა. ამავე მეცნიერის ცნობით, შავ-ბატკნიანების საქართველოში ლაშქრობის მიზეზი ბეშქენ ორბელიანის აქტიურობაც უნდა ყოფილიყო (თავაძე 2013: 50-52).

ამ საკითხთან დაკავშირებით მსურს მცირე კომენტარის გაკეთება. დავინწყით იმით, რომ ბეშქენი ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალი იყო, რომელიც დიდად წყალობდა სომხებს. ალექსანდრე აბდალაძის მიერ გამოქვეყნებული ანდერძ-მინაწერებიდან ვიგებთ, რომ ის ყარაბაღის ტერიტორიის განმგებელი იყო (აბდალაძე 1978: 51). 1438 წლისათვის შაჰ რუხი ჰერეთში დაბრუნდა, რის შემდეგაც იწყებს სწორედ გააქტიურებას ბეშქენი და 1438 წელს სივნიეთის ანუ ყარაბაღის ოლქს შეუერთებს საქართველოს (Metsobetsia's 1987: 20). თომა მეწოფეცის ცნობით, ამით ბეშქენმა საქართველო შაჰ რუხის ბატონობისგან გაათავისუფლა, რის საპასუხოდაც ალექსანდრე დიდმა მას ლორეს ციხე უწყალობა (Metsobetsia's 1987: 20). ლერი თავაძის აზრით, ლორე ბეშქენს გადაეცა 1435-36 წლებში, როდესაც შაჰ რუხის ყარაბაღში ლაშქრობისაგან დევნილი ფეოდალი 6000 სომხურ ოჯახთან ერთად მოვიდა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (თავაძე 2013: 51). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წყაროში, რომლითაც მკვლევარი სარგებლობს, ნახსენებია, რომ 1437 წლისთვის შაჰ რუხის სამხედრო კამპანიისგან დევნილი სომხები ქვემო ქართლში მოვიდნენ ბეშქენთან ერთად, ხოლო ლორეს გადაცემას თომა მეწოფეცი 1438 წლის მოვლენებთან ერთად ათარიღებს, მხოლოდ მას შემდეგ რაც ძლიერი ფეოდალი საქართველოს შეუერთებს სივნიეთს (Metsobetsia's 1987: 20). ამიტომ, ვფიქრობ, ლორე ალექსანდრე დიდმა ბეშქენს უწყალობა 1438 წელს, სამხედრო კამპანიის დასრულების შემდეგ.¹ ქართველთა ამ ლაშქრობაზე ქართული წყაროებიც გადმოგვცემენ. ვახუშტის ცნობით „არამედ იხილეს ესე რა განძელთა და შირვანელთა მეფობა სპარსეთისა (იგულისხმება შაჰ რუხის გამოჩენა ყარაბაღში 1435-36 წლებში – ლ. ნ.), არღარა ინებეს მათ ხარკისა მოცემა ალექსანდრე მეფისად. განრისხნა მეფე ალექსანდრე, შემოიკრიბნა სპანი თვსნი რჩეულნი და შთავიდა ყარაბაღს ქრისტესა ჩულბ, ქართულსა რკე (ანუ 1437 წელს – ლ. ნ.) ვერ წინააღუდგნენ მას განძელნი; მოსრნა ურჩნი და ჰყვნა კუალადცა მოხარკედვე. ამისნი მხილველნი შირვანელნი და დარუბანდელნი

¹ თომა მეწოფეცის ცნობით, ალექსანდრეს პირველი ცოლი ბეშქენის ასული იყო. 1438 წლის შემდეგ სომეხი ისტორიკოსის მიხედვით მათ შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბული იყო, რომ ალექსანდრემ მოაწამვლინა ბეშქენი (Metsobetsia's 1987: 20). ეს უსაფუძლო ბრალდება დღეს გაკრიტიკებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ შევამჩნევთ (თავაძე 2013: 52-53; ჯავახიშვილი 1982: 242-244).

შეშინდნენ ძლიერებითა მისითა და მოერთნენ ყარაბაღსავე ძღუნითა დიდითა. ხოლო მეფემან დაამშჯდნა და განუჩინა მათ ხარკნი და დაიმორჩილნა ყოვლითამე. მერმე უკმოიქცა და მოვიდა ტფილისს გამარჯუებული“¹ (ვახუშტი 1973: 218). ვახუშტის ცნობა შაჰ რუხის ყარაბაღიდან წასვლის შემდეგ განძელებმა და შირვანელებმა თითქოსდა „არღარა ინებეს ... ხარკისა მოცემა“ გარკვეულ შესწორებას საჭიროებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1436 წლის თებერვლის შეთანხმებით შაჰ რუხმა ალექსანდრეს გავლენის სფეროდ სცნო არანი, მოვაკანი და შირვანი, რაც არ უნდა იყოს სწორი შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: 1) თემურიდების იმპერიის მმართველის მიზნებში ძლიერი საქართველო, რომელსაც მდიდარი ვასალური ქვეყნები ეყოლებოდა დაქვემდებარებაში, არ შედიოდა; 2) ამავე შეთანხმებით ალექსანდრემ ხარკი იკისრა, რაც გამორიცხავს განძისა და შირვანის ჩვენს დაქვემდებარებაში არსებობას და 3) შეთანხმების ამ კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში ფასილი ხავაფი აუცილებლად გადმოგვცემდა, თუმცა ის დუმს. ეს იმას ნიშნავს, რომ შირვანიც, არანიც, მოვაკანიც, შაქიც და სხვა პოლიტიკური ერთეულები, მათ შორის საქართველოც კი შაჰ რუხის უზენაესობას აღიარებდნენ. აქედან გამომდინარე, 1437-38 წლებში ჩატარებული სამხედრო კამპანიებით ალექსანდრემ დაარღვია შაჰ რუხთან დადებული შეთანხმება და თავისი გავლენა გაავრცელა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულებზე,² რომლებიც თავის მხრივ ჯეჰან შაჰის, როგორც თემურიდების ვასალის, უზენაესობას აღიარებდნენ.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ შეაცვლევინა საქართველოს მეფეს გადაწყვეტილება? ამ საკითხის ახსნა, ჩემი აზრით, რამდენიმე მიზეზით შეიძლება.

1) ალექსანდრეს თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი შაჰ რუხისადმი დაუმორჩილებლობა, ხოლო 1436 წლის თებერვლის შეთანხმება იყო უბრალოდ დიპლომატიური ფანდი, რათა უშუალოდ თემურიდების მმართველისაგან აერიდებინა საფრთხე ქართველთა მეფეს. 2) საქართველოს მეფის მხრიდან შაჰ რუხის წინააღმდეგ წასვლაზე დიდი გავლენა მოახდინა ისქანდერის დაბრუნებამ. 1435-36 წლებში, როცა საზავო ხელშეკრულება იდებოდა ჩალატაელებსა და ქართველებს შორის,

1 1432 წლის ლაშქრობების დახმარებით განძა, არანი, მოვაკანი და შირვანი ალექსანდრეს ვასალები იყვნენ (ვახუშტი 1973: 217).

2 „ქორონიკონსა რკე (ანუ 1437 წელს – ლ. ნ.) მეფე ალექსანდრე ყარაბაღს მოვიდა“ – ტექსტში ნახსენები წყაროების გარდა, მოცემული ქრონიკაც კი 1437 წლით განსაზღვრავს ყარაბაღის შეერთებას (ჟორდანიას 2018: 243).

ისქანდერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ოსმალეთს აფარებდა თავს (Donzel, Lewis and Pellat 1998: 587). ის ჩრდილოეთ ირანში 1438 წლისთვის დაბრუნდა, თავრიზთან ბრძოლაში დამარცხდა და იმავე წელს მოკლა მისივე შვილმა (Metsobets'i's 1987: 19). ვფიქრობ, სწორედ ისქანდერის ჩრდილოეთ ირანში გამოჩენამ გადააფიქრებინა ალექსანდრეს შაჰ რუხისადმი მორჩილება, რადგანაც შავბატკნიანთა ყოფილი მმართველის პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებით ძალთა ბალანსი თურქმანებსა და ჩალატაელებს შორის ისევ თავის პირვანდელ პოზიციას უბრუნდებოდა, რითაც საქართველოს მეფე, საფიქრებელია, რომ ისარგებლებდა, როგორც ამას იგი აკეთებდა თუნდაც 1420-იან წლებში. თუ ჩემი მოსაზრება სწორია, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს მმართველს შაჰ რუხისადმი ვასალური დამოკიდებულება თავიდანვე არ ჰქონდა გადანყვებული და ხელსაყრელ ვითარებას უცდიდა შეთანხმების დარღვევის მიზნით, რაც მიეცა კიდევაც ისქანდერის ირანში დაბრუნებით. ხოლო მას შემდეგ, რაც ალექსანდრე დიდმა არანი, მოვაკანი, შირვანი, ყარაბაღი და დარუბანდი დაიქვემდებარა, მისი პოზიციები უკვე საკმარისად იყო გამყარებული და ახლა ამ ყველაფერზე უარის თქმა და ჯეჰან შაჰისადმი მოთხოვნილი ხარკის გადახდა უდიდესი პოლიტიკური შეცდომაც იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ჯეჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობის მეორე მიზეზი ქართველთა აქტიური სამხედრო მოქმედებები იყო, რომელთა გამოც ჯეჰანმა, როგორც შაჰ რუხის ვასალმა, გავლენის სფეროები და ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ქვეყნები დაკარგა. მირიან მახარაძის აზრით, შავბატკნიანთა 1440 წლის რეიდს საქართველოში მესამე მიზეზიც ჰქონდა. ჯერ კიდევ ისქანდერი, ხოლო შემდეგ ჯეჰანი სომეხ მოსახლეობას თავის ვასალებად განიხილავდა. ამ მიზნით ისქანდერმა თავის დროზე პირველ ვეზირად და უმაღლეს მრჩევლად ბეშქენ ორბელიანის შვილი რუსტემი დანიშნა, ხოლო ჯეჰანმა ტეტევის მონასტერი გადასახადებისგანაც გაათავისუფლა. მას შემდეგ, რაც შაჰ რუხი შემოვიდა ყარაბაღში 1435-36 წლებში, ბეშქენმა რუსტემთან და სომეხების დიდ ნაწილთან ერთად დატოვა სივნიეთი და საქართველოს შეაფარა თავი. ჯეჰანის საქართველოში ლაშქრობის მიზეზი სწორედ ამ გაქცეული სომეხების დასჯის სურვილიც იყო (მახარაძე 2015: 73).

ზემოთ განხილული მიზეზებიდან გამომდინარე, ჯეჰანმა „საღვთო ომი“ გამოუცხადა საქართველოს, შეკრიბა უზარმაზარი არმია და არდებილის სულთნისა და ყადების თანხლებით დაიძრა (წურწუშია 2019: 72-73). შავბატკნიანთა მმართველი ყარსში ჩერდება სამი დღით, დიდი

ალბათობით ჯარის შეგროვების მიზნით, რის შემდეგაც დაიმორჩილებს ყარაბაღისა და არანის ტერიტორიებს და დალაშქრავს შაქს (ჰასან რუმლუს... 1966: 80). სხვა ირანელი ისტორიკოსების, ჰაზეფ ჰუსეინ კარბალაის და აჰმედ ყაზვინის, ცნობების მიხედვით, აზერბაიჯანში არ დარჩენილა ისეთი მოწინააღმდეგე, რომელიც ჯეჰან შაჰს არ დაუმარცხებია (თავაძე 2013: 54). მათი ცნობები, მცირეოდენ განსხვავებას თუ არ ჩავთვლით, ერთმანეთის იდენტურია. მოცემული სპარსულენოვანი წყაროების ცნობებს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ვახუშტი ბატონიშვილი. სწავლული ბატონიშვილის მოწმობით, შირვანი გიორგი VIII-ს მეფობის დროსაც, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამდე, ჩვენს დაქვემდებარებაშია (ვახუშტი 1973: 283-284). ჩემი აზრით, ვახუშტი ამ შემთხვევაში სანდო ცნობებს გვანვდის, რადგანაც ნაკლებად სავარაუდებელია ჯეჰანს შირვანიც დაელაშქრა და შემდეგ ისევ იგივე მარშრუტის გამოყენებით დაბრუნებულყო უკან და ქვემო ქართლის მხრიდან შემოჭრილიყო საქართველოში. შესაბამისად, ქართული და სპარსულენოვანი წყაროების შეჯერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ჯეჰანმა უშუალოდ საქართველოში შემოჭრამდე დაიმორჩილა ყარაბაღი, არანი და შაქი, მაგრამ მისი სამხედრო კამპანია არ გაგრძელებულა შირვანის მიმართულებით, რომელიც, ვახუშტის ცნობით, 1437-38 წლებში ჩატარებული სამხედრო კამპანიის დროს მოხარკედ აქცია ალექსანდრე დიდმა (ვახუშტი 1973: 218).¹

შავბატკნიანები საქართველოში 27 მარტს, აღდგომა დღეს შემოიჭრნენ (Metsobets'is 1987: 21). ჯეჰანი ყარაიას ველის გაყოლებით ქციის ხეობას აუყვა და სამშვილდის ციხეს შემოარტყა ალყა (თავაძე 2013: 55). ალყა ზოგიერთი წყაროს ცნობით 40-50 დღე, ხოლო ზოგიერთის მიხედვით კი 3-4 თვე გაგრძელდა (აბდალაძე 1978: 61-21, 65; Metsobets'is 1987: 21). ბოლოს, როდესაც ქალაქის დამცველებს სურსათ-სანოვაგე შემოეღიათ, უვნებლობის პირობით ჩააბარეს ციხე ჯეჰანს, მაგრამ შავბატკნიანებმა მიცემული პირობა გატეხეს და ციხე-ქალაქის კარიბჭის გაღებისთანავე საშინელი ხოცვა-ჟლეტვა მოაწყვეს (აბდალაძე 1978: 65). ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა სამშვილდის აღების შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით. დიდი ხნის განმავლობაში თომა მენოფეცის ცნობებზე დაყრდნობით მიჩნეული იყო, რომ შავბატკნიანებმა სამშვილდის აღების შემდეგ ჯეჰანმა საქართველოს

1 ამ პერიოდისთვის საქართველოს დაკარგული ჰქონდა ყაზახის მხარეც (თავაძე 2013: 55).

სატახტო ქალაქი აიღო (ბროსე 1895: 229-231; ჯავახიშვილი 1982: 248-249; აბდალაძე 1976: 82-83; ლომინაძე 1979: 546-553; ნინიძე 1998: 37; ასათიანი, ოთხმეზური, სამსონაძე, ჯამბურია 2012: 105-107). მოცემული მოსაზრება გააკრიტიკა ლერი თავაძემ, რომელმაც რიგი წყაროების მოძიებისა და ახლებული გააზრების შემდეგ მიიჩნია, რომ ჯეჰანმა აიღო მხოლოდ სამშვილდე და თბილისთან არანაირი შეხება არ ჰქონია (თავაძე 2013: 22-59). მეცნიერი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ განსახილველი ეპოქის თანადროული 9 სომხური ანდერძ-მინაწერი და XVII საუკუნის სომეხი ავტორი არაქელ დავრიჟეცი გადმოგვცემენ ჯეჰანის მიერ მხოლოდ სამშვილდის აღებაზე და არაფერს წერენ თბილისზე თავდასხმაზე. უფრო მეტიც, უმეტესი წყაროები მიუთითებენ, რომ ჯეჰანი სამშვილდის აღების შემდეგ გაეცალა კიდეც საქართველოს (თავაძე 2013: 35-43).

თბილისის დაცემაზე მოგვითხრობს მხოლოდ 3 წყარო: ჰასან რუმლუ, ვინმე ჰოვანესი (ავტორი ერთი სომხური ანდერძ-მინაწერისა, რომელიც თარიღდება 1458 წლით) და თომა მენოფეცი. ლერი თავაძის აზრით, ჰასან რუმლუსთან ნახსენებ თბილისის დალაშქვრაში კონტექსტიდან გამომდინარე იგულისხმება თბილისის ვილაიეთის ანუ თბილისის მხარის დალაშქვრა და არა საკუთრივ ქალაქ თბილისის აღება, ხოლო ჰოვანესის ცნობას რაც შეეხება, მეცნიერმა კარგად დაინახა მსგავსება ამ წყაროსა და თომა მენოფეცის ცნობებს შორის. შესაბამისად, ჰოვანესი თომას ნაშრომით სარგებლობდა, ამიტომაც საკითხის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უფრო თომას ცნობებს აქვს (თავაძე 2013: 34-35, 42-43). აქედან გამომდინარე, ქალაქ თბილისის ჯეჰანის მიერ აღებისა და გაძარცვის შესახებ მოგვითხრობს მხოლოდ თომა მენოფეცი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ნეგატიურად იყო განწყობილი ქართველების მიმართ, რის გამოც თავის ნაშრომში ხშირად იხსენიებს მათ შეურაცხყოფელი სიტყვებით (თავაძე 2013: 40-46). ლერი თავაძის დაკვირვებით, სომეხი ისტორიკოსის ასეთი დამოკიდებულება ქართველების მიმართ გამონვეული იყო იმ რელიგიური დაპირისპირებით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველებსა და სომეხებს შორის (თავაძე 2013: 44-45). მისი აზრით, თომა მენოფეცმა განზრახ დაამახინჯა ისტორია და შეთხზა ჯეჰან შაჰის მიერ თბილისის დაცემის ფაქტი, რათა თავისი ერის თვალში ქართველები წარმოეჩინა როგორც ლაჩარი და არაფრისმაქნისი ხალხი და ყოველგვარი იმედები გადაეწურა იმ სომეხებისთვის, რომლებიც ქართველების სამხედრო და

პოლიტიკურ ძალას მიიჩნევდნენ სომეხი ერის გადარჩენის საშუალებად (თავაძე 2013: 44-45). ბატონი ლერისთვის თავად ის ფაქტიც, რომ ქართული წყაროები საერთოდ არათუ თბილისის დაცემაზე, არამედ თავად 1440 წლის შემოსევაზე არაფერს არ წერდნენ, მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად (თავაძე 2013: 28-29).

მიუხედავად ამისა, მაშინდელი საქართველოს დედაქალაქის დაცემის შესახებ არსებული ფაქტი მართებულად მიიჩნია მირიან მახარაძემ (მახარაძე 2015: 62-63, 74-75). უპირველეს ყოვლისა, მეცნიერმა მოიხილა ახალი წყარო, სპარსულენოვანი ისტორიკოსი ჯაფერ-ი მუჰამედ ელ-ჰუსეინი, რომელიც ჯეჰან შაჰის ამ ლაშქრობაზე შემდეგს წერს: „ამავე წელს (1440 წელი) ემირ ჯაჰან შაჰი კარგად შეიარაღებული ჯარით აზერბაიჯანიდან საქართველოსაკენ გამოემართა. ყარსის შემოგარენში 2-3 დღე დაბანაკების შემდეგ საქართველოს მიაღწია და ყოველ მხარეს შეესია. სამლოცველოები დაანგრია და კერტინის ციხე ხელში ჩაიგდო. თბილისის შემოგარენში მოვიდა და თბილისის მოსახლეობას ჯიზია დაუნწა. ქართველი ურწმუნოებიდან ძალიან ბევრი ხმლით განგმირა, მიწაზე დაყრილები ჯოჯოხეთის უკიდეგანო უფსკრულში გააგზავნა. აუარებელი განძი ხელში ჩაიგდო, საქართველოს ქვეყნიდან დაახლოებით 30 000-მდე (კაცი) დაატყვევეს და აზერბაიჯანში დაბრუნდნენ“ (მახარაძე 2015: 62-63). მოცემულ ცნობაზე კომენტარს ოდნავ ქვემოთ გავაკეთებ, რაც შეეხება ბატონი მირიანის სხვა არგუმენტებს, აქ აღსანიშნავია ქართული წყარო, რომელიც ქართველი ისტორიკოსის აზრით თბილისის დაცემას ადასტურებს. წყარო ამ შემთხვევაში არის ვინმე ნანიტა ყიფიანის 1452 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული შეწირულობის წიგნი ქვათახევის მონასტრისადმი: „მას ჟამსა როდეს ქალაქი თათართა ჰქონდა, მოარდავე ესე კავთისხევი წარიტყუენეს და ტუარსაშუილის ჯალაბი დატყუევდა. მერმე მოვიდა ამისი ზენარნი და აჯა ითხოვა, რომე არის ურჯულოთა ხელითა ამოვწყდითა, დავტყუევდითა“² (მახარაძე 2015: 74). მირიან მახარაძისა და თეიმურაზ ჯოჯუას აზრით საბუთში ნახსენები „ქალაქი“ არის თბილისი, აქედან გამომდინარე, თურქმანებმა არა მარტო სამშვილდე და თბილისი აიღეს, არამედ დაარბიეს კავთისხევი და ქართლის სხვა ტერიტორიები (მახარაძე 2015: 74). შესაბამისად, ამ ორი ახალი წყაროს დახმარებით, თით-

1 ეს ისტორიკოსი შაჰ რუხის თანამედროვეა (მახარაძე 2015: 62-63).

2 საბუთი მოვიყვანე ისეთივე სახით, როგორც ესაა ბატონ მირიანთან.

ქოსდა აღარ უნდა იყოს სადავო ის ფაქტი, რომ ჯეჰან შაჰმა 1440 წლის შემოსევის დროს აიღო როგორც სამშვილდე, ასევე თბილისი. მაგრამ საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ჩანს. ზემოთ ნახსენები შეწირულობის სიგელის თარიღია „რმ“, ანუ 140 ქორონიკონით, შესაბამისად ვიღებთ 1452 წელს, მაგრამ თავის დროზე როდესაც თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა ეს საბუთი, იქვე დაურთო მცირე შენიშვნა:¹ „თვით თარიღი სიგელისა საეჭვოა, რადგან ქორონიკონსა „რმ“ ნაშლილი აქვს ასო „მ“ და ამის გამო გამოდის, რომ ნამდვილი თარიღი სიგელისა უნდა იყოს „რ“ (1412), ძალიან დაახლოებული თამერლანისგან (იგულისხმება თემურ-ლენგი – ლ. ნ.) საქართველოს მოხრებისა (ჟორდანია 2018: 263). შესაბამისად, პირდაპირ და გადაჭრით იმის თქმა, რომ მოცემული შეწირულობის სიგელი 1452 წლით თარიღდება, არ შეიძლება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში სწორი თარიღი, რომ 1412 წელია, ამას სიგელის კიდევ ერთი დეტალი ადასტურებს, რომელიც, როგორც ჩანს, მკვლევრებს გამორჩათ. საბუთი, მართალია, ეკუთვნის ნანიტა ყიფიანს, მაგრამ წერილობითი სახით შესრულებულია ვინმე დავით მორჩილაძის მიერ.² ეს უკანასკნელი კი ნახსენებია 1407-12 წლებით დათარიღებულ სიგელში. კონკრეტულად კონსტანტინე პირველი (1407-12 წწ) დავით მორჩილაძეს გადასცემს გარკვეული რაოდენობის მიწებს. სიგელის ერთ მონაკვეთში ვკითხულობთ: „გინყალობე შენ ჩუენს ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა, მორჩილასძეს დავითს“ (ჟორდანია 2018: 216).³ აშკარაა, რომ ნანიტა ყიფიანის საბუთშიც იმავე პიროვნებაზეა საუბარი, შესაბამისად, დავით მორჩილაძე კონსტანტინე პირველის თანამედროვეა და ვფიქრობ, ალოგიკური იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ეს პიროვნება 40 წლის შემდეგაც ცოცხალი იყოს და საბუთების შედგენაში იღებდეს მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, მირიან მახარაძის მიერ მოხმობილი საბუთი თარიღდება არა 1452, არამედ 1412 წლით და შესაბამისად, ის ვერანაირად ვერ გამოგვადგება ჯეჰან შაჰის 1440 წელს საქართველოში მოწყობილი ლაშქრობის შესწავლის მიზნით.

რაც შეეხება მუჰამედ ელ-ჰუსეინის ცნობას, თუ კარგად დავუკვირდებით ამ სპარსულენოვანი მემატიანის ცნობაც არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ შავბატკნიანებმა 1440 წლის შემოსევის დროს

1 ბატონი მირიანი სარგებლობდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ III ტომით, სადაც ეს შენიშვნა არ იყო დართული საბუთზე.

2 ამას თავად სიგელის ბოლოს ვკითხულობთ: „დაინწრა ხელითა დავით მორჩილაძისათა“ (ჟორდანია 2018: 263).

3 ხაზი ჩემია.

თბილისი აიღეს. ელ-ჰუსეინის ცნობით კერტინის, ანუ როგორც მირიან მახარაძე აღნიშნავს, სამშვილდის ალების შემდეგ ჯეჰანი „თბილისის შემოგარენში“ მივიდა და დედაქალაქის მოსახლეობას ჯიზია დაუნესა (მახარაძემ 2015: 62-63). ელ-ჰუსეინთან შემდეგში დაფიქსირებული ცნობა ჯეჰანის მეომრების მიერ ქართველების განყვეტისა და მათი ჯოჯოხეთის უკიდუგანო უფსკრულში გაგზავნისა, კონტექსტიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უკავშირდება თბილისის გარშემო ტერიტორიებზე, ანუ როგორც თვითონ სპარსულენოვანი ისტორიკოსი გადმოგვცემს „შემოგარენში“ მიმდინარე ბრძოლებს და არა დედაქალაქის ალების შემდეგ შავბატკნიანების მხრიდან თავად თბილისში ამტყდარ მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტვას. ჩემი აზრით, შავბატკნიანთა მმართველს მართლაც რომ აელო თბილისი, ელ-ჰუსეინი ამას პირდაპირ იტყოდა და ზოგადი ფრაზით, როგორცაა „თბილისის შემოგარენი“ არ შემოიფარგლებოდა. მაჰმადიანი ისტორიკოსის მხრიდან მოვლენების ამგვარი აღწერა ბუნდოვან შთაბეჭდილებას მიტოვებს, რაც მიბიძგებს სწორედ იმის თქმისკენ, რომ თბილისი ჯეჰანს არ აუღია, მაგრამ ელ-ჰუსეინი მაინც ცდილობს შავბატკნიანთა ბელადი გამარჯვებულის შარავანდედით შემოსოს და საკმაოდ ბუნდოვანი ცნობის გადმოცემით შეგვიქმნას იმის შთაბეჭდილება, რომ ჯეჰანმა თითქოსდა მართლაც აიღო თბილისი.

თუ ჩემი მსჯელობა მოცემულ ფაქტებთან დაკავშირებით სწორია, მაშინ გამოდის, რომ თბილისის დაცემასთან დაკავშირებით გადმოგვცემს 4 წყარო – ჰასან რუმლუ, ელ ჰუსეინი, ვინმე ჰოვანესი და თომა მენოფეცი. აქედან, ჰასან რუმლუსთან და ელ-ჰუსეინთან საუბარია თბილისის მხარის, ვილაიეთის ანუ „შემოგარენის“ დალაშქვრაზე და არა საკუთრივ საქართველოს დედაქალაქის ალებაზე. რაც შეეხება სომეხ ისტორიკოსებს, რეალურად ისინი წარმოადგენენ ერთ ცნობას, რადგანაც ჰოვანესი სარგებლობს თომა მენოფეცით, რომელიც ყველანაირად ცდილობს ქართველების შეურაცხყოფასა და დამცირებას, რის გამოც თხზავს თბილისის დაცემის შესახებ ფაქტს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული წყაროები საერთოდ დუმან ჯეჰანის 1440 წლის შემოსევაზე, რაც კიდევ ერთხელ ბადებს ეჭვს თბილისის დაცემასთან დაკავშირებით. რთული წარმოსადგენია ქვეყნის დედაქალაქი შავბატკნიანებს აელოთ და მოცემული ფაქტი თანამედროვე ან თუნდაც მოგვიანო ხანის ქართულ წყაროებში არ ასახულიყო. უფრო მეტიც, თბილისის დაცემას არ ადასტურებს ალექსანდრე I დიდის საბუთები. 1442 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ

დოკუმენტში ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე ხელჰყოს და იკადროს ჩუენ მიერ მრავლითა ჭირითა და რუდუნებითა აღშენებულისა ამის დიდებულთა საყდართასა გამოხუებად (ანუ დაკლება, განადგურება – ლ. ნ.) ... (ამის შემდეგ საბუთში ჩამოთვლილია მნიშვნელოვანი სიმდიდრეები, როგორცაა ოქრო-ვერცხლი, წმინდა ხატები და ასევე ნახსენებია ქართული სოფლები, დაბა-დასახლებები და სხვა – ლ. ნ.) ... კრულმცა არს.“ შემდეგში თედო ჟორდანიას გადმოცემით ნახსენებია კიდევ უფრო დიდი წყევლა-კრულვა (ჟორდანია 2018: 251-252). საბუთიდან როგორც ირკვევა, ალექსანდრე დიდი წყევლით ემუქრება ყველა იმ ადამიანს, ვინც ოდესმე დაანგრევს და წაბილწავს ქართულ საყდრებს, ანუ ეკლესია-მონასტრებს. ჯეჰან შაჰს, როგორც თომა მენოფეცი წერს, მართლაც რომ დაენგრია ყველა ახალი და ძველი ეკლესია 2 წლით ადრე, ასეთი ტონით, ვფიქრობ, ალექსანდრე დიდი 1442 წლის სიგელს არ დაწერდა. მეფის სიგელიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესია-მონასტრების უმეტესობა, რომლებიც თავად ალექსანდრემ აღადგენინა, საღსალამათი და ხელშეუხებელია. აქ ვფიქრობ, ასევე ალოგიკური იქნება იმის თქმა, რომ 1440 წელს ჯეჰანის მიერ დარბეული ეკლესიები 2 წელიწადში უკვე აღადგენინა ალექსანდრე დიდმა და მხოლოდ ამის შემდეგ ემუქრება წყევლა-კრულვით მათ ხელმეორედ დამრბევთ. ორ წელიწადში მეფე მინასთან გასწორებულ საყდრებს ვერ აღადგენდა, რადგანაც თემურ-ლენგის მიერ დარბეული ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების აღდგენა-აშენებას ალექსანდრემ 15 წელი მოანდომა, ხოლო სვეტიცხოველი, რომლის რესტავრაცია ალექსანდრეს ბებია რუსამ დაიწყო, მეფემ მხოლოდ და მხოლოდ 1431 წელს დაასრულა (ჯავახიშვილი 1982: 244-248). ჯეჰანს მართლაც რომ დაერბია ყველა ახალი და ძველი ეკლესია, დარბევის ყველაზე სავარაუდო ობიექტი იქნებოდა სვეტიცხოველიც, რომელიც ალექსანდრე დიდის 1441 წლის 2 სიგელში სრულიად ხელშეუხებელია, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მეფე მცხეთის საყდარს, ანუ სვეტიცხოველს უწყალობებს დიდი რაოდენობით ყმა-მამულს, უფრო მეტიც, საქართველოს მეფეს სურდა სვეტიცხოველთან ახლოს აეშენებინა ეკვტერი, სადაც გაატარებდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს. საბუთში არც პირდაპირ და არც ირიბად არაა მითითებული, რომ სვეტიცხოველმა უახლოეს წარსულში დიდი ნგრევა განიცადა (ჟორდანია 2018: 249-250). მცხეთის საყდარს რომ არანაირი რბევა არ განუცდია ახლო წარსულში, კარგად ჩანს 1443, 1449 და 1451 საბუთებიდანაც (ჟორდანია 2018: 254-255, 260-261). აქაც არ

ვხვდებით ისეთ ცნობას, რომელიც დაადასტურებს შავბატკნიანების მხრიდან ტაძრის რაიმე სახით განადგურებას. ზოგადად, საქართველოს ისტორიიდან თბილისის ყველა დაცემის ფაქტი ჩვენთვის ცნობილია (თავაძე 2013: 28-29). შესაბამისად, ის მოსაზრება, რომ ქართულმა წყაროებმა „შეგნებულად“ დამალეს თბილისის დაცემის ფაქტი, ვფიქრობ, საფუძველს მოკლებულია. მაგალითისთვის, თემურ-ლენგის მიერ თბილისის აოხრებასა და საქართველოს მრავალგზის დარბევას ადასტურებს თავად ალექსანდრე I დიდის 1413 წლის საბუთი¹ (ჟორდანიანი 2018: 219). გიორგი მერვე (1446-1466) 1447 წლის სიგელ-გუჯარში ასევე ხაზს უსვამს „უსჯულო და აგარის მონათესავე“ თემურ-ლენგის მიერ თბილისისა და თავად მცხეთის საყდრის მრავალგზის აოხრებას, მაგრამ არაფერს ახსენებს 7 წლის წინ შავბატკნიანების მიერ დედაქალაქის აღებაზე. იგივე ითქმის 1444 წელს თბილისში გადაწერილ სომხურ ხელნაწერზე, რომელშიც ასევე ვერ ვხვდებით რაიმე ფაქტს საქართველოს სატახტო ქალაქის დაცემასთან დაკავშირებით (აბდალაძე 1978: 69). სამაგიეროდ, მრავლად მოგვეპოვება ისეთი ანდერძ-მინაწერები, რომლებიც არათუ ადასტურებენ, არამედ საკმაოდ ტრაგიკულ ფერებში წარმოგვიჩენენ უზუნ-ჰასანისა (1452-1478) და შემდგომში იაყუბ ყაენის (1478-1490) მიერ თბილისის აოხრებას (აბდალაძე 1978: 88-92). როგორც აღინიშნა, ამ მხრივ, გამონაკლისია ჯეჰანის შემოსევის თანადროული 9 ხელნაწერი. მირიან მახარაძის აზრით, საქართველოს დედაქალაქი 1440 წელს ნამდვილად დაეცა, შესაბამისად მიზეზი რატომაც ცხრავე სომხური ხელნაწერის ავტორი არაფერს წერს შავბატკნიანების მიერ თბილისის აღებაზე, მდგომარეობს შემდეგში: „თუ კარგად ჩაუკვირდებით, ყურადღება (ანდერძ-მინაწერებში – ლ. ნ.) გამახვილებულია სომხური მოსახლეობის დარბევაზე, ხოლო სამშვილდე მხოლოდ იმიტომაც ნახსენები, რომ იქ ცხოვრობდა ლტოლვილი სომხური მოსახლეობა“ (მახარაძე 2015: 74). გამოდის, რომ აუცილებელი კრიტერიუმი, რათა სომხური ხელნაწერების ავტორებმა მტრის მიერ ქართული ქალაქების აოხრების ამბავი გადმოგვცენ, არის ის, რომ ამ ქალაქებში აუცილებლად უნდა ცხოვრობდნენ მტრისგან შევიწროებული სომხები. ამ მოსაზრების გაზიარება რთულია. ლტოლვილი სომხები არა მარტო სამშვილდეში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც ცხოვრობდნენ, რასაც სხვათაშორის სხვა ანდერძ-მინაწერებში დაცული ცნობები გვაუწყებენ. მაგალითად, ხელნაწერთა შედგენის ადგილად ხშირ შემთხვე-

1 გარდა ამისა, მოგვეპოვება შესაბამისი ქრონიკებიც.

ვაში მითითებულია საქართველოს ქალაქები: გორი, ახალციხე, თბილისი, სამშვილდე, თმოგვი და სხვა (აბდალაძე 1978: 45-46, 52-55, 69-74 და ა. შ.).

მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ანდერძ-მინაწერების ავტორები მთელი სისავსითა და გულისტკივილით გადმოგვცემენ უზუნჰასანისა და იაყუბ ყაენის მიერ თბილისში მოწყობილ ხოცვა-ჟლეტვაზე. ისინი არც თუ ისე იშვიათად იყენებენ შემდეგ ფრაზებს: „ვეუბნებოდით მთებსა და ბორცვებს, ჩამოგვექეცით თავზე და ჩაგვიტანეთ თან“, „ეს თავზარი დაგვეცა“, „ენას არ ძალუძს მწუხარებისა და გოდების მოთხრობა“, „ათასჯერ ვაიმე“ (აბდალაძე 1978: 88-92). ავტორების ასეთი დამოკიდებულება რთული ასახსნელი არაა, რადგანაც სახელმწიფოს გარეშე დარჩენილი სომეხი ერისთვის საქართველოს სამეფო უკვე საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა მფარველად. შესაბამისად, არაა საჭირო მაინცდამაინც სომეხები ცხოვრებდნენ თბილისში, რათა ზემოთნახსენებმა ცხრავე ანდერძ-მინაწერმა მისი დაცემის ამბავი გადმოგვცენ. მითუმეტეს, როგორც ითქვა, თბილისშიც არანაკლები ლტოლვილი სომეხი იყო. აქედან გამომდინარე, ერთადერთი მიზეზი, თუ რატომაც არაფერს წერენ ცხრავე ანდერძ-მინაწერის ავტორები თბილისის დაცემაზე, შემდეგში უნდა მდგომარეობდეს: შავბატკნიანებს საქართველოს დედაქალაქი არასოდეს აუღიათ.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა ასევე განსახილველ წყაროებში ნახსენებ ჯიზიასა და ხარაჯას, რომელიც დაუნესეს ქრისტიან მოსახლეობას. აღ-მაზანდარანს შემონახული აქვს ცნობა, რომლის მიხედვით საქართველოს მეფემ აღმოსავლეთის ერთ-ერთ მმართველს გადაუხადა 400 000 დინარი (კიკნაძე 1989: 87-91). დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო, რომ მოცემული თანხა დავით მეცხრემ (1346-60 წწ) გადაუხადა ილხანთა საყაენოს ნომინალურ ყაენს, ანუშირვანს (ლომინაძე 1979: 504; ასათიანი, ოთხმეზური, სამსონაძე, ჯამბურია 2012: 88), თუმცა ეს მოსაზრება სამართლიანად გაკრიტიკებულია და მიჩნეულია, რომ ეს ერთჯერადი გადასახადი გადაიხადეს ქართველებმა 1440 წელს (კიკნაძე 1989: 88-91). აქედან გამომდინარე, ალექსანდრეს მართლაც მოუწია საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა ჯეჰან შაჰის სასარგებლოდ, მაგრამ ეს არა საქართველოზე დაკისრებული ყოველწლიური ხარკი, არამედ ერთჯერადი გადასახადი იყო, რომლითაც ქართველებმა დაიბრუნეს სამშვილდე და გამოისყიდეს თურქმანების მიერ დატყვევებული ადამიანები (თავაძე 2013: 47-48). გარდა ამისა, შავბატკნიანთა ბელადი

იმედოვნებდა, რომ მოცემული თანხით აანაზღაურებდა სამხედრო კაპიანისთვის განეულ ხარჯებს (თავაძე 2013: 55).

ჯეჰანის ამ შემოსევასთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია განსახილველი, მაგალითად ბრძოლის ის ტაქტიკა, რომელიც აირჩია საქართველოს მეფემ. მიჩნეულია, რომ ჯეჰანის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი მოულოდნელობის ეფექტი იყო, რაც არ უნდა იყოს სწორი (მახარაძე 2015: 75; თავაძე 2013: 53). ალექსანდრე დიდს ძალიან კარგი სადაზვერვო სისტემა ჰქონდა, რაც კარგად გამოჩნდა 1420-30-იან წლებში. საქართველოს მეფეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ გადაჰქონდა ბრძოლები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, როდესაც შავბატკნიანები და თემურიდების იმპერია ერთმანეთთან ომში იყო ჩართული. მაგალითად, საქართველოს მონარქმა, ჩანს, იცოდა ზუსტად როდის დაბრუნდა ოსმალეთიდან დევნილი ისქანდერი ჩრდილოეთ ირანში, რის შემდეგაც უარი თქვა შაჰ რუხის მორჩილებაზე. გარდა ამისა, ჯეჰანი საქართველოში ლაშქრობამდე ყარსში ჩერდება 2-3 დღით, ხოლო შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ლაშქრობს ამიერკავკასიის ქვეყნებში, რაც ვფიქრობ, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდა საქართველოს სამეფო კარს. მით უმეტეს, ხარკზე უარის თქმას, რომ საპასუხო ლაშქრობა მოჰყვებოდა ამასაც არ სჭირდებოდა დიდი გამოცნობა, ამიტომ მოულოდნელობის ეფექტი გამოსარიცხია. მიუხედავად ამისა, სომხური ანდერძ-მინაწერები და წყაროები საუბრობენ ალექსანდრე დიდის უნიათობასა და ქართველი ერის სილაჩრებზე, თუმცა ჯეჰან შაჰმა 3-4 თვე მოანდომა სამშვილდის აღებას და ისიც მზაკვრობით მოახერხა, რაც ქართველთა სისუსტეზე ნამდვილად არ მეტყველებს (თავაძე 2013: 46). ჯეჰანის ამ ლაშქრობის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი ნამდვილად იყო ალექსანდრე დიდის გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა (მახარაძე 2015: 75; თავაძე 2013: 52-53). თომა მენოფეცის ცნობით, 1439 წლისთვის ალექსანდრე კეთრით დაავადდა და ძლიერი ტკივილებიც აწუხებდა (Metsobets'is 1987: 21).¹

მნიშვნელოვანი საკითხია ჯეჰან შაჰის დაქვემდებარებაში არსებული ჯარის რაოდენობა და აღჭურვილობა. ვინმე ჰოვანესის ცნობით, შავბატკნიანთა მბრძანებელს საქართველოში ლაშქრობის დროს 20 000 მეომარი ჰყავდა (აბდალაძე 1978: 161-162). მოცემული ცნობა მისაღებია, რადგანაც წყაროებიდან არ ჩანს, აღმოუჩინა თუ არა რაიმე სა-

1 სომეხი ისტორიკოსის ცნობით მეფე ხშირად ითიშებოდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ისევ მოდიოდა გონს (Metsobets'is 1987: 21).

ბის სამხედრო დახმარება შაკ რუხმა თავის ვასალს. ამასთანავე, 1477-78 წლებში საქართველოში შემოჭრისას თეთრბატკნიანთა მბრძანებელ უზუნ ჰასანს დაახლოებით ამავე რაოდენობის სამხედრო ძალა – 30 000 მეომარი ჰყავდა (20-25 000 ცხენოსანი, 5000 ქვეითი) (ბარბარო 1981: 58). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1477-78 წლებში უზუნი მთელს სპარსეთზე მბრძანებლობდა (ლომინაძე: 1979: 565), ხოლო ჯეჰანის დაქვემდებარებაში მინიმუმ 3-ჯერ ნაკლები ტერიტორია მაინც იყო 1440 წლისათვის, შავბატკნიანთა ლაშქარში 20 000 მეომრის ყოლა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. გარდა ამისა, შუა საუკუნეებში, ზოგადად, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არმიის აღჭურვილობასა და ხარისხს და არა რაოდენობას. ასევე გასათვალისწინებელი იყო ყოველი სამხედრო კამპანიის წინ დასაპყრობი ქვეყნის ტერიტორიული მდებარეობა და რესურსები, რომელსაც გამოიყენებდნენ დამპყრობლის ჯარის შენახვის მიზნით ომის განვლივის შემთხვევაში. მაგალითად, ჰულაგუ ყაენმა ბაღდადი 1258 წელს აიღო 150 000-იანი არმიით, მაგრამ ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ პალესტინაში სამხედრო კამპანიის ჩატარებას იგი მხოლოდ 15 000 მეომრით აპირებდა (McCallion 2019: 4-11).¹ საქართველო, მართალია, სოფლის მეურნეობის კუთხით მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო, მაგრამ უაღრესად მთავორიანი და არც თუ ისე დიდი რესურსით. შესაბამისად, ჯეჰანის დაქვემდებარებაში 20 000 მეომრის ყოლა, ვფიქრობ, სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ ეს ჯარიც, როგორც ელ-ჰუსეინი წერს, იყო „კარგად შეიარაღებული“ (მახარაძე 2015: 62-63) და საფიქრებელია, კარგად განრთვნილიც. საპირისპიროდ თუ გავითვალისწინებთ, საქართველოში 1340-იან, 1360-იან და 1420-იან წლებში გავრცელებულ შავი ჭირის ეპიდემიებთან (თაბუაშვილი 2020: 148-149) ერთად XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე თემურ-ლენგის 8 დამანგრეველ შემოსევას, რომელმაც არანაკლები დემოგრაფიული დარტყმა მოგვაცენა, ვიდრე საქართველოში გავრცელებულმა ეპიდემიებმა, არ იქნება რთული წარმოსადგენი, რომ ალექსანდრე დიდი ასეთივე რაოდენობისა და ხარისხის ჯარს ვერ გამოიყვანდა. აქედან გამომდინარე, ჯეჰანის კარგად განრთვილ არმიასთან გაშლილ ველზე გენერალურ შეტაკებაში შებრძოლება არ იყო მიზანშეწონილი,² შესაბამისად, შე-

1 ჰულაგუ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ პალესტინას 15 000-ზე მეტი მეომრის შენახვა არ შეეძლო.

2 რაც, ჩემი აზრით, გამოჩნდა კიდევაც 1444 წლის შემოსევისას, როდესაც ახალციხესთან გენერალურ შეტაკებაში ვახტანგ IV-ს გაუჭირდა ჯეჰანის დამარცხება (ვახუშტი 1973: 282).

იძლება ვიფიქროთ, რომ ალექსანდრემ აირჩია „ციხეებში ჩაკეტვის“ ტაქტიკა, რაც იმაშიც გამოჩნდა, რომ სამშვილდე მზად იყო საკმაოდ ხანგრძლივი ალყისთვის.¹ შორს, რომ არ წავიდეთ, ბრძოლის ასეთივე ტაქტიკა აირჩია თემურ-ლენგის პირველი შემოსევისას ბაგრატ V-მ, რომელმაც თავი აარიდა აზიის დიდი დამპყრობლის უზარმაზარ არმიასთან გენერალურ შეტაკებას და თბილისში ჩაიკეტა (ტაბატაძე 1974: 59-70). ამ ტაქტიკამ გაამართლა, რადგანაც თემურ-ლენგი, რომელიც მსოფლიოს უდიდეს ქალაქებს ძალიან სწრაფად იღებდა, მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში ცდილობდა საქართველოს დედაქალაქის აღებას (კაციტაძე 1975: 130-131).

ჯეჰანის ამ შემოსევასთან დაკავშირებით ასევე გასარკვევია რა რაოდენების ადამიანი შეიწირეს შავბატკნიანებმა და რა რაოდენობის ჩაიგდეს ტყვედ. სომხური და მაჰმადიანური წყაროები სხვადასხვა რიცხვს ასახელებენ, რაც ართულებს სიმართლის დადგენას. ტყვეთა რიცხვი ხშირ შემთხვევაში 2000-დან 30 000-მდე მერყეობს,² ხოლო დაღუპულები სომხური მინაწერების მიხედვით 1664-დან 12000-მდე იყო. რა თქმა უნდა, წყაროები გასაგები მიზეზების გამო უსაშველოდ აზვიადებენ რიცხვებს. 1477-78 წლებში საქართველოში შემოიჭრა თეთრბატკნიან თურქმანთა ბელადი უზუნ-ჰასანი, რომელმაც დაარბია ქვემო ქართლი და სამცხის მნიშვნელოვანი ნაწილი, აიღო თბილისი და გორი. უზუნმა ამ ლაშქრობის დროს ტყვედ ჩაიგდო 4000-5000 ადამიანი (ბარბარო 1981: 62).³ შესაბამისად, ჯეჰანი, რომელმაც სამშვილდე აიღო და უკიდურეს შემთხვევაში, თბილისის შემოგარენი მოარბია, უფრო საფიქრებელია, რომ დაატყვევებდა დაახლოებით 2000 ადამიანს. რაც შეეხება დაღუპულებს, ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვის გათვალისწინებით მათი რიცხვიც, ჩემი აზრით, მიახლოებით 2000-3000 უნდა ყოფილიყო.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი. ქართველებსა და შავბატკნიანებს შორის მტრობა 1430-იან წლებშიც გრძელდება, რაც გამოიხატა ისქანდერის 1431 წლის შემოსევაში. 1438 წელს ისქანდერი ტახტზე ჩაანაცვლა ჯეჰან შაჰმა, რომელმაც სცნო საკუთარი თავი თემუ-

1 ალექსანდრეს ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ უწყობდა ხელს თავად ჩადგომოდა ქართულ ლაშქარს სათავეში გენერალური ბრძოლის დროს.

2 მაგალითად, ჰასან რუმლუს ცნობით, ჯეჰანმა 30 000 ადამიანი დაატყვევა ამ ლაშქრობის დროს (კუცია 1979: 80).

3 ბარბარო ამ ამბების თვითმხილველი იყო და თან ახლდა უზუნს ლაშქრობაში, ამიტომაც ამ სამხედრო კამპანიის დეტალები ყველაზე ზუსტად მას ეცოდინებოდა.

რიდების იმპერიის მმართველის, შაჰ რუხის ვასალად. 1435-36 წლებში ალექსანდრემ აღიარა შაჰ რუხის უზენაესობა და იკისრა ხარკის გადახდა, რომლის აკრეფაც დაევალა ჯეჰანს. ჯეჰანის 1440 წლის შემოსევას საქართველოში განაპირობებდა სამი მიზეზი: საქართველოში თავშეფარებული სომხების დასჯა, ზემოთ ნახსენები შეპირებული ხარკის გადაუხდელობა და 1437-38 წლებში ალექსანდრე დიდის მიერ ჩატარებული სამხედრო მოქმედებები. შავბატკნიანები საქართველოში შემოიჭრნენ 27 მარტს, აღდგომა დღეს. მტრის მრავალრიცხოვნობისა და კარგად შეიარაღების გამო, ალექსანდრე დიდმა აირჩია „ციხეებში ჩაკეტვის“ ტაქტიკით ბრძოლა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ გენერალური ბრძოლის შემთხვევაში ჯანმრთელობის პრობლემების გამო მეფე თავად ვერ ჩაუდგებოდა ლაშქარს სათავეში. ჯეჰანმა სამშვილდე აიღო მზაკვრულად 3-4 თვიანი ალყის შემდეგ, დახოცა 2000-3000 ადამიანი და ტყვედ ჩაიგდო დაახლოებით ამდენივე. შავბატკნიანებს ამ ლაშქრობისას არ აუღიათ თბილისი, უკიდურეს შემთხვევაში ჯეჰანის მეომრებმა დაარბიეს თბილისის „შემოგარენი“, ანუ მიმდებარე ტერიტორიები და უკან გაბრუნდნენ. ალექსანდრე დიდმა სამშვილდის დაბრუნებისა და ტყვეთა გამოსყიდვის მიზნით ჯეჰანს გადაუხადა სოლიდური თანხა 400 000 დინარის სახით.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ აბდალაძე 1976: აბდალაძე ალექსანდრე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 3, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1976, გვ. 75-83;
- ▶ აბდალაძე 1978: სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978;
- ▶ ასათიანი, ოთხმეზური, სამსონაძე, ჯამბურია 2012: ასათიანი ნოდარ, ოთხმეზური გიორგი, სამსონაძე მიხეილ, ჯამბურია გივი, საქართველოს ისტორია, ოთხტომეული, ტ. III, საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2012;
- ▶ ბარბარო 1981: ბარბარო ჯოსაფატ, XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1981;

- ▶ ბროსე 1895: ბროსე ფელისიტე მარი, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი მთარგმნელი: ს. ლოლობერიძე, თბილისი: სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. №21, 1895;
- ▶ დუნდუა... 2011: დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო, ქართული ნუმისმატიკა, ტ. II, XIII-XIX საუკუნეების ემისიები და უცხოური მონეტების მიმოქცევა, თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2011;
- ▶ ვახუშტი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლისცხოვრება, ტომი IV, ტექსტი და დგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1973;
- ▶ თაბუაშვილი 2020: თაბუაშვილი აპოლონ, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბილისი: გამომცემლობა კოლორი, 2020;
- ▶ თავაძე 2013: თავაძე ლერი, ჯაჰან შაჰის 1440 წლის ლაშქრობა საქართველოში, საისტორიო კრებული 3, თბილისი: გამომცემლობა მხედარი, 2013, გვ. 22-59;
- ▶ ივანე ჯავახიშვილი: თხზულებები 12 ტომად, ტომი III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982;
- ▶ კაციტაძე 1975: კაციტაძე დავით, საქართველო XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975;
- ▶ კიკნაძე 1989: კიკნაძე ვაჟა, საქართველო XIV საუკუნეში, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1989;
- ▶ ლომინაძე 1979: ლომინაძე ბაბილინა, საქართველო XV საუკუნის I ნახევარში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1979;
- ▶ მახარაძე 2015: მახარაძე მირიან, კიდევ ერთი აღმოსავლური წყარო შავბატკნიანთა მბრძანებლის ჯეჰან შაჰის საქართველოში შემოსვლის შესახებ, საისტორიო კრებული 5, თბილისი: გამომცემლობა მხედარი, 2015, გვ. 62-77;
- ▶ ნინიძე 1998: ნინიძე დავით, საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობები XV საუკუნის I ნახევარში, წიგნში: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტომი II, რედ. როინ მეტრეველი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998;
- ▶ ჟორდანია 2018: ჟორდანია თედო, ქრონიკები, II ტომი, თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი, 2018;
- ▶ ჰასან რუმლუს... 1966: ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1966;
- ▶ კუცია 1979: კუცია ა., აჰსან ათ-თავარიხის ცნობები XV

საუკუნის საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წ. 2, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1979;

- ▶ ტაბატაძე 1974: ტაბატაძე კარლო, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება, 1974;
- ▶ წურნუშია 2019: წურნუშია მამუკა, ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში, ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი, გოჩა ჯაფარიძის წინასიტყვაობით, თბილისი, 2019;
- ▶ Donzel, Lewis and Pellat 1997: Donzel Emeri Johannes Van, Lewis Bernard, Pellat Charles, The Encyclopaedia of Islam, New Edition, Leiden, E.J. Brill, 1997;
- ▶ Jackson, Lockhart 1986: Jackson Peter, Lockhart Laurence, The Cambridge History of Iran, Vol. VI, Cambridge, Cambridge University Press, 1986;
- ▶ Metsobets'i' 1987: Metsobets'i' T'ovma, History of Tamerlane and His Successors, New York, 1987, ხელმისაწვდომია http://www.documentacatholicaomnia.eu/03d/1378-1446,_T'ovma_Metsobets'i,_History_Of_Tamerlane_And_His_Successors,_EN.pdf ბოლოს დამოწმებულია 23.11.2022;
- ▶ Mccalion 2019: Mccalion David, Battle of Ain Jalut 1260 AD, History Marche, 2019, ხელმისაწვდომია <https://www.youtube.com/watch?v=zNZofJbM0Q4> ბოლოს დამოწმებულია 23.11.2022;

Luka Nebieridze

BA Program in History
Faculty of Humanities, TSU

MUZAFFAR AL-DIN JAHAN SHAH'S INVASION OF GEORGIA IN 1440 (SUMMARY)

The purpose of this article is to once more analyze the raid of the leader of the Black Sheep Turkomen, Jehan Shah (1440-67) carried out against Georgia in 1440.

According to Hasan Rumlu in 1434 Jehan betrayed his brother, Iskandar, the leader of the Black Sheep Turkoman, and became a vassal of Chaghatayid ruler Shah Rukh (1404-47). Soon, Iskandar was killed in 1438 and Jehan became

the sole leader of the Qara-Qoyunlu, but as the vassal of Shah Rukh. As the Georgian and Persian sources mention, the King of Georgia, Alexander I the Great (1413-1442) was obliged to pay tribute to the Chaghatayid ruler Shah Rukh, renewing the agreement that was made between George VII and Tamerlane in 1403. Shah Rukh tasked Jehan with ruling Iranian Azerbaijan and collecting the tribute from Georgia. According to the Armenian sources, that was the tribute, Jehan was demanding from Alexander to pay. But, the King of Georgia not only refused to pay the tribute, but in 1437-38 started a military campaign against the vassal regions of Shah Rukh, subduing Qarabag, Ganja, Shirvan, and Daruband. In response, enraged Jehan invaded Georgia in 1440. Besides the desire to defeat Alexander, the leader of the Qara-Qoyunlu also wanted to punish the Armenians and their benefactors, among them Beshken and Rustam Orbeliani, who were taking refuge in Georgia from 1436. Jehan entered the Qcia valley and soon lay a siege on the city of Samshvilde. Black Sheep Turkomans took the city, slaughtering 2000-3000 people and capturing approximately the same amount. The traditional view of this military campaign based on T'ovma Metsobets'I held an opinion that Jehan also took Tbilisi, destroyed all the old and new Churches, built by the Georgian kings, and imposed heavy taxes on the Christian population. According to Mirian Maxaradze sacking of Tbilisi, is confirmed by the 15th-century historian, Jafer-I Muhammad el Hussein, but as it turned out from my article, he meant the surrounding territories of the city and not the city itself. Leri Tavadze thinks that it's the same case with Hasan Rumlu. As for the Georgian charter dated 1452, which was used as an argument for capturing Tbilisi by Jehan Shah, I believe I have already proven that this Georgian source date is not 1452, but 1412. Therefore, it cannot be used for scientific research, concerning Black Sheep Turkoman's military campaign against Georgia in 1440. The only historian who mentions the fall of Tbilisi (the city itself) is Armenian historian T'ovma Metsobets'I, who despised Georgians. His hatred toward Alexander I and the Georgian nation was the result of the ongoing religious dispute between Georgians and Armenians which started centuries ago. Hence, T'ovma made up the sacking of Tbilisi by Jehan to show Georgian's ineffectiveness and cowardice. Contemporary royal charters, contrary to T'ovma, say that almost all of the Georgian churches are intact, proving the fact that Jehan never took Tbilisi.

სიმონ I-ის დიპლომატიური ურთიერთობის საკითხისთვის ესკანეთის მეფე ფილიპე II-თან

საკვანძო სიტყვები: ანტიოსმალური კოალიცია, წმინდა ტახტი, სიმონ I, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ქართლის სამეფო

Keywords: Anti-Ottoman alliance, Holy See, Simon I, Western european countries, Kingdom of Kartli

საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ძიებაში მყოფი საქართველოს სწრაფვა ევროპისაკენ ყოველთვის დიდი იყო. სწორედ ამას ადასტურებს მისი ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური პოზიცია საუკუნეების მანძილზე. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ევროპის ქვეყნებთან დამყარებულ ურთიერთობათა ფორმები განსხვავებულია. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, წარმოადგენდა რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ევროპისა და აზიის გზაგასაყარს, მზარდი იყო დიდი იმპერიების სურვილიც დაპატრონებოდნენ ამ რეგიონს. პირობითად, შეგვიძლია შუა საუკუნეებში ევროპასთან დამყარებული კავშირები რამდენიმე ეტაპად დავყოთ. პირველია ერთიანი ქართული მონარქიის აღმავლობის პერიოდი, როდესაც საქართველო განსაკუთრებით ძლიერდება და ქართველი მეფეები თანასწორ მდგომარეობაში არიან ევროპელ მონარქებთან. მეორე ეტაპი ერთიანი ქართული მონარქიის დაღმავლობის ხანაა, კავშირების დამყარება რთულდება და ხშირად მესამე სახელმწიფოს შუამავლობით ხორციელდება, ხოლო ბოლო ეტაპი სამეფო-სამთავროებად დაშლილი, დასუსტებული ქვეყნის უშედეგო მცდელობებს წარმოადგენს, რომელსაც არანაირი ქმედითი ღონისძიებები არ მოჰყოლია (სამუშია 2009: 191).

ევროპაში დიდი ყურადღება ექცეოდა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე დაპირისპირებას. ამ ძალებს შორის დაძაბული ურთიერთობა ევროპის კათოლიკე სახელმწიფოებთან ერთად, საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა. პაპობის ანტიოსმალური განწყობა ლეპანტოს ბრძოლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. გრიგორი XIII (1572-1585) მთელი ძალებით ცდილობდა მხარი დაეჭირა ანტიოსმალური ლიგის ჩამოყალიბებისთვის. ამის საპირისპიროდ, ევროპის სახელმწიფოების

ნაწილი ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ოსმალეთთან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან XVI საუკუნეში გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია და საფრანგეთი მოიცვა რეფორმაციის მოზღვავებულმა ტალღამ. გარდა ამისა, საფრანგეთს ოსმალეთთან სავაჭრო ინტერესები ჰქონდა (გაბაშვილი 1954: 79). ზოგიერთი სახელმწიფო აგრძელებდა აქტიურ ანტიოსმალურ კამპანიას. რეჩ-პოსპოლიტას მეფე იშტვან ბატორი 1584 წლისთვის უკვე სახავდა სამომავლო გეგმებს ადრიანოპოლსა და კონსტანტინოპოლზე შეტევისთვის. ამ კამპანიას უნდა შეერთებოდნენ რუსები, სპარსელები და ქართველები (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 287). სპარსელებზე დიდი იმედები მყარდებოდა. ისინი ფაქტობრივად გააორმაგებდნენ ქრისტიანთა ძალებს (ტარდი 1977: 89). პაპობა ამ იდეის აქტიური მხარდამჭერი იყო. სამნუხაროდ, გრიგორი XIII 1585 წელს, ხოლო იშტვან ბატორი 1586 წელს გარდაიცვალა. წინამორბედი პაპების საქმიანობა განაგრძო სიქსტუს V-მ, ხოლო იშტვან ბატორის იდეა იმემკვიდრა სიგიზმუნდ ბატორიმ, რომელმაც გააგრძელა დეიდაშვილის დაწყებული საქმე (ტარდი 1977: 89). საქართველოსთან ერთადერთი ალიანსი უნგრეთის ისტორიაში დაკავშირებულია სწორედ სიგიზმუნდ ბატორის სახელთან (Tardy 2007: 208). ჩვენ არა გვაქვს ამის პირდაპირი მტკიცებულებები, თუმცა ირიბი გარემოებები გვაძლევს შესაძლო კავშირის მტკიცების საფუძველს. ოსმალეთის დაზვერვა კარგად მუშაობდა. სავარაუდებელია, რომ ჰქონდათ ინფორმაცია სიგიზმუნდის გეგმების შესახებ. 1587 წლის 22 ნოემბრით დათარიღებულ წერილში მურად III „დიდი სიხარულით“ ატყობინებდა ტრანსილვანიის მთავარს – სიზიგმუნდ ბატორის, ფერჰად ფაშას მიერ ქართველების დამარცხების ამბავს (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 291). სულთნის მხრიდან ეს იყო ერთგვარი „დიპლომატიური მუქარა“ და გაფრთხილება სიზიგმუნდ ბატორისადმი. წერილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მურად III აშკარად აჭარბებდა, რადგან 1588 წელს დაიდო საზავო ხელშეკრულება სიმონ I-სა და ფერჰად ფაშას შორის (სვანიძე 2003: 144). ომი უკვე 10 წლის დაწყებული იყო. ქართლის სამეფომ ყველაზე მეტად იზარალა. ოსმალეთისთვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო დაუძინებელ მტერთან ზავის დადება. ზავის პირობებით ოსმალეთი ცნობდა სიმონ მეფის უფლებას სამეფო ტახტზე, აღიარებდა მის მემკვიდრეობითობას და იღებდა ვალდებულებას, არ ჩარეულიყო ქართლის საშინაო საქმეებში. ამავდროულად, ოსმალეთი ინარჩუნებდა დაპყრობილ ტერიტორიას და ქართლის ციხეებში ოსმალთა

გარნიზონები რჩებოდა (სვანიძე 2003: 146). რთული სათქმელია, რამდენად შეიძლება ჩავუთვალოთ სიმონს ზავის დადება წარმატებად. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ ვითარებას, გამოჩნდება, რომ სიმონ მეფის მხრიდან დროებითი შეთანხმება ერთადერთი გონივრული გზა იყო. საინტერესოა, რომ უშუალოდ ზავის შესახებ ქართულ წყაროებში ინფორმაციას არ ვხვდებით. ქართველმა მემატიანეებმა ეს ფაქტი თავისებური ინტერპრეტაციით გადმოსცეს (სვანიძე 2003: 142). ალბათ, მათთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სიმონი ზავს დადებდა ოსმალებთან. მშვიდობიანობა დიდი ხნით არ გაგრძელებულა. სიმონმა მალევე განაახლა თავდასხმები ოსმალებზე, რომელთა გარნიზონები ჩაყენებული იყო მთავარ ციხე-სიმაგრეებში. ამასთანავე, 1587 წლიდან, სპარსეთში შაჰის კარზე შექმნილი კრიზისის პარალელურად, სიმონი იწყებს ახალი მოკავშირეების ძიებას და კავშირს ამყარებს ევროპის სასულიერო ცენტრთან (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 292). აქვე, ორიოდ სიტყვით უნდა ითქვას სიმონის პოლიტიკურ ირანოფილობაზე. ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ სიმონს პროირანული კურსისთვის არ უღალატია. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სიმონი მოქმედებდა პრინციპით: „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. მტრის მტერი სიმონისთვის ოსმალეთი იყო, „მეგობრად“ ქცეული მტერი – სპარსეთი. სიმონის სურვილი, კავშირი დაემყარებინა ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან და რომის პაპთან, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების მისაღებად, სრულ თანხვედრაში იყო ირანის ინტერესებთან. არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი ან მტკიცებულება იმისა, რომ ამისათვის სიმონს ნებართვა უნდა აეღო სპარსეთის შაჰისგან, არ არსებობს. ამრიგად, ჩვენ ვიზიარებთ პროფ. მურმან პაპაშვილის მოსაზრებას, რომ სიმონი მოქმედებდა არა შაჰის კარნახით, არამედ დამოუკიდებლად, თუმცა სეფიანთა ინტერესების გათვალისწინებით (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 290).

ევროპულ წყაროებს შორის განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია დიპლომატიური სახის წერილებს. ევროპელი მონარქები აღმოსავლეთში ოფიციალურ ელჩობასთან ერთად ხშირად გზავნიდნენ საიდუმლო აგენტებს. ისინი აგროვებდნენ დეტალურ ინფორმაციას და თავიანთ მეფეს მოხსენებების სახით უგზავნიდნენ. ამგვარი ცნობები დიდი სანდოობით სარგებლობს. მართალია ზოგან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები, მაგრამ, საერთო ჯამში, ინფორმაციულობის თვალსაზრისით, მაინც საკმაოდ გამოსადეგია. ფილიპე II-ს საიდუმლო

აგენტები ჰყავდა ვენეციასა და კონსტანტინოპოლში, საიდანაც იგზავნებოდა დიპლომატიური წერილები ესპანეთში. ამ მხრივ, ბოლო პერიოდის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას წარმოადგენს სიმანკასის არქივში მიკვლეული დოკუმენტები. ყველაფერი ხოსე მანუელ ფლორისტან იმისკოსის სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობით დაიწყო, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ლუის ხილი ფერნანდესი. მუშაობის პროცესში აღმოაჩინეს უამრავი იქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტი. პროფესორ ლუის ხილი ფერნანდესისა და პროფესორ ილია ტაბალუას ინიციატივით, ეს უაღრესად საინტერესო დოკუმენტები ორენოვან წიგნად გამოქვეყნდა (ფერნანდესი, ტაბალუა... 1993: 95). იგი შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ომზე, დიდი ადგილი უკავია ცნობებს საქართველოსა და ქართლის მეფის – სიმონ I-ის შესახებ, აღნიშნული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები გაგზავნილია კონსტანტინოპოლიდან და ვენეციიდან 1579-1591 წლებში (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 292). წერილების ავტორები არიან ხუან დე იდიაკესი, ხუან სორნოსა, ხუან დე მარლიანი, გრაფი დე ოლივარესი, კრისტობალ დე სალასარი, ლივიო მოლინო და სხვები. გამოდის, რომ ესპანეთის სახელმწიფო საბჭო დაინტერესებული და ინფორმირებული იყო ამ პერიოდში აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენებით, რომლის უშუალო თანამონაწილე გახლდათ საქართველო.

რაც შეეხება სიმონ მეფის გააქტიურებას დიპლომატიურ სარბიელზე, ეს ხდება 1587 წლიდან. სიმონმა დიპლომატიური მისიით გაგზავნა ორი დესპანი: ქართველი წარჩინებული და სომეხი ვაჭრის ტანისამოსში გადაცმული ალექსანდრე (ფერნანდესი, ტაბალუა... 1993: 348). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დიპლომატიური დანიშნულებით სომეხი ვაჭრებისა თუ სასულიერო პირების გაგზავნა საკმაოდ ხშირი და დაცდილი პრაქტიკა იყო, რასაც ხშირად მიმართავდნენ როგორც სეფიანები, აგრეთვე ქართველი მეფეები. განსაკუთრებული ადგილი ამ მიმართულებით უჭირავთ ძველი ჯულფას ვაჭრებს, რომლებსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც აქტიურად იყენებდნენ (ქარჩავა 2009: 66). „ისტორიულმა განვითარებამ და დიასპორულმა ბუნებამ სომეხები ჩააყენა უნიკალურ პოზიციაში ეშუამდგომლათ ოსმალებსა და სხვა ქვეყნებს შორის“ (Goffman 2004: 85). ამრიგად, ისინი სარგებლობდნენ საერთაშორისო ვაჭრების სტატუსით და ებრაელი ვაჭრების მსგავსად, მინიჭებული ჰქონდათ პრივილეგიები. ქართველი წარჩინებული ერზრუმში ფერჰად ფაშას დაუტყვევებია, სწორედ მას მიჰქონდა სიმონ

მეფის წერილები და საჩუქრები რომის პაპისთვის. სომეხი ალექსანდრე კი კონსტანტინოპოლიდან ვენეციაში გადავიდა, საიდანაც მალევე აღმოჩნდა რომში (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 294). ალექსანდრეს ხელთ არ ჰქონდა სიმონის წერილები, მას მხოლოდ სიტყვიერად შეეძლო გადაეცა რომის პაპისთვის ქართლის მეფის დანაბარები. ასეთ შემთხვევაში წმინდა ტახტის სკეპტიკური დამოკიდებულება მოსალოდნელიც იყო. სიმანკასის არქივში მიკვლეული დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ 1588 წლის 5 თებერვლის და 1588 წლის 6 თებერვლის მოხსენებებით, გრაფი დე ოლივარესი აცნობებდა ფილიპე მეორეს ქართლის მეფის, სიმონის დესპანის ჩასვლას რომში და მის მიერ საჩუქრების ჩატანას (ფერნანდესი, ტაბალუა... 1993: 345). საუბრობს რა სიმონ მეფის დანაბარებზე, რომელიც გადასცა მას ალექსანდრემ, ოლივარესი აშკარად დადებითად არის განწყობილი ამ ელჩობის მიმართ. ამის დასტურია მისი სიტყვები „... ამ წამოწყებით არ იქნება არაფერი დაკარგული, ხოლო მოგება იქნება დიდი“¹. მიუხედავად გრაფი დე ოლივარესის ამგვარი სიმპათიისა, პაპ სიქსტუს V-ის სიფრთხილე გადამწყვეტი აღმოჩნდა. ევროპასთან სიმონ მეფის პირველი დიპლომატიური ნაბიჯების დამსახურება ის არის, რომ მან გამოიწვია ორმხრივი ინტერესი, რაც გამოიხატა შემდგომ პერიოდში ამ დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელებაში.

1590 წლის 21 მარტს კონსტანტინოპოლში დადებული ხელშეკრულებით ირანს დიდ დათმობებზე მოუწია წასვლა, თუმცა ომის შეწყვეტის ფასად, შაჰ აბასისთვის ეს პირობები დროებით მისაღები იყო (გაბაშვილი 1954: 90). ირან-ოსმალეთის შეთანხმება ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც ევროპის სახელმწიფოებისთვის, ასევე რუსეთისთვის, აღარაფერს ვამბობთ საქართველოზე. მომწიფდა ნიადაგი ახალი ანტი-ოსმალური ლიგის ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც სათავეში საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი რუდოლფ II და პაპი კლიმენტ VIII ჩაუდგნენ. პაპის ანტიოსმალურ გეგმებში ირანთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა საქართველოს, რაც კარგად ჩანს იმ მითითებებიდან, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა კლიმენტ VIII-ს მოციქულს, ალექსანდრე კამულეის (გაბაშვილი 1954: 92). პაპის მცდელობებს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია ესპანეთსა და რუსეთში. სამაგიეროდ, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ქართლის მონარქის, სიმონ მეფის მხრიდან.

1 ოლივარესი ამას ამბობს ქართველი მეფის წამოწყებასთან დაკავშირებით, ერთობლივად წარმართონ ომი თურქების წინააღმდეგ

სიმონმა წერილი გაგზავნა ესპანეთის მეფესა და რომის პაპთან. წერილი წაიღო სრული დიპლომატიური უფლებებით აღჭურვილმა ტერ იაკობმა, რომელსაც შაჰ აბასი აგზავნიდა რომში დიპლომატიური მისიით. აღსანიშნავია, რომ ტერ იაკობს ასევე მიჰქონდა კახთა მეფე ალექსანდრე II-ის წერილები რომის პაპსა და იმპერატორთან და საქართველოს პატრიარქის დომენტი II-ის წერილი რომის პაპთან. სიმონის ესპანეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილის სომხური თარგმანი დათარიღებულია 1596 წლის 14 აგვისტოთი, ხოლო ბერძნული თარგმანი დათარიღებულია 1596 წლის 25 აგვისტოთი (ფერნანდესი 1995: 193). აქედანვე ჩანს, როგორ წინდახედულებას იჩენდა სიმონი, რათა აუცილებლად გამხდარიყო მისი წერილის შინაარსი ცნობილი ფილიპე II-თვის. აღნიშნული დოკუმენტები აღმოაჩინა ცნობილმა არმენისტმა ფ. მაკლერმა და გამოაქვეყნა 1922 წელს (ფერნანდესი 1995: 194). მაკლერის გამოქვეყნებულ მასალას შორის არის სიმონ მეფის წერილის თარგმანი სომხურ ენაზე, ბერძნულ ენაზე, ძველი ესპანური თარგმანი სომხური წერილისა და ძველი ესპანური თარგმანი ბერძნული წერილისა (ხინთიბიძე 1986: 150). საინტერესო ჩანს პროფ. ელგუჯა ხინთიბიძის მოსაზრება, რომელიც ამ დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ ესპანური ტექსტის თარგმანი უნდა შესრულებულიყო ქართული ენიდან (ხინთიბიძე 1986: 154). ე. ი. გამოდის, რომ სიმონს არათუ ორი, არამედ სამი: სომხურთან და ბერძნულთან ერთად, წერილის ქართული ვარიანტიც უნდა გაეგზავნა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ესპანეთის სამეფო კარზე ვინმე ქართული ენის მცოდნე ყოფილიყო, ამას, ალბათ, თავად სიმონიც კარგად აცნობიერებდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას წერილის ქართულ თარგმანთან დაკავშირებით. თუ მსგავს შემთხვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, იგი უფრო მეტად სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იქნებოდა. სიმონ მეფის წერილი, როგორც დიპლომატიური მიმოწერის თვალსაჩინო ნიმუში, შესანიშნავად აქვს წარმოჩენილი პროფ. მურმან პაპაშვილს (იხ. პაპაშვილი 2009: 29-51). გარდა ამისა, არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ამ დოკუმენტის შინაარსობრივ მხარესა და ისტორიულ მნიშვნელობას. ჩვენ აქ ახალს ვერაფერს დავამატებთ. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ ორიოდ მოწაკვებზე. „... მე (იგულისხმება სიმონ მეფე – ჯ. ხ.) და ჩემმა ბიძაშვილმა ალექსანდრემ და სპარსეთის მეფე შაჰ აბასმა შევკარით კავშირი სამივემ თურქის წინააღმდეგ.“ „...ტრანსილვანიელმა ასევე შემომთავაზა რომ თავისი მიწისთვის ისიც იომებს“ (ხინთიბიძე 1986:

154). სიმონი ნაბიჯ-ნაბიჯ, თითოეული სიტყვის განონასწორებული ტონით, ცდილობს დაარწმუნოს ესპანეთის მეფე კავშირის პერსპექტიულობაში. პოლიტიკურთან ერთად, შესანიშნავად აქვს ჩართული სარწმუნოებრივი ფაქტორიც. არანაკლები დიპლომატიური ოსტატობითაა შესრულებული რომის პაპისადმი წარგზავნილი წერილი (თამარაშვილი 1902: 76-78; ტაბაღა 1990: 2-5). აქ ვხედავთ მეფის თავაზიანობას, თავმდაბლობასა და სიყვარულს სარწმუნოებისადმი. ორივე შემთხვევაში სიმონი სთხოვს, ერთი მხრივ, ესპანეთის მეფესა და მეორე მხრივ, რომის პაპს, არ დაივიწყონ იგი და მისწერონ საპასუხო წერილი. ქართლის მეფე უპასუხოდ არც ერთ მათგანს დაუტოვებია. კლიმენტ VIII-ს სახელით გამოგზავნილი წერილი სიმონ I-ისა და პატრიარქ დომენტი II-ის სახელზე შედგენილია 1598 1 აპრილს (Жордания, Гамезардашвили... 1994: 272-288), ხოლო ფილიპე II-ის პასუხი დათარიღებულია 1598 წლის 25 ივლისით (ფერნანდესი, ტაბაღა... 1993: 370). ამავე წლის ზაფხულში სიმონმა განაახლა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა. გაათავისუფლა გორის ციხე და მთელი ქართლი (მამისთვალისშვილი 2009: 326). სიმონს „მოკავშირეებმა“ არანაირი დახმარება არ გაუწიეს. 1599 წელს მისი მრავალწლიანი ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ მარცხით დასრულდა. „მერმე ურუმთ დაიჭირეს, მეფე სვიმონ ალგეთს – ფარცხის, ბევრჯელ ომი კარგად მოხნის, ხან დარჩის რომ ვერ დაფარცხის“ (ბარამიძე, ბერძენიშვილი... 1937: 51). ასე ასრულებს არჩილ მეფე პოემაში გმირი მეფის ისტორიას, რომელმაც „ქართლს ხმალი შეარტყა“. „სიმონ მეფის ბრძოლას ევროპულ წყაროებში უტოლებდნენ იანოშ ჰუნიადის, სკანდერბეგისა და დონ ხუან ავსტრიელის დამსახურებას“ (პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: 337). სიმონ I დაატყვევეს და სიცოცხლის უკანასკნელი წლები იედიყულეს ციხეში გაატარა.

კვლევის პროცესში დამუშავებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობისა და დიპლომატიური ურთიერთობების გათვალისწინებითა და სიმონ მეფის განსაკუთრებული აქტიურობის წყალობით, ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საკითხში ჩართულ მხარეთაგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საქართველო იყო (იგულისხმება ქართლის სამეფო – ჯ. ხ.). მიუხედავად კოალიციის შექმნის პერსპექტიულობისა XVI საუკუნის 90-იან წლებში, უნდა ვიყოთ პრაგმატულები და ვთქვათ, რომ ისტორია არის ის რაც მოხდა და არა ის, რაც შეიძლება მომხდარიყო. შესაბამისად, ფაქტი ფაქტად რჩება –

ანტიოსმალური კოალიცია ვერ შედგა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და წმინდა ტახტთან დამყარებული კავშირები სიმონ I-ის დროს სავსებით რეალისტური იყო, რადგანაც არსებული ვითარებიდან¹ გამომდინარე არსებობდა ორმხრივი ინტერესი და მზაობა ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ბარამიძე, ბერძენიშვილი 1937: არჩილიანი. ტომი მეორე, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 1937;
- ▶ გაბაშვილი 1954: გაბაშვილი ვალერიან, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის. ნაკვ. 31. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, 1954;
- ▶ თამარაშვილი 1902: თამარაშვილი მიხეილ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი: ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ., 1902;
- ▶ მამისტვალიშვილი 2009: მამისტვალიშვილი ელდარ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს.). თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2009;
- ▶ პაპაშვილი 2009: პაპაშვილი მურმან, სიმონ I-ის წერილი ფილიპე II-სადმი – დიპლომატიური მიმოწერის ნიმუში. საიტორიო ვერტიკალები (დამატება). 2009. №18. გვ. 29-51;
- ▶ პაპაშვილი, ქარჩავა... 2021: პაპაშვილი მურმან, ქარჩავა თეა, წითლანაძე თეა, გოგოლაძე ანდრო, სილაგაძე ნიკოლოზ, საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში. თბილისი: სამშობლო. 2021;
- ▶ სამუშია 2009: სამუშია ჯაბა, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხისთვის შუა საუკუნეებში. „მეტეხი“: ინტერდისციპლინარული სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. II, თბილისი, 2009. გვ. 181-191;
- ▶ სვანიძე 2003: სვანიძე მიხეილ, 1588 წელს ქართლის მეფე სიმონ I-ისა და ოსმალეთის სარდალ ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულება. ქართული დიპლომატია. წელიწდეული 10. თბილისი. 2003.
- ▶ ტაბალუა 1990: ტაბალუა ილია, სიმონ მეფის ერთი წერილის შესახებ. გაზ. კომუნისტი. 19 აგვისტო. №191 (21164), 1990;
- ▶ ტარდი 1977: ტარდი ლაიოშ, საქართველოს მეფე სიმონ I მისი

¹ თუკი იქამდე ევროპელი მონარქები ძირითადად მაყურებლის როლით კმაყოფილდებოდნენ, ოსმალთაგან მომავალი მზარდი საფრთხის პირობებში ეს მდგომარეობა შეიცვალა.

- დროინდელი ცენტრალური ევროპის წყაროების მიხედვით. II ნაწილი, „ბედი ქართლისა“, ტ. XXXII. 1974. /ი. ჭიჭინაძე/ უცხოელი ავტორები საქართველოს შესახებ. თბილისი: მეცნიერება, 1977;
- ▶ ფერნანდესი 1995: ფერნანდესი ლუის ხილი, ქართველი მეფეების წერილები: სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ს. (თარგმანი ესპანურიდან). საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. II. თბილისი: მეცნიერება, 1995;
 - ▶ ფერნანდესი, ტაბალუა... 1993: ფერნანდესი ლ. ხ., ტაბალუა ი., დოკუმენტები საქართველოს ისტორიისთვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.). მადრიდი: კომპლუტენსეს უნ-ტის გამომცემლობა, 1993;
 - ▶ ქარჩავა 2009: ქარჩავა თ., ქართველთა მეფეების საერთაშორისო კონტაქტებისა და მათი დესპანების ვინაობის შესახებ XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში. „ინტელექტუალი“. №10. 2009;
 - ▶ ხინთიბიძე 1986: ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმონერის თაობაზე. ცისკარი. №6. 1986;
 - ▶ Goffman 2004: Goffman D., The Ottoman Empire and Early Modern Europe. Cambridge University Press. 2004;
 - ▶ Siraisi 2007: Siraisi N. G., History, Medicine and the Traditions of Renaissance Learning. The University of Michigan Press, Ann Harbor. 2007;
 - ▶ Жордания, Гамезардашвили 1994: Жордания Г., Гамезардашвили З., Римско-Католическая Миссия и Грузия. Ч. I. Тбилиси: Изд-во ТГУ 1994.

FOR THE ISSUE OF THE DIPLOMATIC RELATIONS BETWEEN SIMON I AND KING PHILIP II OF SPAIN (SUMMARY)

The article presents an international situation in the last quarter half of the 16th century, when some countries and the Holy See were trying to make Anti-Ottoman alliances. As I showed in my research, the kingdom of Kartli is one of the most active participants among them.

In searching of foreign political orientation strive for Georgia to Europe was always great. It is confirmed by Georgia's political, cultural and historical position during centuries. In various stages the forms of relations with European countries were different. Due to geopolitical situation, as Georgia was the crossroad between west and east, there was always a big desire for this region coming from big empires. The main political event going on in this period is the war between the Ottoman empire and Safavid Persia. Georgia was a part of it. King Simon of Kartli was fighting against the Ottomans with all his strength. He was trying to find allies. King Simon wrote letters to the Holy See and the King of Spain. Those letters are an example of diplomatic accuracy.

In 1993 professor Luis Gil Fernandez and professor Ilia Tabagua published the book in two languages (*Fuentes para la historia de Georgia en bibliotecas y archivos espanoles (siglos XV-XVII)*). Those documents consist of many essential sources about the events in 1579-1591. Among them are the exact dates of letters when it was received and when it was sent to the king of Kartli. Also, there are important letters sent from Venice and Constantinople to Madrid. We used those sources to research the kingship of Simon in a diplomatic way. There are some other sources found in European archives by the Georgian Scientists. With all this information I was able to show important aspects of Georgian king as a diplomat.

ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII საუკუნის 50-80-იანი წლები)

საკვანძო სიტყვები: ერეკლე II, თეიმურაზ II, ვალი, ქართლ-კახეთი, ირანი, ტიტულატურა, პროვინცია, ოფიციალური მიმონერა, ნადირ-შაჰი, ქერიმ-ხანი, ომან ხერხეულიძე

Keyword: Erekle II, Teimuraz II, Vali, Kartl-Kakheti, Iran, Title, Province, Official Conversation. Nader Shah, Karim Khan, Oman Kherkheulidze

ნაშრომში განხილულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობის ფორმები. ისტორიულ საბუთებზე დაკვირვებით შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ოფიციალური მიმონერა და გვემსჯელა მიმართვის ფორმებზე, დამოკიდებულებებსა და ეტიკეტზე. ასევე განვიხილეთ ისიც, თუ როგორი იყო ადგილობრივი, ქართული საზოგადოების ინფორმირების დონე და აღქმა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ერეკლე II-ის მეფობის შეფასება და ზოგადად, აღნიშნული პერიოდის შესწავლა დღემდე საკმაოდ აქტუალურია. არა ერთ მეცნიერსა თუ უბრალოდ XVIII საუკუნით დაინტერესებულ პირს უმუშავია ზემოხსენებულ საკითხზე, დაწერილია სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები, სტატიები, წიგნები და ა. შ. ნაშრომს ვიწყებთ XVIII საუკუნის 50-იანი წლების წინა პერიოდზე საუბრით. მოხმობილი წყაროები და ინფორმაცია დაგვეხმარება, რომ უკეთ გავიაზროთ 50-იანი წლების აღმოსავლურქართული სინამდვილე.

როგორც ცნობილია, 1730-იან წლებში ნადირ შაჰმა ავღანთა ჰეგემონიის პრობლემა მოაგვარა, ასევე ოსმალეთსა და რუსეთს დააბრუნებინა რიგი ტერიტორიები თავის სასარგებლოდ. ირანის გაძლიერების ფონზე თეიმურაზ II-მ გადაწყვიტა ნადირ-შაჰის პოლიტიკა ქართლ-კახეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ეს კარგად გამოჩნდა პრაქტიკაში, ირანელი მეომრები იბრძოდნენ ლეკების წინააღმდეგ, რომელთა დასუსტება ქართლისა და კახეთის ინტერესშიც შედიოდა. თეიმურაზი ოჯახითაც დაუახლოვდა ნადირ-შაჰს, მან თავისი ქალიშვილი მიათხოვა

შაჰის ძმისშვილს, გარდა ამისა, ვაჟი – ერეკლე, ინდოეთის ლაშქრობაში გააყოლა მას. საინტერესოა, რომ ზემოხსენებულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. შესაბამისად, შაჰმა თეიმურაზს არც სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა და პატივითაც დააბრუნა სამშობლოში. ეს იყო აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო ირანის გავლენისაგან გათავისუფლებისკენ. თეიმურაზ II-ის ქართლში გამეფება 1744 წელს და ერეკლეს კახეთის სათავეში მოსვლა, იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მაგრამ ქართლისა და კახეთის ურთიერთობის ფორმა ირანთან, კვლავ ვასალური იყო. ამგვარი ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოსთვის იყო კოლოსალური მნიშვნელობის პრობლემა, რომელიც გამოიხატებოდა ირანისთვის ხარკის გადახდაში, ტყვეების გაყვანაში. ლაკონურად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოს შეზღუდული ჰქონდა სუვერენული უფლებები.

XVIII საუკუნის 40-იანი წლების ირანზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომ ნადირ-შაჰი ველარ აგრძელებდა ჰეგემონისტურ პოლიტიკას აღმოსავლეთში. ასევე დასრულდა ომი ოსმალეთთან და 1746 წლის ზავიც არამომგებიანი აღმოჩნდა ირანისათვის (დუმბაძე 1973: 600-605). ომის შემდეგ ნადირ-შაჰმა დაიწყო დაპყრობილი ხალხის დაკაბალება და დიდი გადასახადები მოითხოვა. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს გადასახადებად მოსთხოვა 2 000 000 მინალთუნი. ერეკლე და თეიმურაზი აჯანყებისთვის მოემზადნენ. დაიწყეს მოსახლეობის გახიზვნა მიუვალ ადგილებში და სამხედრო ძალების მობილიზება. ასეთი ვითარება იყო ირანის სხვა პროვინციებშიც. შედეგად, შაჰი დათმობაზე წავიდა, მაგრამ დაიბარა თეიმურაზის ვაჟი ერეკლე. თეიმურაზმა გადაწყვიტა თვითონ წასულიყო შაჰთან, გზაში კი შეიტყო, რომ 1747 წელს ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს (თაბუაშვილი 2020: 99-101).

ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ ირანის მმართველი გახდა ადილ-შაჰი, მისი სიკვდილის შემდეგ იბრეიმი, შაჰ როჰი, საიდ-მუჰამედ (კაციტაძე 2001: 436). ყველა ზემოხსენებულ მმართველს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ თეიმურაზთან და პატივისცემით ეპყრობოდნენ, რადგან ირანის არეულ მდგომარეობას თეიმურაზის განდგომა არ წაადგებოდა. 1748 წელს ქართლ-კახეთმა ბოლოჯერ გადაუხადა ხარკი ირანს. იმ დროს თეიმურაზი შაჰის კარზე იმყოფებოდა და ერეკლე მამის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩააგდებდა. როგორც კი საქართველოში თეიმუ-

რაზი დაბრუნდა, ერეკლემ მაშინვე შეწყვიტა ხარკის გადახდა (დუმბაძე 1973: 610-611).

როგორც ზემოთ მოტანილი ინფორმაციიდან ჩანს, ქართული სამეფოებისა და ირანის ურთიერთობის ფორმა შეიცვალა. თუ ნადირ-შაჰი ახორციელებდა დამპყრობლურ პოლიტიკას, იღებდა ხარკსა და მძევლებს აღმოსავლეთ საქართველოსგან, 1749 წლიდან განსხვავებულ რეალობას ვხვდებით. 1749 წელს შეწყდა ხარკის გადახდა და ურთიერთობის ფორმის ცვლილებაც ცალსახაა. ქართულ-ირანული ურთიერთობის ფორმების გასარკვევად საინტერესოა მოვიტანოთ დასახელებული პერიოდის ფირმანები. აღნიშნული საბუთები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორ უყურებდა ირანის შაჰი ქართლ-კახეთს, როგორც ცალკე სამეფოს, თუ როგორც საკუთარ ნაწილს.

1746 წლის 24 სექტემბრის ნადირ-შაჰის ფირმანში ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი აღნიშნულია:

„მაღალი ღვთის შეწევნით გამოვიდა უზენაესი ფირმანი მასზე, რომ წარჩინებულთა შორის რჩეულმა ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილმა, განდიდებულმა შაჰინშაჰური წყალობით, უწყოდეს, რომ ამჟამად დიდებულ მმართველთა [შორის] რჩეულმა ქართლის საქართველოს ვალიმ თეიმურაზ-ხანმა მოგვახსენა იმ მაღალადგილოვანის შვილის რევაზ-ბეგის ჭეშმარიტად მშვენიერი სამსახურის შესახებ დმანისსა და [იმ] ბრძოლაში, რომელიც მოხსენებულს თავდადებით ჩაუტარებია ამბოხებულ ლეკებთან და დაუმარცხებია ისინი. ზემოხსენებულის კეთილი სამსახური, დიდბუნებოვნებმა და მხნეობა ქვეყნის დამამშვენებელი აზრისათვის (ხელმწიფისათვის) აშკარა გახდა. დაე, პირნათლად იყოს შერაცხული, გრძნობდეს თავის მიმართ უსაზღვრო შაჰინშაჰურ კეთილგანწყობილებას, დადგენილი სამსახური და მოვალეობა სრული მონდომებითა და აუცილებელი რუდუნებით შეასრულოს, თხოვნა და გასაჭირი, რაც იქნება, გულწრფელად მოახსენოს [ხელმწიფეს] და ბრძანებას არ გადაუხვიოს. [ამის შესრულება] ვალად მიიჩნიოს. დაინერა 1159 წლის კურთხეული რამაზანის თვის 8-ში“ (ფუთურიძე 1977: 72-73).

მოხმობილ ცნობაში ჩვენი ნაშრომისათვის საინტერესო არ არის, იმდენად შინაარსი, რამდენადაც ირანისა და ქართლ-კახეთის ურთიერთობის ფორმის ამსახველი ცნობები. ფირმანიდან კარგად ჩანს, რომ ნადირ-შაჰი ქართლს ძველებულად ირანის ნაწილად და საკუთრებად აღიქვამს, თეიმურაზს კი ტრადიციულად „ვალს“ უწოდებს.

ამჯერად მოვიხმოთ ნადირ-შაჰის შემდგომი პერიოდის, 1748 წლის 8 ნოემბრის ფირმანს, რომელიც შაჰ იბრე-იმმა ერეკლე მეფისადმი გასცა. მასში აღნიშნულია:

„მაღალი ღვთის შეწევნით გამოვიდა უზენაესი ფირმანი მასზე, რომ მაღალადგილოვანმა, ბრწყინვალეებისა და სიდიადის მეუფემ, დიდებულ მმართველთა შორის მბრძანებლობით, სიდიადითა და აღმატებულებით გამორჩეულმა კახეთის ვალიმ ერეკლე-ხანმა, ამაღლებულმა ხელმწიფური წყალობით, უწყოდეს, რომ ამას წინათ მაღალ სასახლეში გამოგზავნილი არხები თბილისის ციხის აღებაზე, გიორგისთან ორჯერ ბრძოლასა და ორივეჯერ გამარჯვებაზე, დავლის შოვნაზე და სხვა საკითხებზე, იხილა მზისდარმა [ხელმწიფემ] და რომ მათი შინაარსი გაიცნო ქვეყნის დამამშვენებელმა გონებამ. იმ მაღალადგილოვანის ნამდვილი ერთგულება და სიმტკიცე დიდებული ხელმწიფისათვის აშკარა გახდა და მის მიმართ ხელმწიფურმა პატივისცემამ იმატა.

იმ მაღალადგილოვანის მამა თბილისის ვალი, დიდებული ამირთამირი თეიმურაზ-ხანი ამ ცისტალიანი ოჯახის ძველ [მსახურთა] რიცხვს ეკუთვნის. ის მაღალადგილოვანიც (ერეკლე) ძველი [მსახურია] და ამიტომ მას დიდ პატივს ვცემთ. რაც გააკეთა, კარგად გააკეთა. მის მიერ მოპოვებული გამარჯვებების სამაგიეროდ იმ მაღალადგილოვანს ვუბოძებთ და გავუგზავნეთ ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ერთი დამასკური ფოლადის ხმალი. ხსენებული ხმალი აშურმითა და ქარქაშით წელზე მაგრად შემოირტყას, გულწრფელად და რწმენით იაროს რჯულისა და სახელმწიფოს [კეთილდღეობის] შარაგზაზე და ამაზე მეტად გამოიჩინოს კეთილი სამსახური ქვეყნის დამამშვენებელი ხელმწიფის წინაშე. ისე, როგორც ამას წინათ დავადგინეთ, დიდ ხელმწიფეთა ნაშიერი ჰასან-მირზა საქართველოს და კახეთის თავადებით, ქეთხუდებით და აზნაურებით მაღალ სასახლეში გამოგზავნოს, რათა იმ ვილაიეთის საქმეები მოვანესრიგოთ. ამის შესახებ გამოცემული ბრძანება იცოდნენ და თავიანთ მოვალეობად მიიჩნიონ [მისი შესრულება].

დაინერა 1161 წლის ზი-ყადე ოლ-ჰარამის თვის 17-ში“ (ფუთურიძე 1977: 74-75).

წერილიდან კარგად ჩანს, რომ იბრაჰიმ (იბრეიმ) შაჰი კმაყოფილია ერეკლეს ქმედებით და მას „მაღალადგილოვანსაც“ კი უწოდებს, ასევე „დამასკურ ფოლადის ხმალს“ ჩუქნის. აღნიშნულ წერილშიც თეიმურაზი „თბილისის ვალად“ არის დასახელებული. შესაბამისად, ზემოხსენებული ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ირანის მხრიდან

ქართლ-კახეთი აღიქმება ქვეშევრდომად, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს აღმოსავლეთ საქართველო ეტაპობრივად მიიწვედა ირანისაგან თავის დახსნისკენ, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ქართლ-კახეთი სრულიად თავისუფალია, რასაც ზემოხსენებული ფირმანებიც კარგად აჩვენებს.

1760-იან წლებში ირანის საშინაო ვითარება შეიცვალა და ქერიმ-ხანმა, რომელიც იყო ზენდების დინასტიის წარმომადგენელი, ირანის დიდი ნაწილი გააერთიანა. შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოსაც მოუახლოვდა (დუმბაძე 1973: 630). მიუხედავად ირანის დიდი ნაწილის გაერთიანებისა, მას მაინც ხელს უშლიდა აზატ-ხან ავღანელი, ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი. ისიც უნდა ითქვას, რომ აზატ-ხანი პოლიტიკურ სარბიელზე არა 60-იან წლებში, არამედ უფრო ადრე გამოვიდა. ქერიმ-ხანს წერილით მიუმართავს ერეკლესათვის: „აზატ-ხან ადრიბეჟანის მხრისაკენ წარმოვიდა და ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მაინც გამოჩნდეს სადმე დაიჭირე და გამომიგზავნე, რომლისათვისაც ერან-ზედ დიდი ვალდებულება გექნებაო“. მართლაც ასე მოხდა, ერეკლემ აზატ-ხანი შეიპყრო და ქერიმ ხანს გაუგზავნა 1760 წელს (შარაშენიძე 1970: 42). ფაქტია, რომ ეს დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა გახლდათ, რადგან ერეკლეს მიერ განეული სამსახური ირანის ახალი მმართველის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც ომან ხერხეულიძე აღნიშნავს, „ეს საქმე ქარიმ-ხანმან დიდად დაუმაძღვა და მრავალი ფეშქაშები წარმოუვლინა და დაუმტკიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევნისასა: „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემდეთ და ჰმორჩილებდეთ, ვითარცა არს წესი მორჩილებისა“ და მოსწერა სხვათაცა ხანთა ადრიბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა“ (ხერხეულიძე 1989: 59). როგორც ვხედავთ, ქერიმ-ხანის ირანის მმართველობის სათავეში მოსვლიდან მალევე, ერეკლე კარგ ურთიერთობას ამყარებს მასთან, ეს ყველაფერი ოფიციალურ საბუთებშიც აისახა.

ჩვენ ზემოთ მოვითანეთ ნადირ-შაჰისა და იბრაჰიმ-შაჰის ორი წერილი, დავინახეთ მათი დამოკიდებულება აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ. ამჯერად კი განვიხილოთ ქერიმ-ხანის წერილი, რომელიც ერეკლე მეორეს გამოუგზავნა 1771 წელს. წერილში აღნიშნულია:

„ქ: მაღალ ალაგიანო და მაღალ ხარისხიანო, საზარელო ბედნიერად საფარველის მიძცემო, სიმდიდრითა, სიმაღლითა და სიმკვეთრითა მრავალთა კიდის კიდემდე ხელის მიმწდომო, მაღალთში გამორჩეული,

სიმართლით მცნობო ფრთხილო და ზეშთა დიდებულთა მეფეთა შორის უჩინებულესო უფროსო ერეკლე ხან, ვალო ვალთაო საქართველოსა და ქართლისა და კახეთისაო, საყვარლების შესატყობო“. ფირმანში ვხედავთ ქერიმ-ხანის მიერ ერეკლეს დადებითი ეპითეტებით მოხსენიებას. ეს სრულიად ლოგიკურია იმ „სიკეთის“ შემდეგ, რაც ერეკლემ ირანის მმართველისათვის გააკეთა – მან ხომ შაჰის ერთ-ერთი სერიოზული მოწინააღმდეგე აზატ-ხანი შეიპყრო და მას გადასცა. მაგრამ ამ ცნობაშიც ცალსახად ჩანს, რომ ირანის მმართველი ერეკლეს ვალად მოიხსენიებს – „ვალო ვალთაო საქართველოსა და ქართლისა და კახეთისაო“ (ცინცაძე 1955: 146-148). ირანის მმართველი აღმოსავლეთ საქართველოს საკუთარ ქვეშევრდომად მიიჩნევს, იმავე დამოკიდებულებას ვხვდებით ქერიმ-ხანის 1770 წელს სპარსულ ენაზე ერეკლესათვის მიწერილ წერილში სადაც ერეკლე ვალადაა მოხსენიებული: „высокодосто́йному валию грузинскому“¹ (ცინცაძე 1955: 140). განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ 1771 წლის ზემოხსენებულ წერილში ჩნდება ფორმულირების განსაკუთრებული სახე „დიდებულთა მეფეთა შორის უჩინებულესო“ (ცინცაძე 1955: 146-148). სახსენებელია, რომ ადრინდელ შაჰები აღმოსავლეთ საქართველოს მმართველებს უწოდებდნენ „ვალს“, ეს ასე იყო თეიმურაზის შემთხვევაში, რომელიც ზემოთ მოტანილი ფირმანებითაც დადასტურდა. ჩვენ მოვიტანეთ იბრეიმ შაჰის ფირმანი, სადაც ერეკლეს და თეიმურაზიც ვალად არიან მოხსენიებულნი (ფუთურიძე 1977: 72-75). ქერიმ-ხან ზენდის 1771 წელს გამოგზავნილ წერილში კი ფიგურირებს „მეფე“. ეს მიმართვის ფორმა „მეფეთა შორის უჩინებულესო“, ახალ რეალობას უნდა წარმოაჩენდეს და ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ფორმალური ტიპის ურთიერთობაც, კი ერეკლეს სასარგებლოდ შეიცვალა. ერეკლე ფორმალურ ვალობას არ აპროტესტებდა, ვალის წოდების მიუხედავად ჩვენ ვიცით, რომ ის ირანისაგან დამოუკიდებელი იყო. ეს რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლის ომის დროსაც გამოჩნდა, როდესაც ირანის ფაქტორის მიუხედავად, ერეკლე რუსეთის სასარგებლოდ ჩაება ომში. საქმე ისაა, რომ ქერიმ-ხან ზენდი მოუწოდებდა ერეკლეს, არ ჩაბმულიყო რუსეთის მხარეს: „იასაულის მაჰმადრიზაბეგის პირით ვაცნობე, რომ ოსმალთ ალაგის დავისაგან და ოსმალთა მაღალთა მაღლის მტრობისაგან ხელი აიღოს და იმათის ქვეყნების სათარეშოდ და სამტეროდ აღარ დაიდრას და რუსთს კრებულს და ჯარს აღარ შეერთდეს,“ (ცინცაძე 1955: 146-148), მაგრამ ერეკლე მაინც ისე მოიქცა, როგორც სა-

1 რუს: მაღალღირსეულ საქართველოს ვალს.

ჭიროდ ჩათვალა. ჩვენთვის მთავარია იმის აღნიშვნა, რომ, ერეკლეს პრაქტიკული თავისუფლება სხვა უამრავი ფაქტითაც არის დადასტურებული, თუმცა ცხადია ერეკლე, როგორც პატარა სახელმწიფოს მეფე და წარსულში ირანზე დამოკიდებული, ფორმალური თვალსაზრისით იღებს ირანის მიერ ვალის წოდებას და მათგან უპირობოდ მეფედ აღიარებას არსად არ ითხოვს.

აქვე განვიხილოთ ის საკითხი, თუ როგორ ასრულებს ერეკლე ქერიმ-ხანის მოწოდებას. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ ირანის მმართველის სურვილით, ერეკლეს უნდა შეეწყვიტა რუსეთთან კავშირი, მაგრამ საინტერესოა თუ რა ფორმით უარყო ზენდის მოწოდება: ეს პროცესი წარმოდგენილია ომან ხერხეულიძესთან. ჩანს, რომ ერეკლეს ქერიმ-ხანთან ნდობით აღჭურვილი თავადები გაუგზავნია, რომლებსაც უნდა დაემტკიცებინათ ერეკლეს ერთგულება ირანისადმი და ასევე აეხსნათ ის მიზეზები თუ რატომ გადაწყვიტა ერეკლემ რუსეთთან დაახლოება. საინტერესოა, რომ წარგზავნილი თავადები ქერიმ-ხანს ოსმალეთიდან მოსალოდნელ საფრთხეს ირანის პრობლემადაც სახავენ:

„მონაპირენიო სამზღვრისა ფაშანი ანუხებდეს ნაპირთა ქვეყნისათა ჩვენთა, თვით სპარსეთისაცა, არიან იგინი მტერნი მარადის დაუცხრომელად“. თხრობის შემდგომ ეტაპზე ვხედავთ, რომ თავადების გაგზავნას შედეგი გამოუღია: „მაშინ მოახსენეს ქერიმ-ხანს ყოველნი ესე სიტყვანი მეფის ერეკლესნი დესპანთა და მრავლისა ხელოვნებითისა სიტყვითა მოსდრიკეს გული ქარიმ-ხანისა და დაამშვიდეს. მოსწერა მეფეს ერეკლეს წიგნი ფრიად სიტკბობით, წარმოუვლინა ნიჭნი მდიდარნი, სანდო თვისი კაი და წარმოატანა ამათ მეფის ერეკლეს დესპანთა რათა დაარწმუნოს მეფის ერეკლეს მარადის კეთილისა მიდრეკილება, სიყვარული და პატივისცემა უაღესი, მარადის...“ (ხერხეულიძე 1989: 87-88).

ქერიმ-ხან ზენდის 1771 წლის წერილი და ომან ხერხეულიძის ზემოთ მოტანილი ცნობა, სწორედაც რომ 1768-1774 წლების ომს ეხება. ქართველი ისტორიკოსი დიდად აქცენტირებას არ აკეთებს ქერიმ-ხანის ერეკლეს რუსეთთან კავშირის უარყოფით რეაქციაზე, რაც ქერიმ-ხანის წერილიდან კარგად ჩანს, რადგან ვნახეთ ქერიმ-ხანს მოუწოდებია ერეკლესთვის, რომ ხელი აეღო ოსმალების წინააღმდეგ ქმედებებზე, მაგრამ ომან ხერხეულიძესთან ვხედავთ, რომ ერეკლემ ქერიმ-ხანის მოწოდება უპირობოდ კი არ შეასრულა, არამედ ეცადა გაემართლებინა მის მიერ გადადგმული ნაბიჯი. ეს კიდევ ჩვენს ვარაუდს უნდა ამა-

რთლებდეს, რომ ირანთან ურთიერთობა, ირანისთვის ანგარიშის ჩაბარება, ერეკლესთვის იყო აბსოლუტურად ფორმალური ხასიათის, ხოლო პრაქტიკულ ასპექტს ის თვითნებურად წყვეტდა. ერეკლეს არ უნდოდა, რომ ხელიდან გაეშვა რუსეთი როგორც მოკავშირე და ეს კარგად ჩანს 1771 წლის ერეკლე II-ის მიერ თავრიზის ბელგლარბეგის ნაჯაბყული-ხანისათვის მიწერილ წერილში, რომელშიც განხილულია ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთ-თურქეთის ომში ჩარევის გასამართლებელი მიზეზები, ჩვენ ვხვდებით ერეკლეს შემდეგ სიტყვებს: „როდის უნდა ვიშოვნო იმათზე უკეთესი დრო, რომ დიდი და ამაღლებული ყოვლად მონყალე რუსეთის ხელმწიფე ზურგად მყვანდეს“ (ცინცაძე 1955: 148-149). ერეკლე ლავირებს და დიპლომატიურად ცდილობს, რომ არც ირანის მმართველი ქერიმ-ხანი გადაიმტეროს და არც რუსეთთან კავშირის შანსი გაუშვას ხელიდან.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ერეკლეს ერევნის ხანები ემორჩილებოდნენ. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ერეკლემ ქერიმ-ხანს გზიდან ჩამოაშორა აბატ-ხან ავღანელი, რომელსაც სურდა ირანში გაბატონება. ამის საპირწონედ ზენდმა დაასაჩუქრა ერეკლე და ერევნის სახანო უსაჩუქრა. ერევნის სიძველეთსაცავ „მატენადარანში“ დაცულია არაერთი წერილი, რომელიც ერევნის ხანებმა ერეკლეს გამოუგზავნეს. ეს წერილები ქართულად არის ნათარგმნი და გამოქვეყნებული ვლადიმერ ფუთურიძის მიერ. ყველა მათგანში ჩანს ერეკლეს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. ვ. ფუთურიძე განსაკუთრებით გამოყოფს სამ წერილს, სამივე წერილის სათაურში ფიგურირებს „ვალი“. პირველ წერილში: „ერევნელები“ სთხოვენ ერეკლეს, რომ გარდაცვლილი ხანის შთამომავლებს არ ჩამოართვას სახანოს მართვის უფლება. შემდეგ წერილში ფიგურირებს „გარდაკვეთილი თანხა“, ანუ ხარკი რომელსაც იხდიდა ერევნის სახანო ქართლ-კახეთის სასარგებლოდ (ფუთურიძე 1960: 347-349). ეს ცნობები ძალიან საინტერესოა შინაარსობრივადაც, მაგრამ ჩვენთვის მთავარია იმაზე დაკვირვება, რომ ერეკლე თანახმაა მას მოხარკე მუსლიმმა ხანებმაც „ვალი“ უწოდონ. მიუხედავად იმისა, რომ სახანო მისი მოხარკეა, ქართლ-კახეთის მმართველი მაინც არ ითხოვს მათგან მეფედ მოხსენიებას.

ერთი სიტყვით, ერეკლეს „ვალად“ მოხსენიება მიანიშნებს ირანთან ურთიერთობის ფორმატს, რომლის მიხედვითაც ქერიმ-ხან ზენდის თვალში ერეკლე მისი არა თანახმორი, არამედ ქვეშევრდომია. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ერეკლე დამოუკიდებელ პოლიტიკას

ატარებდა, ირანთან ურთიერთობის დროს, ფორმალური თავალსაზრისით, თავადაც არ აპროტესტებდა ამ რეალობას.

რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, როგორც ვხედავთ, ირანთან ურთიერთობის დროს ერეკლე იცავდა ძველ ეტიკეტს და ვალის ტიტული მის პროტესტს არ იწვევდა. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ აღიქმებოდა ირან-ქართული ოფიციალური ურთიერთობა ქართულ საზოგადოებაში. ამისათვის მოვიხმობთ ერეკლეს თანამედროვე ავტორის ომან ხერხეულიძის ცნობებს.

ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე გადმოგვცემს: „აზატ-ხან ქარიმ-ხანს გაუგზავნა და ჯარნი მისნი ყოველნი განათავისუფლნა და თავის ქვეყნებში გაისტუმრა. ეს საქმე ქარიმ-ხანმან დიდად დაუმაძლო და მრავალი ფეშქაშები წარმოუვლინა და დაუმტკიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევნისასა: „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემდეო და ჰმორჩილებდე, ვითარცა არს წესი მორჩილებისა“ და მოსწერა სხვათაცა ხანთა ადრიბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა“ (ხერხეულიძე 1989: 59). ეს ცნობა ჩვენ ზემოთაც მოვიტანეთ, ახლა კი გავაანალიზოთ ის, როგორც ირან-აღმოსავლურ ქართული ურთიერთობის ფორმის პრიზმაში, ასევე იმ მხრივაც, თუ როგორ მიეწოდა ქართულ საზოგადოებას ზემოხსენებული ინფორმაცია. როგორც ვხედავთ ქერიმ-ხანმა დაუფასა ერეკლეს აზატ-ხანის შეპყრობა, გაგზავნა და დაუმტკიცა ერევნის სახანო, მაგრამ აქ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმაზე აქცენტირება, რომ ომან ხერხეულიძის ამ კონკრეტულ ცნობაში არ ფიგურირებს ვალის ტიტული, არამედ ჩანს, რომ ქერიმ ხანი ერეკლეს მეფედ მოიხსენიებს (შარაშენიძე 1970: 42). ზემოხსენებულის გარდა ჩვენ ვხვდებით კიდევ ამგვარ შემთხვევას: ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით ოსმალეთის ხონთქარს მიუწერია ქერიმ-ხანისათვის, შეუთვლია, რომ ერეკლე აოხრებდა მის ტერიტორიებს, აწუხებდა და იქნებ ეშველა ქერიმ-ხანს სულთნისთვის, თვითონ ზენდის პასუხი ძალიან საინტერესოა: „შეხედეთ მეფესა ირაკლის, ახლა მე ის როგორ არ უნდა მიყვარდესო რაც ჩემთვის უმსახურია, იმას გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არის, რომელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებსო, ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისგან დიდად პატივისცემელი არისო, რომლისათვის განუცხადა სიყვარული და მოსწერა წიგნი ქერიმ-ხანმან მეფესა ირაკლის და წარმოუგზავნა ხრმალი და ცხენი ოქროსა იარაღითა შემკული“ (ხერხეულიძე 1989: 67-68). ამ ცნობის მიხედვითაც ქერიმ-ხანი ერეკლეს მეფეს უწოდებს. ჩანს ოფიციალური

ეტიკეტი ომან ხერხეულიძის მიერ სრულიად უგულვებელყოფილია და ის ცალსახად აღნიშნავდა, რომ ქერიმ ხანი ერეკლეს მიმართავდა როგორც მეფეს და არა ვალს. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ირანთან ურთიერთობის ეს უხერხული ფორმა ქართლ-კახეთის მოსახლეობისათვის უცნობი იქნებოდა, ქართველი მონარქი საკუთარი ქვეშევრდომების წინაშე თავს წარმოაჩენდა, როგორც სრული სუვერენული უფლებების მქონე.

სწორედ აღნიშულ ფაქტს ადასტურებს მეფის ოფიციალური ტიტულატურაც: ირან-აღმოსავლურ ქართული ურთიერთობაზე საუბრისას, ჩვენ განვიხილეთ გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩო, ვნახეთ რომ ურთიერთობის ფორმები იცვლებოდა და გვსურს ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი აისახებოდა სამეფო ტიტულატურაზეც. როგორც ცნობილია 1744-1746 წელს გაცემული სიგელის ბეჭედზე ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: „მე ქრისტეს მონა, ქუეყნად შაჰინშაჰისი, მეფედ ცხებული საქართველოსი, თეიმურაზ“, ხოლო 1749 წლიდან ტექსტი იცვლება. როგორც ზემოთ ვახსენეთ 1749 წელი ხარკისა და წნეხისგან გათავისუფლების პერიოდია, ამ დროიდან კი ბეჭდის წარწერის ფორმულირების ცვლილებაც ლოგიკურია: „დავითის ტომად, მკუიდრ ტახტზე მჯდომად, მყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად, მეფე თეიმურაზ“. ყურადსაღებია ის მომენტი, რომ თეიმურაზი თავს „საქართველოს მეფედ“ მოიხსენიებს, ასევე შაჰინშაჰურ მომენტზე აქცენტირება არ ხდება (თაბუაშვილი 2020: 103). ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ქერიმ-ხან ზენდის მმართველობის პერიოდზე და საინტერესოა ამ მხრივ თუ როგორი ფორმულირება გვხვდება 50-იანი წლების საბუთებზე. 1752 წელს გივი ამილახვრისადმი ქალაქის მოურავობის წყალობის წიგნში არის აღნიშნული: „ჩვენ, ღმრთივ-ცხებით-გვირგვინოსანმან, ღმრთივ-აღმატებულმან ღმრთივ-დამყარებულმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან, საქართველოსა და ყაზახ-ბორჩალუს ფლობით მპყრობელმან და მქონებელმან, არაყისა და ადრიბეჯანის სპასალარმან, მეფეთ-მეფემან, პატრონმან თეიმურაზ“ (დოლიძე 1965: 402). როგორც ვხედავთ, თეიმურაზი გარდა იმისა, რომ საკუთარ თავს „საქართველოს მეფის“ ტიტულით მოიხსენიებს, არ ივინყებს ირანულ ფორმალურ ტიტულსაც („არაყისა და ადრიბეჯანის სპასალარმან“). საინტერესოა თუ რაში დაჭირდებოდა თეიმურაზს ზემოხსენებულის ხსენება? სავარაუდოდ ის ირანის მმართველებთან ურთიერთობას იადვილებდა ირანული წარმოშობის ტიტულის გამოყენებით, რადგან „არაყისა და ადრიბეჯანის სპასალარობა“ ირა-

ნული თანამდებობა იყო და სავარაუდოდ მას გზა ეხსნებოდა ირანის შიდა საქმეებში ჩახედვისათვის. თუმცა, ამავე დროს სპარსული თანამდებობები მის ირანზე გარკვეულ დამოკიდებულებას აღნიშნავდა.

რაც შეეხება 1760-იანი წლებიდან ერეკლეს ოფიციალურ ტიტულატურას, აქ ირანული გავლენა საერთოდ უგულებელყოფილია. მაგალითად 1761 წლის ბოდბელი მოხელეების რიგის განაჩენში აღნიშნულია: „ქ. ჩუენ, საქართველოს ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან, მეფემან ირაკლიმ“, ასევე 1764 წლის ერეკლე II-ის განაჩენში, რომელიც ალავერდელის შესახებაა აღნიშნულია: „ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემ ირაკლიმ ესე განაჩენი დავდებით ამ რიგათ:“ (დოლიძე 1965: 415-416). ამ ცნობებშიც აქცენტირება ხდება როგორც მირონცხების ფაქტორზე, ასევე იმაზე, რომ ერეკლე სრულიად საქართველოს მეფედ მოიხსენიებს თავს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ვიდრე 80-იან წლებამდე ირან-აღმოსავლურქართული ურთიერთობები არაერთგვაროვნად განვითარდა. სხვა რეალობა იყო ნადირ შაჰის გარდაცვალებიდან, ვიდრე ქერიმ-ხან ზენდის ირანის მმართველობაში მოსვლამდე, რასაც მოჰყვა ურთიერთობების ფორმათა ცვლილებები. ნაშრომში გამოჩნდა, რომ ქართლ-კახეთი განსაკუთრებით გაძლიერდა 60-იანი წლებიდან. ერეკლე ქართულ საზოგადოებასა, თუ თავის ქვეშემდომებს თავს მეფედ წარმოუდგენდა, მაგრამ თანადროული დოკუმენტებისა და საბუთების მოტანით გამოჩნდა, რომ ირანთან ურთიერთობის დროს ერეკლეს ოფიციალურ მიმოწერაში მოიხსენიებდნენ „ვალად“. საქმე ის არის, რომ ერეკლეს იცავდა ძველ ეტიკეტს და ვალის ტიტული მის პროტესტს არ იწვევდა, მაგრამ როგორც ვნახეთ ქართული საზოგადოებას მიეწოდებოდა ინფორმაცია, რომ ის იყო მეფე. მას ვალის ტიტულით მოიხსენიებდნენ მეზობელი მუსლიმი ხანებიც და აქაც ფაქტობრივი ძალაუფლების საპირწონედ, ერეკლე თანახმაა, რომ მას უწოდონ ვალი და არა მეფე.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ დოლიძე 1965: დოლიძე ისიდორე, ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965;
- ▶ დუმბაძე 1973: დუმბაძე მამია, ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან, წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX

საუკუნის 30-იან წლებამდე, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; 1973;

- ▶ დუმბაძე 1973: დუმბაძე მამია, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში, წიგნში საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; 1973;
- ▶ თაბუაშვილი 2020: თაბუაშვილი აპოლონ, თეიმურაზ II, ქართველი მეფეები, ნ. 28. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2020;
- ▶ ფუთურიძე 1977: სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი 1, ნაკვეთი 4, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბილისი: „მეცნიერება“, 1977;
- ▶ შარაშენიძე 1970: შარაშენიძე ზურაბ, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი: „მეცნიერება“, 1970;
- ▶ ცინცაძე 1955: ცინცაძე იასე, XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955;
- ▶ ხერხეულიძე 1989: მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989;

**FROM THE HISTORY OF RELATIONS BETWEEN
KARTL-KAKHETI AND IRAN (50S-80S OF THE 18TH CENTURY)
(SUMMARY)**

The article reviewed the references about Kartl-Kakheti and Iran relationship in the second part of the XVIII century. King Erekle II is a very famous figure in Georgian history. We know many authors who wrote about his reign, but our aim with the article was not writing about wars, fights and battles, but in analyzing historical documents and references. We saw how the official conversations between Iran and Kartl-Kakheti was being formed and how important the official etiquette was.

Sometimes the relationship between Kartl-Kakheti and Iran was problematic, but there were times when it was just formal. We integrated necessary references and historical documents, and concluded our opinions are based on them.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში

საკვანძო სიტყვები: საფრანგეთის დიდი რევოლუცია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლა საქართველოში, ქართული ისტორიოგრაფია, ქართული პუბლიცისტიკა, საბჭოთა ისტორიოგრაფია

Keywords: The Great French Revolution, Periodization Of The Great French Revolution, The Study Of The Great French Revolution In Georgia, Georgian Historiography, Georgian Publicism, Soviet Historiography

საფრანგეთის დიდი რევოლუცია უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელიც ეხება არა მხოლოდ საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას და შესაძლოა, მსოფლიოსაც. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული საკითხით უამრავ ქვეყანაში არიან დაინტერესებული და ცდილობენ, სამეცნიერო დონეზე, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაჭრან სხვადასხვა პრობლემა.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია არის საკითხი, რომლისადმი ერთსულოვნება ისტორიკოსებს შორის არასდროს სუფევდა. არსებობს უამრავი მოსაზრება, რომლებიც გამორჩეულ ისტორიკოსებს ეკუთვნით და ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსისაა. დაპირისპირება და სხვადასხვაგვარი ხედვაა ფაქტობრივად ყველა საკითხისადმი: თვით რევოლუციის შეფასებაში, ჟირონდისტებისა და იაკობინელების მოღვაწეობაში, აგრარული რეფორმებისადმი და ა. შ. ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სობული ამბობდა: „ვნებათაღელვა, რომელიც ბობოქრობდა შორეულ მე-18 საუკუნის მიწურულს, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების გზაჯვარედინზე, კვლავ რჩება თანამედროვე სამყაროს ცენტრად, რომელმაც გაყო ადამიანები და განაგრძობს მათ გაყოფას“. კიდევ ერთი ფრანგი ისტორიკოსის მიშელ ვოველის სიტყვებია: „საფრანგეთის რევოლუცია არის მწვავე საკითხი, რომლის გარშემოც საფრანგეთში არასდროს არ ყოფილა სახალხო შეთანხმება“ (კალანდაძე 2015: 29).

ჩვენ მიერ ნახსენები ორივე ისტორიკოსის შეფასება აბსოლუტურად ადეკვატურია. უბრალოდ ვოველის ნათქვამს დავამატებდით, რომ

ამ საკითხისადმი თანხმობა საფრანგეთის გარეთაც არაა. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც, საფრანგეთის რევოლუციისადმი განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია. სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციის სხვა ვერსია იყო, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა, ხოლო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სრულიად განსხვავებულ აზრს გამოთქვამს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ უშუალოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციით დაინტერესებასა და შესწავლას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ქართული პრესა. პერიოდული გამოცემები მსოფლიო ისტორიითა და თანამედროვე ამბებით აქტიურად იყვნენ დაინტერესებული და მის გაშუქებას შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ. ერთ-ერთი საკითხი, რომელმაც ქართველი პუბლიცისტების ფართო ინტერესი დაიმსახურა, სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციაა, რომელიც ქართული პრესის ფურცლებზე პირველად მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა, ხოლო 70-იან წლებში მასზე წერამ უკვე ინტენსიური ხასიათი მიიღო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო სამეცნიერო ნაშრომები და ის პოპულარიზაციაზე იყო გათვლილი, მაგრამ ამის გარეშე პირდაპირ სამეცნიერო კვლევებზე გადასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ და ქართველმა პუბლიცისტებმა საკითხის წინ წამოწევისა და გავრცელების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს (დონაძე 1978: 32-45).

1918 წლიდან საკითხის შესწავლის ახალი ეტაპი იწყება, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ შეუწყო ხელი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი მიიღო. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე თვისებრივი, ხარისხობრივი სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციამ მკვეთრი მეტამორფოზი განიცადა და სულ სხვა მიმართულება შეიძინა. საკითხისადმი მიდგომა იყო მეცნიერული, მაგრამ მარქსისტული იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აუცილებელი გახლდათ მარქსისტული დოგმების გაზიარება, ხოლო განსხვავებული მიდგომა ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა, რაც საფრა-

ნგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზეც აისახა. ასე გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა კვლავ აღიდგინა, ისტორიულმა მეცნიერებამ მრავალვარიანტული მიდგომა კვლავ დაიბრუნა და ამ კუთხით გაცილებით ჯანსაღი ატმოსფერო შეიქმნა (ანთაძე, კალანდაძე 2013-2015: 287-307).

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის რამდენიმე მოდელი არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული და მხედველობაში მისაღები შემდეგი ვერსიებია: ა) 1789-1814 წლები; ბ) 1789-1804 წლები; გ) 1789-1799 წლები; დ) 1789-1794 წლები. გარდა ამისა, ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით (ა. ლამეტი, ფ. დეზოდარი, ა. მათიეზი, ჟ. გოდშო), საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1787 წელს ნოტაბლების მოწვევით დაიწყო (კალანდაძე 2015: 31), თუმცა ისტორიკოსთა უმრავლესობა თანხმდება, რომ რევოლუცია 1789 წელს დაიწყო და საქართველოშიც საკითხის შესწავლის არცერთ ეტაპზე რევოლუციის დასაწყისად 1787 წელი არ განუხილავთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა ამ კუთხით ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა. ამ საკითხის დასმის ინციატორად პროფ. მერაბ კალანდაძე მოგვევლინა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი, სწორედ, მან გადადგა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი წიგნი „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“, სადაც ერთი თავი ჩვენთვის საინტერესო საკითხს აქვს დათმობილი. ეს ამ დიდი პრობლემის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია (კალანდაძე 2016: 25-37). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნით, ამ თემისთვის საგანგებო ყურადღება მიგვექცია. ეს სიახლეა, ქართული კონტექსტი გააჩნია და ამ კუთხით ზემოხსენებული საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას თავისი ისტორია გააჩნია და მან საინტერესო ევოლუცია განიცადა. რა ეტაპები გაიარა მან? როგორი შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხისადმი სხვადასხვა პერიოდში? საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის გაშუქება შეგვიძლია რამდენიმე ეტაპად დავყოთ. საკითხის შესწავლის წინაისტორიად შეგვიძლია მივიჩნიოთ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე პერიოდი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის გაშუქება სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1) საქართველოს 1918-1921 წლების სუვერენული რესპუბლიკის

პერიოდი, რისი ნათელი დასტურიც დროის ამ მონაკვეთში გამოსული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები გახლავთ; 2) საბჭოთა პერიოდი, სადაც საკითხის შესწავლამ მეცნიერული, თუმცა ცალმხრივი ხასიათი მიიღო, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ; 3) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. წინამდებარე ნაშრომის სწორედ ამ სქემაზე იქნება აგებული.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია სათანადო ყურადღებას არ აქცევდა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში გამოცემულ შრომებს და თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციით სერიოზული დაინტერესება სწორედ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დაიწყო, რაც პოლიტიზირებული გახლდათ და თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ შეცდომის გასწორება ითავა (ანთაძე, კალანდაძე 2013-2015: 287-307).

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხზე სპეციალური შრომები ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან ცოტაა დაწერილი, მაგრამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაშუქების დროს, ნებით თუ უნებლიეთ, იკვეთება ამ საკითხისადმი დამოკიდებულება, რაც ჩვენ გზამკვლევადა გვევლინება.

დავინწყით საკითხის შესწავლის წინაისტორიით. პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, თუ რატომ მიგვაჩნია წინაისტორიად და არ ვათვლით ზემოხსენებულ ეტაპებს. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები სამეცნიერო ხასიათს არ ატარებს და სულ სხვა მიზანი გააჩნია – საზოგადოებაში საკითხის გავრცელება, პოპულარიზაცია. ქართველ პუბლიცისტებს საკუთარი მიზანი გააჩნდათ, რასაც წარმატებით გაართვეს თავი, თუმცა ნაშრომების სამეცნიერო დონეზე პრეტენზია არ ჰქონიათ და აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მთელი რიგი საკითხები გამოეტოვებინათ ან საკუთარი იდეოლოგიიდან გამომდინარე გაეშუქებინათ. შესაბამისად, აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პერიოდიზაციასთან დაკავშირებით მკაფიო სურათის მიღება ძირს, რადგან საფრანგეთის დიდი რევოლუციის მხოლოდ ფრაგმენტული მოვლენებია გადმოცემული, რასაც გარკვეული სირთულეებისკენ მივყავართ. ასე რომ, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1918 წლამდე პერიოდი, საკითხის შესწავლის წინაისტორიად მიგვაჩნია.

თუმცა, ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საინტერესო მასალები არ გვაქვს. პირიქით, ვფიქრობთ ძალზე საინტერესოა, თუ

როგორ იწყება ამ საკითხით დაინტერესება საქართველოში და რა ინერება მასზე. ასეთი ტიპის ნაშრომების გარეშე, პირდაპირ სამეცნიერო რელსებზე გადასვლა შეუძლებელი გახლდათ და ქართველმა პუბლიცისტებმა ამ მხრივ ღირსეული როლი შეასრულეს საკითხის შესწავლის საქმეში. მათ სათანადო ნიადაგი მოამზადეს და 1918 წლიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის სამეცნიერო ხასიათმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთის რევოლუციის საკითხი ქართული პრესის ფურცლებზე პირველად მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა, ხოლო 70-იან წლებში უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. ჩვენ საფრანგეთის რევოლუციაზე ქართული პრესის კონტექსტში ადრეც დავინტერესებულვართ და გვიმუშავია. შესაბამისად, რამდენიმე საინტერესო დეტალი დავინახეთ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პუბლიცისტები საგანგებოდ არ ეხებიან პერიოდიზაციის საკითხს, მათი ნაშრომების მიხედვით გარკვეული, საინტერესო დასკვნების გამოტანა მაინც შეგვიძლია. ისინი არაერთ აქტუალურ საკითხზე წერდნენ და იმდროინდელ საზოგადოებას შეძლებისდაგვარად ვრცელ ინფორმაციას აწვდიდნენ. ვლადიმერ ლორთქიფანიძემ საინტერესო სტატიები დაბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, რომელშიც საფრანგეთის რევოლუციას მიმოიხილავს. შემდგომში, მან ეს სტატიები, ცალკე წიგნად გამოსცა (ლორთქიფანიძე 1906). საფრანგეთის რევოლუციას ცალკე ნარკვევი მიუძღვნა ნოე ჟორდანიამაც (ჟორდანიას 1906). საგულისხმოა, რომ არცერთ ნაშრომში რევოლუციის თხრობა ბოლომდე არაა მიყვანილი და ამიტომ, პერიოდიზაციის საკითხი ფაქტობრივად ღიად რჩება. ჟორდანიას ნაშრომი „დიდი რევოლუცია (1789)“ ეხება 1789-1793 წლების პერიოდს, კონკრეტულად კი თხრობა საფრანგეთის მეფის ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯის პროცესამდე – 1793 წლის 21 იანვრამდე გრძელდება, ხოლო ლორთქიფანიძის ბროშურა 1789 წლიდან იწყება და სრულდება 1793 წლის პირველი ნახევრის მოვლენების მიმოხილვით, როდესაც კონვენტში ძალაუფლების მოსაპოვებლად ორი პარტია – ჟირონდისტები და იაკობინელები იბრძოდნენ.

წიგნის ან ბროშურის სახით მხოლოდ ეს ორი ზემოხსენებული ნაშრომი გამოიცა, თუმცა ამ პერიოდში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ სტატიები მრავლად გვხვდება. ამ საკითხზე აქტიურად წერდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დავით მიქელაძე და ა. შ. მრავალი სტატია იწერებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში: „დრო-

ებაში“, „ცნობის ფურცელში“, „შრომასა“ და „კრებულში“. გამოითქვა მრავალი საინტერესო მოსაზრება და გაშუქდა რევოლუციის ისეთი გამორჩეული ეპიზოდები, როგორებიცაა: რევოლუციის გამომწვევი მიზეზები და ძველი რეჟიმი, გენერალური შტატების მოწვევა, ბასტილიის აღება, ვარენის კრიზისი, მეფის გასამართლება და ა. შ. როგორც ვხედავთ, აქ ერთი საყურადღებო და ნიშანდობლივი რამ ჩანს – ქართველი პუბლიცისტები და ჟურნალ-გაზეთები 1789-1794 წლებზე წერენ და 9 თერმიდორის გადატრიალებით გამომწვეულ შედეგებზე, ფაქტობრივად, აღარაფერს ამბობენ. ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია გაზეთ „შრომაში“ გრაკხუს ბაბეფზე 1906 წლის 4 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატია: „საფრანგეთის – „პირველი მოციქული და მონამე თანამედროვე კომუნიზმის და სოციალიზმის“. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“. სხვა მხრივ ვხედავთ, რომ 1794 წლის შემდგომ მოვლენებზე ინფორმაცია ფაქტობრივად არ გვხვდება ან თუ გვხვდება, მხოლოდ გაკვრით.

ყველაფერს თავის მიზეზი გააჩნია და რასაკვირველია, ამ ფაქტსაც. რატომ არ ეხებოდნენ ქართველი პუბლიცისტები 1794-1799 წლებში განვითარებულ მოვლენებს? ამის რამდენიმე მიზეზი შესაძლოა არსებობდეს, რომლებზეც გადაჭრით ვერ ვისაუბრებთ, თუმცა გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა ნამდვილად შეგვიძლია:

1) ქართული პუბლიცისტიკის წარმომადგენლები შესაძლოა ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1789-1794 წლებს მოიცავდა და შემდგომი წლები რევოლუციას აღარ განეკუთვნებოდა. ამ მოსაზრებას გარკვეული საფუძველი ნამდვილად გააჩნია და სიმართლის მარცვალი შესაძლოა იდოს, რადგან ისტორიკოსთა ნაწილი დღესაც თვლის, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია იაკობინელთა დიქტატურის დამხობის შემდგომ დასრულდა. შესაბამისად, გასაკვირი არაა, თუ ქართველი პუბლიცისტებიც ასე თვლიდნენ და თავისუფლად შეიძლება, რომ ამ ვარაუდს მივყვეთ, რადგან მათი შრომები და სტატიები სწორედ ამას გვაფიქრებინებს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს გარკვეულ არგუმენტებზე დამყარებული ჩვენი მოსაზრებაა და კონკრეტულად არსად უწერიათ, რადგან საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე მწერლები, პერიოდიზაციის საკითხს ცალკე არ შეხებიან და ამის შესახებ, მხოლოდ მათი სხვა ნაშრომების ქრონოლოგიური ჩარჩოებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

2) შესაძლოა, 1794 წლის შემდგომი მოვლენების მიჩუმათება სხვა მიზეზითაც აიხსნას – ქართველი ჟურნალისტები ლიბერალურ პოზიცი-

ებზე იდგნენ და მათთვის ფავორიტი ჟორჟ ჟაკ დანტონი გახლდათ. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ დანტონის სიკვდილის შემდგომ, ისინი განგებ არ დაინტერესდნენ რევოლუციის მოვლენების შემდგომი განვითარებით, რადგან იაკობინელთა დიქტატურა და მით უმეტეს, 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, მათთვის მიუღებელი იყო და საკითხისადმი სრული გულგრილობა გამოამჟღავნეს. აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება, რომელშიც კარგად ჩანს, რომ მისთვის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა და ერთი გაბატონებული კლასი, მეორემ ჩაანაცვლა, ხოლო უბრალო ხალხი კვლავ მძიმე მდგომარეობაში დარჩა. ნიკოლაძემ მართებულად აღნიშნა, რომ „საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ძველი წესისა და მართვის მაგიერ ახალი სახელმწიფო წყობილება დაარსა და ახალი სამოქალაქო სიმართლე დამყარებული კანონისა და სახელმწიფოს წინაშე ყველას თანასწორობაზე, კანონით მაინც შექმნაო“ (დროება 1873). ქართველმა პუბლიცისტებმა შესანიშნავად დაინახეს 9 თერმიდორის გადატრიალების შედეგები, რომ რევოლუციამ არ გაამართლა მშრომელთა იმედები და ვერ მოსპო საზოგადოებრივი ანტაგონიზმი. ძველი კლასობრივი ინტერესები ახალმა შეცვალა. კლასთა დაპირისპირება, მშრომელთა უუფლებო მდგომარეობა და მათი ექსპლოატაცია ხელუხლებელი დარჩა. მშვენივრად ხედავდნენ, რომ კანონით დაწესებულ და რეალურ თანასწორობას შორის უდიდესი ზღვარი იყო და მშრომელთათვის, რომლებიც ახალ ექსპლოატატორთა ბრჭყალებში მოექცნენ, ეს კანონით დაწესებული სამოქალაქო სიმართლე ბევრს არაფერს ნიშნავდა (დონაძე 1978: 44-45). ქართველი პუბლიცისტებისთვის აშკარა გახლდათ, რომ ერთი კლასობრივი ინტერესი მეორემ შეცვალა, ხოლო მშრომელი ხალხის ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. შესაბამისად, ისინი არ შეხებიან 1794 წლის 27 ივლისის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

3) არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ჩვენ საინტერესოდ მივიჩნიეთ. გამორიცხული არაა, რომ ქართველ პუბლიცისტებს გარკვეული საკითხების წერაში რუსულმა ცენზურამ შეუშალა ხელი, რომელიც იმ პერიოდის ქართულ გაზეთებს აკონტროლებდა და მაგალითად, ვლადიმერ ლორთქიფანიძის სტატია „საფრანგეთის რევოლუცია. მეფის გაქცევა და დატყვევება“, რომელიც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1905 წლის 5 ნოემბერს დაიბეჭდა და ვარენის კრიზისს ეხება, სქოლიოში ცხადად ჩანს, რომ ცენზურამ ეს სტატია შეამოწმა და საფუძველი

გვაქვს ვიფიქროთ, სხვა სტატიებზეც ასე იქნებოდა. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ რუსულმა ცენზურამ ქართველ ჟურნალისტებს არ მისცა იმის საშუალება, რომ 9 თერმიდორის გადატრიალების შედეგებზე დაენერათ, თუმცა საგულისხმოა ერთი რაღაც: რუსულ ცენზურას ჯუბეზე გარიბალდისა და ირლანდიის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე დაწერილი სტატიებიც არ გაახარებდა, თუმცა ამის დაბეჭდვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მაინც მოხერხდა. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში, რევოლუციის 1794-1799 წლის ამბებზეც დაინტერესებოდა, თუნდაც ოდნავ დაფარული და „შელამაზებული“ სახით, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ პერიოდის მოვლენებზე სტატიების დაბეჭდვა, წესით, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენს მოსაზრებებს მოკლედ შევაჯამებთ და ვიტყვი – უფრო სწორად და საყურადღებოდ პირველი ორი ვერსია მიგვაჩნია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის 1789-1794 წლებით დათარიღება და ქართველი პუბლიცისტების მიერ, რევოლუციის შემდგომ ხუთ წელში განვითარებული მოვლენებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. „საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის წინაისტორიის პერიოდში, როგორი პერიოდიზაცია იყო მიღებული?“ – ასეთი კითხვის დასმის შემთხვევაში ყველაზე მართებულად ნამდვილად 1789-1794 წლებით დათარიღება მიგვაჩნია სწორი, რადგან დაწერილ და შემონახულ მასალებს სწორედ ამისკენ მივყავართ და სიმართლესთან ყველაზე ახლოს, სწორედ ეს მოსაზრება უნდა იყოს.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის შესწავლის პირველი ეტაპი 1918-1921 წლებია, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსდა. თუ 1918 წლამდე საკითხი პოპულარიზაციის დონეზე იყო გაშუქებული, ამ პერიოდში სამეცნიერო-პოპულარული სახე მიიღო. ის უმთავრესად ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახა. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს, სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციაა. ვფიქრობთ, საბჭოთა ისტორიოგრაფია არ იყო სწორი, როდესაც საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებს (კალანდაძე 2017) სრულ იგნორს უკეთებდა და თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციით სერიოზულმა დაინტერესებამ სწორედ საბჭოთა პერიოდში იჩინა თავი. ეს იყო პოლიტიკური მიდგომა, ხოლო რე-

ალობა სულ სხვა გახლდათ. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია შეეცადა გაესწორებინა ეს შეუსაბამობა და უფრო ადეკვატური სურათი დაედო, რაც ცხადია, ძალიან კარგია (კალანდაძე 2016ა).

აშკარაა, რომ პერიოდიზაციისადმი მათი მიდგომა პუბლიცისტების ხედვებისგან განსხვავებულია. ქართველი მეცნიერები საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1794 წლის 27 ივლისის მოვლენებით აშკარად არ ასრულებენ, თუმცა მათი შრომებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მათთვის რევოლუცია არც 1799 წლის 9 ნოემბრის შემდგომ მთავრდება.

დ. უზნაძისა და ი. გველესიანის ავტორობით 1918-1919 წლებში გამოვიდა ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. პირველი წიგნი ეხება XV-XVII საუკუნეებს, ხოლო მეორე – XVIII-XIX საუკუნეებს. სწორედ მეორე სახელმძღვანელოში ეძღვნება ერთი მთლიანი თავი საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ავტორები მას ოთხ ქვეთავად ყოფენ: 1) მონარქიის დამსხვრევა საფრანგეთში; 2) საფრანგეთის რესპუბლიკა; 3) დირექტორია; 4) ნაპოლეონი (უზნაძე, გველესიანი 1919: 76-117). ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ის გახლავთ, რომ ავტორები ნაპოლეონის ეპოქას საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდად მოიაზრებენ და ერთ თავში განიხილავენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათთვის საფრანგეთის დიდი რევოლუცია არა 1799 წელს, არამედ 1814 წელს სრულდება. ამ მოსაზრებას საკუთარი მომხრეები მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ჰყავს. ადოლფ ტიერი, ფრანსუა მინიე, ალბერ სორელი, ჟერმინა და კლოდ ვილარები სწორედ ამ აზრზე იყვნენ, ხოლო ზოგიერთი ისტორიკოსი ნაპოლეონის ეპოქას ორ ნაწილად ჰყოფს და კონსულობის პერიოდს რევოლუციის ხანად წარმოადგენს, ხოლო იმპერიის მონაკვეთს – არა. ალფონს ოლარი და ფილიპ სანიაკი საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1804 წლის 2 დეკემბერს, ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევის დღით ასრულებენ (კალანდაძე 2015: 32). ასე რომ, ასე მხოლოდ ქართველი მეცნიერები არ ფიქრობდნენ.

დიმიტრი უზნაძის შეხედულებებით საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმართ, საგანგებოდ დაინტერესდა და შეისწავლა პროფესორმა მერაბ კალანდაძემ, რასაც ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა. ეს ნაბიჯი სწორი იყო, რადგან თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელი იყო. მისი ცდა, შეეხსოვს ეს ხარვეზი, მისასაღმებელია და ამ კუთხით პრობლემის გაშუქების პირველი მცდელობაა. წიგნში „დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე“, ერთ-ერთი თავი სწორედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას

ეძღვნება. ავტორს მშვენივრად აქვს განხილული ჩვენ მიერ ნახსენები სასკოლო სახელმძღვანელო, მრავალ საინტერესო აზრს აფიქსირებს და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789-1814 წლებს უკავშირებდა, თუმცა თავდაპირველად ავტორი ემოციებს აყვავდა და ფიქრობდა, რომ უზნაძე და გველესიანი რევოლუციის ეპოქად 1789-1799 წლებს აღიქვამდნენ, რაც თავადვე აღნიშნა (კალანდაძე 2013: 451-458). ზემოხსენებულ წიგნში, სადაც ავტორმა ამ თემას სულ სხვა თვალთ შეხედა, საკუთარი შეცდომა ჩაასწორა და მისი შეხედულება ნათლად დააფიქსირა. პროფესორი კალანდაძე ყურადღებას ამახვილებს უზნაძის სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის არქიტექტონიკაზე, სტრუქტურაზე. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ისტორიკოსების უმრავლესობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასასრულად 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებას მიიჩნევს და რასაც მერაბ კალანდაძეც ეთანხმება, ის არ აკრიტიკებს უზნაძეს პერიოდიზაციის ამ მოდელის გამო, რადგან 1789-1814 წლებს რევოლუციის ხანად ბევრი ისტორიკოსი დღესაც მიიჩნევს და საკუთარი არგუმენტები გააჩნიათ, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ ვერსიას კიდევ უფრო ბევრი მეცნიერი იზიარებდა და როგორც ჩანს, უზნაძე და გველესიანი სწორედ ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. როგორც ჩანს, ისინი არ ფიქრობენ, რომ სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქას შორის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებაზე გადიოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ორი ეპოქა სახელმძღვანელოში განცალკევებული იქნებოდა. შესაბამისად, ისინი 18 ბრიუმერის გადატრიალებას რევოლუციის დასასრულად არ მიიჩნევენ და აშკარად ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია 1814 წლამდე გრძელდებოდა (კალანდაძე 2015ა: 382-408). ასე რომ, ვეთანხმებით პროფ. მერაბ კალანდაძეს, რომ „საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე სახელმძღვანელოს ავტორების მსჯელობის მთავარ პლუსად საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციისადმი სწორი მეცნიერული მიდგომა მიგვაჩნია“ (კალანდაძე 2016: 25-35).

დ. უზნაძისა და ი. გველესიანის ზემოხსენებული სახელმძღვანელოს გარდა, ანალოგიურ სქემას ვხედავთ 1918-1921 წლებში გამოცემულ სხვა წიგნებშიც. 1920 წელს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ალექსანდრე წერეთლის ავტორობით გამოვიდა მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, „მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3: ახალი საუკუნეები. სურათებით“. წიგნის VII თავში საფრანგეთის

დიდ რევოლუციასა საუბარი. ავტორი ეხება ძველ რეჟიმს, რევოლუციის გამომწვევ მიზეზებსა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს მოკლედ მიმოიხილავს. ჩვენთვის კი საინტერესო კვლავ ის გახლავთ, რომ ალექსანდრე წერეთელიც ნაპოლეონ ბონაპარტის ფიგურასა და მის მოღვაწეობაზე წერს – „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“ (წერეთელი 1920: 61-76). აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ის საფრანგეთის რევოლუციის ეპოქად მიიჩნევა ნაპოლეონის ხანას და რევოლუციის პერიოდად ესახებოდა 1789-1814 წლები.

1920 წელს გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი, რომელიც ქართველმა ისტორიკოსმა სიმონ ავალიანმა დაწერა – „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები)“. აქაც იგივე სურათს ვხედავთ, ერთ-ერთ თავში „რევოლუცია“, შედის ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობაც (ავალიანი 1920: 159-183).

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების ეს ნაშრომები გვაფიქრებინებს, რომ 1918-1921 წლებში საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789-1814 წლებს მიაკუთვნებდნენ. ხსენებულ სახელმძღვანელოებში, რევოლუციისადმი სპეციალურად მიძღვნილ თავებში, ნაპოლეონის მოღვაწეობის განხილვა ამის ნათელი დასტურია. თუმცა, ჩვენ გამონაკლისსაც მივაგენით. ვგულისხმობთ თეიმურაზ ჭუმბურიძის ავტორობით 1920 წელს გამოცემულ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებისთვის გამოცემულს წიგნს – „ახალი ისტორია“. ჩვენ ვერ ვნახეთ რაიმე ხელჩასაჭიდი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჭუმბურიძე რევოლუციას 1814 წლით ასრულებდა. მას საფრანგეთის დიდი რევოლუცია ცალკე თავში აქვს გამოყოფილი, ხოლო რევოლუციური ომი და ნაპოლეონის ეპოქა ცალკე. წიგნში არსებული ორი მონაკვეთი გვაფიქრებინებს, რომ ჭუმბურიძე საფრანგეთის დიდ რევოლუციას 18 ბრიუმერის გადატრიალებით ასრულებდა: 1) „ამგვართ კონვენტმა თავისი მოვალეობა შესრულებულათ სცნო, 1795 წლის გასულს დაიშალა და ხუთასისა და უხუცესთა საბჭოებსა და დირექტორიას დაუთმო ადგილი. აქედან იწყება დირექტორიის ეპოქა, რომელიც 1799 წლამდე გაგრძელდა“ (ჭუმბურიძე 1920: 157-158). ავტორს არ განუხილავს დირექტორიის ეპოქა, თუმცა ამ ფრაზით სრულდება საფრანგეთის დიდი რევოლუციისთვის განკუთვნილი თავი, რაც, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ მას დასასრულად სწორედ 18 ბრიუმერი ესახება; 2) შემდეგ თავში, „რევოლუციური ომები. ნაპოლეონის იმპერია“ ავტორს საუბარი აქვს 18 ბრიუმერის გადატრიალებაზე, სადაც ვკითხულობთ: „დირექტორიის დროს რეაქცია თანდათან იზრდებოდა.

საზოგადოება დიდ მოღლილობას გრძნობდა. რევოლუციის ცხოველ-
მყოფლობაში იმედდაკარგული, იგი მტკიცე ძალაუფლების ფრთებ ქვეშ
მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას ეძებდა. ასეთი სულისკვეთების გა-
მომხატველი უმთავრესად ბურჟუაზია იყო, რომელიც ტერორის დროს
ზიზლით იგონებდა და ქონების შერჩენისთვის თრთოდა (მასში დიდი
შიში გამოიწვია ქონების განსაზოგადოების მომხრე გრაკზ ბაბეფის შე-
თქმულებამ, რომელიც 1796 წ. აღმოაჩინეს და რომლის მონაწილენიც
სიკვდილით დასაჯეს). საერთო სულისკვეთება რესპუბლიკის საწინააღ-
მდეგო სახელმწიფოებრივ გადატრიალების მოხდენას უწყობდა ხელს.
ასეთი გადატრიალება 1799 წელს 9 ნოემბერს (რესპუბლიკური კალენ-
დრით, მე-8 წლის 18 ბრიუმერას) ორ დირექტორთან შეთანხმებით, ნა-
პოლეონ ბონაპარტემ მოახდინა“ (ჭუმბურიძე 1920: 160-161). ცხადია, ამ
მონაკვეთსაც იმ აზრისკენ მივყავართ, რომ თეიმურაზ ჭუმბურიძე სა-
ფრანგეთის დიდი რევოლუციის დასასრულად 1799 წლის 18 ბრიუმერის
(9 ნოემბრის) გადატრიალებას მიიჩნევდა, რაც ყველაზე სწორი ვერსიაა
და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ეს მოდელია
ფეხმოკიდებული. როგორც ვხედავთ, ასეთივე მოსაზრება ჯერ კიდევ
100 წლის წინ ჰქონდათ ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ეს ცალკე-
ული შემთხვევა გახლდათ და 1918-1921 წლებში ქართველ ისტორიკო-
სთა უმრავლესობა საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789-1814 წლებით
ათარილებდა.

საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა საფრანგეთის დიდი რევოლუციის
პერიოდიზაციის შესწავლის მეორე ეტაპზე. საქართველოს დამოუკიდებ-
ლობა ხანმოკლე აღმოჩნდა და ქვეყანა 1921 წელს ძალდატანებით გაა-
საბჭოვეს. საბჭოთა კავშირის პერიოდში, ისტორია პოლიტიზირებული
აღმოჩნდა, ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთ – მარქსისტულ-ლენინ-
ური იდეოლოგიის ჩარჩოებში მოექცა. საკითხისადმი მარქსისტული
მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად, ხოლო
განსხვავებული აზრი იდევნებოდა და ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა.
ქართველ მეცნიერებს არჩევანი არ ჰქონდათ და საკითხი მარქსისტუ-
ლად გააშუქეს, თუმცა ამ ნაშრომებში ფასეული მაინც ძალიან ბევრია,
რადგან ემპირიზმის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და თუ
ამ შრომებს ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ დებულებებს ჩამო-
ვაშორებთ, მასში ღირებული მაინც დარჩება. საბჭოთა სახელმწიფომ
სასურველი იდეოლოგია ძალით მოახვია თავს ისტორიკოსებს. ქა-
რთველი მეცნიერები იძულებული იყვნენ, რომ საფრანგეთის დიდი რე-

ვოლუციის ბურჟუაზიულ-კლასობრივ ხასიათზე გაეკეთებინათ აქცენტი. საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართული ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული“ იყო და საფრანგეთის დიდი რევოლუციის იაკობინური გააზრების მომხრედ გვევლინება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის პირობებში, სხვა არჩევანი არ არსებობდა (ანთაძე, კალანდაძე 2013-2015: 292).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქართველმა ისტორიკოსებმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მარქსისტული გააზრება მოგვცეს. არაერთი საინტერესო მონოგრაფია და სტატია დაიბეჭდა, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას ეხებოდა, თუმცა ეს შრომები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, 1789-1794 წლებს მოიცავდა. ანუ, საბჭოთა კავშირის დროს, ქართული ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას 1789-1794 წლებით ათარიღებდა, რაც ლოგიკური გახლდათ, რადგან როგორც ზემოთ ვახსენეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული“ იყო, იაკობინთა მმართველობასა და მაქსიმილიან რობესპიერზე გადაჭარბებულად მაღალი აზრის გახლდათ, ხოლო 9 თერმიდორის გადატრიალებისა და მისი შედეგების მიმართ, სრულ გულგრილობას ამჟღავნებს და რევოლუციას სწორედ 9 თერმიდორის გადატრიალებით ასრულებს. პრაქტიკულად ეს იყო სტალინური სქემა, რომელიც ბოლშევიკურ-ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ძალით მოახვიეს თავს ისტორიკოსებს, მათ შორის, ცხადია, ქართულ ისტორიოგრაფიას.

მიუხედავად ცალმხრივობისა, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დროს საკითხმა კიდევ უფრო მეცნიერული დატვირთვა მიიღო. საბჭოთა კავშირის პირველ წლებში საფრანგეთის დიდი რევოლუციით და ასევე ნაპოლეონის ეპოქით განსაკუთრებით გრიგოლ ნათაძე და ალექსანდრე ნამორაძე ინტერესდებოდნენ, ხოლო შემდგომ საკითხით უფრო მეტად დაინტერესდნენ გივი კილურაძე და კოტე ანთაძე, რომელთაც არაერთი საინტერესო წიგნი თუ სტატია დაბეჭდეს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. ზემოხსენებული ავტორები უმეტესად წერენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ ხუთ წელზე, ხოლო 1794 წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული 1799 წლამდე განვითარებული მოვლენები ამ საკითხში მიჩუმათებულია და უმეტესად, მხოლოდ ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილ წიგნებში ჩანს.

გამონაკლისს წარმოადგენს გრიგოლ ნათაძის წიგნი: „კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, რომელიც

1933 წელს გამოიცა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაბმული, უწყვეტი თხრობის პირველი მცდელობაა, ემყარება პირველწყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნასა და მათ ანალიზს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოსდა ნაშრომი მარქსისტული პოზიციებიდან იყო დაწერილი, თუმცა სინამდვილეში, საქმე გაცილებით რთულადაა. პროფ. მ. კალანდაძის შეხედულებით, აქ საქმე გვაქვს მისი ესერული მრწამსისა და მარქსიზმის კვეთასთან. ის ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრეა და „ეკონომიკური მატერიალიზმიდან“ მარქსიზმისკენ ევოლუციას ცდილობდა (კილურაძე 1970: 417-418).

გრ. ნათაძეს ხსენებულ წიგნში უწერია: „ამ პირობებში ნაპოლეონ პირველმა 18 ბრიუმერს 1799 წელს სრულიად ადვილად მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ახალი, ეგრეთწოდებული მერვე წლის კონსტიტუციის გამოცხადება, ამით თავდება საფრანგეთის რევოლუცია და იწყება, ჯერ კონსულობის და შემდეგ იმპერიის, ანუ სამხედრო ბურჟუაზიული დიქტატურის ხანა (ნათაძე 1933: 137-138). ეს კი პერიოდიზაციის იმ მოდელის განსხვავებული ვერსიაა, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გახლდათ მიღებული, ხოლო დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია დამკვიდრებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორს ეს აზრი უფრო ადრე ჰქონდა ჩამოყალიბებული და მისი გამოქვეყნება დროულად მოასწრო, რადგან როგორც ვიცით, ამ წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე წელში იოსებ სტალინის განკარგულებით, ყველა იმ მეცნიერის სასტიკად დევნა დაიწყო, რომლებიც საბჭოთა რეჟიმსა და მათ დოგმებს ეწინააღმდეგებოდნენ. ნათაძის ნაშრომი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, რეპრესიებამდე რამდენიმე წლით ადრე გამოიცა, ხოლო შემდგომ დაწერილ შრომებში ქართველი მეცნიერები პერიოდიზაციის იმ ვერსიას იზიარებდნენ, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გახლდათ მიღებული. გამონაკლისად შეგვიძლია მივიჩნიოთ გივი კილურაძე, რომელმაც მართალია აღნიშნა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის 1794 წელს დასრულება ნაადრევი უნდა ყოფილიყო, თუმცა მას 1794-1799 წლებზე არ დაუწერია და დიდი ალბათობით, ეს საბჭოთა რეჟიმის გავლენის ან ზეწოლის დამსახურება იყო. ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ.

გრიგოლ ნათაძის წიგნი საფუძვლიანად აქვს განხილული პროფესორ მერაბ კალანდაძეს. ის წერს, რომ ნათაძეც იმ ისტორიკოსთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც თვლიან, რომ საფრანგეთის

დიდი რევოლუცია 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატიალებით დასრულდა (კალანდაძე 1998: 102). ნათაძე ზემოხსენებულ ნაშრომში ნაპოლეონის რეჟიმზეც წერს, თუმცა მას აბსოლუტურად განასხვავებს რევოლუციისგან და მას ცალკე გამოყოფილ ადგილს უთმობს (ნათაძე 1933: 137-140). ნათელია, რომ მისი აზრით, რევოლუცია 18 ბრიუმერს სრულდება.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია მიმოიხილა ს. ძიმისტარიშვილმაც, რომლის ნაშრომიც 1931 წელს გამოვიდა. ეს გახლავთ საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული 70-გვერდიანი ბროშურა, რომელშიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის არაერთი საინტერესო ფაქტი და ეპიზოდია აღწერილი (მაგ: გენერალური შტატები, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, პარტიები და კლუბები, ომი ევროპასთან და ა. შ.). განსაკუთრებული ყურადღება იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ ძიმისტარიშვილის თხრობა 1789-1794 წლებს მოიცავს და 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ, ერთადერთ საკითხს უთმობს ყურადღებას – ბაბუვიზმს, გრაკხუს ბაბეფს, რაც საბჭოთა იდეოლოგიიდან და ბაბეფის მოღვაწეობიდან გამომდინარე გასაკვირი ნამდვილად არ გახლავთ.

ნაშრომის სქემიდან გამომდინარე ვიფიქრებდით, რომ ძიმისტარიშვილის ვერსია პერიოდიზაციასთან დაკავშირებით 1789-1794 წლებია, თუმცა საქმე ასე იოლად არაა. 9 თერმიდორზე თხრობის ბოლოს, ავტორი წერს: „ამრიგად, რევოლუცია თუ თავიდან აღმავალი ხაზით მიმდინარეობდა, 9 თერმიდორიდან ის ძირს ეშვება. კონვენტს შეცვლის დირექტორია 1795 წლის ოქტომბერში, ამ უკანასკნელს – კონსულატი, რომლის ერთ-ერთი წევრი, ნაპოლეონ ბონაპარტე რევოლუციის ნანგრევებზე თავის იმპერიას დაამყარებს (1804-1815), ხოლო ამის შემდეგ რეაქცია ბურბონების რესტავრაციით გვირგვინდება (ძიმისტარიშვილი 1931: 61). როგორც ვხედავთ, ძიმისტარიშვილი სულაც არ თვლის, რომ რევოლუცია 9 თერმიდორის გადატრიალებით სრულდება. მისი აზრით, ამ მოვლენით მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება სრულდება და რევოლუცია დასკვნით, დაღმავალ ფაზაში შედის. თუმცა, ავტორი კონკრეტულად არ წერს, თუ როდის სრულდება მისი აზრით რევოლუცია, ზემოხსენებული ციტატის გაანალიზებით, ფრთხილი ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ, რომ ის ნაპოლეონის მმართველობასაც რევოლუციის წლებს ათვლის, რადგან კონვენტს, დირექტორიასა და ნაპოლეონის მმართველობის ორივე ეტაპს ერთად მოიხსენიებს, თუმცა ვიმეორებთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვერსიაა – ამ პატარა ციტატით რაიმეს მკაიფოდ თქმა რთულია.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკამათო მოდელთან დაკავშირებით, გივი კილურაძის აზრი ზემოთაც ვახსენეთ. ჩვენი აზრით, ქართველი ისტორიკოსები კარგად ხვდებოდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საბჭოთა ვერსიის საკამათო ხასიათს, თუმცა ამის თქმა საბჭოთა ეპოქაში საკმაოდ რთული იყო და ვერ ბედავდნენ, რადგან ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ყველაფერს და შესაძლოა, ისტორიკოსს დიდი პრობლემები შექმნოდა (მაგ.: სამსახურიდან დათხოვნა, თუმცა სტალინის ეპოქის დროს, საქმე გადასახლებას ან სულაც ფიზიკურ განადგურებას ეხებოდა). მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, გივი კილურაძემ გაბედა და საბჭოთა პერიოდის დროს, პირველი ქართველი ისტორიკოსი გახდა, რომელმაც რევოლუციის 1789-1794 წლებით დათარიღება საკამათოდ მიიჩნია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ამის შესახებ 1964 წელს საკუთარ სტატიაში „9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ“ დაწერა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა. გივი კილურაძემ მართებულად აღნიშნა, რომ 9 თერმიდორის გადატრიალებით მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარება დასრულდა. რევოლუცია, ახალ, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და დაიწყო მისი დაღმავალი ხაზით განვითარება. გამარჯვებული ბურჟუაზია 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ, იწყებს მოპოვებული პოზიციების განმტკიცებას, გამარჯვების ნაყოფს როგორც „მემარცხენე“, ისე „მემარჯვენე“ ძალების ხელყოფისგან იცავს (კილურაძე 1964: 224).

როგორც აღვნიშნეთ, გივი კილურაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა განაცხადა რევოლუციის პერიოდიზაციის 1789-1794 წლებით დათარიღების საკამათო ხასიათზე, რასაც თავის სტატიაში პროფესორი მერაბ კალანდაძეც აღნიშნავს (კალანდაძე 2015: 33). გივი კილურაძემ ამ პრობლემის შესახებ 1964 წელს მიუთითა. ეს აზრი აქვს გატარებული მას თავის წიგნში „ახალი ისტორია“ (კილურაძე 1970: 417-418). თუმცა, მიუხედავად ამისა, მან თავისი სადოქტორო დისერტაცია სწორედ ტრადიციულ პერიოდიზაციაზე ააგო – „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს (1789-1794)“. მან სრულიად გასაგები მიზეზების გამო ვერ გაბედა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არსებული პერიოდიზაცია დაერღვია. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ის გულწრფელი არ იყო. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა ცალკეულ ისტორიკოსებს, არამედ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ცდილობს ძალით მოახვიოს

თავს ისტორიკოსს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. აი ეს არის ყველაზე უფრო მიუღებელი. თუ არა მისი უეცარი გარდაცვალება, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის ამ საკითხში შეიცვლიდა შეხედულებებს და სწორ პოზიციაზე დადგებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. კოტე ანთაძის პოზიცია. მან საინტერესო ევოლუცია განიცადა. საბჭოთა პერიოდში მას საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიზაციაზე არაფერი დაუწერია, მაგრამ როგორც ყველა ისტორიკოსი, ისიც იაზრებდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის საბჭოურ პერიოდიზაციას. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, პირველ ყოვლისა, მარქსიზმისადმი ლოიალური დამოკიდებულების ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. რამდენად იყო ის ამ შემთხვევაში გულწრფელი კარგად გამოჩნდა შემდგომ პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მან ამ საკითხში სწორი პოზიცია დაიკავა, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

კომუნისტური რეჟიმის უკანასკნელ პერიოდში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი გამოწვევის ვიხილეთ. უფროსი კოლეგის მსგავსად, მერაბ კალანდაძეც თვლიდა, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის საბჭოთა ისტორიოგრაფიის პერიოდიზაცია (1789-1794 წლები) გადასინჯვას მოითხოვდა და სერიოზულ კრიტიკას იწვევდა (რევენუნკოვის, კილურაძის მიერ). პროფ. კალანდაძე წერდა, რომ 9 თერმიდორის გადატრიალება მხოლოდ რევოლუციის აღმავალი ხაზით განვითარების დასასრულს მოასწავებდა. მისი თქმით, რევოლუცია 1799 წლის 18 ბრიუმერს დასრულდა და მიუხედავად საბჭოთა ისტორიკოსების არგუმენტირებული დასკვნისა, კვლავ ძალაში რჩებოდა საფრანგეთის რევოლუციის ძველი დათარიღება, რასაც ის უძრაობის ეპოქის ერთ-ერთ სტერეოტიპს უწოდებდა და სახელმძღვანელოებში სათანადო კორექტირებას ითხოვდა. რევოლუციის დასაწყისი ამდენ კამათს არ იწვევდა, თუმცა განსხვავებული ვერსიები აქაც არსებობდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ისტორიკოსთა ერთი ჯგუფი რევოლუციის საწყისად 1787 წელს, ნოტაბლების მოწვევას მიიჩნევდა, თუმცა გაცილებით უფრო საინტერესოა უშუალოდ 1789 წლის მოვლენებზე საუბარი. პროფ. კალანდაძე მიუთითებდა, რომ ისტორიკოსთა ნაწილი (ოლარი, ტარლე) რევოლუციის დასაწყისად, გენერალური შტატების გახსნას – 5 მაისს მიიჩნევდა, მეორე ნაწილი 14 ივლისს (მანფრედი), ხოლო ეფიმოვი თვლიდა, რომ რევოლუციის მეცნიერული ისტორია უნდა დაწყებულიყო არა რომელიმე ერთი კონკრეტული თა-

რილით, არამედ ორმაგი თარიღით, რომელიც ქრონოლოგურად მოიცავს მთელს ისტორიულ პერიოდს 1789 წლის 17 ივნისიდან, ეროვნული კრების გამოცხადებიდან ბასტილიის აღებამდე – 14 ივლისამდე (კალანდაძე 1989: 65-66).

მდგომარეობა შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და ქართველმა მეცნიერებმაც შვებით ამოისუნთქეს. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობა წარსულს ჩაბარდა და პლურალიზმმა მოიკიდა ფეხი. ჯერ კიდევ 1964 წელს გივი კილურაძის მიერ გამოთქმული იდეა, ხოლო შემდგომ მერაბ კალანდაძის მიერ გაზიარებული ვერსია, აღსრულდა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში გადაინიჭა. აშკარაა, რომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციად 1789-1799 წლები თარიღდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიჯნაზე და მის შემდგომ, საკითხით არაერთი ქართველი ისტორიკოსი დაინტერესებულა. თუმცა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიმართ ყველაზე დიდ ინტერესს პროფესორი მერაბ კალანდაძე იჩენს, რომელმაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა საფრანგეთის დიდ რევოლუციას. მერაბ კალანდაძე ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია ქართველ ისტორიკოსებს შორის, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხით საგანგებოდ ინტერესდება და დეტალურად განიხილავს ამ რთულ პრობლემას. ჩვენ დამუშავებული გვაქვს პროფ. მერაბ კალანდაძის სტატია, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას ეხება. მისი აზრით, სწორია ისტორიკოსთა ის ჯგუფი, რომელიც საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789 წლის 5 მაისით იწყებენ და ასრულებენ 1789 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებით (კალანდაძე 2015: 33). ეს საკვებით სწორია და ისტორიკოსთა უმრავლესობა რევოლუციის პერიოდს ამ თარიღებს მიათვლის. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც სწორედ ასეა მიჩნეული.

2005 წელს მერაბ კალანდაძისა და კოტე ანთაძის ავტორობით გამოიცა წიგნი „საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია“. ავტორები საფრანგეთის დიდ რევოლუციას ორ თავს უძღვნიან და სახელმძღვანელოში ნათლად ჩანს, რომ რევოლუციის დასაწყისად 1789 წლის 5 მაისს, გენერალური შტატების მოწვევით მოიაზრებენ, ხოლო დასასრულს 1799 წლის 18 ბრიუმერს. „1799 წლის დეკემბრის დეკლარაციაში ჩაწერილი

ფრაზები „რევოლუცია დასრულებულია“ ლიტონი სიტყვები არ იყო. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საფრანგეთის რევოლუცია დასრულდა“ (ანთაძე, კალანდაძე 2005: 107).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ნაირა მამუკელაშვილისა და კოტე ანთაძის მიერ დაწერილი მერვე კლასის სასკოლო სახელმძღვანელო ახალი ისტორიის შესახებ. საფრანგეთის დიდ რევოლუციას ცალკე ორი თავი ეძღვნება, ხოლო მესამე თავი „რესპუბლიკიდან იმპერიამდე“ ნაპოლეონის რეჟიმსაც ეხება. აქ ერთ-ერთი გამოყოფილი ქვეთავი 18 ბრიუმერის გადატრიალებაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორები საფრანგეთის დიდ რევოლუციას სწორედ ამ თარიღით ასრულებენ (ანთაძე, მამუკელაშვილი 1992: 96).

1999 წელს დაიბეჭდა ვაჟა თვალავაძის სახელმძღვანელო „ახალი ისტორია, 1640-1815 წლები“, რომელშიც ფართოდაა გაშუქებული საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ავტორი უწყვეტად მიმოიხილავს მთელ რევოლუციურ პერიოდს და დასასრულად 18 ბრიუმერის გადატრიალებას მიიჩნევს (თვალავაძე 1999: 175).

გამონაკლისად გვევლინება დავით ლომსაძის სახელმძღვანელო „ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, 1600-1870“. მის წიგნში ძველი (საბჭოთა) ინერცია ჯერ ისევ იგრძნობა. აქ გატარებულია აზრი, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდია 1789-1794 წლები. აი რას წერდა ის: „1789-1794 წლების რევოლუცია იყო პირველი და ერთადერთი ადრე მომხდარ რევოლუციებს შორის“ (ლომსაძე 1998: 85). აქ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხში მისი პოზიცია საკმაოდ გამჭვირვალეა. ამგვარი მიდგომა დღეს უკვე მოძველებულია და ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღეა.

დავით ლომსაძის წიგნთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი უნდა გამოვყოთ, რამაც შესაძლოა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციით დაინტერესებული მკვლევარი ან მკითხველი დააბნიოს. მესამე თავი გამოყოფილია საფრანგეთის ახალი ისტორიისთვის. მეორე ქვეთავია „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, ხოლო მესამე – „პირველი იმპერია და ბურბონთა რესტავრაცია“. ავტორი ნაპოლეონის კონსულობის პერიოდზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქვეთავში საუბრობს და მხოლოდ იმპერიაზე თხრობას იწყებს ცალკე თავიდან. ლომსაძეს არ უნერია, რომ 18 ბრიუმერის გადატრიალებით რევოლუცია დასრულდა. მის წიგნში ასეთ რამეს ვკითხულობთ: „18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებით საფრანგეთში მსხვილი ბურჟუაზიის

ინტერესების გამომხატველი სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ნ. ბონაპარტმა დაიწყო რეპრესიები იაკობელთა წინააღმდეგ“ (ლომსაძე 1998: 89). ამ დეტალებით ისე ჩანს, თითქოს ლომსაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის სხვა მოდელს ემხრობა, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი ეთანხმებოდა (ალფონს ოლარი, ფილიპ სანიაკი) (კალანდაძე 2015: 33), (ვგულისხმობთ, კონსულობის პერიოდის რევოლუციის წლებად ჩათვლას და რევოლუციას 1804 წლის 2 დეკემბრით დასრულებას, როდესაც ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორი გახდა), თუმცა რეალურად საქმე სხვაგვარადაა. ზემოხსენებული ფრაზით ავტორი ფაქტობრივად საკითხისადმი დასკვნას აკეთებს: „1789-1794 წლების რევოლუცია იყო პირველი და ერთადერთი ადრე მომხდარ რევოლუციებს შორის“. ამგვარად, ის პერიოდიზაციის მოძველებულ, საბჭოურ მოდელს მიყვება.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციამ ქართულ სივრცეში საინტერესო ევოლუცია განიცადა. საკითხის გაშუქების წინაისტორიაში, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე მოიცავს, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით იქითკენ ვიხრებით, რომ ქართველი პუბლიცისტები საფრანგეთის დიდ რევოლუციას 1789-1794 წლებით ათარილებდნენ, თუმცა ამის გადაჭრით მტკიცება რთულია და მხოლოდ საკუთარ ვარაუდს გამოვთქვამთ, რომელიც ჩვენი არგუმენტებით გვაქვს დასაბუთებული. საკითხის შესწავლის პირველ ეტაპზე 1918-1921 წლებში ქართველი მეცნიერები საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას 1789-1814 წლებით მოიაზრებდნენ, ანუ რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას აიგივებდნენ და მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავდნენ. საბჭოთა პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიას თავს მოახვიეს საკუთარი დებულებები და ქართველი მეცნიერებსაც სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. საბჭოთა ისტორიოგრაფია საფრანგეთის დიდ რევოლუციას 9 თერმიდორის გადატრიალებით ასრულდებდა, თუმცა ქართველ ისტორიკოსებს სინამდვილეში განსხვავებული ხედვა ჰქონდათ და სხვადასხვა პერიოდში ამის დაწერა მოახერხეს კიდევ, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ათ წელს გასტანა – 1789-1799 წლები, რაც ვფიქრობთ სავსებით სწორია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. მ. კალანდაძის დასკვნას საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის ევოლუციაზე.

ის სავსებით მიესადაგება ჩვენთვის საინტერესო საკითხს (კალანდაძე 2016: 148-153).

1. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საერთო სურათი და პერიოდიზაცია, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით გამრუდებული იქნა. სულ სხვა აქცენტები დავსვით.

2. ქართულ ისტორიოგრაფიას აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, მეცნიერული გზით მიდიოდა და გვთავაზობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეცნიერულ პერიოდიზაციას, რომელსაც ძალიან ბევრი მომხრეები ჰყავდა, როგორც მაშინ, ისე დღეს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოები. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და ევროპული, პირველ რიგში კი რუსული ისტორიოგრაფიის გავლენის ლოგიკური შედეგია.

3. როგორც ირკვევა, აღნიშნული პრობლემით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სახელმძღვანელოებში.

4. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხით დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მან საინტერესო მეტამორფოზი, ევოლუცია განიცადა. 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში ის სულ სხვა იყო. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სულ სხვა და უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში კი სულ სხვაა. თავდაპირველად ეს იყო 1789-1814 წლები, შემდეგ საბჭოთა ეპოქაში 1789-1794 წლები, ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში 1789-1799 წლები. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა XXI საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამორიცხულად არ მიგვაჩნია. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, საკითხის შესწავლის წინაისტორიის ეტაპი (ე. ი. მე-19 ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1918 წლამდე პერიოდი), სადაც ჩვენი ფრთხილი დასკვნით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის თარიღად 1789-1794 წლები ესახებოდათ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციასთან დაკავში-

რებით სხვადასხვა ეპოქაში, განსხვავებული ხედვა არსებობდა, რაც ჩვენს ნაშრომში ნათლად გამოჩნდა და ამაზე საკმაოდ ვისაუბრეთ. ისიც მკაფიოდ ჩანს, რომ ამას საკუთარი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. ბოლოსკენ, დასკვნის სახით გვინდა საკუთარი აზრიც გამოვთქვათ ამ რთული საკითხის შესახებ. როდის დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია? გავრცელებულია რამდენიმე მოსაზრება. ისტორიკოსთა მცირე ნაწილი თვლის, რომ ეს პროცესი დაიწყო 1787 წელს ნოტაბლების კრების მოწვევით. ეს ნაადრევია, რადგან მესამე წოდებისა და სამეფო კარის პრინციპული დაპირისპირება ამ ეტაპზე არ ჩანს, მოსახლეობაში უკმაყოფილება სულ უფრო იზრდება, მაგრამ მას 1787 წლისთვის ერთიანი, ორგანიზებული სახე არ აქვს მიღებული და ალბათ, ამ ეტაპზე რევოლუციაზე საუბარი ნაადრევი და არაადამაჯერებელია.

ისტორიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს (კალანდაძე 2015: 31), რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1789 წელს დაიწყო, თუმცა კონკრეტულ თარიღზე ბევრი ვერ თანხმდება. ერთი ნაწილი თვლის, რომ რევოლუცია 5 მაისს გენერალური შტატების მოწვევით იწყება, ხოლო მეორე – 14 ივლისს ბასტილიის აღებით. მიგვაჩნია, რომ გარკვეული სიმართლის მარცვალი ორივე მოსაზრებაშია და მცდარი არცერთი ვერსია არ უნდა იყოს. ვგულისხმობთ იმას, რომ გააჩნია როგორი ხედვა აქვს კონკრეტულ ისტორიკოსს და რაზე აკეთებს უმთავრესად აქცენტს. თუ მეტ ყურადღებას მივაქცევთ მესამე წოდების ერთიან იდეას საფრანგეთის მომავალზე, პროტესტსა და წინააღმდეგობას სამეფო ხელისუფლების მიმართ, მაშინ ასეთად გენერალური შტატების მოწვევა უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ თუ ისტორიკოსი მთავარ მნიშვნელობას შეიარაღებულ დაპირისპირებას ანიჭებს, მაშინ ცხადია ასეთი ბასტილიის აღებაა, რადგან პირველი სერიოზული შეიარაღებული ბრძოლა ორ მხარეს შორის სწორედ 14 ივლისს ხდება და ამის შემდგომ, რევოლუციური პროცესების შეჩერება შეუძლებელი ხდება. ასე რომ, ვფიქრობთ, სიმართლის მარცვალი ორივე მოსაზრებაში დევს და პრინციპულად მიუღებელი არცერთია.

უფრო რთულადაა საქმე რევოლუციის დასასრულის თარიღთან დაკავშირებით. ზემოთ მიმოვიხილეთ ყველა ვერსია და ჩვენს მოკრძალებულ აზრსაც მოკლედ დავაფიქსირებთ. 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) სახელმწიფო გადატრიალებით რევოლუციის დასრულება გივი კიღურაძისა და მერაბ კალანდაძის მსგავსად, ჩვენც ნაადრევი გვგონია. აშკარაა, რომ რევოლუცია გრძელდება, თუმცა ისიც ცხადია,

რომ პირვანდელი სახით აღარ: 9 თერმიდორის გადატრიალების შემდგომ, დაწინაურებულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ მოახერხა ღარიბ ხალხზე გამარჯვება და საბოლოოდ დაშორდა მათ. დაიწყო გამარჯვებული ბურჟუაზიის მიერ რევოლუციით მიღებული ნაყოფის გამოყენება, ხოლო დაბალი ფენების ჩაგვრა კვლავ გრძელდებოდა, რასაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პუბლიცისტებიც აღნიშნავდნენ. რევოლუცია გაგრძელდა, თუმცა დაღმავალ ფაზაში, კვლავ სახეზე იყო პოლიტიკური არასტაბილურობა, სახელმწიფო გადატრიალებების მოლოდინი და ამბოხებები. ეს ყველაფერი კი სწორედ სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა, რომელიც 9 ნოემბერს (18 ბრიუმერს) ნაპოლეონ ბონაპარტმა მოახდინა და 1799 წლის დეკემბრის დეკლარაციაში ჩაიწერა: „რევოლუცია დასრულებულია“ (ანთაძე, კალანდაძე 2005: 107).

მიუხედავად ამისა, ბევრი ისტორიკოსი თვლიდა, რომ რევოლუცია ნაპოლეონის მმართველობის წლებშიც გრძელდებოდა. ერთი ნაწილი რევოლუციის ხანად კონსულობის პერიოდს 1799-1804 წლებს მოიაზრებდა, ხოლო მეორე ნაწილი ნაპოლეონის ეპოქის მთლიან მონაკვეთს საფრანგეთის დიდ რევოლუციას ათვლიდა. ორი აზრი არ არსებობს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის რეჟიმი ერთმანეთს ბევრ რამეში უკავშირდებიან, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის სერიოზული განსხვავებები, რაც ამ ორ პერიოდს შორის არსებობს. რევოლუცია ასოცირდებოდა ნგრევასთან, შიმშილთან, შიშთან და არასტაბილურობასთან, ფაქტობრივად, ცხოვრების ყველა სფეროში. სახელმწიფო გადატრიალებას, სახელმწიფო გადატრიალება მოსდევდა, შესაძლოა, ადამიანი ერთ დღეს გმირი ყოფილიყო, ხოლო მეორე დღეს მისი თავი გილიოტინაზე მომხვდარიყო და ასე დაესრულებინა სიცოცხლე. მაგალითად, მაქსიმილიან რობესპიერმა, რომელმაც მოიშორა დანტონი, ებერი, დემულენი და სხვები, მაგრამ სამიოდე თვეში თავადაც იგივე ბედი გაიზიარა. ასეთ რამეს კი ნაპოლეონის რეჟიმში ვერ შევხვდებით. დიახ, მისი მმართველობის დროსაც იყო გარკვეული ამბოხებები და შეთქმულებები (მაგ.: 1800 წლის 24 დეკემბერს, 3 ნივოზს სენტ-ნიკეზის ქუჩაზე მომხდარი თავდასხმა), თუმცა რევოლუციის პერიოდთან შედარებით, ეს ბევრი არაფერია და თანაც, ბონაპარტი ყოველთვის ახერხებდა საქმის გამოძიებას და დამნაშავის სათანადოდ დასჯას. მან მალევე ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა, საფრანგეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანა და მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნად აქცია. ვფიქრობთ, რომ ამ ორ პერიოდს შორის სერიო-

ბული განსხვავება არსებობს და მათი გამიჯვნა უმჯობესია.

შესაბამისად, დარჩა მოსაზრება, რომელსაც თანამედროვე ისტორიკოსების უმრავლესობა სწორად მიიჩნევს – საფრანგეთის დიდი რევოლუცია 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალებით სრულდება.

არსებობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეტაპების შიდაპერიოზაციაც, რაც ასევე საინტერესოა, თუმცა მას ცალკე გამოკვლევა და განხილვა სჭირდება, რაც ამჯერად ჩვენი მიზანი არ ყოფილა და ქართულ ისტორიოგრაფიაში, აღნიშნული საკითხის ზოგად პერიოდზაციაზე საუბრით დავკმაყოფილდით.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ავალიანი 1920: ავალიანი ს., მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII საუკუნეები). ტფ., ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის გამოცემა №3, 1920;
- ▶ ანთაძე, კალანდაძე 2013-2015: ანთაძე თ., კალანდაძე მ., საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები. *საისტორიო ძიებანი*, XII. თბ., 2013-2015, გვ. 286-297;
- ▶ ანთაძე, კალანდაძე 2005: ანთაძე კოტე, კალანდაძე მერაბ, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005;
- ▶ ანთაძე, მამუკელაშვილი 1992: ანთაძე კოტე, მამუკელაშვილი ნაირა, ახალი ისტორია: საშ. სკოლის მე-8 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: „გულანი“, 1992;
- ▶ დონაძე 1978: დონაძე ვარლამ, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა: (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978;
- ▶ თვალავაძე 1999: თვალავაძე ვაჟა, ახალი ისტორია, 1640-1815 წლები. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1999;
- ▶ კალანდაძე 1989: კალანდაძე მერაბ, საფრანგეთის დიდი რევოლუცია: 200 წლისთავი. ჟურნ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, №1, 1989, გვ. 63-70;
- ▶ კალანდაძე 1998: კალანდაძე მერაბ, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998;
- ▶ კალანდაძე 2013: კალანდაძე მერაბ, დიმიტრი უზნაძე

- საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ნაკვეთი XII, თბ., 2013, გვ. 451-458;
- ▶ კალანდაძე 2015: კალანდაძე მერაბ, ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის პერიოდიზაციის თაობაზე. „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, № 9-10, 2015, გვ. 20-37;
 - ▶ კალანდაძე 2015ა: კალანდაძე მერაბ, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 17. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი, 2015, გვ. 382-407;
 - ▶ კალანდაძე 2016: კალანდაძე მერაბ, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე. თბილისი: „არტანუჯი“, 2016;
 - ▶ კალანდაძე 2016ა: კალანდაძე მერაბ, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია. „მაცნე“, ისტორიის სერია №1. 2016, გვ. 139-148;
 - ▶ კალანდაძე 2017: კალანდაძე მერაბ, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოხდული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. „ანალები“, №13, 2017, გვ. 241-249;
 - ▶ კილურაძე 1964: კილურაძე გივი, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 107. თბილისი, 1964;
 - ▶ კილურაძე 1970: კილურაძე გივი, ახალი ისტორია, ნაწილი 1. თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1970;
 - ▶ ლომსაძე 1998: ლომსაძე დავით, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. 1600-1870. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1998;
 - ▶ ლორთქიფანიძე 1906: ლორთქიფანიძე ვარლამ, საფრანგეთის დიდი რევოლუცია. თბ., 1906;
 - ▶ ნათაძე 1933: ნათაძე გრიგოლ, კაპიტალიზმის ისტორია: თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., 1933;
 - ▶ ჟორდანია 1906: ჟორდანია ნოე, საფრანგეთის ისტორიიდან. დიდი რევოლიუცია (1789). თფ., 1906;
 - ▶ უზნაძე, გველესიანი 1919: უზნაძე დ., გველესიანი ი., ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნეები). ტფ., სახალხო საქმ-ის გამოცემა №1“, 1919;
 - ▶ ძიმისტარიშვილი 1931: ძიმისტარიშვილი ს., საფრანგეთის დიდი რევოლუცია. ტფ., „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1931;
 - ▶ წერეთელი 1920: წერეთელი ალექსანდრე, მსოფლიო ისტორია. ნაწ. 3, ახალი საუკუნეები. სურათებით. თბ., „გამოც. №10 ქართ. ბეჭდვითი ამხანაგობისა“, 1920;
 - ▶ ჭუმბურიძე 1920: ჭუმბურიძე თეიმურაზ, ახალი ისტორია: უმაღლეს და საშ. სასწავლებელთათვის. ქთ., „მომავალი“, 1920;
 - ▶ დროება 1873: საფრანგეთი, პარიჟიდან, გაზ. „დროება“, 1873, № 1 (დამატება).

THE PERIODIZATION OF THE GREAT FRENCH REVOLUTION IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY (SUMMARY)

The following work is historiographic in nature and aims to highlight one interesting issue - the periodization of the Great French Revolution in Georgian historiography. This is a novelty, which has a Georgian context, and is one of the first attempts to study the aforementioned problem.

The Great French Revolution is a subject on which historians have never been unanimous. There are many opinions that belong to distinguished historians and are completely different from each other. In fact, controversy and different views exist on all issues: in the evaluation of the revolution itself, in the work of the Girondists and Jacobins, in relation to agrarian reforms, etc.

Georgian historiography also has a different approach to the French Revolution. One of these interesting and important subjects is the periodization of the Revolution itself. In the Democratic Republic of Georgia, there was a different version of the periodization of the Great French Revolution, and of course, a different version existed in the Georgian historiography of Soviet-Era. Modern Georgian historiography expresses a completely different opinion. Everything mentioned above will be discussed in our article in details.

ანარქისტ გიორგი (კომანდო) გოგელიას ახლადმიკვლევული ნარკვევი და ქართული ანარქისტული მოძრაობა 1905-1907 წლებში

საკვანძო სიტყვები: რუსეთის იმპერია, ანარქიზმი, ქართული ანარქიზმი, კომანდო გოგელია, 1905 წლის რევოლუცია

Keywords: Russian Empire, Anarchism, Georgian Anarchism, Komando Gogelia, 1905 Russian Revolution

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო პოლიტიკაში საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას – ანარქო-სინდიკალიზმს, რომლის გამორჩეული თეორიტიკოსებიც იყვნენ ჟორჟ სორელი, ემილ პუჟე, ფერდინანდ პელუტიე... საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში კი ეს ადგილი გიორგი გოგელიას, იგივე კომანდო ორგეიანს ეჭირა (შველიძე 2010-2013: 320).

გიორგი გოგელია, იგივე კომანდო ორგეიანი, ქართული სამეცნიერო და საზოგადოებრივი სივრცისთვის, ნაკლებად ცნობილი მოღვაწეა. ზოგადად, ქართული ანარქიზმი, ქართულ რეალობაში შეუსწავლელი თემაა და რიგი საკითხების განხილვა, გამოკვლევა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა, მომავლის საქმეა.

რამდენიმე თვის წინ, კომანდო გოგელიას ბიოგრაფიაზე მუშაობისას, წავანყდით მის ნარკვევს, რომელიც 1908 წელს, პარიზშია დაწერილი. „ანარქისტული მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში“ (К истории анархического движения в Грузии) – ასეთ სათაურს ატარებს გოგელიას ნარკვევი, რომელიც ეპიზოდებში ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ის რუსულადაა დაწერილი და გამოქვეყნებულია კრებულში, რომელიც რუსეთის იმპერიაში არსებული ანარქისტული მოძრაობის ისტორიასა და რეალობას მიეძღვნა (Альманах 1909: 82-111). აღნიშნული ნარკვევი ვთარგმნეთ, შენიშვნები, კომენტარები დავურთეთ, გამოსაცემად მოვამზადეთ და მას სულ მალე იხილავს მკითხველი. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ მეგობარსა და კოლეგას, ვინც მის მოძიებასა და შემდეგ უკვე, თარგმნა-გამოცემის საქმეში, აქტიურად მუშაობდნენ და

არ იშურებდა რჩევა-დარიგებებს.

ვიდრე თავად ნარკვევსა და მის მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევეხოთ გიორგი გოგელიას ბიოგრაფიას.

გიორგი ილიას ძე გოგელია დაიბადა 1878 წლის 6 სექტემბერს, ოზურგეთში. 1895 წელს წარჩინებით დაასრულა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც სწავლას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს, თუმცა ორი წლის შემდეგ გარიცხეს „თავისუფალი აზროვნებისადმი მიდრეკილებისა“ და „სემინარიის მოსწავლეთა წამქეზებლობის გამო“ (სანადირაძე 1965: 4). 1897 წლიდან ევროპაშია. სწავლობს ლიონის აგრონომიულ სასწავლებელში და ამთავრებს მას. შემდეგ ჟენევაში სწავლობს ქიმიის უმაღლეს სასწავლებელში (შველიძე 1991: 10). ამავე პერიოდში ახლო ურთიერთობაში შედის ევროპელ და ემიგრაციაში მყოფ რუს და ქართველ პოლიტიკურ ფიგურებთან.

ახალგაზრდა ანარქისტის აქტიური საქმიანობა იქამდე მივიდა, რომ 1903 წლის აგვისტოში, სწორედ 25 წლის გიორგი გოგელიამ¹ პირველი რუსულენოვანი ანარქისტული ჟურნალის – „Хлеб и Боя“ (პური და თავისუფლება) გამოცემა დაიწყო. სწორედ „ხლები ვოლიამ“ სათავე დაუდო რუსეთში ანარქიზმის, როგორც პოლიტიკური მოძრაობის აღორძინებას და გავრცელებას, ხოლო მისი გამომცემელი, მას შემდეგ აღიარებულ იქნა, როგორც რუსეთის იმპერიის სინამდვილეში მკვდრეთით აღმდგარი ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი დედაბოძი“ (შველიძე 1991: 10). და ეს მაშინ, როდესაც რამდენიმე წლით ადრე, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მყოფი ვარლამ ჩერქეზიშვილი კვლავ ემიგრაციაში იმედგაცრუებული მიდის იმის გამო, რომ რუსეთის იმპერიაში არ არსებობს ანარქიზმის თეორიის ქადაგებისათვის მყარი ნიადაგი (შველიძე 2021: 259-260). ამგვარად, ანარქისტ-კომუნისტების ორგანომ საფუძველი დაუდო რუსეთში ანარქიზმის განვითარებას და მის დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა (Комин 1969: 56).

გიორგი გოგელიას ცხოვრებაში საინტერესო ეპიზოდია პეტრე კროპოტკინთან ურთიერთობა და მისადმი დამოკიდებულება. 1904 წლისთვის ისინი უკვე კარგი ახლობლები ჩანან და აქტიური მიმოწერა აქვთ. ამასთან, წერილებიდან სრულებით არ ჩანს ისე, თითქოს გოგელია კროპოტკინის მიმდევარია. პირიქით, კროპოტკინი მას როგორც თანამებრძოლს, ისე უყურებს და ამასთან, ზოგიერთ საკითხში ისინი

¹ ემიგრაციაში იმხანიდან გარდაცვალებამდე უფრო მეტად ცნობილი იყო კომანდო გოგელიას ან კომანდო ორგეიანის სახელით, უფრო იშვიათად კი – კ. ილიაშვილის.

განსხვავებულ პოზიციებზეც კი დგანან (იხ. შველიძე 2019: 345-360).

ამასთან, ქართველი ანარქისტი არ კარგავს ურთიერთობას ქართველ რევოლუციონერებთან, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან და შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ანარქისტები, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში ხანმოკლე ვიზიტების დროს, ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან.

გოგელიას ქართველ მოღვაწეებთან აქტიური ურთიერთობის ერთ-ერთი დადასტურებაა 1904 წლის აპრილში, ქალაქ ჟენევაში გამართული კონფერენცია, რომელსაც გიორგი დეკანოზიშვილმა – „ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია“ უწოდა. დამსწრეთა რიგებში ვხვდებით კომანდო გოგელიასაც (მოხსენიებულია ფსევდონიმით – ორგეიანი).

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, გოგელია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს. მის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით გიორგი დეკანოზიშვილის დღიურში ძალიან საინტერესო ჩანაწერს ვხვდებით, რომელიც 1905 წლის 21 იანვრითაა დათარიღებული (რევოლუცია 9 იანვარს დაიწყო). მოვიყვანთ მას სრულად:

„დილით მივიღე წერილი ვარლამ ჩერქეზიშვილისაგან. მწერს გოგელიას წასვლაზედ. კროპოტკინი და სხვა ანარქისტინი წინააღმდეგნი არიანო გოგელიას წასვლაზედ. რატომ? რა მიზეზია? იმისათვის, რომ „ხლები ვოლიას“ რედაქციაში არის საჭირო. ნუთუ იმოდენა რუსებში სხვა კაცი ვერ ვინ იშოვნეს, ვისაც შეეძლოს წერა. რუსეთი დიდია, საქართველო კი პატარა არის. თვით გოგელია მწერს, რომ იგი უფრო თავისუფლად, უფრო სარგებლიანად იმუშავებს საქართველოში, რადგან ქართველებს იცნობს, რადგან ქართველ ხალხშია გაზრდილი. თვით რუსეთისთვისაც არ სჯობია, რომ ჩვენში განვითარდეს სოციალიზმი. მაშასადამე, უნდა გაიგზავნონ ჩვენში მომქმედნი პირნი, ისეთნი პირნი, რომელთაც უფრო ეხერხებათ ჩვენში მუშაობა, ვიდრე რუსეთში. ყველა თავის პარტიის სარგებლობას ეძებს და ანარქისტი ხშირათ ხდება ნაციონალისტად, როდესაც მის სარგებლობაზედ მისდგება საქმე. რასაკვირველია, კარგი იქმნებოდა ამისთანა სარევოლუციო ხანაში გოგელიას იქ ყოფნა, მაგრამ თუ-კი მთელ რუსეთისთვის საჭირო იქმნება, რომ აქ დარჩეს, დაუთმობთ, რადგან ბევრი სხვა დაგვითმია. მე გოგელიას დღესვე მივწერე, რომ ეგ მისი პირადი საქმე არის და თითონ უნდა ამოირჩიოს, რომელი ასპარეზი ურჩევნია სამოქმედოთ. რას ამოირჩევს, არ ვიცი!“ (შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: 172).

ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი ჩანაწერია. თუმცა როგორც გოგელიას ნარკვევიდან ჩანს, ის არა საქართველოში, არამედ რუსეთში აპირებდა დაბრუნებას, შესაბამისად ეს ორი ცნობა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. ამ მონაკვეთიდან ისიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა მას და მის საქმიანობას ანარქიზმის მამამთავარი პეტრე კროპოტკინი (და სხვა იქაური ანარქისტებიც), რომელიც, როგორც ჩანაწერიდან და ვარლამ ჩერქეზიშვილისგან (პეტრე კროპოტკინის უახლოესი მეგობრისგან) ირკვევა, წინააღმდეგი ყოფილა (წინააღმდეგი თუ არა, დიდად უკმაყოფილო მაინც) გოგელიას რუსეთში და კერძოდ კი, საქართველოში გამგზავრებისა. ამასთან იმასაც ვიგებთ, თუ რაოდენი ენთუზიზმითა და ბრძოლის ჟინითაა აღვსილი ქართველი, იმხანადაც ახალგაზრდა ანარქისტი გიორგი გოგელია.

მეტი დეტალები კომანდოს საქართველოში დაბრუნების შესახებ არ გვაქვს. ზუსტად რაც ვიცით ისაა, რომ ჩამოსვლიდან მალევე მან და მისმა თანამოაზრეებმა დაიწყეს ანარქისტული მიმართულების მქონე გაზეთების გამოცემა – „ნობათი“, „მუშა“, „ხმა“, „ცის ნამი“, „ქარიშხალი“ (შველიძე 2019: 350).

სწორედ 1906 წლიდან იწყებენ ანარქისტები საგამომცემლო საქმიანობას და აქტიურად ერთვებიან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში.

განსახილველი საკითხისათვის მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია ანარქისტების ურთიერთობა საქართველოში მაშინ არსებულ სხვა პარტიებთან. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში ორი პარტია გვაქვს: სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. დავიწყით ამ უკანასკნელით, ვინაიდან ანარქისტებს ცალკე პარტია არასოდეს ჰქონიათ და სწორედ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შიგნით არსებობდნენ, როგორც პოლიტიკური ჯგუფი.

როგორც ზემოთ ითქვა, 1904 წელს შეიქმნა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია. მასში შედიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და ანარქისტები – სამი სხვადასხვა მიმართულების მქონე ჯგუფი. პარტიის პროგრამის განსაზღვრა და დამტკიცება რთული, წინააღმდეგობრივი საქმე გამოდგა. გადაწყდა, ჩატარებულიყო კონფერენცია, რომელიც გადაწყვეტდა ამ საკითხს. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენციის ჩატარების აუცილებლობა ჯერ კიდევ ჟენევის კონფერენციაზე გააჟღერა

კომანდო გოგელიამ. ბოლო დღეს, 7 აპრილს, კომანდომ წინადადება შეიტანა, რომ შედგომოდნენ ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მომავალი კონგრესის მომზადების საქმეს და სთხოვა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ცოცხალი სული ჩაედგა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის (ოქმები... უთარილო: 256-257).¹

ცხადია, ანარქისტულ ფრთას პარტიის პროგრამა უფრო ანარქისტული კუთხით წარმოედგინა. გიორგი ლასხიშვილს, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრს, თავის თავზე უკისრია კომანდოსთან და მიხაკო წერეთელთან მოლაპარაკება პარტიის პროგრამის თაობაზე. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „მე პირადად, კომიტეტის დაუკითხავად და ჩემის პასუხისმგებლობით გადავდგი ერთი ნაბიჯი. მოვიწადინე გოგელიასთან და წერეთელთან მოლაპარაკება. ჯერ გოგელიასთან მივედი, ავუხსენი პარტიის მდგომარეობა, ვუმტკიცებდი ჩვენი პარტიის არსებობის საჭიროებას.

თქვენი და მიხაკოს ჩარევა მხოლოდ არევ-დარევას შემოიტანს საქმეში, გამოიწვევს განხეთქილებას პარტიაში. ანარქიზმის საქმეს ეს დახმარებას ვერ გაუწევს, ჩვენი პარტიის არსებობას კი განსაცდელში ჩააყენებს. ჩვენ ბევრი გვყავს მემარცხენე ახალგაზრდობა, რომელიც შეიძლება ადვილად გადავარდეს ანარქიზმში. მე მგონია თქვენს ინტერესსაც არ უნდა შეადგენდეს ს.-ფედერალისტების პარტიის დანგრევა საქართველოში. მართალია, თქვენი ჩარევა და მემარცხენეების მოშორებაც ვერ მოსპობს ჩვენს პარტიას, მაგრამ რად გინდათ ხანგრძლივი კრიზისი გამოიწვიოთ პარტიის ცხოვრებაში. მე პირადად გთხოვთ, კონფერენციას ნუ დაესწრებით და პროგრამის თქვენს კონტრ-პროექტს (ჩვენ გვითხრეს, რომ ასეთი პროექტი მზადა გაქვთ) კრებას ნუ წარუდგენთ-მეთქი.

გოგელია მეუბნებოდა:

ჩვენი ჩარევა პარტიას გასწმენდს, მოაშორებს უცხო ელემენტებსო და სხვა. ბოლოს მითხრა: თუ მიხაკო წერეთელი არ წამოვა კონფერენციაზე, მეც თავს შევიკავებ, იმას მოელაპარაკეთო“. იგივე უთქვამს მიხაკო წერეთელსაც, თუ კომანდო არ წამოვა კონფერენციაზე, არც მე წამოვალო (ლასხიშვილი 1992: 203).

„1906 წლის 29 ივნისს ჩატარდა სოციალისტ-ფედერალისტების მე-

1 აღნიშნული ოქმების ბეჭდური ვერსია უთარილოა. თუმცა არსებობს ვერსია, რომ ის პარიზში, 1904 წელს დაიბეჭდა. როგორც კომანდო თავის წარკვევში წერს, საქართველოში რევოლუციის დროს ის დიდი რაოდენობით შემოუტანიათ და გაუვრცელებიან (ნ. ს.).

ორე კონფერენცია, რომელიც ხაშურთან ახლოს მდებარე სოფ. ბეკამში დაიწყო. იგი პეტრე ყიფიანის მამულში მიმდინარეობდა. მასპინძლის სახლში სუფრა იყო გაშლილი და პოლიციის გამოჩენის შემთხვევაში, პარტიის დელეგატები სუფრას მიუსხდებოდნენ და სმა-ჭამას გამართავდნენ“ (შველიძე 2018: 55).

ამ კონფერენციაში, მიუხედავად ყველაფრისა, კომანდო გოგელია და მიხაკო წერეთელი მაინც მონაწილეობდნენ, როგორც სათათბირო ხმის პატრონნი. დიდი სიტყვა წარმოუთქვამს კომანდო გოგელიას, რომელსაც ანარქისტული კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაუტარებია მთავარი კომიტეტის (ე. ი. სოციალისტ-ფედერალისტთა) პროგრამა, მისთვის მხარი დაუჭერია მიხაკო წერეთელსაც (ლასხიშვილი 1992: 204).

თუმცა შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო (4 ივლისი) კონფერენცია გადადებულია და მისი დაკრძალვის შემდეგ კვლავ განახლებულია. ავტონომისტები, როგორც ანარქისტების, ისე ეროვნულ-დემოკრატების შეტევის ქვეშ მოექცნენ, რის შემდეგაც ამ უკანასკნელებმა დატოვეს ბლოკისტური პარტია. პარტია მესამე კონფერენციაზე ანარქისტებმაც დატოვეს, რომელიც 1907 წლის 2-7 ოქტომბერს გამართულა, თუმცა მას კომანდო გოგელია უკვე აღარ ესწრებოდა (შველიძე 2018: 56-57), ვინაიდან ის ისევ ევროპაშია. ამასვე ადასტურებს ჩვენ მიერ აღნიშნული ნარკვევი.

ამგვარად, ქართველი ანარქისტებისა და სოციალისტ-ფედერალისტების გზები გაიყო. აღნიშნული გაყოფა კი დაგვირგვინდა შალვა გოგელიას (კომანდოს ძმის) 1908 წლის ნაშრომით, რომელშიც სოციალ-ფედერალიზმს აკრიტიკებდა.

რაც შეეხება ამ მოვლენების კომანდოსეულ ვერსიას. ზოგადად, ამ მიკვლევული ნარკვევიდან რამდენიმე ისტორიული დეტალის დაზუსტებაც მოხერხდა. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს პარტიის მესამე კონფერენციისა და მისი ანარქისტული პროგრამის საკითხი, რომელსაც გიორგი ლასხიშვილი ახსენებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველად აზრი ისტორიკოსმა დიმიტრი შველიძემ გამოთქვა. მან პროგრამის ავტორად არჩილ ჯორჯაძე მიიჩნია (შველიძე 1993: 260). კომანდო გოგელიას ნარკვევიდან კი ირკვევა, რომ ეს პროგრამა თავად მას დაუწერია. მოვითანთ შესაბამის მონაკვეთს:¹

„მაშინ კომისიის² უმრავლესობამ ერთხმად დაავალა ამ სტრიქონე-

1 ვსარგებლობთ ჩვენივე თარგმანიდან.

2 იგულისხმება კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის პროგრამა და წარედგინა ის პარტიის მესამე

ბის მწერს პარტიის ახალი პროგრამის შედგენა. ჩემ მიერ პროგრამის შესადგენად მოწონებულ იქნა შემდეგი გეგმა: გადმომეცა ჩვენი მსოფლმხედველობა და მისგან პრაქტიკული დასკვნები გამომეყვანა. გამოდიოდა საკმაოდ დიდი ნაშრომი 122 გვერდით წიგნის ფორმატში, რომელიც შემდეგ თავებად იყოფოდა:

1. ძირითადი საფუძველნი და სხემა თანამედროვე ურთიერთობების აღმოცენების და განვითარების
2. კლასთა ბრძოლა
3. კაპიტალიზმი
4. სოციალური რევოლუცია
5. კომუნიზმი
6. სახელმწიფო
7. ფედერალიზმი
8. ჩვენი ტაქტიკა
9. პრაქტიკული მიზნები ყოველდღიურ ბრძოლაში მონაწილეობისა.

ერთი სიტყვით, ანარქისტული მსოფლმხედველობის საკმაოდ დეტალური და სისტემატური გადმოცემა. რჩებოდა მისი დაცვა და გაყვანა მესამე კონფერენციაზე... ამავდროულად, ჩემგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო მე ევროპაში გასვლა მომიწია. ცენტრალურმა კომიტეტმა განზრახ დააგვიანა კონფერენციის მოწვევა 9 თვით! ხოლო 9 თვე რევოლუციურ დროში – ნახევარი ასწლეულია. და მართლაც, ამ დროში ძირეული ცვლილებები მოხდა, რომლებმაც ძლიერ შეცვალა ძალთა თანაფარდობა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში. ძალთა თანაფარდობაში ამ ცვლილებებს განსაკუთრებით ხელს უწყობდა ორი გარემოება: პირველი, პარტიაში ნაციონალიზმის სწრაფი ზრდა, რომელსაც, როგორც საბოლოოდ დავასკვნენი, არც თუ მცირედ ხელს უმართავდა ზოგიერთი „ანარქისტი“; მეორე, ექსპროპრიაციების წინადაგება ბოროდმოქმედებებით გამოწვეული რეაქცია ანარქიზმის წინააღმდეგ; მესამე, ფედერალისტები ჩემ მიერ შემუშავებული პროგრამის წინააღმდეგ ძლიერ შეტევას აწარმოებდნენ, მაშინ როცა ჯგუფი, რომლის სახელითაც იყო ეს პროგრამა გამომუშავებული, სრულიად უმოქმედოდ იყო. ფედერალისტებმა დააარსეს ჟურნალი, რომლის მიზანიც ჩვენი პროგრამის განადგურება და დისკრედიტირება იყო.“ დიმიტრი შველიძე, თავისი მოსაზრების ერთ-ერთ არგუმენტად იმას ასახელებს, რომ არჩილ ჯორჯაძემ, ფედერალისტების საპასუხოდ დაწერა ცნობილი ნაშრომი

„სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“ (შველიძე 1993: 262). ნარკვევში გოგელია ამ საკითხსაც ეხება. ვკითხულობთ: „ჩემი ამხანაგები ძალიან სუსტად პასუხობდნენ, ამხ. საბუნმა (არჩილ ჯორჯაძე, გოგელიასთან შეცდომით ვხვდებით, სინამდვილეში ჯორჯაძის ფსევდონიმია „საბუელი“ – ნ. ს.) სცადა პროგრამის დაცვა, მაგრამ დაცვა სუსტი იყო, შემდეგ შ. გ.-მ დაწერა ვრცელი ნაშრომი პროგრამის დასაცავად, თუმცა სამწუხაროდ მან ვერ მოახერხა კონფერენციამდე მისი დაბეჭდვა.“ მიუხედავად ამ დეტალის შემოტანისა, აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა მაინც მომავლის საქმედ უნდა მივიჩნიოთ და ის ცალკე, სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს.

ამ კონფერენციის შემდეგ საქართველოში ანარქისტული მოძრაობა, ფაქტობრივად, კვდება. რთულად მიმდინარეობს საგამომცემლო საქმიანობა. კომანდო გოგელიას ნარკვევის მიხედვით, ანარქისტული მოძრაობის „კვდომისკენ წასვლას“ ხელს უწყობდა თანაპარტიელთა „რენეგატობა“. მისი თქმით, „ყველაზე ძლიერი დარტყმა ქართულ ანარქიზმს უპირობოდ ვ.-ს (იგულისხმება ვარლამ ჩერქეზიშვილი – ნ. ს.) რენეგატობამ მიაყენა. ფედერალისტები, უნდა ვიყოთ მართალნი, ვერასოდეს ურიგდებოდნენ და ახლაც არ მოურიგდებიან იმდენად უხეშ, გაუხედნავ ნაციონალიზმს, როგორსაც ურიგდება ყოფილი ამხანაგი და „ყოფილი ადამიანი“ ვ. ყველა არანაციონალისტ ქართველს ის მოლაღატედ თვლის.“

რევოლუციის დამარცხების შემდეგ (ე. ი. 1906 წლის მიწურულიდან), ვარლამ ჩერქეზიშვილი და გოგელია კვლავ ემიგრაციაში არიან, ეს უკანასკნელი აქედან მოყოლებული 1917 წლამდე დასავლეთ ევროპაში ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. ნაკლები ცნობები გვაქვს სხვა ანარქისტების შესახებ. ამ მხრივ, კვლევა, მომავლის საქმეა და საარქივო ფონდებში ხანგრძლივ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს. ამასობაში პეტრე კროპოტკინს დაწყებული აქვს „ხლები ი ვოლიას“ „სამართალმემკვიდრე“ პერიოდული ორგანოს – „ლისტკი „ხლები ი ვოლიას“ – გამოცემა, სადაც აგრეთვე ვხვდებით კომანდო გოგელიას სტატიებსა (მუშათა კავშირების შესახებ, „მონინავე დემოკრატიზმის“ მშვენიერებანი) და პუბლიცისტურ გამოხმაურებებს კ. ორგეიანის ფსევდონიმით,¹ ვარლამ ჩერქეზიშვილი კი ჰააგის კონფერენციისთვის პეტიციის წარსადგენად ეწევა საქმიანობას.

1 იხ. გაზ. Листки „Хлеб и Воля“. № 9. 1.3.1907. გვ. 2 - 4; № 12. 12.4.1907. გვ. 2 - 5; № 14. 10.5.1907. გვ. 2 - 4; № 17. 21.6.1907. გვ. 2 - 4.

რაც შეეხება ანარქისტების ურთიერთობას სოციალ-დემოკრატებთან, რევოლუციის პერიოდისთვის სოციალ-დემოკრატიული პარტია ორ – მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრთებადაა დაყოფილი, რომელთა ურთიერთობა დადებითად არ შეიძლება დახასიათდეს. მიმდინარეობს გამუდმებული პოლემიკა რიგ საკითხებზე. მენშევიკი გრიგოლ ურატაძე თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ პირველად საჯაროდ სწორედ ანარქისტებმა, კერძოდ კი შალვა გოგელიამ გაილაშქრა (Уратаძე 1968: 89-90). აი აქ, ამ ორ დაპირისპირებულ ფრთას სწორედ ანარქისტული მიმართულება „აერთიანებს“. ბოლშევიკი არაქელა ოქუაშვილი თავის მოგონებებში იხსენებს მისადმი მენშევიკების ერთ-ერთ თხოვნას: „მიუხედავად იმისა, რომ სოსო დაუძინებელი მტერი იყო მენშევიკებისა, მაინც მთხოვეს, რომ ამხ. სტალინი, სოსო წამეყვანა ანარქისტ გოგელიასთან (ამ შემთხვევაში იგულისხმება კომანდო გოგელია – ნ. ს.) საკამათოდ, ვინაიდან გოგელიამ საქმე ძლიერ გაუჭირა მენშევიკებს, კამათში ყველა მენშევიკი დაამარცხა და ბევრი მენშევიკი ახალგაზრდა დროებით გადაიბირეს: ვანო ჭეჭელავა, ნოე ლეჟავა, კაკაბაძე იოსებ და მრავალი სხვა.“ ავტორის თქმით, „ამხანაგ სოსოს“ მიხაკო წერეთელი და კომანდო გოგელია ერთად ეკამათებოდნენო, თუმცა „ბელადმა“ მაინც შეძლო მათი დამარცხება (ოქუაშვილი 2017: 279-280).

არაქელა ოქუაშვილის მოგონებებს ტენდენციურობის ელფერი და სტალინისადმი მიკერძოებულობის კვალი დაჰკრავს. მიუხედავად ამისა, მასში მაინც შეიძლება ქეშმარიტების რაციონალური მარცვალის დავინახოთ. ერთია, რომ ავტორი მოგონებებში სტალინს დიდ ფიგურად წარმოგვიჩენს, გასაკვირი არც უნდა იყოს, ეს მოგონებები სტალინის რეჟიმის დროს იწერებოდა (იხ. ოქუაშვილი 2017: 13), თუმცა მეორეა, რომ აქაც ჩანს კომანდო გოგელიას ძალა პოლიტიკური პოლემიკის ფრონტზე.

თავად გოგელიას ნარკვევში, საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიტიკას. აღსანიშნავია, რომ ის არ ანცალკევეს ამ პარტიას მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრთებად. ზოგადად, ნაკლებად უთითებს სახელებსაც. რამდენიმე სახელი, ან მხოლოდ ინიციალებით, ან ფსევდონიმებითაა ჩართული ტექსტში.

საბოლოო ჯამში, უნდა გამოვთქვათ ჩვენი მოკრძალებული აზრი, რომ აღნიშნული ნარკვევი, მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული სამეცნიერო სივრცისთვის. ის კიდევ ერთი დეტალია XIX-XX საუკუნეების

მიჯნის ქართული რეალობისა და პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სურათის სრულყოფის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ლასხიშვილი 1992: ლასხიშვილი გიორგი, მემუარები. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1992;
- ▶ ოქმები... უთარილო: ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა. უთარილო.
- ▶ ოქუაშვილი 2017: ოქუაშვილი არაქელა, ჩემი მოგონებები. თბილისი, SOVLAB, 2017;
- ▶ სანადირაძე 1965: სანადირაძე ალექო, კომანდო გოგელია, გაზ. „ლენინის დროშა“, 14 ოქტომბერი, №46, 1965. გვ. 4;
- ▶ შველიძე 1991: შველიძე დიმიტრი, ვინ იყო კომანდო გოგელია? გაზ. ერი. 1991, 27 მარტი, №13. გვ. 10-11;
- ▶ შველიძე 1993: შველიძე დიმიტრი, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი I, ფედერალისტები. თბილისი: გამომცემლობა „არსი“, 1993;
- ▶ შველიძე 2010-2013: შველიძე დიმიტრი, ანარქო-სინდიკალიზმის ისტორიიდან საქართველოში, კრებულში: ზურაბ პაპასქირი 60, თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010-2013, გვ. 320-327;
- ▶ შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: შველიძე დიმიტრი, გაფრინდაშვილი გიორგი; გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010;
- ▶ შველიძე 2018: შველიძე დიმიტრი, გიორგი ლასხიშვილი – ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთ პარტიას. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018;
- ▶ შველიძე 2019: შველიძე დიმიტრი, პეტრე კროპოტკინის წერილები გიორგი გოგელიასადმი (1904-1913). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XV, თბილისი, 2019. გვ. 345-360;
- ▶ შველიძე 2021: შველიძე დიმიტრი, აი, ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021;
- ▶ Альманах 1909: Альманах. Сборник по истории анархического движения в России., Т. 1. Париж, 1909. გვ. 82-111;
- ▶ Комин 1969: Комин В. В., Анархизм в России. КАЛИНИН, 1969;
- ▶ Уратадзе 1968: Уратадзе Григорий, ВОСПОМИНАНИЯ ГРУЗИНСКОГО СОЦИАЛ-ДЕМОКРАТА. The Hoover Institution of War, Revolution and Peace, Stanford University, Stanford, California, 1968. გვ. 89-90.

**ANARCHIST GIORGI (KOMANDO) GOGELIA'S NEWLY
RESEARCHED ESSAY AND THE GEORGIAN ANARCHIST
MOVEMENT IN 1905-1907
(SUMMARY)**

Various sources of the modern and contemporary history of Georgia are mostly written in Russian. It is natural, for the reason that from the 19th century onwards, almost to the end of the 20th century, we were at first part of the Russian Empire, and then the Soviet Union. Therefore, it is important to identify, translate and bring these sources into scientific circulation.

Our article also refers to one such event. While working on the issue of Georgian anarchism, we came across an essay by Komando Gogelia, which was written in Russian in 1908 and is entitled „For the history of the Anarchist movement in Georgia“. The author's narrative is mainly placed in the chronological framework of the revolution of 1905-1907, although his first chapter is devoted to the issue of the introduction of the doctrine of socialism in Georgia. In general, the anarchist movement in Georgia is a subject of a separate study, and its research is a matter for the future. In this regard, the revealed essay is an important contribution to the future perfection of this issue and not only.

პირველი ბალკანური ომის პირველი ქართული პრესაში

„ბალკანეთის ომი ერთი იმ ომთაგანია, რომლის შედეგად
დაჩაგრულ პატარა ერთა თავისუფლება იქნება
აღიარებული და დამკვიდრებული“
არჩილ ჯორჯაძე

საკვანძო სიტყვები: ბალკანური ომები, ბალკანური კონფლიქტების მიზეზები, ბალკანეთის ქვეყნების ახალი ისტორია, ქართული საზოგადოებრივი აზრი, ქართული პრესა, აღმოსავლეთის საკითხი, ოსმალეთი, ბულგარეთი, სერბეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, ჩერნოგორია

Keywords: Balkan wars, causes of Balkan conflicts, A new history of the Balkan countries, Georgian public opinion, Georgian press, Eastern question, Ottoman Empire, Bulgaria, Serbia, Greece, Romania, Chernogoria

ბალკანური ომები XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ და სისხლისმღვრელ დაპირისპირებას წარმოადგენს. აქ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება როგორც მცირე ბალკანური ქვეყნების, ისე დიდი ევროპული სახელმწიფოების ინტერესები. ბალკანური ომები (1912-1913) ევროპის ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისია, სადაც დომინირებს ნაციონალიზმი და კონფლიქტები. მას შემდეგ, რაც ბალკანურმა სახელმწიფოებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ახალი ძალით გაღვივდა დაპირისპირება და პრეტენზიები მეზობლების მიმართ, როგორც ტერიტორიულ, ასევე ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე (Bregu 2009: 7).

წარმოდგენილ პუბლიკაციაში განვიხილავთ ბალკანური ომების (1912-1913) პირველი ეტაპის, I ბალკანური ომის სახელით ცნობილი დაპირისპირების გაშუქებისა და ასახვის საკითხს ქართულ პრესაში. კონკრეტულად შევხებით ორ საკითხს: 1) პირველი ბალკანური ომის გამომწვევ მიზეზებსა და 2) მასში ქართველთა შესაძლო ჩართულობას.

ვიდრე უშუალოდ განსახილველ საკითხზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ ბალკანელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მათი ბრძოლა თავისუფლებისთვის, ყოველთვის იქცევდა ქართული საზოგადოების ყურადღებას. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართულ პრესაში აქტიურად ქვეყნდებოდა ბალკანეთის ნახევარკუნ-

ძულზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული პუბლიკაციები.

ბალკანეთის ხალხების ბრძოლასთან დაკავშირებით აქტიურად წერდნენ როგორც ქართველი „სამოციანელები“, ისე მომდევნო თაობის მოაზროვნეები. ბალკანეთზე მიმდინარე პროცესები წარმოადგენდა ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხის“ ნაწილს, რომელიც მოიცავდა ევროპული სახელმწიფოების ურთიერთდაპირისპირებას ოსმალეთის დასუსტებული იმპერიის მემკვიდრეობის გამო; ასევე ამ სახელმწიფოს შიგნით დაწყებულ განმათავისუფლებელ პროცესებს. აღნიშნულ კონტექსტში განიხილავდნენ ქართველი მოაზროვნეები ბალკანეთის პრობლემასაც, მოცემულ საკითხს არაერთი პუბლიკაცია უძღვნა ილია ქავჭავაძემ. „ბალკანეთის ნახევარკუნძულის რთული და ევროპისთვის საშიში პოლიტიკური პროცესები, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ილიას ყოველდღიური განსჯის საგანს წარმოადგენდა“ (გოგიაშვილი 2016: 79). მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში ილია ქავჭავაძე აქტიურად განიხილავდა მიმდინარე კონფლიქტების ისტორიულ ფონს, საერთაშორისო მნიშვნელობასა და სხვა ასპექტებს. აღნიშნულ პრობლემაზე წერდნენ ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და გიორგი წერეთელი, თითოეული მათგანის შეხედულების შესწავლა არ წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის ძირითად თემას, ამიტომ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ „ქართველი 60-იანელები აქტიურად განიხილავდნენ ბალკანელი ხალხების ბრძოლის საკითხს და ქართველ მკითხველს აცნობდნენ აღმოსავლეთ ევროპაში ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბალკანელი ხალხის ბრძოლის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს“ (დონაძე 1970: 109).

I ბალკანური ომის დაწყებასთან ერთად ქართულ პრესაში ჩნდება შემეცნებითი ხასიათის პუბლიკაციები, რომლებშიც გაანალიზებულია კონფლიქტის წარმოშობის ისტორიული მიზეზები. აქ გამოვყოფთ ორ მიმართულებას: პირველი, ოსმალეთთან დაკავშირებული, ბალკანელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირება, რომლის პიკსაც წარმოადგენს I ბალკანური ომი და მეორე – საკუთრივ ბალკანურ სახელმწიფოებს შორის არსებული შიდა წინააღმდეგობები, რომელმაც სხვა ფაქტორებთან ერთად II ბალკანური ომი განაპირობა.

აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებულ ადრეულ პუბლიკაციას წარმოადგენს საყმანვილო ჟურნალ „ნაკადულის“ 1912 წლის ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი ნარკვევი, სათაურით „ომი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“ (ომი ბალკანეთის... 1912: 60-62). სტატიაში მოზარდ მკითხველს ბალკანეთის გეოგრაფიულ, სამეურნეო, კულტურულ და სხვა

საკითხებთან ერთად აცნობენ მიმდინარე კონფლიქტის წარმოშობის ისტორიულ მიზეზებსაც. როგორც შესავალშია აღნიშნული, „ბრძოლის ვითარების გასაგებად საჭიროა მოკლედ გავეცნოთ ყველა ამ სახელმწიფოს წარსულს“ (ომი ბალკანეთის... 1912: 62). პუბლიკაციაში, სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე, მოკლედ და მარტივად არის ახსნილი დაპირისპირების ძირითადი მიზეზები, როგორებიცაა „შევიწროვება ოსმალების მხრივ სლავიანთა მოდგმის, ხალხისა, რომელიც დასახლებულია მაკედონიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილში და ოსმალეთის ქვეშევრდომია“ (ომი ბალკანეთის... 1912: 60). I ბალკანური ომის ერთ-ერთ მიზეზად ასევე დასახელებულია საბერძნეთის დაპირისპირება ოსმალეთთან და სურვილი, რომ „გაანთავისუფლოს მისი ქვეშევრდომებისა და შევიწროებისაგან ბალკანეთზე და მის კუნძულებზე მოსახლე ბერძნები“ (ომი ბალკანეთის... 1912: 60). გამომდინარე იქიდან, რომ განხილული პუბლიკაცია განკუთვნილი იყო მოზარდთათვის, მისი შინაარსი საკმაოდ ინფორმატიულია და ბალკანეთის ქვეყნების გაცნობასთან ერთად, მიზნად ისახავდა მკითხველისთვის მიეწოდებინა მარტივი ენით ინფორმაცია მიმდინარე დაპირისპირების ისტორიულ წინაპირობებზეც, რომელის ძირითადი ასპექტებიც იყო გამოყოფილი სტატიაში.

გაზეთ „სახალხო გაზეთის“ 26 ოქტომბრის (8 ნოემბრის)¹ ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით „ოსმალეთის ნანგრევებზე“, რომელშიც განხილულია ოსმალეთის იმპერიის მარცხის მიზეზები ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირთან. პუბლიკაციაში ოტომანთა იმპერიის მარცხი განსაზღვრულია, როგორც ისტორიული სამართლიანობა და გარდაუვალი აუცილებლობა, რადგან „ხუთასი წლის განმავლობაში და დღესაც დამოუკიდებელი ბალკანეთის ერები ოსმალთა უღელს ქვეშ კვნესოდნენ“ (ოსმალეთის ნანგრევებზე 1912: 3). ამავე სტატიაში გაკრიტიკებულია ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატია, რომელმაც არ გამოიჩინა სათანადო ძალისხმევა, რომ ოსმალეთს შეესრულებინა 1878 წელს ბერლინის კონგრესზე დაკისრებული ვალდებულებულები, კონკრეტულად კი: „სახელმწიფოები შეთანხმდნენ და აიძულეს ოსმალეთის მთავრობა, რათა მას შემოეღო რეფორმები ოსმალეთის ევროპულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანთათვის“ (ოსმალეთის ნანგრევებზე 1912: 3). მაგალითისთვის უნდა აღვნიშნოთ ოსმალეთის ვალდებულება

¹ შენიშვნა: ვინაიდან რუსეთის იმპერიაში გამოიყენებოდა იულიუსის კალენდარი, შესაბამისად მითითების დროს ფრჩხილებში აღვნიშნავთ გრეგორიანული კალენდრის თარიღსაც მაგ: 26 ოქტომბერი (8 ნოემბერი).

მაკედონიაში, რეფორმების გატარების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსაღებად. 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულების XXIII მუხლის მიხედვით, „მოსახლეობის ნების გათვალისწინების გარეშე, მაკედონია რჩებოდა თურქეთის გავლენის ქვეშ „დე იურედ“, ადგილობრივი მმართველობის შემოღებით“ (Woodward 1920: 35). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ მაკედონიის საკითხი იქცა I ბალკანური ომის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. პუბლიკაციის მიხედვით, მას შემდეგ, რაც ბალკანური სახელმწიფოები დარწმუნდნენ, რომ ევროპულ სახელმწიფოთა დიპლომატიის მიერ ოსმალეთზე არ ხორციელდებოდა საკმარისი ზეწოლა, მათ დაიწყეს აქტიური მოქმედება. ამის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ბალკანურ სახელმწიფოთა შორის მიმდინარე კონფლიქტის საერთო ევროპულ დაპირისპირებად გარდაქმნის პერსპექტივა: „დიდ სახელმწიფოებს იმდენად აფრთხობდა ბალკანეთის აწვნილი მდგომარეობა, რომ მის ხსენებაზე ევროპის საერთო ომის საშინელი აჩრდილი ელანდებოდათ“ (ოსმალეთის ნანგრევებზე 1912: 3). სტატიის დასკვნითი ნაწილი ეთმობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებების დაწყების საკითხს, რომელშიც უნდა ჩაერთოს საფრანგეთი, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაიმონ პუანკარემ უკვე წამოაყენა მოლაპარაკების წინადადებები, კონკრეტულად, კი უკვე არსებული მდგომარეობა, სულთნის სუვერენიტეტი სტამბოლზე და კონფერენციის გამართვა ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის.

ბალკანური ომების შესახებ საინტერესო ილუსტრაციები ქვეყნდება გაზეთ „სახალხო გაზეთის ილუსტრირებულ დამატებაში“, რომელშიც იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთში“ მთელი კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული, მნიშვნელოვან და აქტუალურ პუბლიკაციებთან დაკავშირებული ილუსტრაციები. ზემოთ განხილულ სტატიას უკავშირდება 21 ოქტომბრის (3 ნოემბრის) ნომერში რუბრიკა „ბალკანეთის ომი“ და მასში გამოქვეყნებული ილუსტრაციები (ბალკანეთის ომის გამო 1912: 1-3). აქ გამოსახულია უშუალოდ საომარი ოპერაციები, მათ შორის 1912 წლის ოქტომბერში მიმდინარე პოდგორიცას ბრძოლა ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შორის, რომელიც ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ომის შესახებ მრავალი პუბლიკაცია ეკუთვნის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს ვასილ წერეთელს (ფსევდონიმით „ურო“), რომელთაც აქვეყნებდა მისივე

რედაქტორობით გამომავალ საზოგადოებრივ პოლიტიკურ გაზეთში – „იმერეთი“. I ბალკანური ომის ისტორიულ წინაპირობებს განიხილავს ავტორი გაზეთის 28 ოქტომბრის (10 ნოემბრის) ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, სათაურით „ოსმალეთის გაჭირვება“ (წერეთელი 1912: 2). ავტორი შესავალში ზოგადად მიმოიხილავს ოსმალეთის სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან აგრესიულ საგარეო პოლიტიკას მეზობელი ხალხებისადმი. ასევე განიხილავს „აღმოსავლეთის საკითხსაც“, რომელსაც არსებული კონფლიქტის ერთ-ერთ წინაპირობად ასახელებს. პუბლიკაციის ავტორი ომის გამომწვევ კიდევ ერთ მიზეზად მიიჩნევს „ახალგაზრდა თურქთა“ ხელისუფლების მიერ ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ალბანელების, მაკედონელებისა და სხვათა მიმართ გატარებულ მკაცრ პოლიტიკას. ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ „რევოლუციის წინ ახალგაზრდა თურქები ჰპირდებოდნენ ხალხს ეროვნულ თანასწორობას, მაგრამ მათი მოწოდებები იმპერიის ხალხებისადმი „ერთიანობისა“ და „ძმობისაკენ“ რევოლუციის შემდეგ მივიწყებულ იქნა. მათ დაიწყეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლების ჩახშობა“ (სვანიძე 2007: 346). სტატიის დასასრულს ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შესაძლოა, ბალკანურმა სახელმწიფოებმა არანაკლები სიმკაცრე გამოიჩინონ, ვიდრე ამას ოსმალეთი სჩადიოდნენ. ამის მაგალითად მოჰყავს სერბეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლა პაშიჩის სიტყვები, რომ „ალბანეთი ღარიბი და უკულტურო ქვეყანაა, ავტონომიის ღირსი არ არის და სერბეთსა და საბერძნეთს შორის უნდა გადანაწილდესო“ (წერეთელი 1912: 2). ვასილ წერეთლის აღნიშნული პუბლიკაცია გამოირჩევა კონფლიქტის ღრმა ანალიზით, რომლის გამომწვევ მიზეზებსაც ავტორი წარსულში ხედავს.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საომარი მოქმედებების დაწყებასთან ერთად რუსეთის იმპერიაში გაჩნდა მოწოდებები მოძმე სლავების დასახმარებლად, მათ შორის სამხედრო რაზმების შედგენის შესახებაც.

„სახალხო გაზეთში“, რუსულ გამოცემა „Утро России“-ზე დაყრდნობით, გამოქვეყნდა ცნობა სათაურით – „ქართველთა და სომეხთა მოხალისენი“ (სახალხო გაზეთი 1912: 1), რომლის მიხედვითაც, მოსკოვის კავკასიელი სტუდენტები ბალკანეთში ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად მოხალისეთა რაზმს ქმნიან. ინიციატორთა შორის, უმეტეს ნაწილს, წარმოადგენენ ქართველები და სომეხები: „რაზმს სათავეში უდგას სამსახურის გარეშე დარჩენილი ქართველი ოფიცერი „ლ“, მონა-

წილე რუსეთ-იაპონიის ომისა, იგი ამ ბოლო დროს საერობო უფროსად იყო კალუგის გუბერნიაში“ (ქართველთა და სომეხთა... 1912: 1). ოფიცერი „ლ“ სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო „რუსეთ-აპონიის ომის მონაწილე ალექსანდრე ლალიძე, რომელიც 1905 წელს დაიჭრა პორტ-არტურის ბრძოლისას, ატარებდა პრაპორშჩიკის წოდებას. 1910 წლიდან კალუგის გუბერნიაში იყო დანიშნული, ერობის უფროსად“ (ჯორჯანია 2006: 109). ამავე საგაზეთო ცნობის მიხედვით, აღნიშნული რაზმი „სლავთა კომიტეტს“ უნდა დაექვემდებაროს და მათგან მიიღებს შესაბამის მითითებებს (ქართველთა და სომეხთა... 1912: 1). ასევე „ქართველთა და სომეხთა კოლონიამ რაზმს მატერიალური დახმარებაც აღუთქვა. რაზმს ასევე განზრახული აქვს ცხენოსანი ლაშქარიც მოაწყოს“ (ქართველთა და სომეხთა.. 1912: 1). ბოლოს აღნიშნულია ისიც, რომ მოცემულ რაზმში ჩაწერა ხდება სერბეთის წარმომადგენლობაში. ამავე ნომერში გამოქვეყნდა მეორე ცნობა სათაურით, „კავკასიელი მოხალისენი“ (კავკასიელი მოხალისენი 1912: 3), რომლის მიხედვით კავკასიელმა მუსლიმებმა ჩამოაყალიბეს რაზმი სლავთა დასახმარებლად, მას „აქვს საკუთარი ფორმა: შავი კურტკა და წითელ-გამირიანი ქუდი“ (კავკასიელი მოხალისენი 1912: 3). ამავე ცნობის მიხედვით, კავკასიელთა აქტიურობას მოჰყვა მოსკოვში განსაკუთრებული ინტერესი და მოსკოველებმაც დაინწყეს მოხალისეთა რაზმების შექმნა. საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მომდევნო პერიოდის მასალებიდან ირკვევა, ქართველ მოხალისეთა რაზმი არ შექმნილა (ჯორჯაძე 1914).

„სახალხო გაზეთის“ 4 (17) ნოემბრის ნომერში საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, იდეოლოგმა და პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „რამ დაღუპა ოსმალები?“ ეს პუბლიკაცია, მისი გარდაცვალების შემდეგ შეიტანეს არჩილ ჯორჯაძის რჩეული თხზულებების მეხუთე ტომში (ჯორჯაძე 1914: 282-288). არჩილ ჯორჯაძემ აღნიშნული პუბლიკაცია გამოაქვეყნა სტამბოლში მცხოვრები ქრისტიან და მუსლიმ ქართველთა საგაზეთო წერილის პასუხად, რომელიც დაიბეჭდა „ახალგაზრდა ოსმალთა“ ფრანგულენოვან გაზეთში, „Le jeune Turc“ (12 ოქტ. 1912 წ. № 282). პუბლიცისტი მკითხველს აცნობს მოცემული წერილის თარგმანს და შემდეგ აყალიბებს თავის შეფასებებს ოსმალების პოლიტიკაზე, ბალკანურ ომებსა და ევროპის პოლიტიკური წრეების დამოკიდებულებაზე. პუბლიკაციის მიხედვით სტამბოლში მცხოვრები ქართველები გაეცნენ ამავე გაზეთის („Le jeune Turc“) 10 ოქტომბრის ნომერს, რომელშიც

დაბეჭდილი დეპეშის მიხედვით, თითქოს: „ქართველებმა მოაწყეს კავკასიელთა შორის მოხალისეთა რაზმი ბალკანელ სლავიანთა დასახმარებლად“ (რამ დალუპა ოსმალეთი? 1912: 4) და როგორც სტამბოლელი ქართველები აცხადებენ, არ ენდობიან აღნიშნულ ცნობას, წარმოადგენს სიცრუეს და შედგენილია ქართველთა მტრების მიერ: „ამ მტრებსა სურთ დაახშონ ქართველთა გულში ჩანერგილი სიყვარული ოსმალეთისადმი“ (რამ დალუპა ოსმალეთი? 1912: 4). წერილის ბოლოს სტამბოლელი ქართველები აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ოსმალეთის ხელისუფლებას, ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მას: „გულითადად გვწაღია, ოსმალეთის სრული გამარჯვება უსამართლო მტრებზე, რომელთაც თავიანთი ბოროტი პოლიტიკით ახალგაზრთა ოსმალეთის განვითარების და პროგრესის შეფერხება სწყურიათ“ (რამ დალუპა ოსმალეთი? 1912: 4). თარგმანის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე განიხილავს თავის მოსაზრებებსა და შეხედულებებს, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი წერილის შინაარსმა ძალიან გააკვირვა, რადგან, „ბალკანეთის ომი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, აზრი, რომელიც ასულდგმულებს ბალკანეთის პატარა ერებს იმდენად ნათელია, რომ გაუგებარი რჩება ჩვენთვის სტამბოლელ ქართველთა თანაგრძნობა ოსმალეთისადმი“ (რამ დალუპა ოსმალეთი? 1912: 4). ავტორი აქვე იმასაც შენიშნავს, რომ მისთვისაც მიუღებელია ქართველთა მოხალისე რაზმის შეკრება ბალკანეთზე საომრად. აქვე დასძენს, რომ ეს არც მომხდარა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქართველოს ესაზღვრება ოსმალეთი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ გესმოდეს, „ბალკანეთის ომი ერთ იმ ომთაგანია, რომლის შედეგად დაჩაგრულ პატარა ერთა თავისუფლება იქმნება აღიარებულ-დამკვიდრებული“ (რამ დალუპა ოსმალეთი? 1912: 4). პუბლიკაციის ამ ნაწილიდან უშუალოდ საუბრობს ოსმალეთის დასუსტების მიზეზებზე, თუ რამ გამოიწვია ის, რომ მეზობელი სახელმწიფოები იბრძვიან მის წინააღმდეგ. განიხილავს ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობასა და მის დაპყრობით ომებს, მათ შორის საქართველოსა და ბალკანეთზეც. ეს სახელმწიფო „იმ დროიდან, როდესაც ევროპაში შემოიჭრა და დაპყრობისა და დამონების სურვილის გარდა, არც ერთის ჰუმანურის აზრით არ იყო გამსჭვალული, არცერთ გონივრულ სახელმწიფოებრივ იდეით არ ხელმძღვანელობდა“ (რამ დალუპა ოსმალეთი? 1912: 4). ასევე, ავტორისეული შეფასებით ყოველივე ამის გათვალისწინებით, ოსმალეთის დასუსტებასა და მის გარდაუვალ მარცხს იწვევს ოტომანთა იმპერიის მხრიდან სამართლი-

ანობისა და ჰუმანური პრინციპების აბსოლუტური უგულებელყოფა. არჩილ ჯორჯაძე დეტალურად განიხილავს ოსმალეთის ხელისუფალთა მხრიდან საუკუნეების განმავლობაში ბალკანელი ერების ჩაგვრისა და მიზანმიმართული განადგურების საკითხებს. მისივე შეფასებით, ყოველივე ამის შედეგად ბალკანელ „პატარა ერთა თვითარსებობა დიდ განსაცდელში ჩავარდა: საუკუნოთა განმავლობაში შავ ღრუბლებით იყო გარემოცული“ (რამ დაღუპა ოსმალეთი? 1912: 4). ავტორი მსჯელობს ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში ოსმალეთის, როგორც „სნეული კაცის“ პრობლემაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში ოსმალეთს უწოდებენ „სნეულ კაცს“¹

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობს არჩილ ჯორჯაძეც. ოსმალეთის დასუსტებასთან ერთად ევროპული სახელმწიფოები ცდილობენ წაართვან იმპერიას სხვადასხვა ნაწილები. ასევე ეხება XIX საუკუნეში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპებს და მოკლედ აღწერს საბერძნეთის, სერბეთისა და ბულგარეთის ბრძოლას დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. არჩილ ჯორჯაძე ეხება მაკედონიისა და ალბანეთის საკითხებსაც, განიხილავს ამ რეგიონების სპეციფიკასა და მიზეზებს, რომელთა გამოც არსებობდა დაპირისპირება მეზობელ სახელმწიფოებს შორის. თავის მხრივ, „მაკედონელები და ალბანელები გაიწვრთნენ აჯანყების მოწყობაში. ბალკანეთი მუდმივად მღელვარებდა“ (რამ დაღუპა ოსმალეთი? 1912: 4). სტატიის დასკვნითი ნაწილი მთლიანად ეთმობა ევროპული ქვეყნების დიპლომატიის მიდგომებსა და მათი პოლიტიკის განხილვას, მათი მთავრობები, „დროგამოშვებით პლატონურ რჩევას აძლევდა ოსმალეთს რეფორმების შემოღების თაობაზე და არც ერთი სახელმწიფო, მოცილეობის შიშით, გაბედულ ნაბიჯს არა სდგამდა“ (რამ დაღუპა ოსმალეთი? 1912: 4). ავტორის შეფასებით, დიდი სახელმწიფოების ამგვარმა პოლიტიკამ გამოიწვია ბალკანეთის პატარა სახელმწიფოთა შეკავშირება ოსმალეთის წინააღმდეგ და მათი შეჩერება უკვე რთული იქნება, რადგან „ერთხელ დაწყებული პროცესი ეროვნებათა განთავისუფლებისა, დღეს თუ ხვალ, ბოლო საზღვრამდე იქნება მიყვანილი“ (რამ დაღუპა ოსმალეთი? 1912: 4). წერილის დასასრულს, ავტორი აჯამებს თავის მოსაზრებებს და კიდევ ერთხელ გამოხატავს გაკვირვებას სტამბოლელი ქართველების პოზიციით.

1 აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ყირიმის ომის დროს საგარეო პოლიტიკაში ოსმალეთის ინგლისსა და საფრანგეთზე დამოკიდებულების აღსანიშნავად.

ბალკანეთის ომში, ოსმალთა მხარეს მებრძოლ მუჰაჯირ ქართველებზე საინტერესო ცნობას გვანვდის ჟურნალ „კლდეს“ რუბრიკა „ბაასში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „სისხლიდან დავიცალენით“, ხელმოწერილი ფსევდონიმით „ა.-ლი“ (ყიფშიძე 1912: 3-4). აღნიშნული ფსევდონიმი, მკვლევარ გივი მიქაძის დასკვნით, ეკუთვნის პუბლიცისტ ალექსანდრე ყიფშიძეს (მიქაძე 1996: 193). სტატიაში ავტორი განიხილავს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიას სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ, საუბრობს ასევე ოსმალეთში გადასახლებულ ქართველებზე და მოჰყავს რამდენიმე ცნობა მათ შესახებ. პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ისინი არ ერთვებიან პოლიტიკურ ბრძოლაში და ცდილობენ საკუთარი უფლებების დაცვას, მაშინ როდესაც ოსმალეთში მცხოვრები ხალხები ჩაერთნენ საპარლამენტო მუშაობაში, მხოლოდ ქართველებმა „ვერ გაბედეს გამოეჩინათ თვისი ეროვნული სახე და ხმა მალლა ეთქვათ, ჩვენ ქართველები ვართ და საკუთარი ქართული საქმე გვაქვსო“ (ყიფშიძე 1912: 3). აქვე აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც ბალკანურ ომში ოსმალები ბრძოლებში მარცხდებოდნენ და უკან იხევდნენ, მხოლოდ ქართველები რჩებოდნენ პოზიციებზე. ავტორს შესაბამისი ცნობა მოჰყავს ერთ-ერთი რუსული გაზეთიდან, რომლის კორესპონდენტმაც ოსმალ ჯარისკაცთან ჩაწერა ინტერვიუ: „ჩვენი ჯარისკაცი მამაცად იბრძვიან, განსაკუთრებით ლაზნი და გურჯები, გამმაგებულნი მიიწვევენ წინ, რომ ხელ-ჩართული ბრძოლა გამართონ, მაგრამ ბულგართა ტრანშეებს ვერ აღწევენ, რადგან ტყვიისგან განგმირულნი, უსულოდ პანტასავით ეცემიანო“ (ყიფშიძე 1912: 3). ამავე ცნობის მიხედვით, ოსმალებმა ბულგარელთა წინააღმდეგ მხოლოდ ლაზებისგან შემდგარი დამატებითი რამდენიმე დივიზია გამოიყვანეს. აქ წარმოვადგინეთ I ბალკანურ ომში დაპირისპირებულ მხარეთა შორის ქართველთა მონაწილეობის და შესაძლო ჩართულობის შესახებ არსებული ცნობები.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოლაპარაკებები დამარცხებულ ოსმალეთის ხელისუფლებასა და გამარჯვებულ ბალკანურ სახელმწიფოებს შორის წარიმართა ორ ეტაპად. 1912 წლის 3 ნომბერს ოსმალეთის მთავრობამ მიმართა ევროპის სახელმწიფოებს, რომ დამხარებოდნენ სამშვიდობო ზავის გაფორმების საკითხში. იმავე წლის დეკემბრის თვეში დაიწყო მოლაპარაკებები. საზავო კონფერენციაზე ევროპის დიდ სახელმწიფოთა და გამარჯვებული ბალკანური ქვეყნების მიერ შეთავაზებული პირობები, ოსმალეთის მთავრობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა

„ალბანეთისათვის ავტონომიის მინიჭებასა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ოსმალეთის ბატონობის ლიკვიდაციას“ (სვანიძე 2009: 349). მას შემდეგ, რაც 1913 წლის 17 იანვარს ოსმალეთის ხელისუფლებას გადასცეს ულტიმატუმი, რომ ბულგარეთისთვის გადაეცა ადრიანოპოლი. აღნიშნულ ფაქტს უკმაყოფილება მოჰყვა ოსმალეთში მოსახლეობის პროტესტით ისარგებლეს, „ერთობის და პროგრესის“ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მოაწყვეს გადატრიალება, რომლის დროსაც მოკლეს ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ნაზიმ ფაშა და მისი ადიუტანტი. ასევე დააპატიმრეს მთავრობის სხვა წევრები. ახალმა ხელისუფლებამ სცადა ბრძოლის გაგრძელება თუმცა კვლავ დამარცხდა.

მოლაპარაკების მეორე ეტაპი დაიწყო 1913 წლის მაისში, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 30 მაისის ხელშეკრულებით. ჟურნალ „კლდე“-ში გამოქვეყნდა ცნობა ლონდონის საზავო კონფერენციის შესახებ, რომელზეც უნდა განეხილათ ბალკანური ომის დასრულებისა და ზავის საკითხი. სხდომას ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ გრეი, რომელმაც სხდომის გახსნის დროს წარმოთქვა სიტყვები, რომ „დელეგატები იგრძნობენ თავს ქვემარტ ნეიტრალური ნიადაგზედ, სადაც არ იქმნება არავითარი სხვა პოლიტიკა, თვინიერ მათის საკუთარი პოლიტიკისა“ (საზავო კონფერენციის... 1912: 9). საბოლოოდ რთული მოლაპარაკებების შემდეგ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც: „სერბეთმა მიიღო მაკედონიის ნაწილი და ადრიატიკის ზღვაზე ნავსადგური. საბერძნეთმა სალონიკი და კრეტა, რუმინეთმა სილესტრია. ალბანეთმა მიიღო ავტონომია და დამყარდა მონარქიული მმართველობა, მეფედ გამოაცხადეს გერნელი პრინცი ვიდი“ (საზავო კონფერენციის... 1912: 9).

ქართულ პრესაში აქტიურად ქვეყნდებოდა მასალები I ბალკანური ომის შესახებ, როგორც ყოველდღიური ახალი ამბები და ცნობები ფრონტიდან, ასევე ვრცელი პუბლიკაციები. ქართველი პუბლიცისტები აქვეყნებდნენ ნარკვევებს ომთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, აცნობდნენ საზოგადოებას საკუთარ ანალიზს. წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილეთ და წარმოვადგინეთ საკითხის მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი ასპექტი.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ბალკანეთის ომის გამო 1912: ბალკანეთის ომის გამო. გაზ. „სახალხო გაზეთი: სურათებიანი დამატება“, № 729, დამატების №

- 128, 1912. გვ. 1-3;
- ▶ გოგიაშვილი 2016: გოგიაშვილი ომარ. ილია დღეს: პოლიტიკური ფილოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა, პოლიტიკოსები. წიგნი მეხუთე. თბილისი, 2016;
 - ▶ დონაძე 1970: დონაძე ვარლამ, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1970;
 - ▶ კავკასიელი მოხალისენი 1912: გაზ. „სახალხო გაზეთი“ № 712, 1912. გვ. 3;
 - ▶ მიქაძე 1996: მიქაძე გივი, „ა.-ლი“-ს ვინაობის დასადგენად. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №1-6, 1996. გვ. 185-196;
 - ▶ ჟორდანიას 2006: ჟორდანიას ოთარ. ქართველები რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905). საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, IX, თბილისი, 2006. გვ. 101-111;
 - ▶ საზავო კონფერენციის... 1912: საზავო კონფერენციის გახსნა. ჟურნ. „კლდე“ № 14, 1912. გვ. 9;
 - ▶ სვანიძე 2007: სვანიძე მიხეილ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი: „არტანუჯი“, 2007;
 - ▶ ქართველთა და სომეხთა მოხალისენი 1912: გაზ. „სახალხო გაზეთი“ № 712, 1912. გვ. 1;
 - ▶ ყიფშიძე 1912: ყიფშიძე ალექსანდრე, სისხლიდან დავიცალენით. ჟურნ „კლდე“ № 11, 1912, გვ. 3-4;
 - ▶ ცინცაძე 2021: ცინცაძე ქეთევან, ბერძნული სახელმწიფოს დაბადება, მოკლე შესავალი საბერძნეთის ახალ ისტორიაში. თბილისი: „ლოგოსი“. 2021;
 - ▶ წერეთელი 1912: წერეთელი ვასილ, ოსმალეთის გაჭირვება. გაზ. „იმერეთი“ № 28. გვ. 2;
 - ▶ ჯორჯაძე 1914: ჯორჯაძე არჩილ, რამ დაღუპა ოსმალეთი? წიგნში: არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი მეხუთე. ტფილისი: „შრომა“, 1914. გვ. 282-288;
 - ▶ Bregu 2009: Bregu Edit. The Causes of the Balkan Wars 1912-1913 and their Impact on the International Relations on the Eve of the First World War, Mediterranean Journal of Social Sciences, vol 4, №9, 2019, 115-122;
 - ▶ Charles 2010: Charles Muweesi. The Eastern Question of Europe (1815-1878). New York, 2010;
 - ▶ Pettifer, Buchmann 2016: Pettifer James, Bucmann Tom, War In The Balkans, conflict and Diplomacy before World War. London. New York. I. B. “TAURIS”. 2016;
 - ▶ Woodward 1920: Woodward E. L., The Congress of Berlin 1878. London, Published By H. M Stationery Office, 1920.

**PERCEPTIONS OF THE FIRST BALKAN WAR IN THE GEORGIAN
PRESS
(SUMMARY)**

The Balkan wars are extremely controversial events that took place at the beginning of the 20th century. The interests of both small Balkan countries and large European states were closely connected. The Balkan Wars (1912-1913) marked the beginning of a new phase in European history dominated by nationalism and tension. After the Balkan states gained their independence, conflicts and claims against their neighbors on territorial, ethnic, or religious grounds flared up with new force.

ჯონ სტაინბეკის 1963 წლის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

საკვანძო სიტყვები: ჯონ სტაინბეკი, საბჭოთა კავშირი, სსრკ, მოგზაურობა, ნიკიტა ხრუშჩოვი, 1963, საერთაშორისო ურთიერთობები, ცივი ომი, ჯონ კენედი, ლინდონ ჯონსონი, სტაინბეკის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

Keywords: John Steinbeck, Soviet Union, USSR, Visit, Nikita Khrushchev, 1963, International Relations, Cold war, John Kennedy, Lyndon Johnson, Steinbeck's visit to the Soviet Union

ჯონ ერნსტ სტაინბეკი (1902-1968) XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამერიკელი მწერალია. მან 1962 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიიღო. სტაინბეკს ეკუთვნის ცნობილი ნაწარმოებები: ნოველა „თაგვებსა და ადამიანებზე“, რომანები – „ტორტილია ფლეტი“, „მრისხანების მტევნები“, „ედემის აღმოსავლეთით“, „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ და სხვა (Britannica 2022). ამერიკელი მწერლის მემარცხენე მიმართულების გამო, მისი წიგნები საკმაოდ პოპულარული იყო საბჭოთა კავშირში; მაგალითად, რომანი – „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ – 300 000-იანი ტირაჟით დაბეჭდილა (სტაინბეკი 2010: 183), თუმცა სტაინბეკსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მნიშვნელოვანი უთანხმოებაც იყო, რასაც სხვა მოვლენებთან ერთად მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ.

ჯონ სტაინბეკმა საბჭოთა კავშირში სამჯერ იმოგზაურა: 1937¹, 1947 და 1963 წლებში. მწერლის პირველი ვიზიტი სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა (სტაინბეკი 2015: 28). 1947 წელს იგი სსრ კავშირში იმყოფებოდა ჟურნალ „Daily Tribune“-ისთვის რეპორტაჟის მოსამზადებლად, საბჭოთა კავშირის უბრალო მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების გასაცნობად. ამ მოგზაურობის ნაყოფია სტაინბეკის ცნობილი ტრაველოგი „რუსული დღიური“. რაც შეეხება ჩვენი ნაშრომის თემას, 1963 წლის მოგზაურობას, ამჯერად ამერიკელი მწერალი 61 წლის ასაკში კულტურული გაცვლის პროგრამის საფუძველზე, მესამედ გაემგზავრა საბჭოთა კავშირში. განსხვავებით 1947 წლის ვიზიტისა, სტაინბეკს სურდა, სამოგზაურო დრო საბჭოთა მწერლებს შორის გარკვეული იდეების გასაუფლერებლად გა-

¹ თუმცა „რუსულ დღიურში“ ავტორი არასწორად იხსენებს მოგზაურობის თარიღს და 1936 წელს უთითებს.

მოყენებინა. მის განმეორებით ვიზიტში ზოგი მკვლევარი პოლიტიკურ ქვეტექსტს ხედავს. საინტერესოა მწერლის ფოკუსი და მისი შთაბეჭდილება სსრკ მმართველობის სისტემაზე, ასევე ცნობებს, რომელთაც იგი საბჭოთა პოლიტიკასთან დაკავშირებით აფიქსირებს.

ჯონ სტაინბეკს 1963 წელს სსრკ-ში კულტურული გაცვლების პროგრამით სტუმრობისას თან ახლდნენ თავისი მეუღლე ელენ სტაინბეკი და ახალგაზრდა ამერიკელი მწერალი ედუარდ ოლბი (Bridges 2007: 82). სტაინბეკის აღნიშნული ვიზიტი 1963 წლის 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე გაგრძელდა და ამ პერიოდში მწერალი იმყოფებოდა ჰელსინკიში, პოლონეთში, უნგრეთში, პრალასა და დასავლეთ ბერლინში (სტაინბეკი 2010: 175). უშუალოდ საბჭოთა კავშირში მან გაატარა დრო 15 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე და მოინახულა მოსკოვი, კიევი, ერევანი, თბილისი და ლენინგრადი¹ (Жданова 2016: 101). მოგზაურობაში სტაინბეკს გიდისა და თარჯიმნის როლში ახლდა ამერიკის საელჩოს თანამშრომელი პიტერ ბრიჯისი (ცხვედიანი 2012: 19).

როგორც ვახსენეთ, საბჭოთა კავშირში ჯონ სტაინბეკის 1947 წლის მოგზაურობის მიზეზი წმინდა ჟურნალისტური და პიროვნული ინტერესი იყო. ამჯერად, 1963 წელს, მწერალს სხვა მიზანი ჰქონდა. რიგი ქართველი მკვლევრები – ვახტანგ ამალლობელი, ოლიგო ჟღენტი, როსტომ ჩხეიძე, მიიჩნევენ, რომ იგი აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გარკვეული საგანგებო მისიით გააგზავნა სსრ კავშირში.

ვახტანგ ამალლობელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჯონ სტაინბეკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამერიკის პრეზიდენტ ჯონ კენედისთან, რომლის თხოვნითაც იგი გაემგზავრა საბჭოთა კავშირში (ამალლობელი 2007: 2). ამალლობელი ასევე ეყრდნობა უორენ ფრენჩის² მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, სტაინბეკს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის მთავრობასთან, ჩართული იყო პოლიტიკაში, ურთიერთობა ჰქონდა ადლეი სტივენსონთან,³ ჯონ კენედისთან და განსაკუთრებით ლინდონ ჯონსონთან და აქტიურად ცდილობდა გამხდარიყო მსოფლიო მოთამაშე (Amaglobeli 2009: 48). როგორც ვახტანგ ამალლობელი მიუთითებს, აღნიშნულ გარემოებას არც სტაინბეკი უარყოფდა და აღიარებდა, რომ მას გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ ფიგურებზე და მათგან თავადაც განიცდიდა გავლენას (Amaglobeli 2009: 48).

1 თანამედროვე სანქტ-პეტერბურგი.

2 ამერიკელი ლიტერატურული კრიტიკოსი.

3 ამერიკელი პოლიტიკოსი. კენედის ადმინისტრაციის დროს აშშ-ის მთავარი წარმომადგენელი გაეროში.

მოგზაურობის მიზნის დასადგენად საინტერესოა სტაინბეკის ორი წერილი, რომელთაც ვახტანგ ამალლობელი განიხილავს. ორივე საბჭოთა ცენზურამ დაბლოკა: მწერალთა კავშირისთვის გაგზავნილი წერილი მხოლოდ 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოქვეყნდა, იგივე ბედი გაიზიარა კოლაუ ნადირაძის სახელზე შედგენილმა კორესპონდენციამ. წერილი, რომლის ადრესატი საქართველოს მწერალთა კავშირია, 1964 წლის 15 იანვრითაა დათარიღებული (Amaglobeli 2009: 45). დოკუმენტში ყურადღებას იპყრობს მწერლის შემდეგი სიტყვები: „მე ვიცი ისტორიაც და პრეისტორიაც ამ ორ სამყაროს შორის მდებარე ზღურბლისა – როგორ იზიდავდა იგი ყოველი მხრიდან მგლებს, რომლებიც ანთებული თვალებით დაეძებდნენ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მიწებს და ისწრაფოდნენ გამოეკეტათ კარები, რათა ამ გასასვლელს დაპატრონებოდნენ. ჩანს, ეს მოხდება, – და ჩვენც ამაზე გულმხურვალედ რაღას ვინატრებდით, – რომ დროისა და ვითარების წყალობით ყველა მგელი გალიაში დაიმწყვდეს და მსოფლიოში ყველა კარი გაიხსნას. ეს ჩემი ლოცვისმაგვარი სურვილია და რომ შემძლებოდა ჩემთვის მისია ამერჩია, სწორედ ამას ავირჩევდი – ხელი შემეწყობოდა მგლების დამწყვდევისა და კარების გახსნისთვის“ (ამალლობელი 2007: 4). წერილში გაუღერებული აზრები და საქართველოს მწერალთა კავშირთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვები, რომ დიდი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევდნენ პატარა ერებს და ამერიკა განსაცდელში არ მიატოვებდა საქართველოს (ჭელიძე 1996: 11), აჩენს სწორედაც პოლიტიკური მისიის ელფერს. მეორე წერილი არის სტაინბეკის მიერ კოლაუ ნადირაძისთვის გაგზავნილი პირადი კორესპონდენცია. უცნაურია, რომ სტაინბეკმა საქართველოს მწერალთა კავშირისთვის განკუთვნილ წერილში აღნიშნა, რომ იგი ვერ ახერხებდა ყველა მწერლისთვის ინდივიდუალურად გაეგზავნა სამადლობელი ბარათი, თუმცა პირადი წერილი მაინც მისწერა ქართველ პოეტს (ამალლობელი 2007: 4). როგორც უკვე ვახსენეთ, აღნიშნული დოკუმენტიც საბჭოთა ცენზურის ქვეშ მოჰყვა. წერილის დედანი დაკარგულია,¹ მისი რუსული თარგმანი კი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება. წერილში სტაინბეკი თბილად მოიხსენიებს კოლაუ ნადირაძეს, მეგობარს უწოდებს და იმედოვნებს, რომ კიდევ იხილავს ქართველ კოლეგას (ამალლობელი 2007: 4). როსტომ ჩხეიძე ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ სტაინბეკმა საქართვე-

1 სავარაუდოდ, წერილის დედანი ადრესატამდე არც მისულა.

ლოში ჩამოსვლამდე კოლაუ ნადირაძეს გამოუგზავნა ირლანდიელი პოეტის უილიამ ბატლერ იეტსის კრებული (ცხვედიანი 2012: 24). მკვლევრის აზრით, იეტსის კრებულის გამოგზავნით სტაინბეკი ცდილობდა, წინასწარვე მოემზადებინა თავისი ვიზიტისთვის, წინასწარვე გაეღვივებინა ეროვნული განწყობა ქართველ მწერლებს შორის (ცხვედიანი 2012: 26). რატომ მაინც და მაინც იეტსი? როსტომ ჩხეიძე სტაინბეკის არჩევანს ხსნის საქართველოსა და ირლანდიის ისტორიის მსგავსებით, ორივე სახელმწიფოს ხომ საუკუნეების განმავლობაში უწევდა იმპერიებისგან თავის დაცვა, ეს კრებული კი უნდა ყოფილიყო შეძახილი ქართველთათვის, დასდგომოდნენ ირლანდიური აღორძინების გზას. მეცნიერი იმასაც ამატებს, რომ სტაინბეკის ეს მოწოდება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩაურევლად ვერ გაჟღერდებოდა (ცხვედიანი 2012: 26). სწორედ ამ შენიშვნებიდან გამომდინარე ჩნდება მოსაზრება, რომ სტაინბეკი საქართველოში გარკვეული პოლიტიკური მისიით იყო ჩამოსული და ცდილობდა, ქართველი მწერლებისთვის შეექმნა ანტი-საბჭოთა განწყობა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების იმედი.

მეორე მხრივ, საინტერესოა ირაკლი ცხვედიანის სტატია: „ჯონ სტაინბეკი, პიტერ ბრიჯისი და საქართველო“ (ცხვედიანი 2012: 18-34). ნაშრომის ავტორი განიხილავს ზემოთ დასახელებულ მეცნიერთა მოსაზრებებსაც, თუმცა კიდევ უფრო შორს მიდის და უკავშირდება პიტერ ბრიჯისს, ამერიკის საელჩოს წარმომადგენელსა და 1963 წლის მოგზაურობაში სტაინბეკის თანმხლებ პირს. ინტერვიუში ქართველმა მკვლევარმა ბრიჯისს გააცნო მოსაზრებები ჯონ სტაინბეკის სავარაუდო საგანგებო მისიაზე, მათ ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით კი ასეთი პასუხი მიიღო: „თქვენი კითხვის პასუხად შემიძლია გითხრათ, რომ სტაინბეკს საგანგებო პოლიტიკური მისია არ ჰქონია დაკისრებული ... სტაინბეკმა იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა შეეზღუდა კონტაქტები საბჭოთა ინტელექტუალებსა და მათ ამერიკელ კოლეგებს შორის და მას სურდა, ყველაფერი ეღონა ამ კონტაქტების გასაღრმავებლად. ეს მისი პირადი მისია და მიზანი იყო და მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის იყო მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირი“ (ცხვედიანი 2012: 27). საინტერესოა, რომ პიტერ ბრიჯისს არაფერი სმენოდა არათუ სტაინბეკის საგანგებო მისიაზე, არამედ მსგავსი მოსაზრებების არსებობაზეც. იგი ქართველ მეცნიერთან ინტერვიუში აღნიშნავს: „მას ასეთი მისია არ ჰქონია, ანდა იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მე არა-

ფერი ვიცოდი ამის შესახებ – მე კი, გარწმუნებთ, კარგად ინფორმირებული ვიყავი ... [მოგზაურობის დასრულების შემდეგაც] მას არასოდეს მიუნიშნებია, რომ იგი საბჭოთა კავშირში საიდუმლო მისიით იმყოფებოდა...” (ცხვედიანი 2012: 28). ამერიკელი დიპლომატი საბჭოთა კავშირში სტაინბეკის ვიზიტს ხსნის მწერლის პირადი ენთუზიაზმითა და მისი სურვილით, თავისუფლების წყურვილი გაეღვივებინა კოლეგებში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პიტერ ბრიჯისის თქმით, 60-იან წლებში ამერიკის საელჩოს არ ჰქონია ფართო პოლიტიკური ინტერესები საქართველოს მიმართ, იმ პერიოდის აშშ ადმინისტრაცია ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის დაშლისა და მასში შემავალი რესპუბლიკების განთავისუფლების შესაძლებლობას ვერ ხედავდა (ცხვედიანი 2012: 28).

ასე რომ, 1963 წელს ჯონ სტაინბეკს წინა მოგზაურობასთან შედარებით ბევრად უფრო კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა – საბჭოთა მწერლებს შორის თავისუფლების წყურვილის გაღვივება. რა თქმა უნდა, აშშ-სა და სსრ კავშირს შორის კულტურული გაცვლის პროგრამას პოლიტიკური ქვეტექსტი ჰქონდა და ორ ქვეყანას შორის ცივი ომის დაძაბულობის შემსუბუქებას ემსახურებოდა. თანაც, 1962 წლის კარიბის კრიზისის ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნებს შორის ურთიერთობის დარეგულირებას. ნიკიტა ხრუშჩოვის „დათბობის“ პოლიტიკის ფარგლებში ამერიკის ხელისუფლებას კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, საბჭოთა მოსახლეობისთვის დადებითი განწყობა შეექმნა დასავლურ სამყაროზე. რაც შეეხება სტაინბეკის საგანგებო მისიას, მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც 1947 წელს, ამჯერადაც პირადი სურვილით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და მისი ინტერესები, როგორც რუსი მეცნიერი ლია ჟდანოვა აღნიშნავს, უბრალოდ ემთხვეოდა აშშ მთავრობის ინტერესებს (Жданова 2016: 102).

ჯონ სტაინბეკის 1947 და 1963 წლების მოგზაურობის შთაბეჭდილებები და მისი დამოკიდებულება სსრკ-სადმი დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ პირველი მოგზაურობისას იგი ძირითად სსრ კავშირში მცხოვრები რიგითი ადამიანის ყოფასა და პრობლემებზე იწერებოდა, 1963 წელს მწერალმა მეტი ყურადღება გაამახვილა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ვითარებასა და საბჭოთა სისტემის თავისებურებებზე.

მნიშვნელოვანია სტაინბეკის მიერ აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომლისთვის, ლესლი ბრედისათვის გაგზავნილი წერილი. აქ სტაინბეკი იუწყება, რომ იგი საბჭოთა კავშირში უნდა ჩასულიყო თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდები და ექსპერიმენტატორები

ხელისუფლების მხრიდან ნაკლებად განიცდიდნენ წნეხს, აღარ ახსოვდათ ომი და სტალინის რეჟიმი (Steinbeck, Wallsten 1975: 769). ეს მიუთითებს მწერლის წინასწარ დადებით განწყობაზე სსრკ-ის მიმართ. მართლაც, ელიზაბეთ ოტისისთვის გაგზავნილ წერილში სტაინბეკი, რომელიც სამი დღის ჩასული იყო საბჭოთა კავშირში,¹ ახსენებს ხრუშჩოვისეული „დათობის“ კვალს, ქუჩაში მოსიარულე დასვენებულ ხალხს, ახალ საცხოვრებელ კორპუსებსა ძველ „სავოიზე“² ბევრად უფრო კეთილმოწყობილ სასტუმროს (Steinbeck, Wallsten 1975: 780). მისი თქმით, ინტელექტუალებიც საკმაოდ თავისუფლად განიხილავდნენ თითქმის ყველა საკითხს (Steinbeck, Wallsten 1975: 781), რაც კიდევ ერთხელ მინიშნებს ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდში საბჭოთა პოლიტიკის შერბილებაზე.

მიუხედავად დადებითი პირველი შთაბეჭდილებისა, სტაინბეკი მალევე მიხვდა, რომ „ლიბერალიზმის ეპოქა დასასრულს უახლოვდებოდა“ (Жданова 2016: 105). ამ მხრივ საინტერესოა ჯონ სტაინბეკის შეხვედრა ჟურნალ „Юность“-ის ახალგაზრდა მწერლებთან, რომლებთანაც მას სურდა ამბობებასა და სიახლეებზე საუბარი (Жданова 2016: 105). შეხვედრაზე მყოფი მწერალი ევგენი ევტუშენკო იხსენებს, რომ სტაინბეკი დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ლანძღავდა ამერიკის მთავრობას, საზოგადოებასა და პრესას, რის შემდეგაც ასეთი რამ უთქვამს საბჭოთა მწერალთათვის: „აი, გადმოგილაგეთ ის, რაც ჩემს ქვეყანაში არ მომწონს. ახლა თქვენი ჯერია – რა არ მოგწონთ თქვენს ქვეყანაში? აბა მგლის ლეკვებო, გამოაჩინეთ კბილები!“ (Жданова 2016: 106). მოცემული ფრაზა სრულ თანხვედრაშია სტაინბეკის თავდაპირველ მიზანთან, საბჭოთა მწერლებში გაელვრიდებინა თავისუფლების წყურვილი. მას მსგავსი იდეები გაუჟღერებია საქართველოს მწერალთა კავშირში ყოფნის დროსაც. ვახტანგ ქელიძე იგონებს სტაინბეკის სიტყვებს: „თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ მე ჩემი ხალხი მძულს და ჩემი ქვეყნის მტერი ვარ, რაკი ასე მკაცრად ვაკრიტიკებ და ვგმობ ყოველგვარ უსამართლობასა და შეცდომებს. თქვენ ხელისუფლების სამსახურში ხართ. ჩემს მუშაობაში მთავრობა რატომ უნდა ერეოდეს, მას ჩემთან არაფერი ესაქმება“. შემდეგ თავი დაუხრია და კეფიდან შუბლამდე ხელით შემოუხაზავს: „ეს ტერიტორია ჩემი საკუთრებაა და ამაში ვერავინ შემეცილება“ (ქელიძე 1996: 11). სტაინბეკი რიგ შემთხვევებში საკმაოდ კრი-

1 18 ოქტომბერი, 1963 წელი.

2 1947 წელს სასტუმრო „სავოიში“ სტაინბეკი და ფოტოჟურნალისტი რობერტ კაპა ძალზედ ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ.

ტიკული იყო საბჭოთა მწერლების მიმართ: „მათ უპირველეს ყოვლისა აინტერესებთ პოლიტიკა, ხოლო შემდეგ მორალური პრობლემები, მაშინ როცა ამერიკასა და დასავლეთში უპირველეს ყოვლისა მორალურ-ეთიკური პრობლემებით არიან დაკავებულნი“ (Жданова 2016: 120). მწერლებსა თუ მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ სტაინბეკი მათ განწყობას ასე აფასებდა: „საბჭოთა კავშირში ხუმრობა არ უყვართ. ოდნავ მაინც რომ გამეცინებინა ისინი, მოგზაურობიდან უკეთესი განწყობა დამრჩებოდა...“ (Bridges 2007: 92).

უშუალოდ საბჭოთა მმართველობის მიმართ სტაინბეკის დამოკიდებულებას კარგად ვიგებთ მისი მივლინების ანგარიშიდან, რომელიც ვახტანგ ამალღობელმა თარგმნა ინგლისურიდან და 2010 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“. იგი ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკასა და მოსახლეობის განწყობაზე. მაგალითად, სტაინბეკის თქმით „რუსთან კომუნიზმზე კამათი იგივეა, რაც ქეშმარიტ კათოლიკთან ქალწული ღვთისმშობლის მშობიარობაზე დაეჭვება“ (სტაინბეკი 2010: 176). იგი ასევე ხაზს უსვამს გარემოებას, რომ ის მწერლებიც კი, რომლებიც მთავრობის მოწინააღმდეგენი არიან, მხურვალედ იზიარებენ კომუნიზმისა და ხელისუფლების იდეებს (სტაინბეკი 2010: 176). ხრუშჩოვის „დათბობის“ პოლიტიკის მიუხედავად, ქვეყნის მმართველ სტრუქტურებში მაინც ჭარბობდნენ სტალინისდრინდელი ჩინოვნიკები, რომლებიც „სტალინის დროს ძალაუფლებას ფლობდნენ და არც ახლა აპირებენ მის დათმობას“, ამ წნეხის დაძლევა კი, სტაინბეკის აზრით, მხოლოდ თაობათა ცვლილებას შეეძლო (სტაინბეკი 2010: 178). საბჭოთა ხელისუფლებამ ამერიკელი მწერლის კრიტიკა საავტორო უფლებების არცნობის გამოც დაიმსახურა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა საბჭოთა გამომცემლები დასავლეთის ავტორთა წიგნებს უნებართვოდ თარგმნიდნენ, ბეჭდავდნენ და უცხოელ მწერლებს ჰონორარებსაც არ უხდიდნენ (სტაინბეკი 2010: 186). სტაინბეკი ეკამათებოდა საბჭოთა მწერლებს, ცდილობდა დაერწმუნებინა, ჩართულიყვნენ რაიმე სახის საავტორო უფლებათა ხელშეკრულებაში, რაც თავად სსრკ-ის მწერლებისთვისაც უკეთესი იქნებოდა, უცხოეთიდან შემოსავლის წყარო გახდებოდა, თუმცა მისივე თქმით „ამ ქვეყანაში პარტიას ყველაზე ნაკლებად სურს ეს კონვეცია, რადგან იგი მწერლებისათვის საბჭოთა კავშირის გარედან შემოსავლის წყარო გახდება“ (სტაინბეკი 2010: 186).

მეტად საინტერესოა ჯონ სტაინბეკის მოსაზრებები საბჭოთა კავში-

რის მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ. მისი თქმით, პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა თუ „ვარშავის პაქტის“ სხვა სახელმწიფოთა „კომუნისტური მთავრობები ძალით თავს მოხვეული, ზოგჯერ ფაქტობრივად, საოკუპაციო ჯარის ფუნქციის მატარებელი წითელი არმიის მხარდაჭერით არსებული ძალიან პატარა ჯგუფებია“ (სტაინბეკი 2010: 176). აღნიშნულ ქვეყნებში ჯერ კიდევ ახსოვდათ საბჭოთა მმართველობის წინარე პერიოდი, არ გამოეწივოთ სტალინის რეპრესიები, რაც, სტაინბეკის აზრით, გაამარტივებდა აქ რეჟიმის შეცვლას (სტაინბეკი 2010: 177).

როგორც ვხედავთ, ჯონ სტაინბეკი საკმაოდ იმედგაცრუებული დაბრუნდა საბჭოთა მოგზაურობიდან. მიუხედავად სამთავრობო პოლიტიკის გარკვეული შერბილებისა, მაინც აშკარა იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს წნეხი, მათ შორის, დისიდენტურად განწყობილ მწერლებზე, რომლებიც, მართალია, ხედავდნენ საბჭოთა სისტემის მანკიერებებს, მაგრამ მათი ხმა დახშული იყო ხელისუფლების მხრიდან. მთლიანობაში ჯონ სტაინბეკის შეფასებას კარგად უყრის თავს მისივე ფრაზა მივლინების ანგარიშიდან: „მართალია, ეჭვგარეშეა, რომ დათბობა დაიწყო, მაგრამ დნობამდე ჯერ შორსაა“ (სტაინბეკი 2010: 184).

არანაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება სტაინბეკის მიმართ. როგორც პიტერ ბრიჯი აღნიშნავს, „საბჭოელებს იმედი ჰქონდათ, სტაინბეკის სახით ეპოვათ ამერიკელი, რომელიც შეენინაალმდეგებოდა ჩვენი მთავრობის ჩარევას ვიეტნამში“ (Bridges 2007: 82). სტაინბეკის კრიტიკულობიდან გამომდინარე კი, ბუნებრივია, სსრკ-ის სამთავრობო სტრუქტურები ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ამერიკელი მწერლისთვის, ხმა მიეწვდინა საბჭოელ კოლეგებამდე. მაგალითად, ჟურნალ „Юность“-ის მწერალი ანატოლი გლადილინი ჩვენ მიერ უკვე განხილულ ინტერვიუსთან დაკავშირებით იხსენებს, რომ ჟურნალის რედაქტორმა ბორის პოლევოიმ მწერლები რიგრიგობით დაიბარა თავის კაბინეტში და სთხოვა, თუ ჟურნალის დახურვა არ სურდათ, თავი შეეკავებინათ და ყურადღება არ მიექციათ სტაინბეკის პროვოკაციული კითხვებისთვის (Жданова 2016: 106).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯონ სტაინბეკს უზღუდავდნენ გადაადგილებას, ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ საბჭოთა მწერლებთან აზრთა მიმოცვლისთვის. სსრკ მწერალთა კავშირის რეფერენტი ფრიდა ლურიე, რომელიც სტაინბეკის თარჯიმანი იყო ამ მოგზაურობისას, ხშირად ამახინჯებდა როგორც ამერიკელ, ისე საბჭოთა მწერალთა ნათქვამს. ჟურნალ „Юность“-ის მწერლებთან შეხვედრისას სტაინბეკს

შეუმჩნევია, ბელა ახმადულინა უგუნებოდ იყო და მისთვის მოწყენის მიზეზი უკითხავს. ახალგაზრდა პოეტს უპასუხია, რომ მას უფლებები ჩამოართვეს და ამიტომაც იყო დაღონებული. ფრიდა ლურიეს აღნიშნული ფრაზა გადაუთარგმნია, როგორც ავტომობილის მართვის მოწმობის ჩამორთმევა, რაც შემდეგ პიტერ ბრიჯისმა შეასწორა და ჯონ სტაინბეკს უთხრა, რომ პოეტი ადამიანის უფლებებს გულისხმობდა (Жданова 2016: 107). თავად პიტერ ბრიჯისიც იხსენებს შემთხვევებს, როცა საბჭოთა თარჯიმანი სტაინბეკის ნათქვამის თარგმანს გარკვეულ ფრაზებს აკლებდა და ამერიკელი დიპლომატი იძულებული იყო შეესწორებინა (Bridges 2007: 83). თავის მხრივ, ფრიდა ლურიე ანგარიშში პიტერ ბრიჯისზე წერდა, რომ იგი „სტაინბეკისა და მისი ცოლის შესაბამისი დამუშავებისა და ჩვენი სამტრო გავლენის ქვეშ მოქცევის მცირე შესაძლებლობასაც კი არ უშვებდა ხელიდან“ (Жданова 2016: 115). ამასთანავე ჯონ სტაინბეკი იხსენებს ერთ-ერთ დისკუსიას, რომელიც გაზეთ „Известия“-ში დაიბეჭდა. რედაქტორს სტაინბეკის ფრაზა – „მძულს ის კოროზიული ეფექტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში განფენილი შიშის ატმოსფეროს იწვევს“ – შემდეგნაირად შეუცვლია: „მძულს ის კოროზიული ეფექტი, რომელიც განფენილი შიშის ატმოსფეროს იწვევს, რაც დღეს ამერიკამ თავს მოახვია მსოფლიოს“ (სტაინბეკი 2010: 187).

ბუნებრივია, საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ხელსაყრელი არ იყო პიტერ ბრიჯისის ყოფნა ამერიკელ მწერალთან, რის გამოც 22 ოქტომბერს, კიევში ყოფნისას მას აშშ-ის საელჩოდან შეატყობინეს, რომ სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აძლევდა საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობის გაგრძელების უფლებას. ვითარება გამოასწორა სტაინბეკის პირადმა წერილმა, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ საკუთარ მთავრობასა და სახელმწიფოს წარმოადგენდა და პიტერ ბრიჯისის გარეშე იძულებული იქნებოდა საქართველოში წასვლაზე უარი ეთქვა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული წერილი საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-თან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს მიხაილ სმირნოვსკის გაუგზავნეს, პიტერ ბრიჯისსაც ნება მიეცა, გამგზავრებულიყო ქვეყნის სამხრეთით, საქართველოსა და სომხეთში (Bridges 2007: 84-85). კიევში ყოფნისას გააჭიანურეს სტაინბეკის შეხვედრა დისიდენტ მწერალ ვიქტორ ნეკრასოვთან (Жданова 2016: 109), ხელისუფლების ორგანოები სხვადასხვა მიზეზით ამბობდნენ უარს კონსტანტინ სიმონოვის, მიკოლა ბაჟანისა და სხვა მოღვაწეთა გაცვლით პროგრამაში ჩართვასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნაზე (Жданова 2016: 122).

საბჭოთა ხელისუფლების წნეხს როგორც უცხოელ სტუმრებზე, ისე საკუთარ მოქალაქეებზე კარგად ასახავს ჯონ სტაინბეკის ინტერვიუ კიევში „ლიტერატურული გაზეთის“ ჟურნალისტ გრიგორი კიპნისთან. კიპნისი იხსენებს, რომ საუბრის ბოლოს ამერიკელი მწერლისთვის დასმულ კითხვაზე, ხომ არ ნებავდა, გაზეთის მკითხველთათვის რაიმე გადაეცა ასეთი პასუხი მიიღო: „მკითხველებს? ... მკითხველებს ჯერ არა. აი, თქვენი გაზეთის მდივანს – ჩემი დიდი და ცეცხლოვანი სალამი“ (Жданова 2016: 113).

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირში ჯონ სტაინბეკის სამი მოგზაურობის მიზნები ერთმანეთისგან მეტად განსხვავდება. 1963 წელს ასაკოვან მწერალს ამოძრავებდა არა ჟურნალისტური ინტერესი, არამედ სურვილი, საბჭოელი კოლეგებისთვის გაეცნო დასავლური ღირებულებები თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებზე, მათში გაელვივებინა ნაპერწკალი, რომელიც ტირანული ხელისუფლების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ნაშრომში სტაინბეკის მოგზაურობის მიზანთან ერთად განვიხილეთ მისი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირზე, მისი მოლოდინი და საბოლოო დასკვნები. ასევე ყურადღება გავამახვილეთ იმ სურთულეებზე, რომელთა გადალახვაც ამერიკელ მწერალს უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციისას უხდებოდა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თავად საბჭოთა ადმინისტრაციის მოხელეთა დამოკიდებულება ჯონ სტაინბეკისა და მისი თანმხლები პირების მიმართ. ნაშრომი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის როგორც თავად ჯონ სტაინბეკის სუბიექტურ მოსაზრებებზე, ისე ნიკიტა ხრუშჩოვის პერიოდის საბჭოთა კავშირზე.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ ამაღლობელი 2007: ამაღლობელი ვახტანგ, სტაინბეკის საგანგებო მისია საქართველოში, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №16, თბილისი, 2007, გვ. 2-4;
- ▶ სტაინბეკი 2010: სტაინბეკი ჯონ, მივლინების ანგარიში, ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ვ. ამაღლობელმა, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №19 (123), თბილისი, 2010 გვ. 175-192;
- ▶ სტაინბეკი 2015: სტაინბეკი ჯონ, რუსული დღიური, ინგლისურიდან თარგმნა თ. სუბელიანმა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2015;
- ▶ ცხვედიანი 2012: ცხვედიანი ირაკლი, ჯონ სტაინბეკი, პიტერ ბრიჯისი და საქართველო, ჯონ სტაინბეკის დაბადებიდან 110

წლისთავისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში, ქუთაისი, 2012. გვ. 18-34;

- ▶ ჭელიძე 1996: ჭელიძე ვახტანგ, „ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ...“ (შეხვედრა ჯონ სტაინბეკთან), გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №24 (3077), თბილისი, 1996, გვ. 10-11;
- ▶ Жданова 2016: Жданова Лия Искандеровна, Писател Джон Стейнбек и СССР, Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Москва, 2016;
- ▶ Steinbeck, Wallsten 1975: Steinbeck. A Life in Letters, შემდგ. Elaine Steinbeck, Robert Wallsten, Viking, New York, 1975;
- ▶ Amaglobeli 2009: Amaglobeli VAkhtang, Steinbeck's Visit to Georgia in the Context of USSR-USA Relations, The Steinbeck Review, Vol. 6, № 1 (Spring 2009), გვ. 45-50; <http://www.jstor.org/stable/41582097> (დამოწმებულია 12.11.2022);
- ▶ Bridges 2007: Bridges Peter, A Note on Steinbeck's 1963 Visit to the Soviet Union, The Steinbeck Review Vol. 4, №1 (2007): 80-93. <http://www.jstor.org/stable/41582888> (დამოწმებულია 12.11.2022);
- ▶ Britannica 2022: Encyclopedia Britannica, „John Steinbeck“. April 10, 2022. <https://www.britannica.com/biography/John-Steinbeck> (დამოწმებულია 12.11.2022).

JOHN STEINBECK'S VISIT TO SOVIET UNION IN 1963 (SUMMARY)

John Ernst Steinbeck is among the most important American writers of the XX century. In 1962 he received the Nobel Prize for Literature. Some of Steinbeck's famous works include a novella „Of Mice and Men“, novels – „Tortilla Flat“, „The Grapes of Wrath“, „East of Eden“, „The Winter of Our Discontent“ etc. Due to writer's left-leaning ideas, his books were quite popular in the Soviet Union, though Steinbeck and the Soviet establishment had a severe disagreement as well.

Throughout his life Steinbeck has visited the Soviet Union three times – in the years of 1937, 1947 and 1963. The first trip lasted for only a few days, while the second, 1947 visit, was far more productive and resulted in a famous work „A Russian Journal“. This travelogue, written for Daily Tribune, is a manifestation of author's own interests and is a journalistic inquiry about the life of an ordinary Soviet citizen. On the other hand, the subject of our interest, the 1963 visit, has more of a political background. This time, at the age of 61, John Steinbeck visited the USSR in order to meet with his colleagues from the other side and try to put them against the Soviet establishment, inform them about the western ideals of liberty and rights. Some take it even further and discuss a possible classified mission which would be assigned to Steinbeck by the U. S. presidential administration.

In the article we discuss reasons for 1963 visit and accountings of both the author and Soviet officials of each other.

Psychische Zusammenhänge

გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის წერილები იმპერატორ ნიკოლოზ II-სადმი 1905-1907 წლების რევოლუციის დროს

საკვანძო სიტყვები: რევოლუცია, მეფისნაცვალი, რუსეთის იმპერია, ნიკოლოზ II, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი
Keywords: Revolution, Viceroy, Russian Empire, Nikoloz II,

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილ ჩვენს სტატიაში, 1905-1907 წლების რევოლუციას ვეხებით. ამჯერად წარმოგიდგენთ სამი წერილის (1905 წლის 7 ნოემბერი, 1906 წლის 23 იანვარი და 1906 წლის 16 აგვისტო) ქართულ თარგმანს, რომლებიც ქრონოლოგიურად რუსეთის I რევოლუციაზე მოდის. ადრესატი იმპერატორი ნიკოლოზ მეორეა, ხოლო გამგზავნი, 1905-1916 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი – გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი.

№1

თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ.

მძვინვარე დრო გადავიტანეთ კავკასიაში.

ბომბები და სროლა ტფილისის ქუჩებში, იგივე ბაქოში, არეულობები გროზნოში, ეკატერინოდარში, არმავირში, დროდადრო გრძელდება ხოცვა-ჟლეტვა ელიზავეტოპოლისა (იგივე განჯა – ნ. ს.) და ერევნის გუბერნიებში და ქუთაისის მოსალოდნელი აჯანყება. აი, უმთავრესი, რასთანაც მოგვიხდა გამკლავება.

ამ მომენტში აკალმიათ დაისადგურა. გაგრძელდება თუ არა ის დიდხანს, რთული სათქმელია, მაგრამ დარწმუნებით უნდა ვიფიქროთ, რომ უკეთეს რუსეთში კეთილგონიერი პარტია რევოლუციაზე იმარჯვებს, მაშინ კავკასიაც დამშვიდდება. ამ დამშვიდებისთვის აუცილებელი პირობაა – თქვენი უდიდებულესობის მიერ 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული საწყისების მკაცრი დაცვა. ყოველგვარი მინიშნება ამ პრინციპების დარღვევაზე, აღაგზნებს გონებებს, ადამიანებს ახალი ძალმომრეობის გამოვლინებებისადმი – გაფიცვების, ქუჩის არეულობებისა და პოლიტიკური მკვლევლობებისკენ მიდრეკილს ხდის. მთელი ჩვენი იმედი სახელმწიფო დუმასა და ცენტრის წარმომადგენლებზეა.

რამდენიმე დღე დიდ მღელვარებაში ვიყავი. ქუთაისიდან ყოველგვარი შეტყობინებები შეწყდა. შემოვლითი გზებით მოდიოდა ძალზედ

საგანგაშო ხმები – ღია აჯანყებაზე, ასეულობით მოკლულ პლასტუნზე,¹ ხელისუფლების აბსოლუტურ არცნობაზე.

გადავწყვიტე გამეძლიერებინა გუბერნიაში ჯარის პირადი შემადგენლობა და დავძარი განსაკუთრებული რაზმი ალიხანოვის მეთაურობით, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად ემოქმედა და ჩაექრო მოსალოდნელი, – ბევრის აზრით კი უკვე მიმდინარე – აჯანყება.

ეჭვი არ მეპარება, რომ ნაწილობრივ ჯარის გადაადგილების წყალობით, უმთავრესად კი მანიფესტის გამოჩენის შედეგად, მხარეში პოლიტიკური მოძრაობის სათავეში მდგომმა გურულებმა, გადაწყვიტეს აღარ გამოეცხადონ ბოიკოტი ხელისუფლებას, თავი მოაჩვენონ ახალბედებად და ადმინისტრაციასთან და სასამართლოსთან ლეგალურ ურთიერთობაში შევიდნენ. ალიხანოვის რაზმი გამომყავს, სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა და ქუთაისის გუბერნია ნორმალურ მდგომარეობაში მოდის, მაგრამ თუ რუსეთში დაიწყება რეპრესიული რეაქცია და მიღებულ იქნება ზომები, რომელიც არ იქნება მანიფესტის სიტყვებთან თანხვედრაში, უეჭველია, რომ ამას გამოხმაურება ექნება კავკასიაში მსხვილი არეულობებით.

არანაკლებ ქუთაისის საქმეებისა მე აფშერონის პოლკი მაშფოთებს. პოლკის ბებერი და სუსტი კომანდირი, საუკეთესო ოფიცრების არარსებობა, გადაყვანილი ან მივლინებული შორეულ აღმოსავლეთში, თადარიგის პროპორშიკებს შორის არასასურველი ელემენტების არსებობა, მემბობზე ყუბანური ელემენტის განწვევა რეზერვის ცუდად შენახულ კადრებში, აი მიზეზები იმ არასასიხარულო მოვლენებისა, – ლამის რომ ღია ბუნტამდე მივიდა – რომელსაც ჰქონდა ადგილი ამ თავისი საბრძოლო ტრადიციებით გამოჩენილ პოლკში. მოცემულ მომენტში იქ სიწყინარეა, მაგრამ მე მოვითხოვე პოლკის მეთაურის გადადგომა და ვფიქრობ გამოვიყვანო ვლადიკავკაზიდან ორი ბატალიონი, შევცვალო რა ერთით შირვანის და ერთით – დაღესტნის პოლკები.

ბაქოში ახლა სიმშვიდეა, მაგრამ მოუთმენლად ველოდები ქალაქის მმართველობის დამტკიცებას.

დაღესტანში სრული სიმშვიდეა, ყარსსა და შავი ზღვის გუბერნიაში სიმშვიდეა. ბათუმი, სავარაუდოდ, გურიის კვალს გაყვება.

აი, თქვენო უდიდებულესობავ, კავკასიაში არსებული მდგომარეობის მოკლე სურათი მოცემულ მომენტში. ეჭვი არ მეპარება, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდება, თუმცა ეს პეტერბურგში, თქვენ

¹ შავი ზღვისა და ყუბანის კაზაკთა ჯარის განსაკუთრებული ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი.

მიერ გამოქვეყნებული 17 ოქტომბრის მანიფესტის პირობებით, დამყარებული მმართველობის უეჭველობის შემთხვევაში.

თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობისადმი სულით ერთგული

ი. ვორონცოვი.

ტფილისი, 1905 წლის 7 ნოემბერი.

№2

თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ.

კიდევ ერთხელ გიძღვნიტ გულითად მადლიერებას თქვენი წერილისთვის, რომელიც ფელდეგერმა¹ გადმომცა. ასეთ რთულ დროს, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ძვირფასია თქვენი უდიდებულესობის გამამხნეველელი სიტყვა. აქ იოლი არაა და თქვენი მორალური მხარდებულის გარეშე მდგომარეობა აუტანელი იქნებოდა.

ვწერ გრიაზნოვის² მკვლელობის მძიმე გავლენის ქვეშ. დავკარგე პატიოსანი, ჭკვიანი და ენერგიული დამხმარე, რომლის ჩანაცვლებაც რთული იქნება. მისმა გარდაცვალებამ ტფილისის გარნიზონზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ოფიცრობის დაძაბული ნერვები თავს იჩენს და ამ ციებ-ცხელებურ მდგომარეობასთან გამკლავება გვიწევს. ერთი რამ შეიძლება მტკიცებით ითქვას, რომ რევოლუციური პროპაგანდა არმიაზე არ მოქმედებს, სახიფათოა გამოსვლები უკუ მიმართულებით, ე. ი. თვითნებური გასწორებები მოსახლეობასთან.

კრიმ-გირეისთან³ დაკავშირებით თქვენი უდიდებულესობა სრულებით მართალია. ერთი თვის წინ მას განვუცხადე, რომ ვიშუამდგომლებს სამოქალაქო ნაწილში დამხმარის ადგილზე სხვა პირის დანიშვნაზე. კრიმ-გირეი იდეალისტია და მცირედ თუ შეუძლია შემოქმედებითი შრომა. მაგრამ ის, უეჭველია, გამორჩეული ადამიანია წესიერებით, ცოდნის მრავალფეროვნებითა და სახალხო მეურნეობის მრავალი განშტოების საფუძვლიანი ცოდნით. მისი დაკავებული თანამდებობების თანდართული სიით, თქვენო უდიდებულესობავ, გაითვალისწინეთ, რომ უმაღლესი საბრძოლო განათლების მიღების შემდეგ ის იკავებდა საპასუხისმგებლო ადგილებს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტრო-

1 გერმ. Feldjager – სამხედრო ან სამთავრობო კურიერი.

2 ფიოდორ გრიაზნოვი (1855-1906) – რუსი სამხედრო, გენერალ-მაიორი. 1905 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურად. 1906 წლის 16 იანვარს, მეფისნაცვლის სასახლის წინ სასიკვდილოდ დაიჭრა ბომბის აფეთქების დროს, რომელიც მუშა არსენ ჭორჯიაშვილმა მოაწყო.

3 კრიმ-გირეი (1876-1918) – სამხედრო. რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე.

ებში და რამდენიმე სამწლედ იყო თავადაზნაურობის ხელმძღვანელი. მე დიდად მადლიერი ვიქნებოდი თქვენი უდიდებულებების და სამართლიანად ვთვლი, თუ კრიმ-გირეის უბოძებდით სენატორის წოდებას: სულთანის მაღალი მორალური საფეხურითა და მისი სამსახურის წარსულით, მივიჩნევ მას ღირსეულად და სავსებით მომზადებულად ამ თანადმეობის დასაკავებლად.

მის ადგილზე მე ვითხოვ თქვენი უდიდებულებების თანხმობას საიდუმლო მრჩეველ მიცკევიჩს დანიშვნაზე. ის ახლა მეფისნაცვლის საბჭოს წევრია, იყო სასამართლოს წევრი, ელიზავეტოპოლის ვიცე-გუბერნატორი და თავადების, დუნდუკოვისა და შერემეტევის კანცელარიების უფროსი. ის მხარეში პატივისცემით სარგებლობს და მხარეს შესანიშნავად იცნობს. მის დანიშვნას მე განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ვთვლი ჩემთვის იმ კუთხით, რომ ის იცნობს ყველა საქმესა და ყველა ფაზას, რომელსაც ისინი გადიოდნენ.

მოცემულ მომენტში საიდუმლო მრჩეველი მიცკევიჩი ჩემ მიერ მივლინებულია ქუთაისის გუბერნიაში, ყოფილ გუბერნატორ სტაროსელსკიზე მოკვლევის საწარმოებლად.

თქვენი საიმპერატორო უდიდებულებებისადმი სულით ერთგული
ი. ვორონცოვი.
ტფილისი, 23 იანვარი, 1906 წ.

N23

თქვენო საიმპერატორო უდიდებულებსობავ.

თქვენი უდიდებულებებისგან მიღებული ტელეგრამა, ბრძანებით – დავაბრუნო 33-ე დივიზია კიევში, რუსეთიდან სხვა ნაწილებით მისი ჩანაცვლების გარეშე, მე გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებს.

ქუთაისის გუბერნიიდან და ბათუმის ოლქიდან 16 ბატალიონისა და საარტილერიო ბრიგადის გაყვანას, თანაც ფაქტობრივად არ იყოს საშუალება მათი შეცვლისა კავკასიის ოლქის ჯარებით, უცილობელ შედეგად მოჰყვება რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება იმ ზომამდე, რომელიც რთულია განჭვრიტო. ალბათ, კვლავ სიმშვიდის ხელახლა დამყარებას ორჯერ მეტი ძალები დასჭირდება, ვიდრე ახლა სჭირდება მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ამიერკავკასიის რკინიგზა, მთელი მხარის სასიცოცხლო არტერიაა, რომელიც ტფილისიდან ბათუმამდე ქრის მხარეს, რომელიც შეადგენს რევოლუციის ძირითად კერას, ყურადღებიან დაცვას საჭიროებს. თუ,

დროთა განმავლობაში, გამოჩნდება შესაძლებლობა გზიდან რამდენიმე ბატალიონის მოხსნისა, მაინც მათით ვერ შეივსება 33-ე დივიზიის გაყვანის დანაკლისი.

ყველა გენერალ-გუბერნატორი დაჟინებით ითხოვს მათ რაიონებში ჯარის გაძლიერებას. მათი მოთხოვნის შესრულების საშუალება მე არ მაქვს. ბოლო დროს იმატა თხოვნებმა ჯარის გაგზავნასთან დაკავშირებით სტავროპოლის გუბერნატორისგან. სტავროპოლში გაგზავნე ბატალიონი, ექვსი ასეული და ბატარეა ტერსკისა და ყუბანის ოლქებიდან. მეტად ატამანები უარს ამბობენ გაგზავნაზე. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ვლადიკავკაზის სარკინიგზო ხაზზე ისეთი რევოლუციური კერებია, როგორცაა ნოვოროსისკი, ეკატერინოდარი, არმავირი, ნევინომისკაია, პიტიგორსკი, ვლადიკავკაზი და გროზნო.

ქუთაისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, სოხუმიდან და სხვა ადგილებიდან მიღებული აგენტურული მონაცემებით, ამ თვის ბოლოს ან მომავალი თვის დასაწყისში უნდა ველოდოთ რევოლუციური მოძრაობის აფეთქებას, ახლა კი ამისთვის საქმიანი მზადება მიმდინარეობს.

ელიზავეტოპოლის გუბერნიაში, ჯარის მცირერიცხოვნობის გამო, საქმე გამწვავდა. გენერალ გოლოშაპოვის დახმარება აუცილებელია. იქ ვაგზავნი ორ მესანგრე ბატალიონს. ამასთან, ეს მივლინება მესანგრეებს პოლიტიკისგან განარიდებს და მისცემს მათ საშუალებას სამსახურით გამოისყიდონ ძველი ცოდვები.

ჩვენი სამხრეთ საზღვრის მოშიშვლებას და ჯარის გადაყვანას ყარსის ოლქიდან ბათუმის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიაში, მე შეუძლებლად ვთვლი, არაიმდენად თურქეთთან შესაძლო გართულებების საფრთხის გამო, რამდენადაც თავად ყარსსა და ერევნაში სათანადო წესრიგის შესანარჩუნებლად, ქურთებისა და სომხური ჯგუფების მხრიდან საზღვრის გადმოკვეთის აღსაკვეთად და შტაბ-ბინებში ერთიდან ორ ბატალიონამდე დასატოვებლად სამწყობრო მეცადინეობებისთვის.

შესაძლებლობის ფარგლებში ყველანაირ ღონისძიებებს ვიღებ, რათა არმია არ დაქუცმაცდეს პატარა ნაწილებად, და ყველა არმიას, მორიგეობით ეძლევა დრო წვრთნისა და სროლისთვის, მაგრამ მხარეში, რომელშიც საქალაქო პოლიცია ძლივსღა არსებობს, ზოგიერთ ადგილში კი, ღარიბული ჯამაგირის გამო, არ არსებობს საერთოდ, შეუძლებელია არ მიმართო ჯარის დახმარებას, როგორც სახაზინო, ისე ზოგიერთი კერძო, თუმცა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულებების დასაცავად.

არეულობების აღსაკვეთად, როგორც ამაზე მიუთითებს სამხედრო მინისტრი, არ შეიძლება ყოველთვის მთლიანი ნაწილების – როტის ან ასეულის, გაგზანა. იმისთვის, რომ ასე ვიმოქმედოთ, საკმარისად მდიდრები არ ვართ ჯარით, ასეთი სისტემის შემთხვევაში წესრიგის დარღვევის უმეტესი შემთხვევები დაუსჯელი დარჩებოდა.

ოლქის შტაბში, მოხსენებისთვის მე და ხელმძღვანელობისთვის, მიღებულია ტულის თავადაზნაურობის ხელმძღვანელის – ეროპკინის – ტელეგრამაზე, რომელიც ითხოვდა უფლებას კაზაკებისთვის, ემოქმედათ არეულობების აღსაკვეთად უფრო პატარა ნაწილებით, დადებული სამხედრო მინისტრის რეზოლუცია. რეზოლუცია შემდეგია: „არაფრის გულისათვის! ეს ქმედებები – პოლიციის საქმეა; დაე გააძლიერონ ის, ჯარს ნუ გააფუჭებენ“. ეს შეხედულება სავსებით სწორია, მაგრამ ისმის კითხვა, რა ვქნათ იქ, სადაც პოლიცია არაა ან არასაკმარისია? პოლიციის გაძლიერება ან შექმნა შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო წესით; კავკასიიდან წლობით შემოსულ წარმოდგენებზე ამ საკითხზე პასუხი არაა. პოლიციის თუნდაც დროებითი გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის არანაირი თანხა ჩემს განკარგულებაში არაა, ჩემს შუამდგომლობაზე, გამოეყოთ ამ საგანზე ნებადართული კრედიტი 12 მილიონის ოდენობით კავკასიის საჭიროებისათვის, მინისტრ დურნოვოსგან უარი მივიღე. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ამ გარემოებას, რომ ცენტრალურ რუსეთში პოლიციას იშვიათად უწევს მოქმედება შეიარაღებული მასების წინააღმდეგ, კავკასიაში კი – მუდმივად. კავკასიელი მემამბოხეები და ყაჩაღები¹ შეიარაღებული არიან სწრაფმსროლი იარაღით, ხოლო ჩვენი ჩაფრები ბერდანკებით, ქალაქის პოლიცია ცუდი რეზოლვერებით.

ორიდან ერთი – საკმარისი პოლიციის უქონლობის გამო, მივცეთ ყაჩაღობებსა და ძარცვებს, დაუსჯელად განვითარების საშუალება, ან უნდა ვდევნოთ ისინი ჯარების თანაქმედებით, ვინაიდან სხვა სამოქმედო საშუალება ჩემს განკარგულებაში არაა. ისიც უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ კავკასიაში საშინლად მთიანი მდებარეობისა და გზების არარსებობის პირობებში, რათა არსებობდეს საშუალება დროულად მოვასწროთ სახიფათო პუნქტს, გვინევს მეტი ადგილების დაკავება, ხოლო არმიის მცირერიცხოვნობის გამო ამ ადგილებში შედარებით სუსტი გარნიზონების დატოვება.

ის, რომ ბატონი ოფიცრები და ხანგრძლივნამსახურევი დაბალი

¹ ტექსტში გამოყენებულია სიტყვა **разбойник**, შეიძლება ითარგმნოს, როგორც ავაზაკი, ყაჩაღი, ფირალი.

ჩინები უკან საკუთარ ბუდეებში მიისწრაფვიან კიევის ოლქში, სრულებით გასაგებია, მაგრამ სამხედრო სამსახურში ძლივძლივობით თუ შეიძლება ასეთ სურვილებთან შეგუება. რაც შეეხებათ ჯარისკაცებს, ვფიქრობ, მათთვის სულერთია, სად იმსახურებენ და ძლივს თუ შეეღვიან დღიურ 15 კაპიკს.

რუსულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო
ნიკოლოზ სარაჯიშვილმა

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია შესაძლოა ეხებოდეს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და კულტურის კვლევების საკითხებს. ასევე, ჟურნალში დასაბეჭდად მიიღება აკადემიური თარგმანები და სამეცნიერო სივრცისთვის უცნობი წყაროები.

სტატიები ანონიმური რეცენზირების გზით შეირჩევა. ავტორებს შესაძლებლობა ექნებათ გამოასწორონ რეცენზენტის შენიშვნები და სტატიის განახლებული ვარიანტი, ხელახლა წარმოადგინონ დასაბეჭდად.

მესამე ნომრისთვის ავტორებს სტატიის გამოგზავნა შეეძლება 2023 წლის 20 აპრილამდე. ელექტრონული ფოსტის მისამართი: studentresearches2021@gmail.com

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის ენა – ქართული. სტატიას აუცილებელია ბოლოში ახლდეს რეზიუმე ინგლისურ ენაზე;

სტატიის მოცულობა – 7-დან 15 გვერდამდე. ინგლისურენოვანი რეზიუმე უნდა იყოს ერთი გვერდი. რეზიუმე და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა არ ითვლება სტატიის საერთო მოცულობაში.

ფურცლის ზომა – A4

შრიფტის ზომა ტექსტისთვის – 11

შრიფტის ზომა სათაურისთვის – 13

ტექსტის შრიფტი – Sylfaen

სტრიქონებს შორის დაშორება – 1,15

ავტორებმა სტატიის დასაწყისში, მარჯვნივ, 11-იანი შრიფტით უნდა მიუთითონ სახელი, გვარი, სასწავლო დაწესებულება, კურსი, მიმართულება. აგრეთვე, სათაურის ქვემოთ, 10-იანი შრიფტით საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატია უნდა გამოიგზავნოს Word და Pdf ფაილების სახით.

ლიტერატურის დამოწმების წესი

ლიტერატურის დამოწმების სტილი შიდატექსტურია.

წიგნი:

ერთი ავტორისთვის:

ციტირებისას უნდა მიეთითოს გვარი, გამოცემის წელი, გვერდი. მაგ., (ქავთარია 1990: 59). ხელმეორედ ციტირებისას წესი უცვლელია. ტექსტის ბოლოს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უნდა დაიწეროს გვარი, სახელი სრულად, წიგნის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი: მაგ., ქავთარია 1990: ქავთარია გრანი, ძმები გრაკხუსები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.

ორი ავტორისთვის:

ციტირებისას – მაგ., (მიქაბერიძე, ხოფერია 2020: 121). ლიტერატურის ნუსხაში **-მიქაბერიძე, ხოფერია 2020:** მიქაბერიძე ალექსანდრე, ხოფერია ნიკა, ნაპოლეონი 51 კითხვა და ამდენივე პასუხი, არტანუჯი, თბილისი, 2020.

ორზე მეტი ავტორისთვის:

ციტირებისას – მაგ., (გოგოლაძე, წითლანაძე... 2015: 89). ლიტერატურის ნუსხაში **-გოგოლაძე, წითლანაძე... 2015:** გოგოლაძე ანდრო, წითლანაძე თეა, ქარჩავა თეა, სილაგაძე ნიკოლოზ, საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით, მერიდიანი, თბილისი, 2015.

წიგნში გარკვეული ნაწილის ავტორისთვის

ციტირებისას – მაგ., (ხვედელიძე 1988: 133). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ნაწილის სახელწოდება, წიგნის სახელწოდება და რედაქტორი. მაგ., ხვედელიძე 1988: ხვედელიძე მანანა, ძველი ეგვიპტე, წიგნში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. გ. მელიქიშვილი, მეცნიერება, თბილისი, 1988.

სტატია

ერთი ავტორისთვის:

თუ სტატია დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემაში: ჟურნალში, გაზეთში ან კრებულში, მითითების წესი შემდეგია: ციტირებისას ფრჩხილებში იწერება ავტორის გვარი, პერიოდული ორგანოს გამოცემის თარიღი, გვერდი მაგ., (შველიძე 2018: 329). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს გვარი, სახელი სრულად, სტატიის სახელწოდება, პერიოდული ორგანოს სახელწოდება და ნომერი, გამოცემის ადგილი, წელი, ის გვერდები, რომელზეც კონკრეტული სტატიაა დაბეჭდილი: მაგ., შველიძე 2018: შველიძე დიმიტრი,

პატრიოტ-კონსერვატორთა დასი XIX საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XIII, თბ., 2018, გვ. 324-336.

სტატიის ორი ან მეტი ავტორისთვის მოქმედებს იგივე წესი, რაც წიგნების შემთხვევაში.

ისეთი საგაზეთო სტატიისთვის, რომელსაც ავტორი მითითებული არ აქვს

ციტირებისას უნდა მიეთითოს გამოყენებული სტატიის სათაური, წელიდაგვერდი. მაგ., (წერილი რედაქტორთან 1880:3). ლიტერატურის ნუსხაში გადავა შემდეგი სახით: წერილი რედაქტორთან 1880: წერილი რედაქტორთან, გაზეთი „დროება“, 1880, N149, გვ. 3.

* აღნიშნული ეხება როგორც სტატიებს ასევე წიგნებს. თუ საციტირებელ ავტორს ან ავტორებს ერთსა და იმავე წელს გამოქვეყნებული აქვთ ერთზე მეტი ნაშრომი და გამოგზავნილი სტატიის ავტორი რამდენიმე მათგანს იყენებს მაშინ სტატიაში პირველად ციტირებულ ნაშრომს დაესმის ა, მეორედ-ბ და ა.შ.

მაგ., ციტირებისას – (შველიძე 2021ა: 207); (შველიძე 2021ბ: 145). ლიტერატურის ნუსხაში შესაბამისად შველიძე 2021ა: შველიძე დიმიტრი, პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში, 1987-1992. თბილისი, „არტანუჯი“, 2021.; შველიძე 2021ბ: შველიძე დიმიტრი, აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021.

*უცხო ენაზე დაწერილი წიგნებისა და სტატიებისთვის მოქმედებს იგივე წესი.

ქართულენოვანი საისტორიო წყაროსთვის

მაგ., ციტირებისას – (ასწლოვანი მათიანე 1987: 125). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს გამომცემელი მაგ., ასწლოვანი მათიანე 1987: ასწლოვანი მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, მეცნიერება, თბილისი, 1987.

ნათარგმნი ლიტერატურისათვის

მაგ., ციტირებისას – (მონტეფიორე 2012:449). ლიტერატურის ნუსხაში უნდა მიეთითოს მთარგმნელი მაგ., მონტეფიორე 2012: მონტეფიორე საიომონ სებაგ, სტალინი წითელი მეფის კარი, მთარგმნელები: მ. ჭიჭეიშვილი, ა. მაყაშვილი, ე. მაჩიტაძე, ნ. მენაბდე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

უცხო ენოვანი საისტორიო წყაროსთვის, რომელიც ქართულ ენაზეა ნათარგმნი

მაგ., ციტირებისას – (ჰეროდოტე 1975: 217). ლიტერატურის ნუსხაში - ჰეროდოტე 1975: ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975.

ენციკლოპედიის სტატიისთვის

ციტირებისას მაგ., (ბახტაძე 2018: 16). ლიტერატურის ნუსხაში მიეთითება საენციკლოპედიო სტატიის ავტორი, სტატიის სათაური, ენციკლოპედიის სათაური, რედაქტორი. მაგ., ბახტაძე 2018: ბახტაძე მიხეილ, აზერბაიჯანის სასაზღვრო ფრონტი, 1920 წლის აპრილ-მაისი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, რედ. დ. შველიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.

ლექსიკონისათვის

ციტირებისას მაგ., (ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი 2019: 331). ლიტერატურის ნუსხაში მითითებისას ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი 2019: ძველბერძნულ-ქართულ ლექსიკონი, შემდგ. თ. გიორგობიანი, ლოგოსი, თბილისი, 2019.

საარქივო მასალებისათვის

ციტირებისას მიეთითეთება არქივის აბრევიატურა (მაგ., სცსა), ფონდი, ნომერი, აღწერის ნომერი, საქმის ნომერი, ფურცლის ნომერი. მაგ., (სცსა ფონდი №416: აღწერა №4, საქმე №1032, ფურც. 1-4). ლიტერატურის ნუსხაში გადადის იგივე, თუმცა არქივის სახელწოდება იწერება სრულად, ხოლო ფრჩხილებში აბრევიატურა მაგ., საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა).

დისერტაციისათვის

ციტირებისას მაგ. (წურწუმია 2014: 47), ლიტერატურის ნუსხაში გადავა შემდეგი სახით – წურწუმია 2014: წურწუმია მამუკა, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700) ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება. ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2014.

ბიბლიის, კლასიკური ტექსტებისა და უცხოური წყაროებისთვის დამონება ხდება კლასიკური წესით.

თექნიკური რედაქტორები:

ბექარი ბაინდურაშვილი

ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

მედეა გვინჩიძე

კლიოს სკულპტურის ავტორი:

ალბერტ ვოლფი

გარეკანის დიზაინი:

მედეა გვინჩიძე

დაკაბადონება:

მანუჩარ გუნცაძე

ქურნალის ყდაზე გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის შრიფტი:

<https://manuscript.ge/sazogado-mogvatseta-shriftebi/>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>